

ဒေဝဒနာဂုဏ်

နာရမ်တေသန
ပြည်ထဲမှတ်ချက်

1610
1987.

86



აღმანაცი „მნიშვნელობა“ მოგვითხრობს
ციხესიმაგრესის შემადგენლობაზე,
პირულობობრივობის შემადგენლობაზე,
პირულობრივობის სამყაროში,
კველ ციხესიმაგრე,
სხვადასხვა ძველი და მეორის
ციხესიმაგრის ულობაზე.

მეცნიერება

86



002
76, 11
002
ა. 979

მთავარი ორგანიზორი

ირაკლი აგაშიძე

სარედაქტო საბჭო
გურამ გურიაშვილი (მთ. ორგანიზორის მოადგილე)
ალექსანდრე გვახარიძე
რიგახ ინანიშვილი
ელენი გაფავარიძე
გიგი მიქაძე
ლევან გენაშვილი
ელუარდ სიხარულიძე
ზაირა სტურუა
პელო ლელეცვა (3/მგ. მდივანი)
ცისანა ლლონტი
აკაპი პიპიზური
ვენირა ხუნდაძე
სოლომონ ხუციშვილი
ვახტანგ ჭავახაძე



მხატვარი

სპარტაკ ციცვაძე

1476
3

ფიგნი მაუწყებელი რევოლუციური ჩართვისისა

არის წიგნი, რომელიც არა მარტო ზუსტად და სრულყოფილად ასახავს ცხოვრებას, ღრმა მეცნიერულ ანალიზს უკეთებს თანამედროვე ეპოქას, არამედ ამასთანავე, წარმართავს ისტორიას, აკონკრეტებს მისი განვითარების პროცესებს. უდავოა, ასეთი წიგნი არა-სოდეს ეძლევა დავიწყებას, ყავლი არასოდეს გასდის და მუდამ ცხოველი ინტერესით იყითხება. სწორედ ასეთ ნაშრომთა რიცხვს განეკუთვნება მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის უკვდავი ნაწარმოები „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“.

1915 წლის ბოლოს პეტროგრადში დაარსდა ლეგალური გამომცემლობა „პარუსი“, რომელშიც აქტიურ როლს ასრულებდა დიდი პროლეტარული მწერალი მ. გორკი. გამომცემლობამ განიზრახა, გამოეშვა ბროშურების სერია იმპერიალიზმის შესახებ სათაურით „ევროპა ომამდე და ომის დროს“. ამის შესახებ მ. გორკის მიუმართავს მ. ნ. პოკროვსკისათვის, იმ პერიოდში პარიზში მცხოვრები მარქსისტ-ისტორიკოსისათვის წინადაღებით, რათა ცნობილი მეცნიერებისა და ლიტერატორების ძალებით შეექმნა ამ ბროშურების სერია. იმთავითვე დღის წესრიგში დადგა საკითხი საერთო შესავლის შესახებ.

როგორც ყველა რუსი მარქსისტისათვის, მ. ნ. პოკროვსკისათვისაც თავიდანვე ცხადი იყო, რომ იმპერიალიზმის მეცნიერულ ანალიზს ვ. ი. ლენინზე უკეთ ვერავინ შეძლებდა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ამ მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმის შესასრულებლად შერჩეულ იქნა დიდი ბელადი.



იმპერიალიზმზე სხვადასხვა მიმართულების ბევრი მეცნიერი ჭრდა, მაგრამ ისინი ყურადღებას აქცევდნენ კაპიტალიზმთვეფშევ ვთარებაში XIX-XX საუკუნეების მიზნაზე მომხდარ ისეთ მოვლენებს, როგორიც არის ბანკების მზარდი როლი ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში, მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებს შორის კონკურენციული ბრძოლის ახალი ფორმები, კაპიტალისტური სახელმწიფოების ეკონომიკური და პოლიტიკური ექსპანსია კოლონიებში და ა. შ. მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეძლო მოეცა ახალ პირობებში კაპიტალიზმის განვითარების სრული და ნამდვილად მეცნიერული კონცეფცია.

ზოგიერთი იმპერიალიზმს განიხილავდნენ მხოლოდ, როგორც პოლიტიკას, სხვები იმპერიალიზმის ნიშნებს ეძებდნენ არა მატერიალური წარმოების სფეროში, არამედ კრედიტების, ფინანსების სფეროში. მესამენი მონოპოლისტური კაპიტალიზმის არს განიხილავდნენ, როგორც თითქოსდა ადამიანების თანდაყოლილ სწრაფვას ექსპანსიისადმი.

ვ. ი. ლენინის უდიდესი დამსახურება სწორედ ის არის, რომ არა მარტო შეძლო შეემჩნია ახალი მოვლენები კაპიტალიზმის განვითარებაში, არამედ ამასთან ერთად, ღრმად გაეანალიზებინა ისინი და თეორიულად განეზოგადებინა. ნაშრომი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ — ეს არის კაპიტალიზმის შესახებ კ. მარქსის მოძღვრების გაგრძელება და განვითარება მე-20 საუკუნის დამდეგისათვის შექმნილ ახალ ისტორიულ პირობებში.

კ. მარქსის „კაპიტალისა“ და ვ. ი. ლენინის აღნიშნულ ნაშრომს შორის არის პირდაპირი თეორიული მეცნიერებითობა, შეიძინევა მკაცრი ლოგიური კავშირი. სწორედ „კაპიტალის“ დებულებებზე დაყრდნობით, ახალ ისტორიულ პირობებში, ვ. ი. ლენინმა, პირველმა მარქსისტებს შორის, მოგვცა ღრმა ანალიზი იმპერიალიზმისა, როგორც უმაღლესი და ამავე ღროს უკანასკნელი სტადიისა კაპიტალიზმის განვითარებაში, გამოავლინა მისი წყლულები, მანქიერებანი, წინააღმდეგობანი და მისი გარდუვალი დაღუპვის პირობები. იგი ნათლად ხედავდა, რომ პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში, კაპიტალიზმის განვითარების ახალ ეპოქაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმპერიალიზმის



საკითხების შესწავლას. იგი გრძნობდა, რომ ამ საკითხების საფუძველიანად შესწავლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ბოლშევიცებულებისა და პარტიისა და რუსეთის მუშათა კლასის მიერ თანაბეჭროვე პი-არბებში სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის განხორციელება, გარ-თულდებოდა სოციალისტური თეორიის შემუშავება და მისი ცხა-რებაში გატარება. „მინდა იმედი ვიქონიო, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — რომ ჩემი ბროშურა მკითხველს დამარტინის გაუწივეს, გაერკვეს იმ ძირითად ეკონომიკურ საკითხში. რომლის შეუსწავლე-ლად არაფრის გაგება არ შეიძლება თანამედროვე ომისა და თანა-მედროვე პოლიტიკის შეფასებაში, სახელლობრ: იმპერიალიზმის ეკონომიკური არსის საკითხში“¹. ასე განსაზღვრავდა დიდი ბელა-ლი თავისი მომავალი ნაშრომის დანიშნულებას და არც შემცდარა. მისმა წიგნმა, მართლაც, რომ ეპოქასური მნიშვნელობის როლი შეასრულა არა მარტო რუსეთის, არამედ ევროპისა და მთელი მსოფლიოს რევოლუციური ძალების მსოფლმხედველობის ფორმი-რებისა და არსებული წყობილების წინააღმდეგ ამ ძალების საბრ-ძოლველად მომზადების საქმეში.

ამრიგად, ვლადიმერ ილიას ძე 1916 წლის დასაწყისში მთელი ენერგიით და მონდომებით შეუდგა გამომცემლობა „პარუსის“ მიერ მისთვის შეთავაზებული მეტად საპატიო დავალების შესრულებას.

ახალ მოვლენებს კაპიტალიზმის განვითარებაში, კაპიტალიზმის ახალი სტადიის ზოგიერთ დამახასიათებელ ეკონომიკურ ნიშნებს ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა ჭერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე დიდი ხნით აღრე.

მთელ რიგ ნაშრომებში, რომლებიც დაიწერა 1895-1913 წლებში („სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება“ (1895-1896), „ჩინეთის ომი“ (1900), „კრიზისის გაკვეთილები“ (1901), „მარქსიზმი და რევიზიონიზმი“ (1908), „წარმოების კონცენტრაცია რუსეთში“ (1912), „ჩამორჩნილი ეპ-რობა და მოწინავე აზია“ (1913), „კარლ მარქსის მოძღვრების ის-ტორიული ბედი“ (1913) და სხვ.) ლენინი გარკვევით მიუთითებდა მონიპოლისტური კავშირების — კარტელებისა და ტრესტების გაძლიერების, კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგობათა გალრ-მავების შესახებ, ხოლო პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, გან-

საკუთრებით კი 1915 წლიდან, დააგროვა და კრიტიკულად გადა-
მუშავა უამრავი ფაქტობრივი მასალა, რაც მოსამზადებელ საჭიროება
წარმოადგენდა მისი შემდგომი დიდი ნაშრომისათვის — „იმპერია-
ლიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“.

ვ. ი. ლენინმა შეისწავლა დიდალი ლიტერატურა ეკონომი-
კის, ტექნიკის, პოლიტიკის, დიპლომატიკის, მუშათა მოძრაობისა და
საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ სხვა საკითხებზე იმპერია-
ლიზმის ეპოქაში.

ამონაწერებმა, კონსპექტებმა, შენიშვნებმა, ცხრილებმა, რომ-
ლებიც ლენინმა ამ ტიტანური მუშაობის პერიოდში გააკეთა და
რომელიც შემდეგ გამოიცა სახელწოდებით „რვეულები იმპერია-
ლიზმის შესახებ“, შეადგინა 800-მდე წიგნის ფურცელი².

ნაშრომზე მუშაობისას ვლადიმერ ილიას ძემ გამოიყენა 148
წიგნი. მათ შორის 106 გერმანული, 23 ფრანგული, 17 ინგლისური
და ორი რუსულ ენაზე ნათარგმნი. ამასთან ერთად, დიდმა ბელადმა
ზემოთ დასახელებულ ენებზე გადაიკითხა და ისარგებლა 49 სხვა-
დასხვა სახის პერიოდულ გამოცემებში მოთავსებული 232 სტა-
ტიით³.

ასეთი გიგანტური შრომა ძალუძლა მხოლოდ რევოლუციური
აზროვნების ისეთ ტიტანს, როგორიც ვ. ი. ლენინი იყო. მისი გე-
ნიალური აზრი დაძაბულად და მთელი დატვირთვით მუშაობდა
ახალი ისტორიული ეპოქის ყველა საჭიროობროტო პრობლემაზე.

მეტად საინტერესო ისტორია იქვს ნაშრომის „იმპერიალიზმი,
როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ გამოცემას.

მსოფლიო ომით გამოწვეული განსაკუთრებით რთული ვითა-
რების გამო, წიგნის დაბეჭდვასთან დაკავშირებით, მთელი მიმოწე-
რა ლენინსა და გამომცემლობას შორის მიმდინარეობდა მკაცრი
ქონსპირაციის პირობებში, როგორც უკვე ზემოთ აღნიშნა, საფ-
რანგეთში მცხოვრები რუსი მარქსისტის მ. ნ. პოკროვსკის მეშ-
ვეობით.

აქ, აღბათ, საინტერესო იქნება იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ

² Владимир Ильич Ленин. Биографии в двух томах, т. 1, изд. седьмое. М., 1985, в. 273.

³ Большая Советская энциклопедия, т. 10, изд. третье. М., 1972, с. 466.

Испереманіац, какъ вѣсна
ета же. Какъ вѣсна
(Помѣщеніе отъ редактора).



За послѣдніе 15-20 лѣтъ, особѣнно послѣ падѣнія
Картахенской (1898) и Аквіо-Бурбонской (1899-1902)
республикъ, экономическая и политическая жизнь въ
Марокко претерпѣла значительные изменения. Въ 1902
году въ Сен-Дидье въ Кто-Лигтъ состоялось съединеніе
имперскаго экваториальнаго департамента, «Испереманіа-
ціа», Аквіо-Бурбонской, сподѣльной, та же земли Западнаго Сахары
и Атлантическаго, и Марокканскаго измѣненній иѣниса
имперскаго Р. Каудинскаго, — послѣ этого королевъ въѣхалъ
въ Марокко и началъ въѣздъ въ Саккару. Въ 1910 году въ
Лиѣтъ Сен-Дидье состоялось открытие марокканскаго парламента
Рѣспублики Генѣральитета, «Испакентіи-Конгрессъ».

3. о. ლენინის ავტოგრაფი წიგნის „იმპერიალიზმი, როგორც
კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“

სწორედ მიხეილ ნიკოლოზის ძე პოკროვსკი გახლავთ დიდი ბელა-
დის წიგნის — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღ-
ლესი სტადია“ — რედაქტორი. და ამ უკანასკნელმა ორცოუ ცოტა
რამ გააკეთა იმისათვის, რომ მთელი რიგი დაბრკოლებებისა და
სირთულეების მიუხედავად, ამ გენიალურ ნაშრომს დღის სინათლე
ეხილა და ფართო მკითხველი საზოგადოების საყვარელი წიგნი
გამხდარიყო.



როდესაც წიგნისა და მისი გამოცემის ისტორიას ვკრიტიკოვთ და დიდი ბელადი აქ წარმოჩნდება, როგორც ბუმბერაზი მეცნიერი და დაუცხრომელი მკვლევარი, წინა პლანზე იწევს ვ. ი. ლენინის ისეთი თვისებები, როგორიცაა ზედმიწევნითი პუნქტუალობა, განსაკუთრებული აურატულობა, შეუდარებელი პრინციპულობა, ნებისყოფის დიდი სიმტკიცე და საქმის შესრულებისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა.

ვ. ი. ლენინს განსაკუთრებით აღელვებს ის გარემოება, რომ მასალის სირთულისა და ავადმყოფობის გამო, ვაი თუ ვერ შეძლოს გამომცემლობის მიერ შეთავაზებული დროისათვის ნაშრომის დამთავრება. ეს ვადა კი, როგორც მისდამი მ. ნ. პოკროვსკის მიერ გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, გახლავთ 1916 წლის შუა ივლისი⁴.

მაგრამ ვ. ი. ლენინი, რომელმაც ყველაზე კარგად იცოდა მისი მომავალი ნაშრომის მნიშვნელობა, ყველაფერს აკეთებს, რომ წიგნი დათქმული დროისათვის დასრულოს. და მართლაც, 1916 წლის 2 ივლისს უკვე დასაბეჭდად და გამოსაცემად გამზადებულ ხელნაწერს დაზღვეული ბანდეროლით უგზავნის მ. ნ. პოკროვსკის. სამწუხაოდ, ამ ხელნაწერმა აღრესატამდე ვერ მიაღწია. იგი დაკავებულ და კონფისკებულ იქნა საფრანგეთის სამხედრო ხელისუფალთა მიერ.

ამ არასასიამოვნო ფაქტთან ერთად, რომლის შესახებაც ვ. ი. ლენინმა მოგვიანებით შეიტყო, მას სხვა საწუხარიც ჰქონდა. ბელადს წიგნზე მუშაობა უკვე დამთავრებული ჰქონდა, როდესაც გაიგო, რომ გამომცემლობა „პარუსის“ ხელმძღვენელობას გადაშეყვიტა ნაშრომის შემცირება რამდენიმე თაბახით, ამას ვ. ი. ლენინი მტკიცნეულად განიცდის და მ. ნ. პოკროვსკის, თავისი ხელნაწერის გაგზავნის დღესვე ასეთი შინაარსის წერილს სწერს: „პატივცემულო მ. ნ.! დაზღვეული ბანდეროლით დღეს გიგზავნით ხელნაწერს, მთელი მასალა, გეგმა და სამუშაოს მეტი ნაწილი უკვე დამთავრებული იყო დაკვეთილი გეგმის მიხედვით 5 თაბაზზე (200 ხელნაწერი გვერდი). ისე, რომ ერთხელ კიდევ შემჭიდროება 3 თაბაზმდე აბსოლუტურად შეუძლებელი იყო. საშინლად საწყენი იქნება, თუ არ გამოსცემენ! მაშინ ხომ არ შეიძლება ის მაიც მოშუამდგომლოთ, რომ მოთავსებულ იქნეს იმავე გამომცემლის უურ-

⁴ Вопросы истории, 1969, № 2, с. 26.

ნალში? ჩემი მიწერ-მოწერა მასთან, სამწუხაროდ, რატომლაც შეწყვეტილი ყდა... რაც შეეხება ავტორის სახელს, მე, რა თქმა უნდა, ვამზადებოდა განკუთხულია ბინებდი ჩემს ჩვეულებრივ ფსევდონიმს. თუ უხერხულია, გთავაზობთ ახალს: ნ. ლენივცინი. თუ გინდათ, აიღეთ, რომელიც გენებოთ“⁵. აქეთ ვლადიმერ ილიას ძე მიუთითებს ნაშრომის სათაურის შესახებ და აღნიშნავს, რომ „...თუ სასურველია არ იხსენიებოდეს სიტყვა იმპერიალიზმი, მაშინ სათაურად გაუკეთეთ: „უახლესი კაპიტალიზმის ძირითადი თავისებურებანი“ (ქვესათაური „პოპულარული ნარკევი“ აუცილებლად საჭიროა, რადგან მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები გადმოცემულია ასეთი ხასიათის ნაშრომის შესაბამისად)“⁶.

უნდა ითქვას, რომ ასეთი ხასიათის წერილებს აღნიშნულ პერიოდში ვ. ი. ლენინი ხშირად უგზავნიდა არა მარტო პოკროვსკის, არამედ სხვა ამხანაგებსაც. ამ წერილებში დიდი ბელადი გულისტკივილს გამოთქვამდა როგორც გამომცემლობის გადაწყვეტილებაზე ნაშრომის მოცულობის შემცირების და მისი ხელნაწერის დაკარგვის შესახებ, ისე ყველა იმ საკითხის ირგვლივ, რაც კი წიგნის „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ და ბეჭდვისა და გამოცემის საქმესთან იყო დაკავშირებული. ასეთი ხასიათის წერილები საკმაოდ ბევრი გვხვდება ვ. ი. ლენინის ბიოგრანიულის მე-3 ტომში, რომელშიც ასახულია ბელადის ცხოვრება და მოღვაწეობა 1912-1917 წლებში.

მას შემდეგ, რაც ვ. ი. ლენინი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მ. ნ. პოკროვსკისადმი გაგზავნილი ხელნაწერის პოვნა უკვე შეუძლებელი იყო, ბელადს მოუხდა მისი მეორე ეგზემპლარის გაგზავნა პირდაპირ გამომცემლობაში, მაგრამ ამჯერად ყოველივე ეს განხორციელდა არალეგალურად. ხელნაწერი ჩაწებებულ იქნა ფრანგული წიგნის ყდაში და ამგვარად გაიგზავნა პეტროგრადში.

ა. მ. გორკი, რომელიც ამ დროს დიდ როლს თამაშობდა „პარუსის“ საგამომცემლო საქმიანობაში, აღფრთვოვანებული დარჩა ვ. ი. ლენინის ხელნაწერის მიღებით და მისი წაკითხვის შემდეგ ასეთი წერილი გაუგზავნა მ. ნ. პოკროვსკის: „დიახ, ილინსკის ბროშურა ნამდვილად ჩინებულია, და მე სავსებით გეთანხმებით: იგი

⁵ ვ. ი. ლენინი. თხ. ტ. 35, გვ. 229.

⁶ იქვე, გვ. 229-230.


უნდა გამოიცეს მთლიანად... მაგრამ სერიის გარეშე... რა საუცხოვა
მუშაკია ილინსკი, როგორი ჭკვიანი, როგორ გვჭირდება ქსერისტების
ნიშავი აღამიანი აქ, „შინ“⁷.

როგორც ცნობილია, ლენინის გენიალურ ნაშრომში დიდი ად-
გილი აქვს დათმობილი კაუცისა და სხვა სოციალ-შოვინისტების
წინააღმდეგ ბრძოლას. მთელი ძალითაა მხილებული „ულტრაიმპე-
რიალიზმის“ კაუცისეული, ანტიმარქსისტული თეორია, რომელიც
ამტკიცებდა, რომ თითქოსდა იმპერიალიზმს მოსდევს ორგანიზე-
ბული მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობა, რომელიც სპობს
ყველა წინააღმდეგობას, კრიზისებს და ომებს. ლენინმა გააბათილა
კაუცის ეს ნაყალბევი და დაამტკიცა, რომ სინამდვილეში მონო-
პოლისტური გაერთიანებანი უკიდურესად ამწვავებენ წინააღმდე-
გობებს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, იწვევენ შეიარაღებულ
ბრძოლას უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალი გადანაწილე-
ბისათვის.

სამწუხაროდ, გამომცემლობის მენეჯერიურმა ხელმძღვანელო-
ბამ ლენინის ხელნაწერიდან ამოაგდო ის მკაცრი კრიტიკა, რომე-
ლიც მიმართული იყო კაუცისა და რევოლუციის სხვა მტრების
წინააღმდეგ. მათმა ჩასწორებებმა დამახანგა ბევრი ლენინური დე-
ბულება და მსჯელობა, მრავალი მეცნიერული დასკვნა და წინა-
დადება. მაგალითად, ლენინური სიტყვა „გადაზრდა“ (კაპიტალიზ-
მისა იმპერიალიზმში) შეცვალეს „გარდაქმნით“; „რეაქციული ხა-
სიათი“ (ულტრაიმპერიალიზმის თეორია) „ჩამორჩენილი ხასიათით“
და ა. შ.

ვ. ი. ლენინი ძალზე აღაშფოთა ასეთმა „ჩასწორებებმა“ და
განრისხებულმა წერილი გაუგზავნა მ. ნ. პოკროვსკის: „თქვენ „შე-
საძლებლად მიიჩნიეთ“ ამოგელოთ კაუცის კრიტიკა ჩემი ბრძოშუ-
რიდან... სამწუხაროა ღმერთმანი, სამწუხაროა. რათა? განა არ
სჯობდა გეთხოვნათ გამომცემლებისათვის დაბეჭდეთ, პატივცემუ-
ლო ბატონებო, პირდაპირ: ჩვენ, გამომცემლობამ ამოვიღეთ კაუც-
ის კრიტიკა-თქო. გარწმუნებთ, ასე უნდა გექნათ... მე, რასაკვირ-
ველია, იჭულებული ვარ დავემორჩილო გამომცემელს, მაგრამ და,


⁷ Владимир Ильич Ленин. Биографическая хроника, т. 3. М., 1972, с. 556.



გამომცემელს ნუ ეშინია თქვას, რა სურს და რა არა სურს; გამომ-
ცემელმა აგოს პასუხი შემოკლებისათვის და არა მე“⁸. ვინაიდნენ
რუსეთში დაბრუნების პირველ ხანებში ლენინს საშუალება
არ ჰქონდა აღედგინა ხელნაწერის მისეული ტექსტი. ბროშურა გა-
მოსაცემად უკვე მზად იყო 1917 წლის გაზაფხულისათვის, მაგრამ
რიგი მიზეზების გამო გამოქვეყნდა მხოლოდ 1917 წლის სექტემ-
ბერში, სათაურით „იმპერიალიზმი, როგორც უახლესი ეტაპი კა-
პიტალიზმისა“.



წიგნის პირველი
გამოცემა,
1917 წ.



წიგნის პირველი
ქართული გამოცემა
1923 წ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვ. ი. ლენინმა
იღადგინა ნაშრომის სრული ტექსტი და იგი დაიბეჭდა სათაუ-
რით — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტა-
დია“. მათ ენიდან მოყოლებული ნაშრომი თარგმნილი და გამოცემუ-
ლია ყველა ევროპულ, ჩინურ, იაპონურ და სხვა ენებზე. განსაკუთ-

⁸ ვ. ი. ლენინი. თხ., ტ. 35, გვ. 270.

რებით ფართოდ გავრცელდა იგი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ჩვენს ქვეყანაში ვ. ი. ლენინის გენიალური წიგნი 230-ზე მეტკუთხა არის გამოცემული რამდენიმე მილიონი ტირაჟით. საქართველოს ნაშრომის პირველი გამოცემა 1923 წელს განხორციელდა. ბელა-დის სხვა ფუნდამენტურ ნაშრომებთან ერთად წიგნი ქართულ ენა-ზე რამდენჯერმე დაიძეჭდა და მის ცხოველმყოფელ იდეებს გამუღ-მებით ისისხლორცებს ქართველი მკითხველი.

* * *

ვ. ი. ლენინმა წიგნში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ განსაკუთრებით სრულყოფილად, უდიდესი შეცნიერული სიღრმით გააანალიზა იმპერიალიზმის ძირითადი ეკო-ნომიკური თავისებურებანი, აღნიშნა, რომ მონოპოლისტურმა კავ-შირებმა — კარტელებმა, სინდიკატებმა, ტრესტებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვეს ქვეყნის მეურნეობრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და აქვე მიუთითა, რომ ისინი თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, ქვეყნის მშრომელი მოსახლეობის უდიდესი მჩაგვ-რელნი და დაპყრობითი ომების ორგანიზატორები გახდნენ.

ყოველივე მის შესახებ შესანიშნავადაა მითითებული პარტიის 27-ე ყრილობაზე მიღებულ სკოპ პროგრამის ახალ რედაქციაში: „კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესს XX საუკუნის დამდეგს, მოპყვა კაპიტალისტთა იმ მძლავრი მონოპო-ლისტური კავშირების წარმოშობა, რომლებმაც ხელთ იგდეს მთელი ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მთავარი ბერკეტები, კაპიტალიზმს დაუდგა თავისი უმაღლესი და უკანასკნელი სტადია— იმპერიალიზმის სტადია. ვ. ი. ლენინის თქმით, „იმპერიალისტური კაპიტალიზმი ერების უდიდესი მჩაგვრელი, აგრესიული ომების ძირითადი წყარო გახდა“⁹.

იმპერიალიზმის ეპოქაში წინააღმდეგობათა უაღრესად გამწვა-ვების ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა კაპიტალიზ-მის დაღუპვის აუცილებლობა, აღმოაჩინა ამ წყობისათვის დამა-ხასიათებელი უთანაბრო განვითარების კანონი და ამ კანონზე დაყ-

⁹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, ახალი რედაქცია-თბილისი, 1986, გვ. 8.



აღნობით ერთ, ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა; შექმნა სოციალისტური რემარკებული კოლუციის თეორია.

ამ აღმოჩენამ უდიდესი როლი შეასრულა გაბატონებული კლასების ძალაუფლების დამხმარებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების საქმეში. კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების კანონი გასაღები გახდა იმ კონფლიქტებისა და კატასტროფების გასაგებად, რომლებიც ვლინდებიან იმპერიალიზმის ეპოქაში სახელმწიფოთა შეიარაღებული შეტაკებების — ომების სახით.

ვ. ი. ლენინმა მოვცა იმპერიალიზმის კლასიკური განსაზღვრა: „იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმი განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ჩამოყალიბდა მონოპოლიებისა და ფინანსური კაპიტალის ბატონობა, უაღრესი მნიშვნელობა მიიღო კაპიტალის გატანაშ, დაიწყო მსოფლიოს განაწილება საერთაშორისო ტრესტებს შორის და დამთავრდა დედამიშის მთელი ტერიტორიის განაწილება უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის“¹⁰.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ პერიოდის ბევრ ნაშრომში იმპერიალიზმი განხილულია, როგორც დიდ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის გარკვეული მიმართულება. იმპერიალიზმის ასეთ განსაზღვრას იძლეოდნენ კაუკისთან ერთად ო. ბაუერი, რ. ჰილფერდინგი და სხვანი. ანტიმარქისტულ შეხელულებებს იმპერიალიზმის საკითხებში ავითარებდნენ აგრეთვე ტროცკი, ბუხარინი, პრეობრაუნის და სხვა ანტილენინელები.

იმპერიალიზმის ლენინური განსაზღვრის უდიდესი მნიშვნელობა და სიახლე ის არის, რომ იგი შეიცავს კაპიტალიზმის განვითარების ახალი ფაზის ყოველმხრივ ანალიზს და გვიჩვენებს, რომ იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის განსაკუთრებული ისტორიული სტადია — მონოპოლისტური კაპიტალიზმი, პარაზიტული, ანუ ლპობადი და მომაჯვდავი კაპიტალიზმი, რომ იგი წარმოადგენს პროლეტარული რევოლუციის წინადღეს და სხვა. იმპერიალიზმის სწორედ ეს ეკონომიკური თავისებურებანი ვერ შენიშნეს კაუკიმ, ჰილფერდინგმა და სხვა სოციალ-მოვინისტებმა. აյრიტიკებდა ჩარ. ჰილფერდინგს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა დაიღიშა იმპერიალიზმის ისეთი არსებითი ნიშანი, როგორიცაა პარაზიტიზმი და

¹⁰ ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 22, გვ. 335.

ლპობა, მიუთითებდა, რომ მან „...ყოფილმა „მარქსისტმა“... ამ ხა
კითხში ნაბიჯი გადადგა უკან აშეარა პაციფისტ და რეფორმისტ,
ინგლისელ ჰობსონთან შედარებით“¹¹.

კაუცის მსგავსად, ზოგიერთი თანამედროვე ბურუუზიული
იდეოლოგი დღესაც ამტკიცებს, რომ იმპერიალიზმი არის სახელ-
მწიფოს პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ქვეყნების წინა-
აღმდეგ ბრძოლას და მათ დაპყრობას.

ასეთ მსჯელობათა თანახმად, საკმარისია სახელმწიფომ შეც-
ვალოს თავისი დაპყრობითი კურსი, ექსტრემისტული ზრახვები,
რომ „მოისპოს“ იმპერიალიზმი. სინამდვილეში კი იმპერიალიზმის
შინაარსი უფრო ღრმაა. ძნელი დასანახი არ არის, რომ ვინც სა-
ხელმწიფოს დაპყრობით პოლიტიკას აიგვივებს იმპერიალიზმთან,
იგი ცდილობს მიჩქმალოს იმპერიალიზმის ნამდვილი ეკონომიკუ-
რი საფუძველი — მონოპოლიების ბატონობა.

ექსპლოატატორული წყობილების თანამედროვე პოლოგე-
ტები ხმამაღლა გაძყვირიან, რომ დღევანდელი იმპერიალიზმი თა-
ვისი ბუნებით ძირფესვიანად განსხვავდება ძველი იმპერიალიზმი-
საგან და, პირველ ყოვლისა, ამ აზრს იმით ასაბუთებენ, რომ თანა-
მედროვე კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა თითქოსდა უარი
თქვეს კოლონიალიზმზე, სხვა ქვეყნების ჩაგვრასა და ექსპლოატა-
ციაზე და რომ დღეს იმპერიალიზმმა სრული ტრანსფორმაცია
განიცადა.

მაგრამ ისმება კითხვა, ნიშნავს კი კოლონიური რეჟიმის მოს-
პობა კოლონიალიზმის მოსპობას? ეს საკითხი აუცილებლად მო-
ითხოვს პასუხის გაცემას, რაზეც თავს იკავებენ იმპერიალიზმის თა-
ნამედროვე დამცველები. სინამდვილე გვიჩვენებს, რომ კოლონი-
ური რეჟიმის ბატონობა, ე. ი. კოლონიური მფლობელობა ისპობა,
მაგრამ კოლონიალიზმი რჩება, როგორც „უხილავი იმპერია“ ექს-
პლოატაციისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ახალი ფორმე-
ბითა და მეთოდებით. „კოლონიალიზმი კოლონიების გარეშე“ გან-
საკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამჟამად, იმპერიალიზმის აგრე-
სიულობის გაძლიერების პერიოდში. ერთი შეხედვით, პოლიტიკუ-
რად განთავისუფლებული ქვეყნები შეიძლება მოგვეჩვენონ თავისუ-
ფალნი, დამოუკიდებელნი, მაგრამ მათი ახლოს გაცნობა ცხად-

¹¹ ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 22, გვ. 238.



ყოფს, რომ ისინი ისევ იმყოფებიან იმპერიალისტური ქვეყნებში გავლენის ქვეშ, ისევ რჩებიან მათს დამოკიდებულებაში ეკონომიკური მიკურად.

ამ დამოკიდებულების თვალით დანახვა ძნელია, რუკაზე იგი არ აისახება, მაგრამ მისი სიმწვავე სუსტი ქვეყნებისათვის არა-ნაკლებ საგრძნობია, ვიდრე კოლონიური რეჟიმი... აი, რაში მდგო-მარეობს „უხილავი იმპერიის“ თავისებურება.

„უხილავი იმპერიის“ მძლავრ ქვეყანას ამჟამად აშშ წარმო-ადგენს, რომლის მსხვილი მონოპოლისტური კაშირები და ბან-კები უხილავი ქსელით არის დაკავშირებული თითქმის ყველა კა-პიტალისტურ, განვითარებად და სუსტად განვითარებულ ქვეყნებ-თან.

ასეთი უხილავი სამფლობელოები აშშ მონოპოლიებს და ბან-კებს აქვთ აზის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყა-ნაში. როცა იმპერიალისტები ამა თუ იმ ქვეყანას დამოუკიდებლო-ბას ანიჭებენ, ისინი აქ თავიანთი აღმინისტრაციის ლიკვიდაციას ახდენენ, გაპყავთ ჯარები და სხვ. მაგრამ თავიანთ კაპიტალს ხე-ლუხლებლად ტოვებენ, ე. ი. იმპერიალიზმი თავის განკარგულე-ბაში იტოვებს ამ ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლის ეკონომიკურ სა-ფუძველს, მეტიც, აძლიერებს ამ ქვეყნებში კაპიტალის გატანას.

ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს იმპერიალიზმის ლენინური განსაზღვრის ქმედით როლს თანამედროვე პირობებშიც.

აქვს თუ არა სინამდვილეში კაპიტალიზმის განვითარებაში ადგილი ცვლილებებს? რა თქმა უნდა, აქვს. ეს გამოიხატება კაპი-ტალისა და წარმოების შემდგომი კონცენტრაციის ამაღლებაში, სა-ხელმწიფო მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე გადასვლაში, სოცია-ლისტური რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური პირობების მომზადებაში და სხვ. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს კაპიტა-ლიზმის ბუნების შეცვლას, მით უფრო არ მოასწავებს იმპერია-ლიზმის ლენინური თეორიის უარყოფას, ან მისი მნიშვნელობის შემცირებას, პირიქით, აღნიშნული ცვლილებები აღასტურებენ იმ-პერიალიზმის ლენინური ანალიზის სისწორეს.

იმპერიალიზმის ლენინური თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელო-ბა თანამედროვე ეტაპზე ის არის, რომ იგი სასტიკად აბათილებს იმპერიალიზმის დამცველთა მტკიცებებს, თითქოსდა მცირდება მო-ნოპოლიების ბატონობა, მათი როლი, თითქოს ადგილი აქვს წარმო-



ების „დეკონცენტრაციას“, მონოპოლიებს შეუძლიათ ექსპანსიუმი საზოგადოებას და სხვა, რაც, მათი აჩრით, გამომდინარეობში უფლებულებები იმპერიალიზმის ბუნების შეცვლიდან, „უიმპერიალიზმი“ კაპიტალიზმის წარმოშობიდან, ბურжуაზიული სახელმწიფოს „საყოველთაო კეთილდღეობის“ სახელმწიფოდ გადაქცევიდან და ა. შ. ყოველივე ეს კი სასტიკად ეწინააღმდეგება სინამდვილეს. მონოპოლიების მძარცველური, ექსპლოატატორული როლი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, ამჟამად კი არ მცირდება, პირიქით, ძლიერდება. ფაქტია, რომ აშშ მონოპოლიები ომს აწარმოებდნენ კორეაში და შემდეგ ვიეტნამში მხოლოდ მაღალი მოგების მისაღებად, ამ ქვეყნების კოლონიებად გადასაქცევად და არა მათი „თავისუფლებისათვის“, როგორც ამის შესახებ უყვართ ლაპარაკი იმპერიალიზმის დამქაშებს.

ეს ომები, რომელთა მიზანსაც შეადგენდა აღნიშნული ქვეყნების ხალხების დამონება და უალრესად მაღალი მოგების მიღება, სავსებით სწორად იქნა შეფასებული ჩვენი კომუნისტური პარტიის მიერ, როგორც ყაჩაღური, მტაცებლური.

იმპერიალიზმის ლენინური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი დებულების ნათელ დადასტურებას წარმოადგენს კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერება, მსოფლიოს მონოპოლიისტური გაერთიანებების წარმოშობა როგორც წმინდა კარტელების, ტრესტების, ისე სახელმწიფოებრივ-მონოპოლიისტური გაერთიანებების სახით. ამის ნიმუშს წარმოადგენს ეკროპის „საერთო ბაზარში“ შემავალ სახელმწიფოთა გაერთიანება, რომლის მთელი საქმიანობა და დანიშნულება მდგომარეობს სოციალისტურ ბანკში შემავალი ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში.

ეს არის ტენდენცია, რომელიც უეჭველად ასახავს საზოგადოებრივი წარმოების ინტერნაციონალიზაციის, მთლიანი მსოფლიო მეურნეობის შექმნის მისწრაფებას. მაგრამ ეს პროცესი უმტკიცნეულოდ არ მიმდინარეობს, იგი წინააღმდეგობათა ახალ გამწვავებასთან, კლასობრივი ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერებასთან არის დაკავშირებული, რაც შეუძლებელს ხდის მის, ე. ი. „მთლიანი მსოფლიო მეურნეობის შექმნის“, განხორციელებას კაპიტალისტური წარმოების პირობებში. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს კაუცის

„ულტრაიმპერიალიზმის“, ჰილფერდინგის „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ და სხვათა უნიადაგობას და სიყალბეს.

იმპერიალიზმის ლენინური თეორიის შუქზე ჩვენ ნათლად გხე-
დავთ აგრეთვე კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების კანონის
გაძლიერების პროცესს. სინამდვილე გვიჩვენებს, რომ თითოეული
კაპიტალისტური ქვეყნის ნახტომისტური განვითარება გააფთორე-
ბულ ბრძოლას იწვევს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. სულ უფ-
რო დაბული ხდება ურთიერთობანი თვით მძლავრად განვითა-
რებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. მათ შორის არსებული
შეთანხმებანი და გაერთიანებანი ძირითადად ფორმალურ ხასიათს
ატარებენ. ასეთი ტრანსეროვნული კორპორაციები და გაერთია-
ნებანი, როგორც პარტიის პროგრამაშია აღნიშნული „... არა მარტო
ძირს უთხრიან განთავისუფლებულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტს,
არამედ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ეროვნულ წ-
ტერესებსაც ხელყოფენ“¹².

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლენინის კრიტიკას ბურჟუაზიული
და რევიზიონისტული „თეორეტიკოსების“ წინააღმდეგ იმპერია-
ლისტური კაპიტალიზმის განვითარების ხასიათის შესახებ. ეს კრი-
ტიკა ფართოდ ეხმაურება თანამედროვე მარქსისტ-ეკონომისტების
ბრძოლას რევიზიონისტებისა და რეფორმისტების წინააღმდეგ,
რომელსაც კაპიტალიზმის ახლანდელი საფეხური „უკლაშვილ საზო-
გადოების“, „სახალხო კაპიტალიზმის“ განხორციელებად მიაჩ-
ნიათ.

ნამდვილად კი არ არსებობს არავითარი „სახალხო კაპიტალიზ-
მი“ და სხვა ამგვარი. ის, რასაც თანამედროვე ბურჟუაზიული
თეორეტიკოსები „სახალხო კაპიტალიზმს“ უწოდებენ, არის იმპე-
რიალიზმის უკანასკნელი საფეხური, სახელმწიფო-მონოპოლისტუ-
რი კაპიტალიზმი, რომელიც ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ პირველი
მსოფლიო ომის პერიოდში შენიშნა.

ვ. ი. ლენინი წერდა: „ძველი კაპიტალიზმი, თავისუფალი კონ-
კურენციის კაპიტალიზმი, მისთვის აუცილებლად საჭირო რეგულა-
ტორით, ბირეით, წარსულს ჰგარდება. იგი შეცვალა ახალმა კაპი-
ტალიზმა, რომელსაც მოსდგამს რაღაც გარღამვალის აშკარა ნიშ-

¹² საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. ახალი რედაქცია,
გვ. 20.

ნები, თავისუფალი კონკურენციის და მონოპოლიის რაღაცნა გვრევის ნიშნები. ბუნებრივად იბადება კითხვა: რაში „გაფასდომული უახლესი კაპიტალიზმი, მაგრამ ამ კითხვის დასმას ბურჟუაზიული მეცნიერნი უფრთხიან“¹³.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ვ. ი. ლენინი გარკვევით ითვალისწინებდა „იმპერიალისტურ სტადიაში მყოფი კაპიტალიზმის“ გადასვლას ახალ საფეხურზე. რა თქმა უნდა, ამას პქონდა დიდი მნიშვნელობა, მაგრამ არააკლები მნიშვნელობა პქონდა იმის დაღვენასაც, თუ რა შეიძლებოდა გვეწოდებინა იმპერიალიზმის ამ უკანასკნელი საფეხურისათვის.

ვ. ი. ლენინი პირველი იყო, რომელმაც სავსებით სწორი პასუხი გასცა ამ კითხვას, ე. ი. იმას, თუ „რაში უნდა გადავიდეს... იმპერიალისტურ სტადიაში მყოფი კაპიტალიზმი“.

როგორც იღვნიშნეთ, დიდმა ბელადმა მას უწოდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი, ამავე ღროს მოგვცა ამ საფეხურის ღრმა მეცნიერული ანალიზი, გვიჩვენა კაპიტალისტურ ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის კანონები, აგრეთვე ფინანსური ოლიგარქიის ინტერესებისადმი სახელმწიფოს დაქვემდებარების პროცესი და სხვ. იმას პქონდა უდიდესი მნიშვნელობა შემდგომი განვითარების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში რევოლუციური გადასვლის, აგრეთვე იმპერიალიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის იდეური შეიარაღების თვალსაზრისით.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი — იმპერიალიზმის უკანასკნელი საფეხური, მონოპოლისტური კაპიტალიზმის თვისებებისა და ნიშნების შემდგომი განვითარება. იგი არ წარმოადგენს იმპერიალიზმის ფარგლებიდან გამოსვლას. ცხადია, წარმოების განსაზოგადოების თანამედროვე ღონე შინაგანად მოითხოვს მთელი მეურნეობის გეგმაზომიერი წარმართვის აუცილებლობას. მაგრამ ამის განხორციელება შეუძლებელია კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში, აგრეთვე თვით სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ღროსაც.

ვ. ი. ლენინის მიერ იმპერიალიზმის პრობლემების შესწავლისა და მეცნიერული ინალიზის უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს მისი ისტორიული აღგილის განსაზღვრა და ცხადყოფა იმისა,

¹³ ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 22, გვ. 272-273.



რომ იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის განსაკუთრებული სტადია, მომაკვდავი კაპიტალიზმი, სოციალისტური რევოლუციის წინადაღისათვეების შემთხვევაში რევოლუციის გამოყენებამ უზრუნველყო ის ცვლილებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს კაპიტალიზმის ცხოვრებაში, მისი ფარგლების შევიწროების თვალსაზრისით.

ყოველივე ამას შესანიშნავად ითვალისწინებდა ვ. ი. ლენინი თვეის შრომებში იმპერიალიზმის შესახებ, განსაკუთრებით კი ნაშრომში: „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგები განსაკუთრებული ძალით გამოდიან ამჟამად სწორედ ვ. ი. ლენინის ამ ვენიალური ნაშრომის წინააღმდეგ, აცხადებენ მას მოძველებულად, თითქოს იგი არ პასუხობდეს თანამედროვე კაპიტალიზმის აქტუალურ საკითხებს და სხვ.

ბურჟუაზიული ისტორიკოსების მიერ ვ. ი. ლენინის ნაშრომის — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ — წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე კაპიტალიზმის სისუსტის აშკარა მაჩვენებელია. თანამედროვე კაპიტალიზმი განიცდის შინაგან სიძნელეებს — ქრონიკულ უმუშევრობას, წარმოებრივი პარატის დაუტვირთაობას, პარაზიტიზმის ზრდას, ანტაგონისტური წინააღმდეგობის გაძლიერებას მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებრივ ურთიერთობებს შორის, საიდანაც მთავარ გამოსავალს კაპიტალისტები და მათი დამქაშები ანტიკომუნიზმი, რეაქციის გაძლიერებაში და მილიტარიზმში, თანამედროვე ატომური და ბირთვული იარაღით შეიარაღებაში ხედავთ.

„თანამედროვე პირობებში იმპერიალიზმი, — აღნიშნულია სკკპ XXVII ყრილობის რეზოლუციაში, — მზარდ საფრთხეს უქადის თვით კაციონიობის არსებობას. მისი უსაზარლესი ნაშეირია შილიტარიზმი, რომელიც ისწრაფვის თავის გავლენასა და ინტერესებს დაუქვემდებაროს ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი პოლიტიკური მანქანა, კონტროლს დაუმორჩილოს სულიერი ცხოვრება და კულტურა.“

იმპერიალიზმის და მხოლოდ იმპერიალიზმის ბრალია ჩვენი საუკუნის ომები და კონფლიქტები, გამაღებული შეიარაღების გა-



ჩაღება და განუწყვეტელი გაძლიერება, მისი ახალი მიმკრთხულებების გაჩენა. იმპერიალიზმი, რომელმაც პირველმა გამოჰყენებული თვეული იარაღი, ახლა ემზადება გადაადგას ახალი, შესაძლოა, საბედისწერო ნაბიჯი — გადაიტანოს გამალებული შეიარაღება კოსმოსში, მიზანში ამოიღოს მთელი პლანეტა¹⁴.

სიკედილისა და ნგრევის იარაღების დამზადება იწვევს მუშაობა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ჩამოშორებას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისაგან, იწვევს მატერიალური რესურსების უსარგებლო ფლანგებს, ამცირებს სამშვიდობო მიზნებისათვის განკუთვნილ წარმოებას და ქმნის სახალხო მეურნეობის თანდათან გამოფიტვის პერსპექტივას.

ამრიგად, ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმი წარმოადგენს ლპობად, პარაზიტულ კაპიტალიზმს, ნათლად დასტურდება განვითარების თანამედროვე ეტაპზეც. კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ აუცილებელია წარმოების კაპიტალისტური წესის სოციალისტური წესით შეცვლა, რაც უნდა განხორციელდეს სოციალისტური რევოლუციის შედეგად.

ამ იდეას იცავდა ვ. ი. ლენინი თავის დროზე, ამ იდეას იცავს ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ამ იდეის ცხოველმყოფელობაში მდგომარეობს მსოფლიოს ყველაზე დიდი მოაზროვნის ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომის — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ — მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა. იგი იყო ახალი საფეხური მარქსის ეკონომიკური თეორიის, მეცნიერული კომუნიზმის თეორიის განვითარებაში. ვ. ი. ლენინმა შორს წასწია წინ მარქსისტული თეორია. გაამდიდრა იგი ახალი დებულებებით და ლრმა თეორიული დასკვნებით.

14 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის რეზოლუცია სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების გამო. სკკ 1986 ყრილობის დადგენილებები. თბილისი, 1986, გვ. 6.

წიგნი
ლე
ცხრმოვა

მ

ଶିକ୍ଷଣବେଳୀ ବେଳେଶ୍ଵର ଶାଖାରେ ଆଖର, ହରାଥିରୁ ଆଖା-
ଶ୍ରେଷ୍ଠ, ଶିକ୍ଷଣ ମାର୍ଗଦାରୀ, ପାଠ୍ୟପରିକଳ୍ପନା,
ପ୍ରକାଶକାଳୀ, ପ୍ରକାଶକାଳୀ,

୩. ଶିକ୍ଷଣ ପରିକଳ୍ପନା

აპალებიშვილი „ვეფხისტყაოსნის“

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ბეჭდურად 63-ჯერ გამოქვეყნდა. პირველი გამოცემა განახორციელა სწავლულმა მეფემ ვახტანგ მე-ექესემ 1712 წელს, თავისი რედაქციითა და კომენტარებით („თარ-გმანით“). იმ დროისათვის ეს იყო მეცნიერულ-კრიტიკული გამო-ცემა. ვახტანგის გამოცემას პოემის მხოლოდ ოციოდე ხელნაწერი უსწრებს. დაახლოებით ამდენივე ვახტანგის შემდეგლროინდელი, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი წარმოშობის ნუსხა. ხელნაწერთა უმრავლესობა მომდინარეობს თვითონ ვახტანგის გამოცემიდან.

საერთოდ, ცოტა როდია „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენ დრომდის მოღწეული ხელნაწერის რაოდენობა. მაგრამ ეს ხელნაწერი მემ-კვიდრეობა გვიანდელ დროს კუთვნის. მხოლოდ ერთადერთი ხელ-ნაწერის ორფურცლიანი ფრაგმენტი ახალციხის მუზეუმიდან, უნდა იყოს XVI საუკუნის გასულისა თუ XVII საუკუნის დამდეგისა. „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე ძველი თარიღიანი ხელნაწერია შამუქა მდივნის — თავაქალაშვილის ნუსხა, გადაწერილი 1646 წელს. პო-ემის თითო-ოროლა ტავპი XV საუკუნის ჩანაწერ-მინაწერის სახით შემოუნახავს სხვა თხზულებათა ხელნაწერებს. ორი სტროფის ტექ-სტი მიწერილია ვანის ქვაბთა მონასტრის კედელზე (ეს მინაწერი XV-XVI საუკუნისაა). უამთა სიავისა თუ სხვა მიზეზთა გამო „ვეფ-ხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერები დაკარგულია. ნაგვიანევ ხელ-ნაწერებში კი ტექსტი ძალზე დამახინჯებული და წარყვნილია. ამ-შამად „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები თავმოყრილია და დაცუ-ლია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ამდენიმე ხელნაწერი ქუ-თაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმშია, ორი კარგი ძველი ხელნა-წერი ოქსფორდის ბიბლიოთეკაშია (მარჯორი უორდროპის სახე-



ლობის კოლექციაში), ორიც პარიზის ეროვნულ ბიბლიოთის მიერ ინახება. მკვლევართა განკარგულებაშია ყველა ამ ხელნაწერთა ტოპირი.

ვახტანგის გამოცემის შემდეგ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ვთქვით, 62-ჯერ დაიბეჭდა. ჩასაკვირველია, ეს გამოცემები სხვა-დასხვა ღირსებისაა, ზოგი მათგანი რომელიმე წინა გამოცემის უბრალო განმეორებაა. ტექსტოლოგიური თვალსაზრისით უფრო მნი-შვნელოვანი გამოცემებია (ვახტანგის გამოცემის შემდეგ): მარი ბროსეს (1841); დავით ჩუბინაშვილისა (1860); ქართველიშვილის სახელით ცნობილი (1888), რომელიც მოამზადა ქართველ მწერალთა ჯგუფმა გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის მოთავეობით; იუსტინე აბულაძისა (1914, 1926); სარგის კაკაბაძისა (1913, 1927); დაეგით კარიჭაშვილისა (1903, 1920); კონსტანტინე ჭიჭინაძისა (1934); პირველი საიუბილეო (1937); ბარამიძე-კეკელიძე-შანიძისა (1951, 1957); ა. შანიძისა და ა. ალ. ბარამიძისა (1966), ამ გამოცემის ტექსტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო ივანე ლოლაშვილმა; გ. წერეთლისა და ი. აბაშიძისა (1966), ეს ტექსტი გამოსაცემად მო-ამზადეს გ. წერეთლმა, სარ. ცაიშვილმა და გ. კარტოზიამ; სას-კოლო (ნ. ნათაძის რედაქციით, 1974, 1976); პ. ინგოროვასი (1953, 1970).

სადირქეტივო ორგანოების დადგენილებით, „ვეფხისტყაოსანის“ აკადემიური ტექსტის დადგენა და მისი გამოსაცემად მომზა-დება დაევალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, რისთ-ვისაც აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა სპეციალური კომისია და მისი მთავარი რედაქცია. კომისიას ხელმძღვანელობდა აკადემიკო-სი გიორგი წერეთლი. მანვე შემუშავა ტექსტის დადგენის პრინ-ციპები, რომელიც პრესაშიც გამოაქვეყნა („მნათობი“, 1962, № 2, გვ. 125-138). გ. წერეთლის გეგმით, პოეზის კრიტიკულად დადგე-ნილ ტექსტს უნდა დართვოდა ვრცელი სამეცნიერო პარატი (პო-ემის ყველა ხელნაწერისა და მნიშვნელოვანი ბეჭდური გამოცე-მების სრული ვარიანტები, ტექსტოლოგიური ხასიათის შენიშვნები).

¹ „ვეფხისტყაოსანის“ მთელი ხელნაწერი მემკვიდრეობა რედაქციულად შე-ისწავლა და მეცნიერულად აღწერა სარგის ცაიშვილმა („ვეფხისტყაოსანის“ ტექ-სტის ისტორია, I, II, თბილისი, 1970).

კომენტარები, სიმფონია-ლექსიკონები). ასეთი რთული გამოცემაში მომზადებამ დიდი დრო და დიდი შრომა მოითხოვა.

ფართო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ მთავარი რედაქცია შეუდგა ტექსტის დადგენას 1969 წლის ნოემბერში. ძირითადი ტექსტის დადგენა დასრულდა 1984 წელს. სამუშაროდ, გ. წერეთლი გარდაცვალა 1973 წლის ოქტომბერში, როდესაც დადგენილი იყო პოემის მხოლოდ 258 სტროფი (162 ძირითადი, 96 — ჩანართი).

გ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ გადახალისდა მთავარი რედაქცია და დამტკიცდა მისი ახალი შემაღებელობა: ალექსანდრე ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), ირაკლი აბაშიძე, ივანე გიგინე-შვილი, გურამ კარტოზია (მთ. რედაქციის მდივანი), ცოტნე კიკვიძე, ელენე მეტრეველი, სარგის ცაიშვილი (მთ. რედაქტორის მოაღვილე), შოთა ძიძიგური).

პრაქტიკულმა მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ საჭირო იყო პოემის ტექსტის ზუსტი შინაარსის ფიქსირება, ე. ი. ერთგვარი ქართული პწყარედის შედგენა (რამაც კიდევ უფრო გაახანგრძლივა ტექსტის გამოსაცემად მომზადება). ამის გამო, მთავარ რედაქციის მოუხდა ტექსტის უკვე დადგენილი ნაწილის გადასინჯვა და მასში მცირეოდენი ცვლილების შეტანა.

ტექსტის დასადგენად და გასამართვად მთავარი რედაქცია გულდასმით სწავლობდა პოემის ხელნაწერ მემკვიდრეობას, ითვალისწინებდა ბეჭდურ გამოცემებს და მკვლევრების ტექსტოლოგიური ხასიათის ნაშრომებს. რედაქცია ღიდი სიფრთხილით ეკიდებოდა და პოემის ამა თუ იმ სტროფის ნამდვილობა-ჩანართობის საკითხის გადაწყვეტის. ასეთივე სიფრთხილით ვასწორებდით დამახინჯებულ ტექსტებს, ვერიდებოდით კონიექტურებს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ვიყენებდით ამ ხერხს. რედაქციამ, რა თქმაუნდა, ფართოდ ისარგებლა წინამორბედთა გამოცდილებით და თავის გამოცემაში შემოიტანა ტექსტის არა ერთი და ორი აღრინდელი გასწორება. იქ დავიმოწმებთ ჩვენი გასწორების რამდენიმე სანიმუშო მაგალითს:

1. ყველასათვის კარგად ცნობილია რუსთველის პოეტური აღსარების ერთი ტაპი, რომელიც დიდხანს ასე იკითხებოდა (4, 3); მელნად ვისმარე ვიშრის ტბა და კალმად მინა რხეული.

მინის რა სახეობაც არ უნდა იყოს, მისი რხევადობა — საცილო-ბელია. ამის გამო, ნ. მარმა წარმოადგინა საბუთიანი კონტრაქტურა, (TP, XII, 1910, გვ. 26-27) — ნაი. ნაი ნიშნავს ლერწამს. ლერწამი რხევადიც არის (მოვიგონოთ იოვანე საბანისძის — „შიშითა განი-ლევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“) და ლერწმის ლეროდან ამზადებდნენ კალამს. იუსტინე აბულაძემ კიდევ უფრო დახვეწა და გააუმჯობესა მარისეული გასწორება, შემოგვთავაზა — მე ნა. გადამწერისათვის გაუგებარი ნა (ნაი) ადვილად გადაკეთდებოდა მინად, თუ ამ სიტყვას ხელნაწერში ექ-ნებოდა ფორმა მე ნა. შემდეგ გამოცემებში დაკანონდა შესწორების სწორედ აბულაძისეული რედაქცია. 1969 წელს გ. წერეთელმა და-ბეჭდა მის მიერვე შემუშავებული პრინციპების კვალობაზე დად-გენილი და გამართული „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის 15 სტროფის ტექსტი. მკვლევარმა აღადგინა ხელნაწერებისა და ადრინდელი გა-მოცემების ტრადიციული წაკითხვა: მინა რხეული (გვ. 4). მთავარ-მა რედაქციამ არ გაიზიარა გ. წერეთლის მოსაზრება და მოიწონა კონიექტურა მე ნა.

2. ტარიელმა ავთანდილს შეახსენა წყლის პირას შეხვედრისა და კონფლიქტის გარდასული ამბავი (294):

მოვიხედენ, მომეწია რა პატრონი შენი, ენახე,
ხელმწიფობით შემებრალნეს, მად ხელი არ შევახე,
თვალთა წინა გაშოვექმეც, მეტი არა შევუზრახე.

გახაზულმა სიტყვამ — „შევუზრახე“ დაგვაეჭვა. ზრახვა ჩვე-ულებრივ ნიშნავს ძრახვას (ა. შანიძე) ან ლაპარაკს (ვ. ბერიძე). ტარიელს როსტევანის საქციელი არ დაუძრახავს (ხელმწიფობით შემებრალნესო), არც მასთან გამოლაპარაკების თავი ჰქონდა. მე-ფისგან მიგზავნილ პირებს ხომ არ მოუსმინა, არ დაელაპარაკა, სი-ტყვა არ დაძრა.

ზოგ ხელნაწერში შევუზრახე-ს ნაცვლად არის შევუზახე (არ შევუზახე). ეს კი ნამდვილად სწორია. ტარიელმა მეფეს არ შეუტია (საბრძოლო არ შეუძახა, საბრძოლო ყიუინა შეწყვიტა), არაფერი ჰყადრა, თავი აარიდა და განშორდა, გაუჩინარდა. შეზახება ნიშ-ნავს შეძახებას, საბრძოლო ყიუინას. აღრეც ხომ (88, 1-2), ტარი-ელმა მეფის მონებს ყურადღება არ მიაქცია და „მათ ლაშქართა

ზახილისა იყო ერთობ უგრძნობარი“. აი ეს სიტყვა „ზახილი“ (საბრძოლო დოლო შეძახილი) მეორდება 294-ე სტროფშიც.

3. ტარიელი იძულებული გახდა თავდაცვის მიზნით შებმოდა ხატაელ მოყმეს (209):

მით ერთითა მათრახითა თვეი ასრე გარდაპეტრიშა,
ვითა მევდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა,
მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოამიწა,
თვალთა წინა წაგვივიდა ლალი, კუშტი, ამაყი, წილი

ამ შაირის მეორე და მესამე ტარებების სარითოდ არსებითად ერთი და იგივე სიტყვებია, ერთი და იმავე მნიშვნელობისა — და ამიწა, მოამიწა. ეს გარკვეულ უხერხულობას ჰქონის და ლექსის ლირსებას ამცირებს. ამავე დროს ორ შედარებით ძველ ხელნაწერში (S 4988, H 2610) მოამიწას ნაცვლად არის მოაწიწა, რაც ნიშნავს დააშინა. შეაშინა. ეს შინაარსობრივ-აზრობრივადაც უნაკლოდა სავსებით ეთანხმება წინა, სინონიმური რიგის (სინონიმური პარალელიზმის) სიტყვას მოამდაბლა (დაამდაბლა, დაამცირა). ამგვარად, ტექსტი ფორმითაც გაიმართა და შინაარსითაც დაიხვეწა:

მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოაწიწა!

4. პოემაში მოთხრობილია, რომ ნესტანის ხილვამ ტარიელი მოხიბლა და დაბნიდა, სამი დღე მეფის სასახლეში იწვა უგონოდ, მყურნალობამ არ გაჭრა, ექიმები გაკვირვებული იყვნენ („...ესე სენი რაგვარია? სამყურნალო არა სჭირს რა, სევდა რამე შემოპყრია“, 352). სამი დღის შემდეგ ტარიელს ცნობა დაუბრუნდა, შეშინდა, აქ ყოფნა გამიმულავნებს მიჯნურობის ამბავსო. იგი ღმერთს შეევედრა: ნუ გამწირავ, გაძლების ძალა მომანიჭე, რომ ფეხზე წამოვდგე და „სახლსა ჩემსა მიმაწვინეო“ (354):

ვთქვი, თუ: ღმერთო, ნუ გამწირავ, აჯ: ჩემი შეისმინე,
მომეც ძალი დათმობისა, ცოტად ვითა აღმაღვინე,
აქა ყოფნა გამამულავნებს, სახლსა ჩემსა მიმაწვინე!
მანვე ქმნა და მო-რე-ვჭობდი, გული წყლული გავარკინე.

¹ მოაწიწაა „ვეუხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემაშიც (თბილისი, 1974, 1976).



სტროფის შინაარსი სავსებით გასაგებია, მაგრამ ეს უფლება — ბელი ჩანს მესამე ტაეპის გახახული სიტყვები (სახლსკარეშებულება) და მაწვენე. კონტექსტის მიხედვით, ტარიელი ღმერთს სოხოეს ფეხზე წამოდგომის უნარის ბოძებას თავის სახლამდის მისაღწევად. ამავე ღროს ტექსტი დამოწმებული სახითაა ცველა გამოცემაში და თითქმის ცველა ხელნაწერში. თათქმისო იმიტომ ვამბობთ, რომ გურგენასეულ ხელნაწერში (R) იყითხება მიმაწივნე. მეორე, გვიანდელ (XIX საუკუნის) ხელნაწერში — მიმაწივნე „მიმაწივნე“ შინაარსობრივად თავის ადგილასაა, სწორედ მიმაწივნეს ნიშნავს, ოღონდ დამოწმებული ფორმა რამდენადმე არღვევს რუსთველური რითმის ნორმას (შემასმინე, აღმადვინე, გავარკინე, მიმაწივნე), მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგან მიღებული წაყითხვის — მოვაწინა — (მოვაწევინა) კვალობაზე უცდომლად ხერხდება საანალიზო სიტყვის გამართვა: მიმაწინე. მთელი ტაეპი უნაკლო ხდება:

აქა ყოფა გამამელავნებს, სახლსა ჩემსა მიმაწინე.

გარკვეულ სირთულეებს იწვევს „ვეფხისტყაოსნის“, ერთი შეხედვით, თითქოს მარტივი ტექსტის გაგება. ტარიელს შემოესმა ვიღაც დაჭრილი მოყვის (ფრიდონი) გამწარებული „ყივილი“, შემგება, ამბის გამოკითხვა დააპირა (595, 3-4):

ვუთხარ: დადეგ, გამაგონე, შენი საქმე მეტა მინა!
შემომხდნა, შოეწონე, სიარული დაითმინა.

რას ნიშნავს „სიარული დაითმინა“? „ვეფხისტყაოსნის“ ისეთი ცნობილი კომენტატორი, როგორიცაა ვეკოლ ბერიძე, ასე განმარტავს ამის შინაარსს: „სიარულს უკლო, გაანელა“¹. სოლომონიორდანიშვილის პუკარედი თარგმანია: «Он остановился»². მაშასადამე, ერთი სწავლულის ფიქრით, ფრიდონმა „სიარულს უკლო, შეანელა“, მეორე კი ამბობს, იგი გაჩერდაო. სიარულს უკლო ერთია და გაჩერდა მეორე. აქ არა მარტო ნიუანსური, არამედ არსებითი ხასიათის შინაარსობრივი სხვაობაა. ჩვენი აზრით, სწორია იორდანიშვილის გაგება.

¹ ვეკოლ ბერიძე. „ვეფხისტყაოსნის“ კომენტატორი. ტექსტი ვამოსაცემად მომზადეს სარგის ცაიმილმა და გურამ შარაძემ. თბილისი, 1974.

² Витязь в тигровой шкуре. Подстрочный перевод с грузинского С. Иорданишвили, Тбилиси, 1966, с. 127.

მაინც ეს შედარებით მარტივი მაგალითია. ხშირად გვაძლეს

როული კითარება. ამის ერთ ნიმუშსაც მოვიყავთ.

გამარჯვებული ტარიელი ხატაეთიდან სწერდა ფარსალან მფრინავთან
ფეს (464, 1-2):

რა ყველა დავიურვე, ხატაეთით გავემგზავრე,
წამოვიხვენ საჭრეჭლენი, სახელმწიფო დავიავრე.

პირველი ტარპის შინაარსი საესებით ნათელია: დაურვება-
გარიგება, მოვარება. „ყოველიც საქმე... გავარიგეო“ (თეიმურაზ-
ბატონიშვილი): „როდესაც ყველაფერი მოვაგვარე, წამოვედით ხა-
ტაეთიდან“ (ვ. ბერიძე). სიღვარა მეორე ტარპის დავიავრეს მნიშ-
ვნელობა. ამ სიტყვას არ განმარტავენ არც ვახტანგი, არც თეიმურაზ-
ბატონიშვილი, არც ბროსე, არც ჩუბინაშვილი. იუსტინე პოლაძის
შათვალსაზრისით, დაივრება არის აკლება, იავარყოფა. აკაცი შა-
ნიძე: „დაიავრება — იავარის ალება, ნატყვენავის ალება, დატყვევ-
ნა“. ხოლო განსამარტავი „იავარყოფა“ ნიშნავს დატყვევნას, გა-
ჩანაგებას. კ. ჭიჭინაძითაც დაიავრება აკლებაა, ვ. ბერიძით —
იავარყოფა, ე. ი. აკლება, გაჩანაგება. ერთი სიტყვით, თუ ტრა-
დიციულ განმარტებას ვერწმუნებით, ტარიელს ხატაეთის საქმე-
ები ისე მოუგვარებია, რომ ქვეყანა აუოხრებია. გაუჩანაგებია.
მხედართმთავარი კი თვითონ აცხადებდა (451): რამაზის „სპანი ყვე-
ლავანი, დავიძყრენით, არ მოგვლენითო“. დამარცხებულმა რამაზმა-
ტარიელს უყოყმანოდ ჩააბარა თავისი ციხე-სიმაგრენი და განძეუ-
ლობა (458-459). ყველაფერი რომ წესისამებრ მიითვალა, ქვეყანა-
დააწყნარა, დააშოშმინა, მცხოვრებლებს დაუბრუნა თავიანთი სიხლ-
კარი, უშიშრად იყავითო: „ქვეყანა ჩავსხი, ვუბრძანე, იყვენით ოქებე
უკრძალავად“ (459, 3): (ს. იორდანიშვილის პწყარედით —
«Жителей страны я вернул к очагам, я им приказал: живите-
без страха».) ახალგაზრდა მხედართმთავარი ისე მოიქცა, როგორც
შევენოდა გონიერ, შორსმჭვრეტელ და ჰემანურ სახელმწიფო მოლ-
გაწეს. ამის შემდეგ როგორ მისწერდა ის ფარსადან მეფეს, ხატაეთი-
ავიკელი და გავაჩანაგეო. გაუგებრობა იმან წარმოშვა, რომ მცდარად
გაიგეს დავიავრე. სწორია, რომ ეს სიტყვა წარმოშობით სპარსუ-
ლია, ნაწარმოებია ავარ-ისაგან (avar), რომლის პირველი მნიშვნე-
ლობა მართლაც აკლებაა: (неправедливость, притеснение, ти-
ранство (Ягелло). მაგრამ იმავე ლექსიკოგრაფის მიხედვით „ავარს“
აქვს სხვა მნიშვნელობაც, სახელდობრ: Счисление, вычисление,

исчисление, расчет, счет. რუსთველს სწორედ ამ მეორე მნიშვნელობით აქვს მოხმობილი „დავიავრე“. ტარიელი ატყობინებული მექანიკი, ხატაეთის საქმეები მოვაგვარე, ნაალაფევი განძი წამოვიღე, სახელმწიფო (წესითა და რიგით) მივითვალეო. მართლაცდა, ტარიელმა ხომ რამაზს მოსთხოვა, ყველაფერი უომრად „ხელთა მიმათვალეო“ (456,3) რამაზმა ბრძანება შეასრულა, ტარიელი ხატაეთის ციხე-ქალაქებში შევიდა მცხოვრებთა არა დასარბევად და ასაკლებად, არა-მედ „მოვლად და მოსათვალავად“ (459,1). აი, ამ მითვლაზე, თვლით, ანგარიშით ჩაბარებულ საჭურჭლეზე იწერებოდა ამირბარი და არა შვეუნის აკლებასა და გაჩანაგებაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შინაარსის გაგებისათვის ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განკვეთილობის ნიშნების სწორად დასმას. თავის მხრივ სასვენი ნიშნების დასმა აზრის გაგებაზეა და-მოყიდებული. ამისი ერთი მაგალითი.

ახლად გამეფებული თინათინი საჩუქრების უხვად გაცემას აპირებდა. ამისათვის (54, 1-2):

უბრძანა: წალით, გახსნით, რაცა სად საჭურჭლენია!
ამილახორო, მოახი რემა, ჭოგი და ცხენია!

ასეა ხელნაწერებში, ასეა გამოცემებში. რემა სპარსულად ნიშნავს ჭოგს, სპეციფიკურად ცხენის ან ჭორის ჭოგს (სპარსულ-რუსული ლექსიკონი, რუბინჩიკის რედაქციით, I, მოსკოვი, 1970, გვ. 731). პირადად ჩვენ ვფიქრობდით, რომ აზრისა და მხატვრული ეფექტის გასაძლიერებლად რუსთველმა გამოიყენა მისთვის ჩვეული ხერხი — მოიხმო ძირითადად ერთი და იმავე მნიშვნელობის ქართული და უცხოური წარმოშობის სინონიმური სიტყვები (მსგავსად — „უცხო და ღარიბი“, „ზენაარისა, ფიცისა“, და მისთანანი): რემა, ჭოგი, ცხენი. მიხეილ წერეთელი თავის ორივე გამოცემაში (პარიზი, 1963, 1977) ვკთავაზობს წაკითხვას — რემა, ჭოგადაცხენია“. პ. ინგოროვამ თავის პირველ გამოცემაში (1953) დატოვა ტრადიციული: „რემა, ჭოგი და ცხენია“, ხოლო მეორე გამოცემაში (1970) ირჩია კონიეგტურა: „რემა, ჭორი და ცხენია“. ჩემი ღრმა რწმენით, საკითხი სწორად გადაჭრა ალექსი ჭინჭარაულმა. მისი მოსაზრებით, საანალიზო ტექსტი გულისხმობს, „როგორც ჩანს, ახალგაზრდა ცხენთა და კვიცთა ჭოგს. ცხენი გულისხმობს გახედნილ ცხენებს“. შესაფერისად გაიმართა წაკითხვაც: „რემა-ჭოგი



და ცხენია“ („ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა, 1976, გვ. 27). ასეთ გაგებას ამართლებს სულხან-საბას ლექსიკონი. სულხან-საბაში განმარტავს: „რემა — უხედი ცხენი“. ნახე უმწყსიო. უმწყსთან ნათქვამია: უმწყსი ზოგადი სახელი არს ყოელთა გაუწურთელთა... უმწყსთა პირუტყუთათვის — რემა“. „უმწყსსა ცხენსა რემა“ ეწოდებათ, განმარტავს სხვაგან სულხან-საბა (ცხენი). „ცხენისა ჯოგსა ეწოდება რემათ“, ამბობს სახელოვანი ლექსიკოგრაფი ჯოგის შესახებ. ამრიგად, საეჭვო აღარაა, რომ თინათინის ბრძანების შესასრულებლად მოურეკიათ გაუხედნავი კვიცებისა და გახედნილი ცხენების ჯოგები („რემა-ჯოგი და ცხენია“). ტექსტის ამგვარ წაკითხვას დაუჭირა მხარი აკადემიური „ვეფხისტყაოსანის“ მთავარმა რედაქტორმა!

აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს „ვეფხისტყაოსანის“ სტროფული შედგენილობის საკითხი. ვანტრანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ 1587 სტროფია, პირველი საიუბილეო გამოცემა (1937 წლისა) — 1669 სტროფი, შანიძე-ბარამიძისა — 1598, წერეთელ-აბაშიძისა და მეორე საიუბილეო (1966 წლისა) — 1587, პ. ინგოროვასი (1970 წლისა) — 1513. პირველი საიუბილეო გამოცემა დიდხანს კანონიკურად ითვლებოდა, განსაკუთრებით სტროფული შედგენილობის მხრივ; სტროფების ჩამატება ან გამოკლება არ შეიძლებოდა. ეს იყო ადმინისტრირების უხეში ფორმის დამკვიდრება ფილოლოგიურ მეცნიერებაში. 1966 წლიდან თითქოს მოხერხდა ამისი დაძლევა. როგორც აღვნიშნე, ამდროინდელი გამოცემები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პოემის სტროფული შედგენილობის თვალსაზრისით. ოღონდ წერეთელ-აბაშიძის გამოცემას სატიტულო ფურცელზე წარწერილი აქვს — „გამოცემის ტექსტი მოწონებულია რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის მიერ“.

თვითონ საიუბილეო კომიტეტს ეს საკითხი არ განუხილავს. რამდენადაც 1966 წელს უკვე იბეჭდებოდა ტექსტობრივად ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ორი გამოცემა (შანიძე-ბარამიძისა და წერეთელ-აბაშიძისა) და თავისი საჯუთარი

1 შტრ. გიორგი ავალიანი. ერთი სიტყვის შენახებ „ვეფხისტყაოსანში“ („ლიტერატურული საქართველო“, 7.2.86). აქევ იმასაც აღვნიშნავ, რომ ნ. მარი შარგუმენტაციოდ საანალიზო სტროფს ყალბად თვლის.

3. მწიგნობარი 86



— გამოცემის განხორციელებას პ. ინგოროვაც აპირებდა „საუბილეო კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა, გამოქვეყნებულ ჭურვებისტყაოსნის“, ასე ვთქვათ, ოფიციალური საიუბილეო გამოცემაც. შეიქმნა ამისი სარედაქციო კოლეგია. კოლეგიაში შევიდა ორივე დასახელებული გამოცემის რედაქტორი (ა. შანიძე, ა. ბარამიძე, გ. წერეთელი, ი. აბაშიძე) და დაემატა პ. ინგოროვა. კოლეგიას დაევალა ტექსტის რედაქტორება წერეთელ-აბაშიძის გამოცემის სტროფული შედგენილობის ფარგლებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიური საკითხების გადაწყვეტაში კვლავ იჩინა თავი აღმინისტრირების რეციდივმა. „ვეფხისტყაოსნის“ მეორე საიუბილეო გამოცემა ვერ ჩაითვლება თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი რედაქციული სახის მქონე გამოცემად.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ მთავარი რედაქტორი „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ სტროფის ჩანართობა-ნამდვილობის ბედის გადაწყვეტას დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, სათუთად და ყოველგვარი წინასწარ შემუშავებული თუ აკვიატებული თვალსაზრისის გარეშე ეკიდებოდა. ამიტომაც პოემის აკადემიური ტექსტის გამოცემა მნიშვნელოვნად განსხვავდება ყველა წინანდელი გამოცემისაგან, მათ შორის 1966 წლის გამოცემებისაგანაც (ამისი სტროფული შედგენილობა თითქო მოწონებული იყო საიუბილეო კომიტეტის მიერ).

აქ გავაანალიზებთ რამდენიმე სტროფს, რომლებიც არ არის 1966 წლის საიუბილეო ტექსტში და ჩვენ აღვადგინეთ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურ გამოცემაში (ისინი არის შანიძე-ბარამიძის გამოცემაში):

1. პირველი საიუბილეო გამოცემის 329-ე სტროფში აღწერილია ნესტანის დაბადებით გამოწვეული ტრადიციული სადლესასწაულო „ძეობის“ სამზადისის კოლორიტული სურათი, სტუმართა მოპატიუების რიტუალი. ამისი ტექსტიდან ამოღება პოემას დააკლებს ერთს ნიშანდობლივ შინაარსობრივ შტრიხს, ცხოვრებისეულ რეალიას და ამ მხრივ ნაწარმოებს გააღარიბებს. 329-ე სტროფის რუსთველურობა არავითარ დაეჭვებას არ იწვევს. აი, ამისი ტექსტიც (არ იცნობს მხოლოდ ერთი ხელნაწერი და ვახტანგის გამოცემა):

წიგნი წიგნსა ეცემოდა, დედოფალი ოდეს შობდა,
მოციქული — მოციქულსა, ინდოეთი სრულად სცნობდა;

შე და მთვარე განცხრებოლეს, სიხარულით და ნათობდა;
ყოვლი არსად შემოსრული მხარეული თამაშობდა.

2. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1966 წლის საიუბილეო გამოცემით უარყოფილი 305-ე სტროფი:

გაგრა ღმერთმან მოწყალემან მით ცნობითა ერთით მზითა
ორი მისი მოწყალება დღესცა მომცა ამა გზითა;
პირველ, შეჟყრის მოყვარულთა ჩემით რითმე მიზეზითა,
კვლა ნუთუმცა სრულად დამწვა ცეცხლთა ცხელთა ანაგზითა.

ამ სტროფს წყალგამყოფი ადგილი უკავია ავთანდილისა და
ტარიელის თავგადასავალთა შორის. ავთანდილმა იპოვა და გაიცნო
ტარიელი, მოკლედ მოუთხრო მისი ამბავი და მოსელის მიზეზი აუხ-
სნა. არაბი ჭაბუკი მოწყურებულია, მოისმინოს ახლად გაცნობილი
მოძმის ცხოვრების ისტორია. ტარიელს ძალიან უჭირს მოყოლა,
მაგრამ როგორდაც ძალ-ღონე მოიკრიბა და დაიწყო მისი ღრამა-
ტული თავგადასავლის თხრობა. ამ ორი ამბის (ავთანდილისა და
ტარიელის ამბების) შუა არის მოქცეული 305-ე სტროფი. დამ-
თავრდა ერთი ამბავი (ავთანდილის ამბავი) და იწყება მეორე
(ტარიელის ამბავი).

ტარიელმა დაასკვნა, რომ ერთი მზის, ე. რ. ავთანდილს, გაც-
ნობით მან ღვთისაგან მიიღო ორი მოწყალება: პირველი, მისი
მიზეზით (მისი პოვნით) შეერთდება ორი მოყვარული არსება (თინა-
თინი და ავთანდილი), რამდენადაც არაბმა ჭაბუკმა ვაჟკაცურად
შეასრულა მიზნური ქალის დავალება და მოიპოვა მისი ხელის
თხოვის უფლება. ტარიელის აზრით, ღვთის მეორე წყალობა ისაა,
რომ სიცოცხლემობეზრებულს იმედი ჩაესახა, მისთვის სანატრელი
აღსასრული დადგაო, რომ სრულად დაიწვება სიყვარულის აღგზნე-
ბულ ცეცხლში. ამრიგად, ეს სტროფი თავისი შინაარსითა და დე-
ით აუცილებელი რგოლია „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის გაშლი-
სათვის, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური კონსტრუქციისათვის. ფო-
რმის მხრივ ტექსტი უზადოა.

3. დაიწუნეს და ჩანართად გამოაცხადეს პოემის 304-ე სტრო-
ფი, რომელიც ყველა ხელნაწერშია და ყველა გამოცემაში (გარდა
ქართველიშვილისა და კარიჭაშვილის გამოცემებისა. კარიჭაშვილი
ჩვეულებრივ ქართველიშვილისეულ გამოცემას მისდევს):



კაციან ეით პლოეოს ღმრთისაგან რაცა არ-დანაბადია!

მით გული ჩემი სევდამან აწ ასრე დანაბა და, უკრაინული დანაბადია; შეძლებულია კვლა გზასა მიკრავს, მიჭირავს, მითქს ბადე დანაბადია; აწ ხელთა, ნაცვლად ლხინისა, ჩალა მაქვს და ნაბადია.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს არის მაგამური სტროფი, რუსთველის ერთი საუკეთესო მაგამათაგანი შაირი. აქ ომონიმურ სიტყვას (თუ ომონიმურად შეკრულ სიტყვებს) დანაბადია ოთხივე შემთხვევაში განსხვავებული შინაარსი აქვს: 1. არ-დაბადებულა, 2. დააბ დააბა, 3. გზას მიღობავს, მიჭირავს (მაკავებს) დაქსელილი ბადით (დანაბადია ნაწარმოებია სიტყვისაგან ბადე), 4. და ნაბადია (ნაბადი ჩეულებრივი მნიშვნელობით).

აბა, რა აქვს დასაწუნი ამ შშვენიერ, სრულყოფილ მაგამურ შაირს? ამის პოემიდან ამოღება და ჩანართად მიჩნევა სრულ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს.

4. საგანგებოდ უნდა შევეხო ერთ შაირს, რომელიც არის ყველა ხელნაწერში, მაგრამ არ არის არც ერთ ბეჭდურ გამოცემაში, გარდა კ. ჭიჭინაძისა და შანიძე-ბარამიძის გამოცემებისა. ესაა ჭიჭინაძით 366-ე, ხოლო შანიძე-ბარამიძით 335-ე სტროფი:

ა მინდორს შევფი, ზარითა ხმა იყვის ბეჟთა ცემისა;
თანა მყვის სპისა სმერავლე მსგავსი ფუტკრისა რემისა,
ჭვრეტად ქალ-ყმები დაგრილა, დგას თემისა და თემისა;
ვინც მნახის, ეყვის ერთ წლამდის კვეხა ნახვისა ჩემისა.

ამ სიტყვებს ამბობს ტარიელი. წინა სტროფით ვტყობილობთ, რომ იგი მაშინ იყო 15 წლისა, ძალით ლომს ჰვავდა და თვალედ—მზეს, აქებდნენ მის მოისრობასა და ასპარეზობას. ეს შინაარსი განვითარებული და გავრცობილია საანალიზო სტროფში: ტარიელი სანადიროდ დადიოდა ზარზემითა და დიდალი ამალით, მის საჭ-ვრეტლად ეშურებოდა სხვადასხვა თემის ქალი და კაცი.

ბრწყინვალე ჰიპერბოლით სანიმუშოა სტროფის მეოთხე, დამაგვირგვინებელი ტაები: „ვინც მნახის, ეყვის ერთ წლამდის კვეხა ნახვისა ჩემისა“. ეს ტაები უცილოდ ამშვენებს რუსთველის საკვირველი ჰიპერბოლების რიგს. სრულიად სამართლიანად ეს სტროფი რუსთველისეულად მიიჩნია აკადემიური „ვეფხისტყაოსნის“ მთავარმა რედაქტორმა.

უზომოდ გვემისა და შეურაცხოფის შემდეგ დავარ-ქაჯა

ნესტანი ჩამოარა თავის ორ მონა-ზანგს, საჭირო განკარგულება
მისცა, თუ სად უნდა წაეყვანათ კიდობანში ჩაეტილი ტყვე. ამისთვის განკარგულება
თაობაზე გვიამბობს ასმათი (581):

მან უთხრა: წადით, დაკარგეთ მუნ, საღა ზღვისა ჭიბია;
წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარი, ვერცა ლიპია;
მათ გაეხარნეს, ხმიმალლად იყიდეს: „იპი, იპია“.
ესე ვნახე და არ მოვკევ, არა მგავს არცა სიპია.

ეს სტროფი არის ყველა ხელნაწერში, აგრეთვე ჭიჭინაძის,
პირველ საიუბილეო და შანიძე-ბარამიძის გამოცემებში. შინაარ-
სობრივად შაირი ბუნებრივი ჩანს. სწორედ ამით ვტყობილობთ,
თუ სად უნდა გადაეკარგათ უმშევოდ დარჩენილი სათნო ნესტანი.
ყურადღებას იპყრობს გეოგრაფიული ხისიათის სპეციფიკური ტერ-
მინი „ზღვის ჭიბი“ (ზღვის შეაგული, ზღვის ცენტრი). მთავარმა
რედაქტორმა ეს სტროფიც დაუბრუნა პოემას.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა და იწვევს „ვეფხისტყაოსნის“
დაბოლოება. ვახტანგისესული გამოცემის წინადროინდელ ყველა
სრულ ხელნაწერს შემონახული აქვს საქმიოდ ვრცელი ფინალური
ეპიზოდი, რომელსაც ინდო-ხატაელთა ამბავი ეწოდება (იგი არ
არის ვახტანგის გამოცემაში). აქ მოთხრობილია ფარსადან მეფის
გარდაცვალების, უპატრონოდ დარჩენილ მის ქვეყანაში ხატაელე-
ბის შემოსევისა და თარეშის, ტარიელის ინდოეთში დაბრუნების,
მტრის დამორჩილებისა და გახელმწიფების ამბავი.

როგორც ჩანს, ეს ამბავი ვახტანგს ჩანართად თუ დანართად
მიაჩნდა და ამიტომ თავის გამოცემაში არ შეუტანია. უამებიზო-
დოდ იბეჭდებოდა პოემა 1934 წლამდის (ინდო-ხატაელთა ამბავი
შესულია მხოლოდ ჩანართებიან-დანართებიან ხელნაწერულ გამო-
ცემაში, რომელიც ს. კაკაბაძემ დაბეჭდა 1913 წელს). 1934 წელს
გამოვეყნდა „ვეფხისტყაოსნი“ პოეტისა და რუსთველოლოგის
კონსტანტინე ჭიჭინაძის რედაქტიოთ. ჭიჭინაძის გამოცემაში შეტა-
ნილია ხელნაწერებით ნაანდერძევი თითქმის მთელი ტექსტი პო-
ემისა, კერძოდ, ინდო-ხატაელთა ამბავი (კ. ჭიჭინაძე საერთოდ
პრინციპულად უარყოფდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ჩანართე-
ბისა და დანართების ასებობის ფაქტს, თუმცა მან თავი შეიკავა
ხვარაზმელთა ამბისა და გმირთა სიკვდილის ეპიზოდის პუბლიკაცი-
ისაგან, მაგრამ ამათ ავტორობასაც რუსთველს მიაწერდა).

კ. ჭიჭინაძემ დაასაბუთა, რომ შინაარსის მიხედვით ინდო-ხა-ტაელთა ამბავი „ვეფხისტყაოსნის“ ორგანული ნაწილია, ქვეყნის სიუჟეტის ბუნებრივი რგოლია და რომ აქ მონათხრობი ამბავი ნაგულისხმევია პოემის ნამდვილი ტექსტით. მართლაცდა, კერკიდევ ნესტანი სწერდა ტარიელს ქაფეთის ციხიდან (1307, 1-2); „წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა, მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აუპყრობელსა“. თვითონ ტარიელი აღიარებდა (1561, 4): „მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი მუნ ში-გან მძღველიდ“. აეთანდილი ცდილობდა ტარიელი დაერწმუნები-ნა, რომ თვის პირად საქმეებზე ივი ვერ იფიქრებდა მანამ, ვიდრე მის (ტარიელის) მტრებს საბოლოოდ შემუსრვილს არ იხილავდა (1478-1479). ამ საბოლოო გამარჯვებისათვის როსტევანმა ტარიელს ინდოეთში გააყოლა აეთანდილი საგანგებოდ „დაკაზმული“ ოთხმო-ცი ათასი მეომრით (1567).

ასეთი დიდი სამზადისის მიუხედავად „ვეფხისტყაოსნის“ ვახ-ტანგისეულ გამოცემაში არაფერია თქმული საგულვებელი ბრძო-ლებისა და მტრის დამარცხების შესახებ. ცხადია, რომ ტექსტს რაღაც აკლია...

ცნობილია, რომ ხელნაწერებს ჩვეულებრივ უფრო თავ-ბო-ლო ნაწილები უზიანდებოდა. ასეთი ბედი უნდა სწეოდა ინდო-ხატაელთა ამბის არქეტიპ ხელნაწერსაც. ჩვენთვის უცნობ რომე-ლილაც გადამწერს თუ ინტერპოლატორს აღუღენია (განუახლე-ბია) დაზიანებული ტექსტი. ამის გამოა, რომ ინდო-ხატაელთა ამბის ზოგიერთი შაირი რუსთველური პოეზიის უცილობელ ნიშანთვისე-ბას ატარებს, ზოგიერთი კი (და უმრავლესობა) მხატვრულად ძალ-ზე სუსტია.

სანიმუშოა ინდო-ხატაელთა ამბის ზოგიერთი მეტაფორული მწერივი. გმირის გულიანი ტირილი ასეა გამოხატული: „ნარგის-თაგან ნაწვიმარი ლვარი ადგა, თოვლი გადნა“ (1588, 4). დიდე-ბული, რთული მეტაფორით გადმოუცია ავტორს ტარიელის მხრივ თავისი აღმზრდელის (მეფე ფარსადანის) გლოვა ინდოეთში დაბ-რუნების შემდეგ (1623, 3-4):

თავსა იცემდეს, იზახდეს, ტირს მეტად გულფიცხელია,
გიშრისა ტევრისა მოძფოცხდა ბროლისა საფოცხელია.

მეტაფორული მეტყველების გარდა აღსანიშნავია სიტყვაზე
ოსტატური განმეორების რუსთველური მანერა: მოძფოცხდა ბრო-
ლისა საფოცხელია (ე. ი. ხშირ თმას, გიშრის ტევრს, იგლეჭდა აუკა-
მოძფოცხდა — ბროლის თითებით, ბროლის საფოცხელით). საუც-
ხომა ნესტანის კბილებზე თქმული — „ჰგავს, თუ ტყუბი მარგა-
ლიტი ზის ბროლისა ხარხაჩოსა“ (1589, 4).

ინდო-ხატაელთა ამბავში დადასტურებულია რუსთველური
სპეციფიკური ალიტერაციული ხერხის გამოყენების შემთხვევა
(1609):

ცხენის ფერთა მოეხვია, მუხლ-მოყრილი შეეხვეწა,
მოახსენა: შემიბრალე, მისა ძალა, ვინცა გხვეწა!
ნუ დამარჩენ, ნუ მაცოცხლებ და წამილონ მეტარი მე, წა!
გული თქვენი სასაკუთრო ბეღმან ასრე დამილეწა.

ამ ყოველმხრივ მშვენიერი სტროფიდან განსაკუთრებით გა-
მოიჩინა მესამე ტაქპი. ამ ტაქპის პირველი ნახევარი აგებულია
პოეტური პარალელიზმის პრინციპზე (ნუ დამარჩენ, ნუ მაცოცხ-
ლებ), ტაქპის მეორე ნახევრისათვის კი დამახასიათებელია ალიტე-
რაციის საკუთრივ რუსთველური სახეობა — აზრის გასაძლიერებ-
ლად მთელი სიტყვის სანაცვლოდ მისი ნაწილაკის განმეორება: წამილონ... წა!

ინდო-ხატაელთა ამბავში გვაქვს რუსთველური შეგონების
სიბრძნით აღბეჭდილი აფორიზმი — „შიში ვერ იხსნის სიკვდილ-
სა, ცუდნი-ლა დალრეგანია“. შეუძლებელია ამან არ მოგვაგონს
დედა-შვილის, ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის გაპაეჭრება აფო-
რიზმებით:

— წავიდეთ, ეხლა კი ძილის დროა. „შიში ვერ იხსნის სიკ-
ვდილსა, ცუდია დალრეგილობაო“, შენგან გამიგონია, დედი!

— „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანაო“,
მაშ ესეც გაიგონე, ჩემო კარგო! — უთხრა დედამ.

ამჯერად ჩემთვის ის არის საინტერესო, რომ გიორგის მიერ
მოხმობილი აფორიზმი („შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია
დალრეგილობა“) ინდო-ხატაელთა ამბიდანაა და, საფიქრებელია,
ილია ჭავჭავაძე მას რუსთველს მიაკუთვნებდა. ისიც სათქმელია,

რომ აფორიზმის ტექსტის მოყვანა ილიას უფრო შეეძლო. ხელ
ნაწერიდან, რადგანაც მის დროს არ არსებობდა ამ აფორიზმის
შემცველი ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსანი“. ხელნაწერებით ცნობილია
აფორიზმის ილიასეული ვარიანტის სახეობა¹.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ საერთოდ ინდო-ხატაელთა ამბავი
მხატვრულობის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ მი-
უახლოვდება საკუთრივ „ვეფხისტყაოსანი“ დონეს.

თვალში საცემია ინდო-ხატაელთა ამბისა და „ვეფხისტყაოსანის“
ძირითადი ნაწილის აზრობრივ-იდეური შეუსაბამობანიც. მაგალი-
თად, რუსთველის მიხედვით, სოფელი გამწირავია, სამაგიეროდ
ადამიანს მზრუნველობს და მფარველობს ყოვლისშემძლე კეთილი
ღმერთი („ნუ გეშის, ღმერთი უხევია,, თუმცა სოფელი ძვირია“, „მაგ-
რა ღმერთი არ გასწირავს კაცსა სოფლით განაწირსა“). ინდო-ხატა-
ელთა ამბით კი „წალმავე წაგრეხს სოფელი კვლა მისგან უკუნაცარ-
სა“ (1613, 4), ე. ი. წუთისოფელი წალმავე წაგრეხს მისგან უკულ-
მა დაგრეხეოს.

ერთგან ინდო-ხატაელთა ამბავში ავთანდილი და ფრიდონი შე-
დარებული არიან კათალიკოსთან და მაწყვერელთან, ანუ აწყუ-
რის ეპისკოპოსთან. პოემის გმირებმა რომ ვაჭრისაგან ფარსადან
მეფის სიკვდილის ამბავი მოისმინეს, ნესტანმა თვით ვერ შეიკავა
და კივილი მორთო („ქალმან დიდი დაიკივლნა“), ატირდა ტარი-
ელი, მწარედ ატირდნენ ავთანდილი და ფრიდონიც, მათ აჟყვ-
ნენ მოლაშქრენი (1795):²

მაშინ გაპხდეს ყველაკანი მტირალად და ცრემლთა მღვრელად,
დიდი ხანი მოიტირეს თავის-თავის გაუყრელად;
ავთანდილ და ფრიდონ ტირან გულ-სადაგად, არა ჭრელად,
მაგრა ექმნეს სულისმღებლად, კათალიკოს-მაწყვერელად.

შედარება რუსთველის საყვარელი მხატვრული ხერხია, მაგრამ
დამოწმებულის მსგავსი რამ აბსოლუტურად უცხოა პოეტის მხატ-
ვრული წარმოსახვისათვის. გამოცემიდან ეს სტროფი ხელოვნურად

¹ იბსნი — გიბსნის; ცუდია — ცუდნი-ლა (იხ. „ვეფხისტყაოსანის“ ხელნაწერ-
თა ვარიანტები, IV, გამოსაცემად მოამზადა ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1963
სტროფი 1807).

² ტექსტი მოყვანილია ხელნაწერთა ვარიანტების წიგნით (IV, 1963), გამო-
ცემებიდან იყო ამოღებულია.

ამოკვეთეს, რითაც კიდევ უფრო გაუსვეს ხაზი მის ანტირუსთვე-
ლურობას (ლაპარაკია „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის გამოცემის გვ. 10-იდან და 11-იდან)

დასტურდება „ვეფხისტყაოსნის“ უდავო ნაწილისა და ინდო-
ხატაელთა ამბის ერთი შინაარსობრივ-აზრობრივი მოტივისა და
შესაფერისი ტექსტის სრული დამთხვევა-განმეორების ფაქტი.
ტარიელმა რომ ხატაეთი დალაშქრა და დაიმორჩილა, რამაზ მეცე
ტყველ შეიძყრო, მაგრამ მონანულს დანაშაული აპატია და თავისი
საქციელი შემდეგნაირად ახსნა (468, 2-3):

ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაგვანე,
ესე არის მამაცისა მეტის-მეტი სიგულვანე.

ანალოგიური მომენტი განმეორებულია ინდო-ხატაელთა ამ-
ბავში. ამ „ამბითაც“ ტარიელმა შეიწყნარა დამარცხებული და მომ-
ნანიებელი რამაზი. საგულისხმოა შეწყნარების საბუთანობა
(1614):

ბრძენმან ვინმე მოსწავლემან საკითხავი ესე ჰპოვნე:
ესეამ მამაცისა მეტის-მეტი სიგულოვნე:
ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოპელავ, დაიყოვნე,
გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე.

მოყვანილი ტექსტების შედარებიდან აშკარად ჩანს, რომ ინ-
დო-ხატაელთა ამბავში სიტყვა-სიტყვით არის განმეორებული ერ-
თო მთელი პოეტური ტაეპი, ოღონდ ის, რაც ძირითად ტექსტში
თქმულია პირდაპირი ფორმით („ესე არის“), ინდო-ხატაელთა ამ-
ბავში გადმოცემულია ირიბულად („ესეაო“). მაშასადამე, ინტერ-
პოლატორი იმოწმებს „საკითხავ“ წყაროს და იქიდან სესხულობს
თავის სათქმელს, მოაქვს ციტატა. საეჭვო აღარაფერია, ამ ციტატე-
ბის ავტორები სხვადასხვა პირები არიან.

მტრიგად, ინდო-ხატაელთა ამბის ჩვენ დრომდე მოღწეულ
რედაქციის ვერ ჩავთვლით შოთა რუსთველის ნაწარმოებად. ეს
არის აღდგენილი, განახლებული, ანუ რესტავრირებული რედაქ-
ცია¹. ერთი რამ კი ცხალია, ინდო-ხატაელთა ამბის განმაახლებე-

¹ აღძრული საკითხი ვრცლად არის განხილული ჩვენს ნაშრომებში — „ვეფ-
ხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხისათვის“ (ლიტერატურული ძიებანი, V.,
1949, გვ. 133-174; ნარკევეგბი, III, 1952, გვ. 64-113; ახალი ნაშრომი ინდო-ხა-
ტაელთა ამბავზე, ნარკევეგბი, VIII, 1985, გვ. 108-117).

ლი მელექსე ერთ-ერთი ძველი ინტერპოლატორია. მკვლევარშა/შერმადინ ონიანმა აღმოაჩინა ინდო-ხატაელთა ამბის ორსტურიფრენის ანი ფრაგმენტი¹. ამ ფრაგმენტის ტექსტი მიწერილია ერთი საისტორიო თხზულების XV საუკუნისეული ხელნაწერის აშიაზე, მინაწერიც იმდროინდელია. ე. ი. ინდო-ხატაელთა ამბავი აწინდელი სახით ცნობილი ყოფილა უკვე XV საუკუნეში.

თუმცა ინდო-ხატაელთა ამბავს მკაფიოდ აქვს აღბეჭდილი ინტერპოლატორის ხელშერა, ჩვენ იგი ჩავრთეთ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურ გამოცემაში, რამდენადაც ერთგვარად ავსებს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსობრივ ხარევზს, ამთლიანებს და კომპოზიციურად მტკიცედ ჰქონდა პოემის სიუკეტს. თვალსაჩინოებისათვის ინდო-ხატაელთა ამბის ტექსტი დაიბეჭდება განსხვავებული შრიფტით.

აკადემიური „ვეფხისტყაოსანი“ გამოქვეყნდება ათ ტომად (პირველი ტომი უკვე გადაეცა წარმოებას). ამას საკმაო დრო დასტირდება; ვიდრე ათტომეულის გამოცემა დასრულდებოდეს, მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ სასურველად ცნო ახლავე გამოსცეს ცალკე წიგნად მთელი პოემის დადგენილი ტექსტი. ეს იქნება მასობრივი გამოცემა, რომელიც არ არის დამტკიცებული სამეცნიერო ჰპარატით, ორთოგრაფიაც თანამედროვეა, მხოლოდ შორისიდებულებში დაეტოვეთ უმარცვლო ჯ (ვაჟ, ჰაჟ). მასობრივ გამოცემას წელს უშვებს გამომცემლობა „მეცნიერება“. იგვე გამომცემლობა განახორციელებს ათტომეულის გამოცემასაც.

P. S. წლევანდელი „თბილისის“ 24 იანვრის ნომერში დაიბეჭდა ჩემი პატარა ინტერვიუ გაზეთის კორესპონდენტთან აკადემიური „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე. ამას მოყვა გამოხმაურებანი. მივიღე საინტერესო კოლექტიური წერილი ომის, შრომის და პარტიის 11 ვეტერანისა. სიხარულსაც გამოთქვამენ და სინანულსაც. სიხარულს, რომ ლირსეულად გამოქვეყნდება სათაყვანებელი ქართველი პოეტის უკვდავი ნაწარმოები. სასინანულოდ კი იმსა თვლიან, რომ ბოლო ხანებში გაჭირდა კარგი წიგნების შესაძლებელობა.

1 უ. ონიანი. ინდო-ხატაელთა ამბავი ვეფხისტყაოსანში, თბილისი, 1982.



ლებლობა, რომ წიგნებით ხელს ითბობენ გადამყიდველები და სპე-
კულანტები. წერილის ავტორები გვთხოვენ, „ვეფხისტყაოსაზრდისათვე
გამოცემით რაც შეიძლება მდიდრულად და დიდი ტირაჟით, რომ
ყველამ თავისუფლად შეძლოს მისი შეძენა. ჩვენ დავპირდით პა-
ტივცემულ ვეტერანებს, რომ ყველაფერს ვიღონებთ მათი კეთილ-
შობილური და კანონიერი სურვილის დასაკმაყოფილებლად. იმე-
დი გვაქვს, რომ ამ საქმეში დაგვეხმარება წიგნის მოყვარულთა
საზოგადოების ხელმძღვანელობა.

1986 წ.

სიტყვა პურია მფერლის არსობისა

ეპა! სიტყვაო, ვინ გაერ, გონება-მიუწვდომელო,
შენ აშენებ და შენ არვევო, სიბრძნითა გაუზომელო;
შენ მოალხენ და შენ აწყენ, რაც გინდა ვისი მდომელო,
რომელთა დამამშეენებო, რომელთა გამამწყრომელო!

G. E. G. B. B. G.

ენაუბრა შოთა კომიაშვილი

ჩვენი თანამოსაუბრეა ქართველი მწერალი და დრამატურგი აკაკი გერაძე. იგი მწერალთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელთაც, ჭირ კიდევ ჭაბუკებმა, დიდი სამამიულო ომის მთელი სიმძიმე თავიანთ მხრებზე გადაიტანეს. ომმა მის შემოქმედებას ღრმა კვალი დააჩნია, სიკვდილ-სიცოცხლესთან ჰიდილმა მრავალი ადგრძინული პრობლემა დააყენა მწერლის წინაშე. მეტრძოლი პუმანიზმით გამჭვალული მისი გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, იბრძვიან სიკეთისათვის, გამოირჩევიან ღრმა ადამიანური თვისებებით, ეძებენ ჟეშმარიტებისაკენ მიმავალ სწორ გზას.

მწერალმა პირველი ლექსები 1940 წელს გამოაქვეყნა. შემდგომ კი მისი პოეტური კრებულები ომგადახდილი კაცის განცდებით იყო გამსჭვალული. ომის თემაზე დაწერა მან ჭირველი პროზაული ნაწარმოებები: „ლაზარეს წყარო“, „შვილო გოგია“, „საღვურიდან სადგურამდე“. მის კალამს ეკუთვნის რომანები: „არ მოკვდე სიკვდილამდე“ („ყარამან ყანთელაძე“), „გვარცმული მზე“, „მუზარადში ამოსული ყვავილი“, პიესები: „სულხან-საბა“, „მზე ცრემლში“, „პაემანი ცაში“, „ნატუვიარი წლები“, „სიყვარულის ხაფანგი“, „დამიბ-

რუნე ჩემი დედოფალა“, „მე გავქ-
ვავლი ქანდაკებად“ და სხვ. გან-
საკუთრებული აღიარება მოუპო-
ვა მწერალს სამამულო ომის გმი-
რული ეპოპეის ამსახველმა დრა-
მატულმა ვომამ „შმინდანები
ჯოჯოხეთში“.

თავის უცელა ნაწარმოებში
მწერალი ღრმად წვდება ქართვე-
ლი ადამიანის ხასიათს, ქართული
სიტუაციის ბუნებას. ამან განაპირო-
ბა, რომ იგი დიდი ინტერესით
იყითხება.

ჩვენი საუბარი ეხება წიგნისა და
სიტყვის, როგორც მხატვრული
შემოქმედების ფენომენის. როლ-
სა და მნიშვნელობას ადამიანის
ცხოვრებაში, მწერლის და მყითხ-
ველის ურთიერთდამოყიდებულებას.

— ბატონო აკაკი, როგორი ნაწარმოები მიგაჩნიათ მხატვრუ-
ლი სიტყვის ჭეშმარიტ ქმნილებად?

— წიგნმა თუ ჩემი ცხოვრების ავ-კარგიც არ დამანახვა, თუ
ჩემი შეცდომებიც არ შემაცნობინა, ხელახლა არ გამააზრებინა ჩემი
ცხოვრების გზა-კვალი, თუ ჩემს სულშეც არ ჩამახედა, ის რა წიგ-
ნია.

წიგნში ჩვენ ერთი ადამიანის ცხოვრების ამბავს ვკითხულობთ
და მის ბედში მთელი სამყაროს ბედ-ილბალს ვხედავთ და განვიც-
დით კიდევაც. წვეთში ზღვას ვხედავთ ხოლმე. ის ადამიანი ხომ
ჩვენსავით ადამიანია და... ხშირად იმ ერთი ადამიანის ბედ-ილბლობ
იზომება მთელი სამყაროს ბედ-ილბალი, თუ ის ერთი ადამიანი
მრავალს ჰგავს. ასე რომ არ იყოს, რა ფასი ექნება მაშინ მწერლის
შრომას და კალშის წრიპინს? ჭეშმარიტი მწერლობა იმით არის
კარგი, რომ ჩვენს თავსაც ვხედავთ სერვანტესის ღონ-კიხოტში,
შექსპირის ჰამლეტში, ჩეხოვის ბელიკოვში, ილია ჭავჭავაძის ოთა-



აკაკი გერაძე

რასთ ქვრივში, მიხეილ ჯავახიშვილის გაყოსა თუ თეიმურაზში, დავით კლდიაშვილის პლატონისა თუ მიქელაში, გოგოლის წლის ტაკოვა თუ გორგოლიშვილი, პოლიკარპე კაკაბაძის უფლებულებებში. მეტნაკლებად ყველა ადამიანშია გობსეკი... და მრავალი სხვა წიგნიერი გმირია ჩვენი სულის მოზიარე, ნათესავი, მოყვარე თუ მირონი. ამიტომაც არ კვლება მრავალი წიგნი და ყველა დროში თანსდევს ცხოვრებას.

ძველდება წიგნის ქაღალდი, მაგრამ ჟეშმარიტი ნაწარმოები (ლექსი, მოთხრობა, რომანი, პიესა) არ ძველდება, არც ბერდება.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება მკითხველთან?

— მწერალი ვერ შექმნის კარგ ნაწარმოებს, თუ არ იცნობს თავის დროის მკითხველს — არ იცის რა სულიერი მოთხოვნილებებით სულდგმულობს იგი. დღევანდელი მყითხველი უწინდელს არ ჰვავს, ამას უნდა გათვალისწინება და ანგარიშის გაწევა.

მაგრამ ნიჭი სჭირდება არა მარტო მწერალს, არამედ მის მკითხველსაც, რათა სწორად გაიგოს ნაწარმოები, შეაფასოს მისი ავარგო.

ცუდ მწერალს კარგი მკითხველი ჯობია.

— დღეს მრავალი კარგი წიგნი გამოდის. მათ შორის ბევრია ხაინტერესო, მაგრამ არის წიგნები, რომლებიც დაწერილია დუნედ, უინტერესოდ...

— დასაწერ წიგნს ჩვილი ბავშვივით ღამეები უნდა უთიო, სულ უნდა უთვალთვალო, რა სჭირდება, ელოლიავო, იზრუნო, ისე ვერც გაზრდი და ვერც აცოცხლებ.

კარგი წიგნი ძნელი დასაწერია და ადვილი წასაკითხი.

— წიგნის ნამდვილი ფასი ის როდია, რაც აწერია. ზოგის ფასი განუზომელია, ზოგი კი იმ ქაღალდის ფასიც არ ღირს, რომელზედაც დაბეჭდილია.

წიგნიც ადამიანივით არის — ბოროტი და კეთილი. ზოგი წიგნი გონებას სიკეთით გიმდიდრებს, ზოგიც — მხოლოდ გინაგვიანებს.

არის ადამიანი, რომელთან საუბარიც სულსაც გიმდიდრებს და

კონებასაც. ისეა კარგი წიგნიც. ზოგი წიგნი კი არც გამდიდრებს, არც გათარიბებს, უბრალოდ წაკითხვით დროს გაქარგვინებს.

კარგი წიგნი სულის სარჩო-საბადებელია, ცუდი — ჭირნახული გამორეცველობის სარეველა.

ცუდ წიგნს ძნელად კითხულობ, ტანჯვა-ჭამებით, არადა, ყეჩე-
ქარება, როგორმე ბოლომდე გახვიდე და მოიშორო. კარგი წიგნის
წაყითხვაც გეჩქარება (იქნებ ღამეც თეთრად გატეხო), მაგრამ ბო-
ლოს გული გწყდება, ასე მაღვ რატომ დამთავრდაო... გინდა, კიდევ
გაგრძელდეს და კვლავ წაიკითხო.

ჰეშმარიტად კარგია ის წიგნი, რომელიც ბოლომდე სიამოვნებით წაიკითხე, დახურე და მერე კარგა ხანს მაინც ფიქრობ მის გმირებზე, აგრძელებ მათი ცხოვრების ამბებს... გენანება იმ წიგნთან განშეირება.

წიგნს რომ კითხულობ, ან უნდა დაგამწეუსხოს, გული შეგზტევ-
ვდეს რამეზე (ერთობ ტკბილია ცრემლები, წიგნის კითხვისას რომ
გვდის), ან გაგამხიარულოს. თუ ეს ორი გრძნობა მეტნაკლებად არ
ახორცის წიგნს, იგი უსულეყლოა და არაფრის შექნის.

— არიან ადამიანები, რომლებიც ბევრს კითხულობენ, იმდე-
ნად, რომ წიგნის მეტი არაფერი ახსოვთ...

— զուսաց թիցնու առ լուսարև, եմուրագ հիեծա մարտու.
մյ մարտու արածուրու ցրիցնու, հաղցան սաջաց մուզդուցար, հասմյ թիցնու
մուզդամ մօմայքս տան. թիցնու ու մըցոնթարուա, հռմելուց արայքըն
ցտեռոց թիցուռեցու գարճա.

წიგნი უეჭველად უნდა გიყვარდეს, მაგრამ არ შეიძლება წეგ-ნებში ჩათვლოთ ისე, ცოცხალ ცხოვრებასთან კავშირი გაწყვიტო.

— როგორც ქართველი მწერლისათვის, თქვენთვის, რა თქმა-უნდა, კარგად არის ცნობილი მშობლიური ენის ძალა და შიმ-ზიდველობა.

— მსოფლიოში ორი ათას ხუთასამდე ენაა იღრიცხული, მათ შორის ქართული — ერთ-ერთი უძველესი და მდიდარი ენაა, თანავაკერძოდ უძველესდამწერლობიანი.

ამჟამად გამოცემული ქართული ენის ყველაზე დიდი, რვატო-
მიანი ლექსიკონი შეიცავს 112.949 სიტყვას. რიცხობრივად ამდენი
აღამიანი ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობს. იმასაც თუ გვითვა-
ლისწინებთ, რომ ბევრია პარალელური სიტყვა, აზრს ერთნაირად

რომ გამოხატავს, ან ამა თუ იმ ერთნაირ ნივთს, ყვავილს თუ/უკვა რამეს, სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელს რომ ეძახიან, ქარ- აულ სიტყვათა რაოდენობა კიდევ უემცირდება. ერთი გაჭურულებული, თითქოს ცოტაა, მაგრამ... ნამდვილად ეს ასე არ არის, ენას თავი- სი იღუმალი კანონები სდევს თან, ამის მიხედვით კი ქართული ბსოფლიოში უმდიდრეს ენად არის შიჩნეული.

ადამიანთა და სიტყვათა რიცხობრივი ურთიერთშედარება ამაზე მეტყველებს, რომ ერთობ ძნელი ყოფილა ახალი სიტყვის გაჩენა-დაბადება, მისი დამკვიდრება ერთს სულიერ წილში. ამი- ტომაც არის თითოეული სიტყვა ასე ძვირფასი და სასოებით მო- სავლელი. ამიტომაც არის მშობლიური ენა ადამიანის სულის მზე, მისი უპირველესი საუნჯე, ნამდვილი განძი, ხოლო ყოველი სიტყვა ერთს უტყუარი სიმძიდრე და ვინც თუნდაც ერთ სიტყვას შემატებს მშობლიურ ენას, ის ამდიდრებს ენის სულიერ საგანძურს.

— სიტყვა არა მარტო ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდე- ბულების იარაღია, იგი ადამიანის ხულის გამოხატულებაც არის... არის სიტყვები, რომლებიც ზუსტად, ამომწურავად გამოხატავენ ამა თუ იმ ცნებას, საგნის არსეს, მოვლენას.

— ვინც კაცის ცხოვრება წუთისოფლად მონათლა, ან ვინც პირველად თქვა: იმ დღეს ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდაო, განა სიტ- ყვის ჯიდოქარი არ იყო? განა დიდი პოეტის სული არ ჰქონდა? ვინ მოთვლის, რამდენი ამგვარი კარგი სიტყვა, რამდენი სიბრძნე დაგვი- ტოვეს წინაპრებმა, მაგრამ პირველად ვინ წარმოთქვა, არავინ უწ- ყის. ამაზე არც ფიქრობს, რადგან ამათა დღეს ფიქრი. ენის შემოქ- მედი, უპირველეს ყოვლისა, ხალხია, როგორიც არის ხალხი, ისე- თივეა მისი ენა. ერთს სულს ისე არაფერი გამოხატავს, როგორც ენა, თითოეულ მის სიტყვაში ჩანს ერთს სული. ენა ინახავს ერთს სულს... და თუ ერთი კარგავს ენას, კარგავს ეროვნულ სულსაც.

სიტყვით მეღავნდება ამა თუ იმ ადამიანის სული, ზოგჯერ მთელი ერთისაც. მაგალითად, ქართველმა თავისი საქციელის გასა- მართლებლად სიტყვის ჩინებული შემობრუნება იცის: შემომაკვ- და, შემომეჭამა, შემომელახა, შემომელია და ა. შ. აქაოდა, ეს რომ ჩავიღინე, ჩემი ბრალი არ არის, მე არა ვარ დამნაშავეო. ამგვარი ერთი ქართული სიტყვა სხვა ენაზე რომ თარგმნო, ზოგჯერ საჭიროა მთელი წინადადება.



ქართული ლექსიკით ყველაფერს აქვს ხელი, ფეხი, გული, სული, თვალი, ყური, პირი, თავი, ენა. ერთი სიტყვით, ის, რაც კორონავირუსი ადამიანს გააჩნია. და ეს სიტყვები ამონძრავებს ლექსიკას. ვინც ჭვალია სიტყვების მოხმარა იცის ქართულ იდიომატიკაში, წერაც იცისო, ამბობენ.

სიტყვები იშვიათად ბერდებიან (კოსმონავტის ლექსიკაშიც არის: „სლავა გოსპოდი“), კიდევ უფრო იშვიათად კვლებიან (რვა საუკუნის წინათ შოთას ნათქვამ სიტყვათა მხოლოდ მცირე ნაწილია თანამედროვე ადამიანისათვის გაუგებარი, ჩეცულებრივი ადამიანისათვის, თორემ ფილოლოგ მეცნიერთათვის თითქმის ყველაფერი გასაგებია). სიტყვები ყველა თაობაში თავისებურად უღრენ. განა ბაშვის ნათქვამი სიტყვა ისე არ გვიხარია, თითქოს იგი მანამდე არ გაგვეგონოს?!

— რამდენადაც ნიჭიერია მწერალი, მით უფრო ლონიერი და გამომსახველია მისი ნაკალმარი სიტყვაც... სიტყვასთან ჭიდილი, ალბათ, მოქანდაკის შრომას ოუ შეედრება; როგორც საჭრეთელის ოსტატი ცდილობს ქვას ჩაუდგას ცოცხალი სული, ასევე მწერალი კვეთს და აყალიბებს თავის სათქმელს...

— როგორც ხუროს ტაძრის ასაშენებლად უეჭველად ქვა და საჭრეთელი სცირდება, დურგალს სახლას ასაშენებლად — ხე და ნაჯახი, გლეხს მიწის მოსახვენელად — გუთანი და ხარი, ასევე მწერლისათვის უპირველესი იარალია აზრის ზუსტად გამოსათქმელად მოხმობილი სიტყვა. მაგრამ სიტყვა თავისთავად როდია ცოცხალი: მოქანდაკე ქვას უდგამს სულს, მწერალი — სიტყვას. უფრო სწორად, მწერალი სიტყვაში იღვიძებს სიტყვის ზიარ თავის სულს. აქ სიტყვისა და მწერლის სული ერთმანეთს ერწყმის, ერთსულოვანი ხდება. მხატვარი ფერებით აღგვაქმევინებს სიმყაროს, მწერალი სიტყვებით გვიჩვენებს.

მწერლობა სიტყვასთან აზრიანი ჭიდილია. მწერალს ვიდრე პირში სული უდგას, ეძებს სიტყვას, ეძებს და ეძებს ყველგან: შინ, გარეთ, ჭირსა და ლხინში, დარსა და ივდარში, ცაში და მიწაზე.

მწერალი სიტყვის კაცია. სიტყვაა პური მწერლის არსობისა. ამდენად მწერალი ერის სულის შემნახავიც არის.

ზოგ მწერალს, განსაკუთრებით კრიტიკოსთა უმრავლესობას, ჰგონია, რაც მეტ უცხოურ სიტყვას გამოვიყენებ, მით უფრო გა-

ნათლებული და ინტელექტუალური გამოვჩნდებით. იმასაც კი უცხოური სიტყვებით, უცხოური ტერმინებით წერს, რისი თქმაც მაღლიანი ქართული სიტყვით სრულყოფილად შეიძლება. სსერი სიტყვების ხმარება-გამოყენებას საერთოდ ვერიდები, რაც ბავშვობისას თუ მერე მიწის კაცთავან არ გამიგონია. უცხო სიტყვათა ლექსიკონებში არასდროს ვიქექები, სახემმწერლობო სიტყვებს ქართულ წიაღსა შიგან ვეძებ და მერე უხილავს ვეველრები: გამიჭერ, ქართულო სიტყვავ, ჩემო ყველაზე პირბასრო და ერთგულო ხმალო მეთქი.

— მკითხველს ხშირად აინტერესებს მწერლის „სამზარეულო“, მისი შემოქმედებითი მეთოდები; თუ საიდუმლო არ არის, გვითხარით, გეხმარებათ თუ არა სიტყვის ძიება შემოქმედებაში, რა გაძლევთ სიუჟეტის მასალას, რა ადგილი უჭირავს თქვენს შემოქმედებაში ცხოვრებისეულ სიტუაციებს?

— ადრე, სანამ ლექსებს ვთხზავდი, ამაზე თითქმის არც ვფიქრობდი, მაგრამ, როდესაც პროზის წერას მიკვავი ხელი, ახალ-ახალი სიტყვების ძიება ჩემი შემოქმედების არსობის პურად დამესახა.

როდესაც ჩემი ნაკალმარის ხელნაწერსა თუ უკვე დაბეჭდილ გამოქვეყნებულ ცალში ჩასასწორებლად უკეთეს სიტყვას ვიპოვი ან უკეთეს ფრაზას მოვითიქრებ, რაღაც დიდ აღმოჩენასავით მსიამოვნებს. ხოლო თუ ვინმე ნამდვილ შეცდომას მიპოვნის და გამასწორებინებს, ფრიად ვუმაღლი, დიდ სიკეთედ მამახსოვრდება. ზოგჯერ ორიოდე სიტყვა რომ მაქვს შესაცვლელი, ისიც კი სულ მახსოვს და სანამ არ ჩავასწორებ, მაწუხებს, მგონია, იმ ორიოდე სიტყვის შეცვლა დროულად თუ ვერ მოვაწარი და ასე დამრჩა, ნაწარმოებს ბევრი სიკეთე მოაკლდება-მეთქი.

ხდება ხოლმე, ღამით გაშეღვიძება, მომაგონდება მოთხრობასა, პიესასა თუ ლექსში ჩასასწორებელი ახალი სიტყვა თუ ფრაზა და ვეღარ ვიძინებ, თეთრად მიტყდება ღამე. ეტყობა, ქვეშეცნეულად ვფიქრობ: ნაპოენი ძილში არ დამექარგოს-მეთქი. თუმცა, შესაძლოა, იგი დიდი არაფერი იყოს.

რთველი რომ ჩატარდებოდა, ბავშვები ვენახებში ვკიმპალაობდით. კიმპალს ვეძახდით პატარა შტევანს, ზოგჯერ ყურძნის სამიოდე მარცვალს, ფოთლებში შემალული რომ დარჩებოდა; ახლა ასე-ვე კიმპალ-კიმპალ ვეძებ ხალხში ახალ სიტყვებს, სხვა მწერალს

მოუკრეფავი რომ დარჩა. ზოგჯერ მწერლისათვის სიტყვა თევზი-
ვითაა, ლაყუჩებში თუ არ ჩავლო ხელი, უჟეველად გაუსხლტება
ხოლო ერთხელ თუ გაუსხლტა, მეორედ ვეღარ დაიჭერს. ზოგჯერ რაც
მწერალმა ახალი სიტყვების დასაჭრად ხალხში ისევე უნდა
ინადიროს, როგორც მიმინომ მწყერზე.

იმ დროიდან, რაც მოთხრობებისა თუ რომანების წერას ვე-
ტანები, უბის წიგნაკში ხშირად ვიწერ საუბარს — ადამიანთა ცოც-
ხალ სიტყვას, ვიწერ ბაეშვობისას გაგონილ სიტყვებს, მერე თითქ-
მის რომ აღარსად მსმენია და უცებ რალაცმ გმიასენა. ჩაწერაა
ჩემთვის თევზ-სიტყვის დასაჭრი თავისებური ბაღე-ფაცერი, ან სი-
ტყვა-ჩიტის დასაჭრი მახე. აქ მოხვედრილი სიტყვა უკვე ვეღარ-
ტყვა ვიწერ, მის დამოკიდებულებას წუთისოფლისა და ადამიანე-
ბის ავ-ჭარგისადმი.

ზოგი მწერლისაგან გამიგონია: რა საჭიროა რაიმეს უბის წიგ-
ნაკში ჩანიშვნა. რაიც მნიშვნელოვანია და ნამდვილად დასამახსოვ-
რებელი, ისედაც ჩაგრჩება გონებაში და წერის დროს თავისითავად
გაგახსენდება. ნაწილობრივ იქნებ ეს მართალიცა, მაგრამ მთლი-
ნად, არა. ჩემმა მწერლურმა პრაჭტიკამ უფრო სხვა აზრი გამიჩინა.
განსაკუთრებით მას შემდეგ, ცხოვრებასა და მწერლობაშიც ბევრი
საზრუნავი რომ გამიჩნდა. დღევანდელი მოხსენებული ინფორ-
მაციის დროს პროფესიული მწერლისათვის იმდენი რამ ხდება სა-
ინტერესო, როგორი გარგი მესიერებაც უნდა გქონდეს, ყველა-
ფერს გონებაში ვერ ჩაიტევ, ვერ შეინახავ, ამიტომ უნდა დაიხმა-
რო ფრიად ხელმისაწვდომი ქაღალდი.

ზოგი აზრი ზღვის ტალღასაცით მოვარდება და თუ დროუ-
ლად არ ჩაიწერე, მალე უკუიტცევა და მის ნაკვალევს მეორე ტალ-
ღა წაშლის ან დავიწყების ზვირთები გაიტაცებს. ახალგაზრდა მწე-
რალი ხშირად მეხსიერებას ენდობა და მერე ნანობს. მოგვიანებით
რომ არ ინანოს, მწერალმა უნდა ჩაიწეროს ბევრი რამ — შთაბეჭ-
დილებები, ნანახ-განცდილი, ისიც, თუ რამ მოაგონა მისთვის უც-
ნობი საინტერესო ამბავი ან სიტყვა, რათა საჭიროების დროს გაე-
საუბროს თავის ჩანაწერს. რისი დამახსოვრებაც ქაღალდს სულ
ადვილად შეუძლია, იმით გონება არ უნდა დაიტვირთოს. რაც
უფრო ხანში შევდივართ, დროუამი ულმობლად გვექცევა, მისი
მსახურალი ხელი ჩვენი გონებიდან თანდათან ბევრ რამეს შლის.

ბით არაფერს მალავენ, ცხოვრების ავ-უარგზე საკუთარ ფაროსო ფიას აყალიბებენ და ზოგჯერ ისეთი „მარგალიტი“ წამოსცუდებათ, ვერც ერთ წიგნში ვერ იპოვი, ვერც ერთ ლექსის მარტინის ვერ ამოიგითხავ.

შაგრამ საკარისია ამგვარმა მგზავრმა შემთხვევით გაიგოს, ვინცა ვარ, იმ ოქროპირი თამაღისა არ იყოს, უცებ პირზე ცხრა-კლიტულს იდებს, სულ მუნჯდება: აგერ თურმე მწერალი ზის, მე კი რას ვროშავო. ზოგი უმალ იცვლის ენას, უკვირდება, ცუდად არაფერი ვთქვაო. იკარგება მისეული ლექსივა, გულიდან წამოსული უშუალო სიტყვა. ლაპარაქს იწყებს გაზეთური ლარიბი ენით, ზოგჯერ მაღალფარდოვნადაც, არაგულწრიფელად, უინტერესოდ, საუბარში ენით ცოცხალ, გულითად სიტყვას აღარ გაუტევს ხოლმე. ყალბი, გაპრანჭული ფრაზები პგონია კარგი. მე კი ასეთ მოსაუბრეს ვეღარ ვუსმენ. ამიტომაც, როცა უცხო ხალხში მოვხვდები, ყოველნაირად ვცდილობ, არ გაიგონ, კალმის კაცი რომ ვარ. მაშინ სიტყვაზე ნა-დირობა ათასწილად მიაღვილდება და ჩემს ბალე-ფაცერში ან კაკა-ნათში უფრო მეტი „თევზი“ და „ჩიტ“ იყრის თავს. ზოგჯერ „ოქ-როს თევზიც“.

ამგვარი მუშაობა ჩემს პროფესიულ საქმედ მიმაჩნია და ბო-ლო ხანს ჩანაწერები იმდენი დამიგროვდა, უმრავლესობის გამო-ყენებას წუთისოფლის სიმოკლის გამო, უკვე ხანდაზმულობა რომ წამომეპარა, ალბათ, ვეღარც მოვასწრებ და გამოქვეყნებული ნაწარ-მოების გვერდით ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტა ჩანაწერებიც ბლომად და-რჩება.

— რა ადგილი უჭირავს წიგნს თქვენს ცხოვრებაში, როგორი სახის ლიტერატურის კითხვა გიყვართ, რა გავლენას ახდენს წიგნი თქვენს შემოქმედებაზე?

— ყოვლად შეუძლებელია, მწერალი თავის კალამს მხოლოდ ხალხში ტრიალით ასაზრდოებდეს. აბა, რომელი მწერალია, რომე-ლიც მარტოოდენ ცხოვრებაში ეძებს სულის სარჩო-საბადებელს, მხოლოდ ხალხში იმკიდეს ჭირნახულს და წიგნებითაც არ იპუ-რებდეს სულს?! მეც, როცა კარგ წიგნს ვკითხულობ, შემოქმედები-თად ვიმუხტები და მეტ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ წერისას, თითქოს ვიღაც მაჟონტრიოლებს, ნიჭს ნუ გაიიოლებ, უფრო გულმო-დგინედ და დაკვირვებით იმუშავეო. სადაც მივდივარ, თან მიმაქვს



რაიმე წიგნი და... მარტო არასოდეს ვრჩები. ამა თუ იმ წიგნის კონცეისას აქა-იქ ავტორს ვეკამათები ხოლმე და ამ დავს ზოგჯერ ვიწერ კიდევაც, ზოგჯერაც ამა თუ იმ ამბისა თუ ადამიანის მოქმედი დღის ასოციაციით იღვიძებს ცხოვრებაში ჩემივე ნანახ-განცდილი და ემასაც ვინიშნავ.

როცა კარგ მწერალს ვკითხულობ, კეთილი შურით ვენთები, რომ უკეთესი თუ არა, იმისი ბადალი ნაწარმოები დავწერო. პოდა, ვლოცავ, ვინც კარგ წიგნს წერს. ამგვარი შურის ცეცხლი რომ არ ვაგზებდეს ხოლმე, რა გვეშველებოდა! იქნებ ნააღრევადაც ჩავმჭვალიყავით!

ყველა ნიკიერი მწერალი ჩემი მოყვარე, მასწავლებელი და მოძღვარია — რამეთუ სულში მიღვიძებს დასაწერი ჩემი ცხოვრების გარდასულ და მივიწყებულ ამბებს. ყველა უნიკო მწერალი მტერია ჩემი — უტყუარ განძს, გაზომილი წუთისოფლის დრო-ეამს ყაჩაღივით შართმევს და ამაოდ მაკარგვინებს, ვიდრე მის უნიკობას გავიგებ.

დეტექტივები არ მიყვარს, მაგრამ, როცა რამეზე ძალიან ვლელავ, ვთქვათ, როცა რაღაც მოლოდინი ძალიან მაფორიაქებს, მაშინ მხოლოდ სათავეადასავლო მძაფრ სიუჟეტიან წიგნს ვკითხულობ, იქნებ როგორმე გამომთიშოს ნერვიულობისაგან და დამაწყნაროს.

— ხშირად გიგრძნიათ, ალბათ, ახლად შექმნილი სიტყვისა თუ ფრაზის პოვნის სიხარული...

— ახალი (ე. ი. გაუცვეთელი) სიტყვის, ფრაზის თუ ამბის ძიება მწერალს უხდება ხალხშიც და წიგნებშიც, მაგრამ ურიგო არც ის არის, თუ თავისი ფიქრითა და გარჯით მიაგნებს. მაგონდება ერთი ამბავი. წინათ ბინას შეშით ვათბობდით — კაფელის ღუმელი გვედგა. ერთხელ ზამთარი გაიჭიმა და დახერხილ-დაჭრილი შეშა შემომელია. დამრჩა მხოლოდ შვიდი მაგარკუნძებიანი ჭირები, სარდაფში რამდენიმე წელიწადს ხელუხლებლად რომ ეყარა, რამე-თუ ნაჯახს რომ დავარტყამდი, ირეკლავდა. მაგრამ ნათქვამია, გაჭირება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. იმ უშეშობისა და ცივი ამინ-ვება მიჩვენე და გამოიწინებო. მივადექი წლობით ხელუხლებებს უამს, მეტი რა ჩარა მქონდა, მივადექი წლობით ხელუხლებებს დასაპობალ. დიახაც გამიშირდა, საშინლად დავიღა-ტელ ჭირებს დასაპობალ. დიახაც გამიშირდა, საშინლად დავიღა-ტელ, გადავიღლიტე ხელები, გამიჩნდა ბებერები, ოფლად გაღვა-ლე, გადავიღლიტე ხელები, გამიჩნდა ბებერები, ოფლად გაღვა-ლე, გამტარებით ვიქ-რულს მეტკინა წელი, მაგრამ უკან არ დავიხიე. გამტარებით ვიქ-

ნევდი ნაჯახს. დამძახოდნენ: ხომ ხედავ, ეგ ჭირკები რა კულტურულია, მოეშვი, არაფერი მოიწიოო. მე იმ ჭირკებზე ჭირულუავორ-მეთქი! — ვეპასუხებოდი. მართლაც არ მოეშვი, იმ ჭირკებზე ჭირუტი გამოვდექი და ვაჭობე: შვიდივე დავხლიჩე, დავაპე და დაუანაფორტე, ჭერ ერთი, ჩემს შეუპოვრობას არ ვულალატე, მეორე, ოჯახს ლუმელი დავუნოე, და, მესაშეც, თუ წინათ ამბობდნენ უკვე სტანდარტად ქცეულ ფრაზას: ესა და ეს კაცი ვირივით ჭირუტია, მე იმ დღეს ჩავიწერე: ჭირკზე ჭირუტი ვარ-მეთქი. აი, რა ბრძოლა გადამხდა თითქოსდა უბრალო, მაგრამ ცინცხალ-ახალი ფრაზის მისაგნებად.

ჩავინიშნე ფიქრში წამოტივტივებული ფრაზა: განწყობილების შესატყვისად ჩემი მოთხრობის გმირმა ლოგინში ჩაწოლისას უნდა თქვას: „რა კარგი იქნება დავიძინონ და აღარასოდეს გავიღვიძოო“. არ გასულა ათი-თხუთმეტი წუთი, ერთი ძველსძველი წიგნი გადავშალე უნებლიერ და ზუსტად იგივე ფრაზა არ ამოვიკითხე? ეს რა არის, ოდესალაც რომ უფიქრია ადამიანს, მეც ზუსტად იმგვარი ფიქრი როგორ გამიჩნდა ასე შორეულ დროს დამოუკიდებლად-მეთქი, გამიკვირდა. თანაც მეწყინა ასეთი დამთხვევა.

— მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ადამიანი განუმეორებელია, მათ მაინც ბევრი რამ აქვთ საერთო, ხშირად მათი ინტერესებიდა მისწრაფებები ემთხვევა ერთმანეთს, ამითომ საკვირველი არ უნდა იყოს მსგავსი ფრაზებისა და სიუჟეტების შეხვედრა სხვათა შემოქმედებაში.

— დიახ, ხდება ხოლმე: ვიტუვი დასაწერად ფასეულ რამე ახალ ფრაზას და მიხარია, ეს რა ჩინებული რამ ვიპოვე-მეთქი. უმაღლებინდება ჩემი გონიერი მწერლური რწმენა. გავა დრო და.. წავიკითხავ იგივეს სხვის ნაწარმოებში. თურმე ეს „სიბრძნე“ დიდი ხნის წინათ თითქმის ასევე უთქვაშს სხვას. იმ წუთში მექარება თავის რწმენა — თურმე რა ტყუილად გამეხსრდა, არაფერი ახალი სიტყვის მთქმელი მე არა ვყოფილვარ-მეთქი. მაგრამ მეორე-მესამე დღეს დავთიქრდები, დავუკვირდები ამ ამბავს და სულაც არ მეჩვენება არაბუნებრივად, საკვირველად და უნუგეშოდ. მერე რა, სხადასხვა დროსა და გარემოში რომ ვცხოვრობდით, განა მეც ისე-თივე ადამიანი არა ვარ, ის რომ იყო და, რაა უცნაურა, თუ ორივეს ერთნაირი ფიქრი დაგვებადა-მეთქი. იმის შიში, ვაითუ მავანმა და



მავანდა ოდესილაც ზუსტად ჩემსავით იფიქრა ყველაფერი და მე საზრუნვა-საფიქრალი-დასაწერი აღარაფერი დამრჩენია-მეთქი, სიუკთხესულება. ვიდრე კაცობრიობა იარსებებს, წინაპართა ნაფიქრალშ აღამიანები, ვინ მოთვლის, რამდენჯერ იფიქრებენ ხელახლა და თანაც ეგონებათ, რომ ამგვარი რამ მანამდე არავის უფიქრა.

1983 წლის ივლისში, „საუნჯეში“ წავიკითხე მიგელ დე უნამუნოს რომანი „აბელ სანჩესი“. მისი სიუჟეტის რამდენიმე ამბავი ემთხვევა 1963 წელს დაწერილ ჩემს მოთხრობას — „მხოლოდ ერთი ნაბიჯი“. აზრობრივადაც არის მსგავსება ამ ორ ნაწარმოებს შორის. ეს რომანი არის ადამიანის (ხოაკინის) სულში ბოროტისა და კეთილის ბრძოლის ჩვენება აღსარებით. ჩემს მოთხრობაშიც ფაქტოურად სანდროს სულში დატრიალებული ბოროტისა და კეთილის ბრძოლაა ნაჩვენები, მისი შინაგანი მონოლოგები აღსარებასავითაა. ღმერთმა ხომ იცის, მე „აბელ სანჩესის“ არსებობაც არ ვიცოდი, როცა „მხოლოდ ერთ ნაბიჯს“ ვწერდი (სხვათა შორის, ჩემი მოთხრობა უფრო დრამატულია).

ახალგაზრდობისას მინდოდა დამეწერა ასეთი სიუჟეტის მოთხრობა: არის ქალ-ვაჟი (ცოლ-ქმარი თუ შეყვარებულები). უჭირთ ცხოვრება. რა ქნან? ქალი გაჟყვა ცოლად მარტოხელა მდიდარ მოხუც კაცს, ვაჟმა მდიდარი მარტოხელა ბერიქალი შეირთო. ხანდაზ-მული მალე დაიხოცნენ, შეყვარებულები (ცოლ-ქმარი) ისევ შეერთდნენ. ამ სამოთხრობე მასალის ჰქონდა მეორე ვარიანტიც. გაჭირვებისაგან თავის დასაღწევად ქალმა მდიდარი საყვარელი გაიჩინა, კაცმაც — მდიდარი საყვარელი. სამდიდრე ორივეს გაუტკბა, სიყვარული დაკარგეს და ერთმანეთს დაშორდნენ. სამდიდრე შეიძინეს, მაგრამ ბედნიერება უსიყვარულოდ ვერ იპოვა ვერც ერთმა. რაღაც ამის მსგავსი წავიკითხე ოცდახუთი წლის შემდეგ „ინოსტრანკაში“. 1968 წლის ზაფხულს დაწერე კომედია „პაემანი ცაში“, ორი წლის შემდეგ თბილისის ექრანებზე გამოჩნდა პოლონური ფილმი, რომლის პერიპეტიის ძალიან ჰგავდა „პაემანი“ ამბებს, ზოგიერთი გმირის ხასიათი არა მარტო გარეგნულად ემთხვეოდა, შინაგანადაც. იყო რამდენიმე დიალოგი, აბსოლუტურად აღვევატური. ეს ფილმი ერთად ვნახეთ მე და თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძემ, იგი „პაემანს“ იცნობდა და ვერ დაიჯერა, რომ მე აღრე ის პოლონური ფილმი არ მქონდა ნანახი.

ყველაზე მეტად ადამიანთა ბავშვობა ჰგავს ერთმანეთს, სხვი-
სი ბავშვობის ამბებს რომ კითხულობ, ზოგჯერ გვონიფაც უსრულება
ხარ, ოღონდ, სხვა სახელი გქვია და სხვაგან ცხოვრობ.

ერთადერთი ადამიანი, რომელსაც სხვისი ნათქვამი არაფერი
გაუმეორებია. ადამი იყო, — იტყვიან ხოლმე.

ტყუილია ეგ! თუ ბიბლიურად გავიაზრებთ ცხოვრებას, ადამი
ღმერთის შვილი იყო და ღმერთის ნათქვამს იმეორებდა-მეოქი, —
ვუპასუხებ მე.

— ქართული ენა ერთიანი ფენომენია და მაინც ვამბობთ,
რუსთაველის ენა, ვაუას ენა... ილიას ენა... მათი შემოქმედების
კითხვისას სხვადასხვა სამყაროში ვხვდებით, სხვადასხვა გარემოში
და ამას ისინი აღწევენ მაინც ერთიანი ქართული ენის ბაზაზე. აქ
მე მახსენდება სტრიქონები თქვენი ლექსიდან: „სიტყვის დუღაბით
აგებულ კოშკებს, სიტყვის დუღაბით აგებულ ციხეს ვეღარ დაანგ-
რევს ასე იოლად დრო-უამის სრბოლა, თოვლი და წვიმა...“

— დავუბრუნდეთ ისევ მწერლის არსობის პურს — სიტყვას.
ნათქვამია, სიტყვა იქაც ანათებს, სადაც მზე ვერ აღწევსო, რამეთუ
თავდაპირველად სიტყვა იყო ღმერთი და იგი ღმერთი იყო სიტყვა.

დიახ, მწერლის საშენი მასალა (ქვა, აგური, ცემენტი, ქვიშა,
კირი, თუნუქი, შიფერი, ფიცარი თუ ყავარი) არის სიტყვა, მაგრამ
ეს იმას როდი ნიშნავს, სიტყვები ერთმანეთს ქვიშასავით მიაყა-
როს, აგურებივით მიაწყოს, ცემენტივით შეადუღაბოს. არც ერთ
სიტყვას თავისთავადი აზრი არ გაჩნია. სიტყვათა ორგანიზაციაზეა
დამოკიდებული, რა აზრი მიენიჭება ამა თუ იმ სიტყვას. მწერლის
ნიჭი სიტყვათა ორგანიზებით იზომება. მწერალი სიტყვათა გამგე-
ბელია, ხან — ათმეთაური, ხან — ასმეთაური, ხან — გენერალი,
ხან — სარდალი, ხანაც — გენერალისიმუსი. ზოგჯერ მწერალი
ჩვეულებრივ სიტყვას ისეთ მნიშვნელობას მიანიჭებს, ის სიტყვა
სულ სხვანაირად გამოანათებს. ამიტომაც ამბობენ, მწერალი ენის
შემოქმედია. მწერალი სიტყვებს გახედნის ხოლმე და აზრის ულ-
ელში შეაბამს. მთავარია მიაგნო იმ ერთადერთ სიტყვას, ყველა-
ზე მკაფიოდ და მოკლედ რომ გამოხატავს შეს სათქმელს. მწე-
რალი ხშირად ემსგავსება ქირურგს. მან ისევე უნდა შეარჩიოს
სიტყვა, როგორც დასტაქარი არჩევს საოპერაციო ხელსაწყოებს.

როდესაც ყველა სიტყვა თავის ადგილას ზის, მაშინ აზრიც



ნათელია და შთამბეჭდავი. მაგალითად, თუ ლექსში ყველა სიტყვა უსაბოროება
ჰარმონიას ქმნის, ყოველგვარი რითმა მარჯვედ მოძებნილად გვეჩ-
ვენება.

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ევ ეერაფერი სიყვარულია,
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

მიგაჩნდეს და უყვარდეს, ან — სიყვარულია და დაჩაგრულია,
ბევრი ეერაფერი რითმებია, მაგრამ, როცა ამ ლექსს კითხულობ,
აქ რითმებზე როდი ფიქრობ, არამედ აზრზე, რადგან სტრიქონები
ემოციური აზრითაა დაყურსული, აფორიზმივითაა.

ყველა სიტყვას არა მარტო თავისი სული, თავისი წონაც აქვს.
— დაიღუპა! — მძიმე სიტყვაა თავისთავად.
— გადარჩა! — მსუბუქია.

— საღ-სალამათი გადარჩა! — კიდევ უფრო მსუბუქია.

მაგრამ როცა სიტყვა „დაიღუპა“ ითქმის ბოროტ კაცზე, ჩვენს
შტერსა თუ არასასურეველ კაცზე, ეს მძიმე სიტყვა მაშინვე მჩატ-
დება. ასე რომ, სიტყვა წონასა და სულს იცვლის გარემოების მი-
ხედვითაც (თუმცა აქ გათამაშებული მაგალითი მთლად ზუსტი
არ არის, რადგან მტერზე არ იტყვიან დაიღუპაო, ჩაძალლდაო თუ
რაღაც ამგვარს წამოიძახებენ);

მწერალი ლექსიების სიუხვითაც ფასდება, მაგრამ მარტოოდენ
მდიდარი ლექსიები არ განსაზღვრავს ამა თუ იმ ნაწარმოების სი-
კარგებას, თორემ ლექსიკონი ყველაზე კარგი წასაკითხი იქნებოდა.
მაგრამ, როგორც ვიცით, ლექსიკონს გატაცებით არავინ კითხულობს.

არინ გრამატიკოსები (რა თქმა უნდა, ყველა არა), რომლე-
ბიც მწერლის ღირსებად იმას მიიჩნევენ, თუ იგი ყველაფერს
გრამატიკული ნორმების ცოდნით წერს, შეუმცდარად. მე კი ეს
ღირსების საზომად სულაც არ მიმჩნია. კეშმარიტი მწერალი ენის
შემოქმედია და არა მარტო მისი ყურმოჭრილი მონა. ის, რაც ზოგ-
ჯერ გრამატიკულად სწორია, არ არის სწორი მწერლურად, ზოგჯერ
კეშმარიტ მწერლობას ხელსაც კი უშლის გრამატიკის ცოდნა,
რამეთუ მწერლობას თავისი კანონები აქვს, გრამატიკას რომ არ
ემორჩილება. ზოგ მწერალს ენის გრამატიკული ნორმების ზედ-
მიწევნით ცოდნა აბრკოლებს თავისი ენობრივი სტილი გამოიმუ-
შაოს, შექმნას ახალი ნიუანსები, ახალი ლექსიკით გაამდიდროს

ლიტერატურა. მე ვერ ვეგუები რაფინირებულ მწერლებს, მაგრა მგონია, გამოხდილ წყალსა ვსვამ-მეთქი. ასეთი ავტორთა დამაკავშირი ზის და ვიღაცისგან შეუცდომლად იწერს. მწერალი ცოცხალი ადა-მიანია და ცოცხალ ადამიანს ყოველთვის სჩვევია რაღაც შეცდომა ენის ხორქლიანობა ზოგჯერ ნაწარმოების მარილია. პუშკინმა თქვა: „გრამატიკული შეცდომების გარეშე რუსულ ენას ვერ ვი-ტანო“. ყველა ნამდვილი მწერალი უპირველეს ყოვლისა ეძებს ფერხორციან სიტყვას.

გავიხსენოთ შოთა რუსთაველის ლექსი:

„ვერ დაიჭირავს სიკედლისა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი...
სჭობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკედლი სახელოვანი“.

ამ ორ სტრიქონში, თუ გრამატიკულად განვიხილავთ, ორი შეც-დომაა — დაიჭირავს და სჭობს (უნდა იყოს — დაიჭირს და ჯო-ბია), მაგრამ ამაზე გვნიალური სტროფი მსოფლიოს პოეზიაში არ მეგულება: ლრმააზროვანი, ხატოვანი, მუსიკალური... ეს სტრიქ-ნები ქართველი ერის სულის დროშადაც კი იქცა. ჩხირკედელა დოგ-მატიკოსმა გრამატიკოსმა ამ სტრიქონებში ორი შეცდომა რომ აყვიროს, იქნება სწორი? არადა, არიან ისეთებიც, სულმნათი შოთა ცოცხალი რომ იყოს, მხოლოდ ამ ორ შეცდომას დაინახავენ რუსთაველის ლექსში, რომ იამაყონ.

მწერალი ენას ხალხის ჸერა-გონებაზე, ცხოვრების ჩარხზე ლე-სავს, ცხოვრების ჩარხი კი არც ლოგიკას ემორჩილება, არც გრა-მატიკულ ნორმებს.

ჰეშმარიტი მწერლის თითქმის ყველა სიტყვა ღვთისგანაა ნა-კურთხო, ასე ვამბობთ, თორემ განა არ ვიცით, მწერალი რომ სიტყვას მიწიერ ხალხში ეძებს.

ლევ ტოლსტოიმ დაწერა ზღაპარი სულელ ივანეზე და წაუ-კითხა გლეხებს. მერქ მოყვოლა. გლეხებმა ახალი, ცოცხალი სიტ-ყვები შეიტანეს ზღაპარში. აი, გენიოს მწერალსაც კი სჭირდება თურმე, ხალხში ეძებოს ახალი სიტყვა. ნამდვილი მწერალი მუდაშ ცდილობს, თავისი მუზა გაუხედნავ სიტყვებზე შესვას და ისე გა-აქროლოს. ღონიერი, ჯან-ღონით სავსე (ასეთ სიტყვებს გ. ლეო-ნიძე „ბედაურ სიტყვებს“ ეძინდა) მუდამ ხალხშია საძებარი. თითქ-მის ყოველ სიტყვას მაგიური ძალა აქვს, მაგრამ თუ ეს მაგიური სიტყვა ბევრჯერ ითქვა, ცვდება და ძალა აკლდება, რა თქმა უნდა, მაგიურობასაც კარგავს. ამიტომაც ეძებს მწერალი ხალხში გაუც-

კალმოსანმა თუ ოციოდე ახალი სიტყვა დაუტოვა ერს, უკვე:
ნიჭიერი მწერალია. ზოგი მწერალი მრავლად უტოვებს ხალხს
ახალ სიტყვას. ვინც ვერც ერთ ახალ სიტყვას ვერ უტოვებს ხალხს,
იმას მწერალი, მგონი არც ეფშის.

- მე ბედნიერი ვიქნები, თუ ქართულ სიტყვებს ორიოდე ჩემე-
ულ ცინცხალ სიტყვას მივუმატებ.

— რა პრინციპით აგროვებთ წიგნებს პირადი ბიბლიოთეკი-
სათვის, გაქვთ თუ არა წიგნები ავტოგრაფებით, აგრეთვე თქვენი-
კოლეგების, მეგობარ-ამხანაგების მიერ ნაჩუქარი? როგორ გაქვთ
განლაგებული წიგნები — თემატურად თუ შემთხვევით? სარგებ-
ლობენ თუ არა თქვენი ბიბლიოთეკით სხვები?

— ომამდე ვყიდულობდი იმ წიგნებს, რომლებზეც ხელი მი-
მიწვდებოდა, სტუდენტობის დროს ვიძენდი ძირითადად მხოლოდ
იმ წიგნებს, რომლებიც მჭირდებოდა, შემდეგ თანდათან დავიწყე-
შერჩევით შეგროვება. ამჟამადაც ასე ვიქცევი.

ავტოგრაფით მაქვს უამრავი წიგნი. მათ შორის ლევან გოთუასი,
გიორგი შატბერაშვილის, ირაკლი აბაშიძის და ბევრი ჩემი მე-
გობარი მწერლის ნაჩუქარი. თაროებზე წიგნები თემატურად მიწ-
ყვრა: ლირიკა, ქართული თანამედროვე პროზა, თანამედროვე პოე-
ზია, ეთნოგრაფიული ლიტერატურა, ისტორიული ლიტერატურა,
საზღვარგარეთელი მწერლები... ვისაც სჭირდება ჩემი ბიბლიოთე-
კით სარგებლობა, უარს არ ვეუბნები, ოღონდ ვიწერ, რომ წიგნი-
არ დამეკარგოს.

— წიგნის მოყვარულთა საზოგადოების შუშაობის რომელი-
საკითხები უფრო გაინტერესებთ? თქვენი დამოკიდებულება ამ სა-
ზოგადოებასთან...

— განსაკუთრებით მაინტერესებს მხატვრული ლიტერატურის-
პროპაგანდის საკითხები. ვარ წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკური-
საზოგადოების მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის სამეცნი-
ერო-მეთოდიკური საბჭოს წევრი, ვმონაწილეობ ამ საზოგადოების-
მიერ მოწყობილ ღონისძიებებში, წიგნის განხილვებში, წიგნის-
კვირეულებში, ერთოვარუებში და სხვ. ახალგამოსულ ჩემთვის სა-
ინტერესო წიგნებს ვეხმაურები რეცენზიებით. ლიტერატურის-
პროპაგანდა აუცილებელ საქმედ მიმაჩნია ადამიანში მაღალი მო-
რალური თვისებების ჩამოყალიბებისათვის.

გოგებაზეილის „დედა ენა“

ღმერთს როდი შერქინებია ბიბლიურ სენიასავით,
სიტყვას კალამი გაუნთო, როგორც ვაზის რქას სასხლავი.
— ეს წიგნი ერის ბურჯია! — ხარობენ მამა-პაპანი,
ხარმა თქვა: მეც შიგ ჩამდენეთ, ერის მეც ვზიდე ჭაპანი.
მოფრინდა შავი მერცხალი ჭიქჭიყით, ყელმოლერებით
და წიგნში, როგორც ბუდეში, ჩაფინა იის ლერები.
პაშია წიგნი ბედ-ილბლით კიდობანს გამოემვანა
და, რაც შიგ გადანახულა, ის გადაარჩენს ქვეყანას.
მე კი მგონია, ფრესკებზე ყრმა რომ ზის დედის კალთაში,
თუ „დედა ენას“ მივუტანთ, დიდივით კრძალვით გადაშლის,
თითს გააყოლებს ასოებს:
ვაზის ლერწს,
ნამგალს,
ნიამორს,

ენას ქართულად აიდგამს და იტყვის: „აი, იაო“.
იდიდე წიგნო, იდიდე, ქართული სულის ლაზათო,
ღმერთი თუ არა, ღმერთკაცი იქნებ კვლავ ბევრი გაზარდო.

ଶୁଦ୍ଧଲାଲନାଥପାତ୍ର

ଲୋ

ଶୁଦ୍ଧଲାଲ,
ଫୁଲପାତ୍ର



ଶିଳ୍ପିଗତିକା ଅଧ୍ୟାଧିକାରୀ ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ର
ମେଘଦିତ୍ୟର ସାହଚର୍ତ୍ତରୀ

ବ. ପ୍ର ୧୦୫ ୮୦୫୦

ଶିଳ୍ପିଗତିକା ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟ ପାଠ୍ୟଗତିକ ମାଧ୍ୟମ,
ରୋମାଣିକାରୀ ପାତ୍ର, ମେଘଦିତ୍ୟ,
ରମ୍ୟାନ୍ଦାର ପାତ୍ର, କୌଣସି,
କର୍ଣ୍ଣାନ୍ଦାର ପାତ୍ର

୧. ପ୍ରକାଶକ

გალაკტიონი — მათხვალი

ვალაკტიონ ტაბიძის ოქანმა 1959 წელს ლიტერატურის მუზეუმს გადასცა პოეტის პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც დღეს უნიკალურ წიგნად ფონდშია დაცული. ამ წიგნების გაცნობა ცხადყოფს, რომ ვალაკტიონს წიგნსაცავის ან პირადი ბიბლიოთეკის შექმნა არ უცდია. მასთან თავი მოუყრია ცალკეული ავტორებით ვართაცების ქამს შეძენილ, კონკრეტული მიზნებისათვის მოძიებულ ლიტერატურას, ნაჩქარ წიგნებს და სხვ.

ლიტერატურის მუზეუმში დაცულ ვალაკტიონისეულ ფონდში ათასზე მეტი წიგნი და პერიოდული გამოცემა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. მეტი ნაწილი უკავია მხატვრულ ლიტერატურას, კრიტიკას, ისტორიას, ხელოვნებას; მცირე ნაწილი — პოლიტიკას, სოციოლოგიას და სხვ.

მხატვრული ლიტერატურიდან დიდი ადგილი ეთმობა ჩვენი საუკუნის დასაწყისის მწერლობას, ქართველ, რუს და უცხოელ სიმბოლისტთა პოეტურ კრებულებს. ამ ლიტერატურის ნაწილი, ჩვენის აზრით, მიზნობრივი ინტერესითა შეძენილი, ხოლო მეტი წილი სხვადასხვა გზითაა ფონდში მოხვედრილი. მიზნობრივი ინტერესებით თავმოყრილია ვალაკტიონის საკუთარი გამოცემები და ნაცნობ-მეცნობართაგან ნაბოძები საძლვნო წარწერიანი წიგნებიც.

ვალაკტიონის მინიატურული ფონდი ყოველგვარი სისტემიდან განხე დგას. ექვედებით ბიბლიოგრაფიულ იშვიათობებს და მაკულატურასაც, ოლონდ თითოეული მათგანი, დაწყებული ნაირნაირი სახის «Путеводитель»-ებითა და დამთავრებული კლასიკოსთა გამოცემებით, ერთნაირი ცხოველი ინტერესითა წაკითხული და ჩანიშნულ-ჩასწორებული, თითქმის არც ერთი წიგნი არაა მინაწერის გარეშე პოეტის ბიბლიოთეკაში. მინაწერების მიხედვით 5. მწიგნობარი 86

თავისუფლად შეიძლება გალაკტიონ ტაბიძის წიგნზე მუშაობისთვის თვალის გადევნება.

პოეტის მინაწერები ხასიათის მიხედვით ამგვარად შეიძლება დავაჯგუფოთ: 1. კომენტარები; 2. რედაქტორული ნამუშევარი; 2. კითხვით ასოცირებულის ჩანაწერები; 4. პოეტური ვარგიშები; 5. ექსპრომტები და გამოუქვეყნებელი ლექსები; 6. საძლვნო წარწერიანი წიგნები.

საინტერესოა გალაკტიონის მიერ რედაქტირებული საკუთარი გამოცემები, სადაც პოეტი კვლავ უბრუნდება ან სულაც ცვლის დასტამბულ სტრიქონებს და ერთხელ ნაახრევს სრულყოფს. მაგალითად, 1950 წელს გამოცემულ თხელებათა კრებულის მე-8 ტომში გალაკტიონი ლექსი — „თავიდანვე თავდადებით“ — უცვლის სათაურს და ორქმევს: „მაშ გაუმარჯოს ჩვენს დიდებულ კონსტიტუციას“. შესატყვისად ლექსიც სპეციალურად დღესასწაული-სათვის გადაუკეთებია.

გალაკტიონის მინაწერებში სხვა ავტორთა წიგნებზე ასეთ ორიგინალურ შეპარისპირებას ვაწყდებით: ილია ჭავჭავაძის „მეზავრის წერილებში“ ფანქრით გაუხაზავს სტრიქონი — „ქვეყნიერების ბედნიერების ქვაკუთხედი ყოველთვის ძირიდამ დადებულა...“ და მარჯვნივ მიუწერია: „მყინვარიც ძირიდან არ არის დაბადებული, განა ისიც ძირიდან ამაღლებული არ არის? აქ ილიას აზრი ბრწყინვალეა“. შობენჰაუერის წიგნში „О писательстве и о слоге“ იქ, სადაც ავტორი საუბრობს იმგვარ მწერლებზე: «Которые пишут ради писания... Их можно узнать потому, что они как можно длинее растягивают свои соображения, ...обыкновенно любят полумрак, чтобы казаться не тем, что они есть на самом деле...» გალაკტიონს მიუწერია: „დეკადენტები, სიმბოლისტები“. მე-3 გვერდზე ავტორი აგრძელებს: «...публика настолько глупа, покупает ее». გალაკტიონს მიუწერია: „ჩვენთან არ ყიდულობენ“.

გ. ტაბიძის კომენტარები სხვადასხვა ავტორთა ტექსტებზე თავის მხრივ კიდევ დაიყოფა და ეს დაყოფა უკვე არა ტექსტიდან, წიგნის ხასიათიდანაა გამომდინარე, არამედ თვით მკითხველის ინტერესებითაა განპირობებული. ნიმუშად მოვიყენოთ ვაჟა-ფშაველას პოემის „ბახტრიონის“ კომენტარებს.

ტექსტი:

„სანათაი ვარ შე, შეილო...
აქა ვარ გამოთხოვილი,
ბერძე მყვანდა ქმარია“.

კომენტარი: „დედა ჩემის დედა იყო ბერძის ქალი“. ცოტა შევ-
მოთ, მოყოლებული ტექსტიდან: „მკვდარია უგრძნობი კაცი...“
თხუთმეტი სტრიქონი ხაზგასმულია შავი ფანქრით და მიწერილია:
„სიცოცხლეა გზება-მგრძნობელობა, ცოტი ცეცხლია. შედევრია.
მკვდარი, უგრძნობი კაცი მკვდარზე უსაზარლესია“.

ერთსა და იმავე ნაწარმოებში, პირველ შემთხვევაში გალაკ-
ტიონი ბიოგრაფიული ხასიათის მშრალი კომენტატორია, მეორე
შემთხვევაში კი ემოციადაუტევნელი ტკითხველი; ავტორით აღფ-
რთოვანებული, ან გაგულისებული გალაკტიონი მინაწერის სახით
გამოხატავს ემოციებს. ნიმუშიდ მოვიტანთ მინაწერებს სიმონ ჩი-
ქოვანის ლექსი „შემოღამება ხახმატში“, მიწერი-
ლია — „შესანიშნავია“. „რამდენგრ წავიყითხე, სულ უფრო მომ-
წონს“. ხაზგასმულია სტრიქონები: „გოუსსდებიან ხევსურნი დინ-
გად, ყვებიან კაზმულ ხუმრობით იგავს, და ხარბად ხელებენ ავსე-
ბულ ფინჯანს“, და გალაკტიონის მიუწერია: „პუშკინისებურ სიღინ-
ჭითა და სილამაზითაა აღწერილი ხევსურთა ყოფა“.

საინტერესოა მეტად ასოციაციური ხასიათის კომენტარები,
რომლებიც ტექსტთან უშუალო კავშირში არ არიან, მაგრამ ამ ტექ-
სტითაა გამოწვეული. მაგალითად, კომენტარები «Шерр»-ის
წიგნზე «Всеобщая история литературы». ამ წიგნის ერთი
ნაწილი აღმოსავლეთის ქვეყნების ლიტერატურას მიმოიხილავს.
აქ გაკვრითაც არა ნახსენები საქართველო, ხოლო გალაკტიონი
ტექსტის კითხვისას ფიქრით გამუღმებით „ვეფხისტყაოსანს“ დასტ-
რიილებს და მეტად საყურადღებო ჩანაწერებს გვიტოვებს, რომლე-
ბიც, ჩვენი აზრით, 30-იან წლებში უნდა იყოს შესრულებული,
როდესაც გალაკტიონის ქვემოთ მოტანილი შენიშვნები რამდენად-
მე სიახლეს წარმოადგენდა.

53-ე გვერდზე ტექსტში საუბარია არაბების სარწმუნოებაზე—
ისლამზე. გალაკტიონს სქოლიოში უწერია: „ვეფხისტყაოსანში არა-
ფერი არ არის ნათქვამი ისლამის შესახებ. სრულიად აღვილი წარ-
მოსადგენია, რომ გენიალური ავტორი წერდა პოემას საქართვე-
ლოსათვის, ქართველებისათვის. პირიქით, პოემაში ბევრია აღვი-
ლები, რომლებიც უჩვენებენ ქრისტიანულ კულტურას“. ამავე წიგ-
ნების მიზანი არა იყო მართლივი განვითარების გარე, არა კულტურული მიზანი.



ნის მე-60 გვერდზე გალაკტიონი დაასკენის: „მომავალში ქრთხა შად უნდა გამოეცალოს ნიადაგი იმ კოლოსალურ შენობას მელშიდაც დღემდე ბუღობს ცრუ შეხედულებანი „ვეფხისტყაოსანზე“ და უნდა დაწყებულ იქნას ახალი შენობა იგებული წმინდა პარალელურ საფუძვლებზე, სხვანაირად „ვეფხისტყაოსნის“ გაგება საქართველოში შეუძლებელია...“

იქ, სადაც ტექსტში საუბარია ინდურ პოეზიაზე, გალაკტიონის ფიქრი კვლავ „ვეფხისტყაოსანს“ დასტრიიალებს და წერს:

„რა არის ვეფხვი, ვეფხვის ტყავი. შესანიშნავი ტანთსაცმელი. დენდიზმი. რა მსგავსებაა ვეფხვა და ტარიელს შორის?“

მინაწერებში ზოგჯერ გალაკტიონის წამიერ განწყობასაც გადავაწყდებით, როდესაც პოეტი თავდავიწყებული მკითხველი ხდება და ამგვარად იტყვის: „მგონია რაღაც დღეს: ხომ არ სჯობს დერქავინი პუშკინს?“ მაგრამ უმაღვე უსწორებს თავისთავს: „შე! რა სისულელეა“. ეს მინაწერი დერქავინის ლექსების I ტომის 111 გვერდზეა მიწერილი.

ასოციაციური ხასიათის მინაწერები ხან ლექსად, ხანაც პროზის სახითაა წიგნის სქოლიობში, სტროფებს შორის, ყდაზე.

გალაკტიონის ჩანაწერებში ერთი მეტად საგულისხმო მომენტია — ნებისმიერი წიგნი პოეტური შთაგონების ან ცალკეული მხატვრული სახის წყაროდ იქცევა. მაგალითად, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიის“ 345-ე გვერდზე ტექსტში საუბარია ქუთაისზე და მის შემოგარენზე. ტექსტის ქვემოთ გალაკტიონი წერს:

„ოცნებაო ყრმობის,
რამ აგზიდა ასე,
ეღვავარ...
ეღვავარ ხომლის კლდეზე,
განძო-სადების ახლოს.
ჩემ სიმდიდრეს მტერშა,
რომ ხელი არ ახლოს.

ეღვავარ ხომლის კლდეზე,
ხელში ვიღებ ფეშეუმს:
აქეთ იმერს ვხედავ—
იქით რაჭა-ლეჩეუმს.“



ლადო მაჭუარიანის „სარკოფაგების“ მე-3 გვერდზე ლექსთან
„დუქანში“ გალაკტიონს მიუწერია: „თითქო საბოლოოდ გაპერაჟი ჩამოავა-
ეს ხანა. მწვანე დუქნები, ქოსა დახლიდარი, ხმელი ტარანი, თხის გარეთ და-
თავფეხი, კინტო, როსკიპი და სხვა. მოქეიფე ახალგაზრდობის ეგ-
ზოტიკა — დროა, დადინჯებული მითით შეიცვალოს“...

ძალიან ხშირად კი გალაკტიონი სულაც წყდება წიგნის ტექსტს
და ფიქრი სტრიქონებად მოეძალება:

„გულზე მაწევს მწუხარების მთები,
საღ არიან ჩემი ძმები, დები?
მხერებით მიმაქვს მწუხარების მთები,
გულში ღელავს მწუხარების ხმები“.

ეს ჩვენთვის უცნობი სტროფი მიწერილია ი. აკსაკოვის წიგ-
ნზე «Сборник стихотворений», ან ამგვარი პოეტური ფიქრი
გვხდება «Книжная летопись»-ის გარეკანზე მიწერილი:

„ნეტა თუ არის საღმე ქვეყანა,
რომ ამშენებლეს კოშეი ამდენი“.

„საქართველოს ისტორიის“ კითხვისას დაბალებულა ლექსი
„ჰიმნი ქართულ ანბანს“, რომლის დაწერის ისტორიას (დროს და
გარემოს) თავად ავტორი აღნუსხავს წიგნში ჩართულ რუკაზე. გა-
ლაკტიონი წერს: „5 აგვისტო. 1947 წ. შოვი“. ცოტა ქვემოთ:
„...იკლებენ ჩემს ზევით ჭერს და ჭინაზე მაინც დავწერე ლექსი“.
შემდეგ ჩამწერივებულია ლექსის „ჰიმნი ქართულ ანბანს“ სტრი-
ქონები და ავტორისეული ჩასწორებები.

ზოგჯერ გალაკტიონი ავტორს უხილავად ესაუბრება, უზია-
რებს შთაბეჭდილებებს, მოსაზრებებს: პ. სკოსირევის წიგნში
«В стране белого золота» საუბარია შუა აზიაზე, მის ბუნებაზე. გა-
ლაკტიონს მიუწერია: „სხვათა შორის აქ ვყოფილვარ...“ ცოტა
ქვემოთ გალაკტიონი ეთანხმება ავტორს და წერს: „მართლაც შე-
საძლებელია დიდხანს იცხოვრო და ნამდვილად კი ვერ ვაუგო
მხარეს. მოგზაურობა კარგად იცოდა გიორემ, ბაირონმა, შელიმ“.
გალაკტიონი კ. აბაშიძესაც უზიარებს თავის მოსაზრებას, როდე-
საც მის წინასიტყვაობას კითხულობს ილიას ობზულებათა ქრე-
ბულის I ტომში: „ილიას აზრით რაზიკაშვილები სკოლის შემდე-
გაც მთაში უნდა იყვნენ. საშიშია ქაურობისაგან მათი მოშორება,
ვაი თუ დაიშრიოტოს მაღლიანი წყარო მათის ფრიად ორიგინალუ-

რის შემოქმედებისაო... ამ გარემოებამ ჩატკეტა ვაჟა-ფშაველა ქა-
მუღამიდ მთაში. ილია აწვდიდა პონორარს, თვითონ კონტრალე-
მდევი იყო ყოველგვარ პონორარების“. გალაკტიონი წერს:
„მგონია ილიას არ უნდოდა, რომ ვაჟა ტფილისში ყოფილი-
ყო ბევრი სხვა მოსაზრებითაც. რა უნდა ყოფილიყო ეს მო-
საზრება?“

გვინდა ვამოვყოთ გალაკტიონის, როგორც შეითხველის კი-
დევ ერთი თავისებურება, როდესაც იგი პოტურ ვარჯიშებს ეწევა
კითხვის პროცესში: გადაითვლის, გადასინჯავს და აღნისსხვს რით-
მათა რაოდენობას; შემდევ ნებისმიერი იგტორის ცენტრის რით-
მას საკუთარ ვარიანტებს მიუსადაგებს. „ჩართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ანბანზე გაწყობილ სიტყვებს გა-
ლაკტიონის მინაწერები:

აგება — „იმ დღეებს ძეგლი უნდა ვევოს“
აკაზია — „სინამდევილეზე უფრო ძლიერი“.
აქა — 1. „აპანდე!“

2. „ა ჩემი ჩანგიც, რაღვან თანამგზავრთ
ყველას რამე აქვს სახსოვარი“.

ბაირალი — „მოქვონდათ ბაირალი“.

ბადრი — „ბრწყინვას თეატრი“.

ბადე — „ბადეთი“.

ხოლო სხვაგან გალაკტიონს ჩაუნიშნავს რითმა: „და-და“. ქვე-
მოთ კი ამ რითმაზე აუგია სტროფი:

„ნეტა მყოლოდა შენისთანა და,
მშევნიერი და ნეტა მყოლოდა,
არ დამყოლოდა მწუხარება და,
მწუხარება არ მომყოლოდა,
ნეტა ბავშვობა მქონდა“.

(შემდევ ეს სტროფი მთლიანად გადაუხაზავს).

პოეტის ჩანაწერებიდან ხშირად მისი ბიოგრაფიის ზოგი დე-
ტალის დადგენაც შეიძლება. მოვიტანთ მინაწერებს ცალკეული
წიგნებიდან:

შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ 1944 წელს გამოცემულ



წიგნის თავფურცელზე გალაკტიონის ამგვარი წარწერაა: „ნინოს წარწერა ჩვენ მიერ 9 საათიდან ღამის 3 საათამდე“. სხვაგვარი ამგვარ ცნობას გვაწვდის პოეტი: „მე ესწავლობდი თბილისტების სასულიერო სემინარიაში, სადაც 10 წლით ჩემზე აღრე სწავლობდა ამს. სტალინი. 1908 წ. მე ვრედაქტორობდი არალეგალურ ხელნაწერ უურნალს „შუქი“, რომლის გარეშემო შემოკრებილი იყო რევოლუციური სემინარისტები“.

ახალბედა ავტორების მიმართ ვალაკტიონის დიდი სიყვარული საჩინო ხდება, როდესაც მის მიერ წაკითხულ „პირველ სხივს“ გადაათვალიერებთ, სადაც მრავალი ხაზგასმები და შენიშვნები გაუკეთებია პოეტს.

გალაკტიონის წიგნებში ყურადღებას იპყრობს „ფსალმუნი“ აკაკი წერეთლის ავტოგრაფით. საძლვნო წარწერა გვამცნობს. რომ აკაკის იგი უჩუქებია ქ-ბ. მერკვილაძისათვის „კარგი გადამწერლობისათვის“.

ჩვენი აზრით, ანა მერკვილაძე კარგი კალიგრაფი და ხელნაწერთა გადამნუსველი ყოფილა. ეს გვაფიქრებინა ანას მიერ კალიგრაფიული ხელით გაკეთებულმა წარწერამ: „წიგნი ეს „დავითინი“ („ფსალმუნი“—მ. ნ.) ეკუთვნის ანა მერკვილაძისას“. ქვემოთ: „მიძღვნილია ჩემი პირმშო შვილისათვის. ბიძინა მერკვილაძეს დედა ანასაგან“. საიდან მოხვდა ეს წიგნი გალაკტიონის ბიბლიოთეკაში, ცნობილი არაა.

ძალზე გულთბილი საძლვნო წარწერებით მიურთმევიათ გალაკტიონისათვის თავიანთი ნაწარმოებები გამოჩენილ მწერლებს. მაგალითად, მიხეილ ჭავახიშვილის „კურქას ქორწილის“ (ტფ. 1927 წ.) თავფურცელზე ასეთი მიძღვნაა: „ძეირთას არიფს გალაკტიონ ტაბიძეს — ავტორი მ. ჭავახიშვილი. 7.V—27“. ანდრო თევზაბის „ვარსკვლავების ღიმილის“ (თბ. „სახელგამი“, 1940) ფორზაცზე — „გალაკტიონ ტაბიძეს“.

„მუდამ ამის მონატრული ვიქნები,
ჩემი ლექსიც ცას ქუხილად მოედოს;
წაიკითხე, იგრძენ ჩემი ფიქრებიც
ჩვენი დროის უდიდესი პოეტი!
ან. თევზაბ. 15.X.40 წ.“.

ვლ. მაიაკოვსკის პოემების (М. «Международная книга». 1940) გერმანული გამოცემის ფორზაცზე მთარგმნელის საძლვნო

წარწერაა: Глубоко любимому Галактиону Табидзе, пародию
му поэту Грузии, поклон и дружбу, от его читателя и пат-
риота Советской Грузии. Гуго Гуперт. Тб. апрель 1952

ილია ქრებნურგის «Риза времени»-ის (Берлин-Петропо-
льис) ფორზაცხე ავტორის წარწერა: «Поэту Галактиону Та-
бидзе от всего сердца на память о нашей встрече в Париже.
Илья Эренбург. Ему წიგნი აღმართ იმ დღეების სახსოვანია, გა-
ლაკტიონი მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა პირველ მსოფ-
ლით ანტიფაშისტურ კონგრესზე რომ იყო წარგზავნილი საქართ-
ველოდან (1935 წ. ივნისი).

გალაკტიონის, როგორც მკითხველის გაცნობა გვაგონებს მი-
სჭულ სტრიქონებს:

„არის მკითხველი მშვენიერ წიგნის
და არის მხოლოდ გადამკითხველი“.

მაგრამ იგი არა მარტო „მშვენიერ“ წიგნებს კითხულობდა
ერთნაირი ექსპრესიონი, არამედ ყველაფერს, რაც აქტუალური იყო
და ჩისგანაც სწავლობდა პოეტი და, რომ გამუდმებით სწავლობ-
და, გვიღასტურებენ მის მიერ წაკითხული წიგნები — „მშვენიე-
რიც“ და „მდარეც“.

მმრიგად, გალაკტიონი ისეთივე ორიგინალური, მაღალპრო-
ფესიული მკითხველია, როგორიც პოეტი. მის მიერ წიგნებზე და-
ტოვებული წარწერები მიგვითითებს ერთ მეტად მნიშვნელოვან
მომენტზე: პოეტი-მკითხველის, ლიტერატორი-მკითხველის კითხ-
ვის პროცესი კომპლექსურია. მასში შერწყმულია ემოციური მსე-
ნელის, რედაქტორის, კრიტიკოსის, კოლეგისა და პოეტის ინტე-
რესები.

ቍዕስ — የፌዴራል ዓይነት ተናግሮች ማረጋገጫ

ବ୍ୟାକ୍ ପରିଚୟ ଓ ବ୍ୟାକ୍ ପରିଚୟ

პედაგოგიური მოღვაწეობა ჩან 1927 წელს დაიწყო კურსდელატურის საშეა-
ლო სკოლაში. მასშიც ოლეგის პედაგოგიური ტექნიკუმის სტუდენტი იყო. მესა-
მოცე წელია, რაც თაობათა აღზრდის კეთილშობილურ ხაյტეს გმისატურება. ამ
წლების მანძილზე მრავალი უცხანიშხავი მოქალაქე აღიზარდა საშოაბლოს.
დ. კირვალიძე კარგად არის ცნობილი რესპუბლიკის პედაგოგიურ სამყაროში.
განუახოვდებოდა მითი სიუკარული მშობლიური ენისა და ლიტერატურისადმი, ამ
სიუკარულს მოსწავლითიბაც მიჰიყოდ უნდრავდ.

ତେଣୁଳ୍ପାଦ କ୍ଷାମନ୍ତରୀ, କ୍ଷାମାପ୍ର ଲ୍. ପ୍ରିଣ୍ଟାଗଲ୍ଲିଙ୍ଗ୍ ପ୍ରେସ୍‌ଗ୍ରେନ୍‌ଗ୍ରେନ୍ ମିଲ୍‌ଲାଇ୍‌ବ୍ୟାକ୍‌ସ ପ୍ରିମିଂ,
ଏକର୍ତ୍ତର୍ତ୍ତ୍ଵ ମେଖିନ୍‌ବ୍ୟାକ୍ କ୍ଷାମନ୍ତରୀଶ୍ଵର ମାତ୍ର ପ୍ରିନ୍ଟିଂଶ୍ରେ କ୍ଷାମାପ୍ର ତାଙ୍କାମିଲ୍‌ଲେବ୍‌ଲ୍ୟ ବିଦ୍ୟୁତ୍-
ଚାଲିବ୍, ଏକାମିଳିବ୍, କମ୍‌ପ୍ଯୁଟର୍‌ବ୍ୟାକ୍ ମୁହଁନ୍ ତାଙ୍କିର୍ବେ ପ୍ରିନ୍ଟିଂର୍‌ବ୍ୟାକ୍ ପ୍ରିମିଂକୁ ଉପରେ
ମିଳିବ୍, ଏବଂ ଏ ମୋହିନୀ କ୍ଷାମାପ୍ର ପ୍ରିନ୍ଟିଂବ୍ ମୁହଁନ୍ କ୍ଷାମାପ୍ରର୍ବାଦ
ମିଳିବ୍.

— ბატონი დავით, ბერი რამ გვემენია თქვენი პირადი ბიძლი-ოთვების და წიგნების შეართვებით თქვენი გატაცების შესახებ. თქვენ

გაქვთ უნარი სხვასაც შეაყვაროთ წიგნები, კითხვა... ასეთ **საყვარელს** წიგნებისადმი, აღბათ, მტკიცე საფუძველი განაპირობისთვის.



დავით კირვალიძე

— წიგნის სიყვარულს დედას ვუმაღლო. უბრალო ქართველი ქალი იყო, მაგრამ კითხვა ძალიან უყვარდა. გულმოდგინე მკითხველი იყო. წაკითხულს მთელი ოსებით შეიგრძნობდა და განიცდიდა. თითქმის ზეპირად იცოდა დიდი ილიას „ოთარაანთ ქვრივი“ და „გლახის ნამბობი“, გულდასმით კითხულობდა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს. ცდილობდა ეს სიყვარული ჩევნოვის, ბავშვებისთვისაც ჩაენერგა. მეც ხარბად დავეწაფე წიგნს. ბავშვობისას წაკითხული წიგნებიდან ბევრი დღესაც კარგად მახსოვეს. სამოცდაათი წლის წინათ ნასწავლი ლექსიც კი უშეცდომოდ შემიძლია ვთქვა. შემდგომში, ლიტერატურის გავვეთილებზე. ჩემს მოსწავლეებს პირობას ვართმევდი, რომ ის ლექსები, რომლებიც მე ზეპირად ვიცოდი, მათაც სცოდნოდათ. ეს ერთგვარი ვარჯიში და საინტერესო შეჯიბრი იყო მათთვის.



წიგნის შეგროვებაც ადრეულ ასაქში დავიწყე. ერთმა საოცარ მა შემთხვევამ კი ძეირფასი გამოცემები შემძინა. ეს იყო 19ს მილიონიანი წელს. ოცლავის რაიონის სოფელ ვანთაში, სადაც დავიბადე და სადაც ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა, ჩამოატარეს წიგნებით დატეხილი ტომრებით საესე ურმები. მა წიგნებს ასევე ტომრებით პყიდნენ. ალბათ, ძალიან უჭირდთ, თორემ ასეთ საგანძუროს ასე ითლად ვინ ვამეტებდა! შევეხვეწე დედას და სამი ტომარა წიგნი შეეძინეთ სიმინდის ფქვილის ფასად. დედაჩემი — ბარბარე ერგებიძე გულუხვი ქალი იყო და დამატებით ნახევარი კვერი ყველაც გაატანა. წიგნის მფლობელებმა თუ გამყიდველებმა კიდევ მოგვცეს წიგნები. დედაჩემიც ვალში არ დარჩა, დაუმატა სიმინდის ფქვილი და საგზაოდ ერთი ხელადა ლვანო და კაზური შოთებიც. მაშინ უამეტი წლის ყმაწველი ვიყავი. მა წიგნების ფასი ჯერ კარვად არ ვიცოდი. ტომრებში აღმოჩნდა მ. საპირისი „საქართველოს სამოთხე“ (ცეტერბურგი, 1880 წ.), ალ. ყაზბეგის თხზულებანი 4 ტომად (შარაძის სტამბა, 1893-1895 წწ.), პომეროსის „ოდისეა“ (მოსკოვი, 1847 წ.), „ეპისკოპოს გებრიელ ქიქონის 1860-70 წლების ქადაგებანი“ („ივერიის“ სტამბა, 1870 წ.), ეურნალ „ივერიის“ 1881 წლის ნომრების კომპლექტი და სხვა უნიკალური გამოცემები. ამ უნიკალურმა წიგნებმა დასაბამი მისცა ჩემს პირად ბიბლიოთეკას.

— მართლაც, „ბეჭდინიერი შემთხვევაა“. მავრამ ეს წიგნები თქვენს ხელში რომ მოხვდა, შემთხვევითობას არ უნდა მიუაწეროთ, რადგან წიგნებმა ჰქონისტი წიგნის მოყვარული იპოვნებს, თავისი ჰქონისტი პატრიონი შეიძინებს. ამ შემთხვევაში „ბეჭდის მისამართი“ სწორი გამოდგა. როგორც იტყვიან, კარგი დასაწყისი წარმატების საწინდარია. ამებად თქვენ სოლიდური პირადი ბიბლიოთეკა გაქვთ, სადაც, როგორც ჩანს, დიდი ადგილი უკავია მხატვრულ ლიტერატურას.

— მართალია, მხატვრული ლიტერატურა განსაკუთრებით მიტაცებს. მათში ძალუმად იგრძნობა ცხოვრების მაჯისცემა. საოცარი სამყაროა, თითქოს გამოგონილი, მაგრამ ნამდვილზე ნამდვილი. მაქვს ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის წიგნებიც, ენციკლოპედიები, ლექსიკონები... დღეისათვის ჩემს ბიბლიოთეკაში სამი ათასამდე წიგნია. თითოეული მათგანი ძეირფასია ჩემთვის, დაწყე-

ბული „შუშანიკის წამებით“. მაქვს „ვეფხისტყაოსნის“ 25 გვ. ციტატა-
მა. ორჩილის, თეიმურაზ პირველის, დავით გურამიშვილის უსუნდა-
მერტური გამოცემები, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელია-
ნის, გიორგი ერისთავის თხზულებები, ილია ჭავჭავაძის ათტომეუ-
ლი, კრიტიკული ლიტერატურა მიხეილ ზანდუკელისა და ვახტანგ
გორგატიშვილის, კორნელი კეჩელიძის ტომები, ივანე ჯავახიშვილის
ტომეულები, იოსებ დავითაშვილის ლექსების პირველი გამოცემა
(1890 წ.), გიორგი ქუჩიშვილის ლექსების კრებული, გალაკტიონ
ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის ტომეულები.

— რომელი წიგნებია ყველაზე ძვირფასი თქვენთვის?

— ყოველი წიგნი ძეირფასია ჩემთვის, წიგნი ხომ ადამიანის
ბიოგრაფიის ნაწილია. ყოველთვის გულმოდგინედ ვარჩევ შესაძენ
ლიტერატურას. თითოეულ წიგნთან გარკვეული მოგონება მავავში-
რებს და მაინც განსაკუთრებით მიყვარს და ვუფრთხილდები ძე-
ლისძველ გამოცემებს. როგორც მკითხველი, ბავშვობისას გატაცე-
ბული ვიყავი ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებით, ჩემი სული-
ერი საზრდო ყოველთვის იყო და ამჟამად არის „ვეტენისტყაოსა-
ნი“. ივი, როგორც იტყვიან, ჩემი სამავიდო წიგნია. ხშირად ვკით-
ხულობ ნაწყვეტებს ამ გენიალური პოემიდან და, რაც უფრო მე-
ტად ვკითხულობ, მით უფრო შეტეს ვიძენ მისგან.

— ყოველი ბიბლიოფილი წიგნის საუკეთესო პროპაგანდის-
ტიც არის. მისი ბიბლიოთეკით სარგებლობენ სხვებიც. იგი არა-
მარტო იძენს წიგნებს, სხვებსაც უჩჩევს მათ წაკითხვას, ერთგვარი
შეამაგალიყო კი წიგნსა და მკითხველს შორის.

— ჩემი ბიბლიოთეკის უპირველესი მკითხველები ჩემი მოსწავლეები არიან. იდამიანებს ბავშვობიდანვე უნდა შევაყვაროთ კითხვა, მოსწავლეთა გარდა ჩემი ბიბლიოთეკით სარგებლობენ მასწავლებლები, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლები და სხვა წიგნისმოყვარულები. მკითხველთა რიცხვი 35 ათასზე მეტს აღწევს. ყოველწლიურად კი სამასამდე მკითხველი მყავს.

— გაქვთ თუ არა ავტოგრაფიანი წიგნები?

— დღემდე მაქვს დავით თურდოსპირელის წიგნი წარწერით: „ბატონ დავით კირვალიძეს, რომელმაც უანგარო დახმარება გამი-



წია ხეიბრობაში ჩავარდნილს“. „საქართველოს კილენდარი“ კალი-
სტრატე ცინცაძის წარწერით. ჩემი ნამოწაფარის, საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო-მექანიკის ინსტიტუტის დაბა-
ნებრიონის, პროფ. ი. ზურაბიშვილის წინადადებით ბიბლიოთეკაში
შემოეღება ცალკე განყოფილება, სადაც თავმოყრილია ჩემი ყოფილი
მოსწავლეების შრომები აეტოვრაფებით, აქ თავმოყრილია თეოთონ
ი. ზურაბიშვილის შრომები, პროფ. ზ. ალექსიძის მონოგრაფიები,
ლენინერი პრემიის ლაურეატის, პროფ. მ. მესტვირიშვილის შრო-
მები, პროფ. ზ. ცხაკაიას სადოქტორო შრომა და ა. შ.

— როგორც წიგნის ჰეშმარიტი მოყვარული, ალბათ, სხვე-
საც ეხმარებოდათ პირადი ბიბლიოთეკის შექმნაში...

— წიგნის სიყვარული ჩემთვის მხოლოდ პირადი ინტერესი არ
ყოფილა. ვცდილობდი, სხვებისთვისაც ჩამენერგა იგი. განსაკუთ-
რებთ მიხაროდა, როდესაც ჩემს ირგვლივ მყოფთაგან ვინმე გამო-
იჩენდა პირადი ბიბლიოთეკის შექმნის სურვილს. ასეთებს ყოველ-
თვის ვეხმარებოდი. თავიანთი პირადი ბიბლიოთეკის შექმნას მე
შიმადლიან ექიმი ი. მანველოვი, პროფესორი ა. კიკოლოვი. თითო-
ეულ მათგანს ასამდე წიგნი გადავეცი. ჩემი რჩევით შექმნეს პირადი
ბიბლიოთეკები ჩემმა დამ და შვილებმა, ბევრმა ჩემმა თანაქალ-
ქელმა. ბიბლიოთეკის შექმნაში ვეხმარები ჩემს შვილიშვილებს.

როდესაც ჩემთვის საინტერესო წიგნს გამოვიწერდი, სხვებ-
საც ვატყობინებდი, სად შეეძინათ იგი. თითქმის ყველა ჩემს ნამო-
წაფარს აქვს ჩემგან ნაჩქარი წიგნები წარწერებით. მათი ჩამოთ-
ვლა შორს წაგვიყვანდა. ბევრ მათგანს ზეპირად ახსოვს ის წარწე-
რები.

— ოქვენ, როგორც ბიბლიოფილს და მკითხველს, კითხვის
დიდი გამოცდილება გაქვთ. ოქვენ ხომ კითხვის წევეას თქვენს
მოსწავლეებსაც უნერგავდით. ეს დიდი საქმეა, რადგან კარგი მკი-
თხველი კარგი მეცნიერია, კარგი ინჟინერია, კარგი მუშაა და
ექიმი... კითხვაც თავისებური მეცნიერებაა. მის წესებს ზედმიწვევ-
ნით უნდა დაეუფლოს ადამიანი, რათა შესძლოს მოავარისა და
მეორეხარისხოვანის გარჩევა, საჭირო ცოდნის შეძენა, როგორც
ვალაკებიონი იტყოდა: „არის მკითხველი მშვენიერ წიგნის და არის
მხოლოდ გადამკითხველი“...

— წიგნი გადამკითხველისათვის არ იშერება. კითხვა  უპირველესად, შრომაა, გონიერი ვარჯიშია, მისი სალესაფურავი მკითხველი წიგნს დიდი სიყვარულით უნდა კითხულობდეს. უისაც ეს არ შეუძლია, ნამდვილ მკითხველად არ მიმაჩნია. მკითხველს წიგნი მთლიანად უნდა უყვარდეს, მაგრამ ამასთანავე წინასწარ ვარგად უნდა შეარჩიოს, რა წაიკითხოს.

წიგნს რომ გკითხულობ, აღნიშვნებს ვაკეთებ, რა მომენტია და რისთვის. ხან წიგნის ბოლოში ვუმატებ ფურცლებს, ვიწერ პერსონაჟებს და ვინიშნავ, რომელ გვერდზეა ჩემთვის საინტერესო გამონათქვამი. მიყვარს, როდესაც გმირი თავის თავს ან რაიმე მოვლენას აფასებს. ფრთიანი გამოთქმები მკითხველმა უნდა დაიხსომოს როგორც საკუთარი პიროვნების ჩამოყალიბების. ასე დამიანებზე ზემოქმედებისათვის, რათა მათაც შეაყვაროს წიგნი და კითხვა.

ყველასათვის სავალდებულოდ მიმაჩნია ლიტერატურის კორიფეული შემოქმედების ცოდნა. თითოეული ერის წარმომადგენელი კარგად უნდა იცნობდეს მშობლიურ ლიტერატურას. შეიძლება სხვა ქვეყნებში კარგად არ იცნობდნენ ილიას, აკაკის, ვაჟას, კონსტანტინეს, გალაკტიონს... მაგრამ მე მათ ყოველთვის პირველ ჩიგში ვაყინებ. მხოლოდ უცხოურ წიგნებს გამოდევნებული მკითხველი იმ ტურისტებს მაგნებს, რომელიც კარგად არ იცნობდნ მშობლიურ მხარეს და უცხოეთის ქვეყნებში მიდიან სამოგზაუროდ. თუ გინდა უცხო ქვეყანა შეაფისო, ჯერ შენს სამშობლოს უნდა იცნობდე. განსაკუთრებით მიყვარს მოგზაურობა. საშუალო სკოლის დამთავრებასთან ერთად დავამთავრე საქართველოს პირველი შემოვლა. ფეხით მოვიარე ხევსურეთი, ფშავი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხემი. მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, ახლაც ხშირად ვმოგზაურობ. თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში სტუდენტებს უკარისავდი მხარეთმცოდნეობის კურსს, ვაცნობდი საქართველოს ისტორიულ ძეგლებს, მხარეთმცოდნეობის სიყვარულმა განაპირობა. რომ შვიდი წელიწადი ვიმუშავე თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორად. 1953 წელს, როდესაც კონკრეტულად დადგა საკითხი, რომელი მიმეტოვებინა: სკოლა თუ მუზეუმი, ისევ სკოლაში მუშაობა ვარჩიე. მოგზაურობის შთაბეჭდილებებს მუდამ ვუკავშირებდი ქართული ლიტერატურის გმირთა სახელებს, ქართველი მწერლების და საზოგადო მოღვაწეთა სახელებს და ასე გა-

დაცემდი ჩემს მოსწავლეებს. ქართული ლიტერატურის სიყვა-
რულთან, ჩვენი ისტორიული ძეგლების სიყვარულთან ერთად, მექანიკური
საშობლოს სიყვარულს ვასწავლიდი.

— დოდია წიგნის როლი ნამდვილი ადამიანის აღზრდა-ჩამო-
ყალიბებაში, დღევანდელ ეპოქაში, როდესაც კაცობრიობამ ახეთი
დიდი ცოდნა დაავროვა ცხოვრების ყველა სფეროში, შეუცვლელიც
კი არის. ნამდვილი ვანათლება ის წყაროა, რომელიც ადამიანს აკე-
თილობრივებს, მის ცხოვრებას აზრს აძლევს. მკითხველი ბავშვო-
ბიდანვე უნდა აღიზარდოს, თორემ ზოგიერთი ადამიანისათვის
წიგნის შეკროვება ერთგვარ „მოდად“ იქნა, ისინი აკროვებენ ისეთ
წიგნებს, რომლებიც მათ არ სჭირდებათ ან არჩევენ გარეკანის მი-
სვედვით. ზოგიც იძენს წიგნებს, შავრამ ისეა გაეცენთილი კერძო-
მებაკუთრული ინტერესებით, რომ წახაკითხად არავის არ მიაკა-
რებს.

— სამწუხაოოდ, ისეთ ადამიანებსაც შევხვედრივარ, რომელთაც
მდიდარი ბიბლიოთეკა აქვთ და არც ერთი წიგნი არა აქვთ წაკით-
ხული. ასეთი ბიბლიოთეკა დეკორატიულ მოსართავს უფრო მავლ-
ნებს. ეს სნობიზმია და არა წიგნის სიყვარული. კარადის დასამშვე-
ნებლიად შეძენილი წიგნი არავითარ ლირებულებას არ წარმოად-
გენს, რაღაც იგი მკვდარია როგორც მფლობელის, ისე სხვისთვის,
რომელსაც ეს წიგნი სჭირდება. ეს არ არის წიგნის სიყვარული.

— რას ფიქრობთ წიგნის ვაჭრობის შესახებ?

— წიგნის ვაჭრობა რთული და ფაქიზი საქმეა. ამ დარგის
მუშაკებმა ზედმიწევნით უნდა იცოდნენ მკითხველთა მოთხოვნი-
ლება, მათი ინტერესები. წიგნის გამყიდველს უდიდესი შინაგანი
კულტურა უნდა ჰქონდეს. იგი მარტო წიგნის გამყიდველი კი არა,
მკითხველთა მრჩეველიც უნდა იყოს. მახსოვს, ჩვენს ქალაქში იყო
„სახელგამის“ წიგნის მაღაზიის დირექტორი ვარა ბარძიმოვა, რო-
მელმაც შეუმცდარად იცოდა, ვისთვის რა წიგნი უნდა მიეყიდა არა
რანგისა და შელავათების მიხედვით, არამედ მკითხველის ინტერე-
სის შესაბამისად. ასეთი უნდა იყოს წიგნის გამყიდველი.

— ბატონო დავით, თქვენს შესანიშნავ ბიბლიოთეკაში მრავა-
ლი საინტერესო და უნიკალური გამოცემაა, რომელთაც არა მარტო

ლიტერატურული, კულტურული ღირებულებაც გააჩნიათ. თქვენ
უშერველად ასარგებლებთ ამ წიგნებით ჰეშმარიტ მკითხველობის
წიგნის დანიშნულებაც ხომ ისაა, რომ იგი ხელმისაწვდომი იყოს
იმ ადამიანებისათვის, ვისაც ისინი სჭირდებათ. მხოლოდ ამ ვზით
შეიძლება გაფინვრძლივდეს წიგნს სიცოცხლე.

— მართალი ბრძანდებით, მხოლოდ ჰეშმარიტ მკითხველებს
ვემსახურები. ჩემი ბიბლიოთეკის კარი ყოველთვის ღიაა მათ-
თვის. ვცდილობ, წიგნზე მუშაობის თუ რამ გამოცდილება გა-
მაჩნია, მათაც გადავცე. უფრო კი ახალგაზრდობას ვეხმარები, ვუ-
წევ კომსულტაციას, ვურჩევ საკითხავ ლიტერატურას, ვუდვივებ
წიგნის სიყვარულს.

ძალიან მიყვარს ჩემი ბიბლიოთეკის თითოეული წიგნი, გან-
საკუთრებით მაინც უნიკალურ გამოცემებს ვუფრთხილდები და
ამიტომ ვცდილობ, მათ ღირსეული მემკვიდრე გამოვუნახო. მინდა,
ჩემი წიგნები ყოველთვის იყოს ხალხის, საზოგადოების სამსა-
ხურში.

• გრაფის შეზღუდვები

ო. კულტურის სიმღიდრის დაუშრეტელი წყაროა! ოლონდ უნდა იცოდე, როგორ ისარგებლო მისი სიკეთით. კურთხეულ იყოს ის დღე, როცა მე, სოლიდური წიგნის გამომცემლობის წარმომადგენელმა, გრაფ იქ्सის სახლის კარი შევაღე.

ფრიად სანდომიანი ახალგაზრდა ქალი შემომეგება. გრაფის მეუღლე გახლდათ. ჩემი სადარბაზო ბარათი ვაჩვენე და ვუთხარი, რომ გამომგზავნა ბიძამისმა, სენატორმა, რომელიც, ჩვენს შორის დარჩეს და, გამომცემლობის აქციონერიცაა.

— გავიგე, სულ ახლახან დაქორწინებულხართ — დავუმატე მე, რა თქმა უნდა, უაღრესად თავაზიანად. — ასე, რომ ადვილი შესაძლებელია, გამოვადგეთ ჩემი დახმარება თქვენი პატარა ბუღის კეთილმოწყობაში.

— რა შესანიშნავი აზრია! — წარმოთქვა გრაფის მეუღლემ და ახალგაზრდა გრაფს მიმართა: — ყორჯ, ჩვენმა ძვირფასმა ბიძამ გამოვგიგზავნა სენიორი, რომელიც წიგნებს ჰყიდის.

— დალაპვროს ეშმაკმა! — წარმოიძახა გრაფმა, — სწორედ წიგნები დაამშევენებს ჩვენს ბინას! ადრე რატომ არ ვიფიქრე ამაზე. კიდევ კარგი, რომ რაღაცები არ მივაღი და არ ჩამოვაფარე კედლებს. აბა გვიჩვენეთ, რა შეგიძლიათ შემოგვთავაზოთ?

კეთილსინდისიერად და მოწინებით დავიწყე ჩამოთვლა იმ წიგნებისა, რომლებიც ჩემს კატალოგში შედიოდა: ენციკლოპედიები, ისტორიული და მხატვრული ნაწარმოებები, სამეცნიერო, კურომიკური და პოლიტიკური შრომების კრებულები, იტალიური და უცხოური ლიტერატურის შედევრები და ასე შემდეგ.

— არა, არა, მოითმინეთ! — შემაწყვეტინა გრაფის მომხიბლავმა მეუღლემ, — ჩემმა ქმარმა კარგად ვერ აგიხსნათ. გვინდა 6. მწიგნობარი 86

შევიძინოთ რამე ლამაზი, ძალიან ლამაზი. ხომ მართალდა, ძვირფასო? მაგალითად, წიგნები ლამაზი, სასურველია, მუქ წითელი ყავაში, ფერით ჩვენ პატარა სავარძლებს რომ მოუხდება.

— შენ ასე ფიქრობ, ძვირფასო? — საკმაოდ გაუბედავად წაილულულა გრაფმა. — ვენეციური წითელი ხომ არ იქნებოდა უფრო შესაფერისი? არ მინდა შეგდავო, ჩემო სიცოცხლევ, მაგრამ ვფიქრობ, ვენეციური წითელი უფრო ნაზი და მავე დროს უფრო ჭიამბეჭდავი ფერია.

გრაფის მეუღლემ ოთხებში გაგვიყვანა და ოვალების პუტებით, თავის ღდნავი ქნევით, შვიდი ქვედატანის შრიალით ჩაუარა მრავალრიცხვან სხვადასხვა ზომის დივანს. მერე უცებ ღიმილმა სხევ გაუბრწყინა და, ღმერთო ჩემთ! კიდევ უფრო გალამაზდა!

— ვენეციური წითელი? — წაიტიტინა მან, — თანახმა ვარ, იყოს ვენეციური წითელი.

გაუბედავად შევნიშნე, ვენეციური წითელი ფერის ყდებში მხოლოდ ეთნოგრაფიულ და ფილოსოფიურ თანხულებათა კრებულები გვაქვს-მეთქი.

— რამდენი მეტრი გექნებათ ამ ფერის წიგნები? — მკითხა გრაფის მეუღლემ.

„ალბერტო, — ვუთხარი საყუთარ თავს და წამით თვალები მოვხუჭე, რომ ეს გაფრთხილება შელწეულიყო სულის სილრმეში, სადაც იმალება ძალები, რომელთაც შეუძლიათ ბრწყინვა შესძინონ თვალებს, ფერი დააკარგვინონ ლოყებს და კიდევ ბევრი ამის მსგავსი რამ მოიმოქმედონ, — ალბერტო, თუ არ დაასახელებ ციფრს — ათი, ყეყეჩი იქნები.“

— ხუთი მეტრი, — ამოვლერლე, როგორც იქნა და გვიფიქრე, რომ ყველა ჩემი დასახელებული თხზულება, ერთად იღებული, ისოც სანტიმეტრზე მეტს არ დაიკავებდა ერთად, მაგრამ, არა უშავს, როგორმე მოვახერხებ მდგომარეობიდან გამოსვლას.

— არანაკლებ ცხრა მეტრისა დაგვჭირდება, — თქვა გრაფის მეუღლემ, — ასე არ არის ძვირფასო? ახლა სანტიმეტრს მოვვიტანენ და ყველაფერს გავზომავთ... ღმერთო ჩემთ, რა სანტერესოა!

დაიწერიალა პატარა ზარმა. შემოვიდა მსახური და მყისვე გაუჩინარდა. მალე კი სანტიმეტრით ხელში დაბრუნდა.



— კშიშობ, — მოულოდნელად განაცხადა ახალგაზრდა გრაფი ქ. — რომ ცხრა მეტრი მარტო ვენეციური წითელი საქმაოდ ერთობლივ ფეროვანი იქნება. ძვირფასო, ხომ არ გაიხსენებდი რომელიმე ფერს, რომელიც ვენეციურ წითელს მოუხდებოდა?

— ჰყებელა ყვითელი, — დაუფიქრებლად წამოისროლა გრაფის მეუღლებ და თვალები მოჭუტა. — ეს ხომ ნეაპოლური ყვითელია. დარწმუნებული ვარ, ასე ჰქვია. მოგეძევებათ ასეთი ვერსის წიგნები?

— „ალბერტო — კვლავ ვუთხარი საკუთარ თავს — და სახრისულ წამოვდექი, რომ არ გადამეხარხარა, — თუ კულტურის ამ ნიშის ქმანებს ეტყვი, რომ ამ ფერის ყდებში მხოლოდ უმაღლესი მათემატიკის სახელმძღვანელოებია ჩასმული, სინდისგარეცხილი აღაზიანი და სადისტი ყოფილხარ“.

შევთანხმდოთ ვენეციური წითელის ხუთ მეტრზე, ნეაპოლური ყვითელის ოთხ მეტრზე და კიდევ, ჩემი რჩევით — ყოჩალ ილბერტო! — ვერონეზეს მწვანის ორ მეტრზე (ბუდისტური საღვთო წერტილები ორიგინალური ტექსტით) და კონტრაქტს მოვაწვრეთ ხელი. გრაფმა ჩეკჩეც გამოიყვანა თავისი ხელმოწერა და დურგალი გმოიძახა. მისმა ცოლმა კი თავის დაქალებს დაურეკა და სისიხარულო იმპავი აცნობა. უკვე გამოთხვებასა და წასვლის გაპირებდი, რომ გრაფის მეუღლებ ხელით მანიშნა, შეიცადეო.

დიდი მოკრძალებით დავიხარე მის სავარეცლთან ახალი მითითებების მოლოდინში. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა ჰერცოგის საულ ს-ს სურდა ჩემი ხილვა დღის ითხოვის ცნობილი მინისტრის ქალიშვილი სინიორა ზეტი კი ხუთზე მელოდიუმა. შემდეგ გრაფის მეუღლებ თქვა, შეიძლება სინიორა ალექსაც (იგი მიწებს ფლობს აბრუცოში) შევთავაზოთ თქვენი წიგნები. მაგრამ, მასთან, ჩემის აზრით, სჯობს ხვალ შეიძოოთ. მართალია, ზედმიწევნით თავიზიანი ბრძანდებით, მაგრამ თქვენც ხომ გაქვთ უფლება, საღამოთი კინოში წახვიდეთ.

მყისვე დავარწმუნე, რომ არასდროს გავცვლილი ჰეშმარიტ კულტურას კინოზე, და სამივე მისამართი ჩავიწერე.

საღამომდე მოვახერხე გამეყიდა კიდევ თორმეტი მეტრი ვენეციური წითელი, შვიდი მეტრი ნეაპოლური ყვითელი და სამმეტრნახევარი ვერონეზეს მწვანე, შემდეგ კი პატარა შებრძოლება მო-

შიხდა წიგნის მაღაზიაში მომუშავე ბიუროკრატებთან, რომლებსაც, რატომდაც უნაურად ეჩვენათ, რომ ახალგაზრდა პერცუფლებისუკ ლმა ისურვა შეეძინა სამნახევარი კომპლექტი შრომებისა ორგანული ქიმიის დარგში. თითქოს შესაძლოა, რომ განათლებული ადამიანი ასეთი მნიშვნელოვანი შრომების მხოლოდ ერთი კომპლექტით დაკმაყოფილდეს.

— არაფერი გაგეგებათ, — განვაცხადე საქმაოდ მკაცრი ხმით.

— კულტურა — უპირველესად ყოვლისა ერთგულება და მოთმინებაა... თქვენ კი გადაიკითხავთ თუ არა წიგნს, მყისვე ამოხევთ ფურცლებს, რომ უანგიან ლურსმანზე ჩამოაცვათ, კარგად მოგეხსენებათ, რა მიზნითაც, მაღალი წრის წარმომადგენლებს კი ყოფნით მოთმინება ათვერ გადაიკითხონ ერთი და იგივე წიგნი და არ მობეზრდეთ. თანაც, როგორ ყოფა ერთი კომპლექტი ყველა ოჯახის წევრს? ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად, რიგრიგობით ხომ არ წაიკითხავენ? ერთი სიტყვით, საღებავების თქვენი ასორტიმენტი ნამდვილად სასაცილოა. თუკი წიგნის ბაზარი მოითხოვს, მაგალითად, პრესიული ლურჯი ფერის წიგნებს, მიეცით მას ეს პრესიული ლურჯი! ხომ არ შეუძლია ხალხს ცვალოს ავეჯი, ხალიჩები ან შპალერი იმისათვის, რომ მათი ფერი თქვენი ყდების ფერს მიუსადაგოს. გესმით თუ არა ეს?

რა თქმა უნდა, ხდება ხოლმე, როცა გამომცემელი თვითონ ვამოიჩენს ინიციატივას. ერთი თვის წინათ, მაგალითად, გამოვიდა წიგნი შავ-წითელ ყდაში, რომლის ერთი შეხედვა სუნთქვას შეგიკრავდათ.

ეს რომ გაიგო გრაფის მეუღლე იქს-იგრევმა, ახალგაზრდა გრაფს უთხრა:

— წარმოიდგინე წიგნი ასეთ ყდაში, დაუღევრად მიგდებული ჩემი დიდებული მანქანის ნაცრისფერ სავარექლზე. ასეთი სურათი თავგბრუს დაახვევს კაცს, ჰკუიდან შეშლის პოლიციელებსა და მძღოლებს.

შევხედე და დავაპირე თქმა: „პოლიციელებისა და მანქანების მძღოლების ჰკუიდან შესარყევად საქმარისია თვითონ გამოჩნდეთ ქუჩაში თქვენი მოხდენილი ტანით, ან გამოყოთ მანქანის



სარქმლიდან მომხიბლავი იდაყვი, ან გაიქნიოთ თავი, საყვარლად
გაჩეჩილი ქერა თმა რომ ამშვენებს“, მაგრამ შინაგანმა ხმამ გააკორცება
მაფრთხილა: „ალბერტო, ნუ აწყენინებ ამ მშვენიერ და გულის
ამაჩუყებლად უმეცარ სინიორას. ნუ დაგავიწყდება, რომ მკერდ-
ქვეშ უძვერს გული, რომელიც ესწრაფვის კულტურასა და შევ-
წითელ ყდებს. უმჯობესია, იფიქრო მისი ცოდნის წყურვილზე და
შესანიშნავ კარიერას გაიკეთებ. ყველაფერ დანარჩენზე კი — მისმა
ქმარმა იზრუნოს“.

ალასთორის ვიზიტი

სუსხიანი დღე იდგა. გარეუბნის უკაცრიელ ქუჩაში პატრიკ ა' კ-ს უზარმაშარი „ლინკოლნი“ გაჩერდა. მანქანიდან გამოსულმა მაღალმა, არცთუ ახალგაზრდა, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარბაგმა მამაკაცმა, თხელ წითურ თმაში ჭარბარა რომ შერეოდა, უბის წიგნაჟში ჩაიხედა. როცა დარწმუნდა, იმ ქუჩაზე იმყოფებოდა, რომელსაც ეძებდა, ბაყალს სთხოვა, 117-ბ სახლი ეჩვენებინა. ბაყალმა უჩინენა. სახლი უბადრუკი იყო. ეზოდან ბავშვების ყვირილი და ძაღლების ყეფა ისმოდა. ნუთუ აქ ცხოვრობს პონციო მაკი, მისი შემოქმედების ყველაზე დაუღალავი და შესაძლოა, ყველაზე საუკეთესო უცხოელი პროპაგანდისტი? ნამდვილად ასე იყო. ყველაფერი ემთხვეოდა — ქუჩაც და სახლის ნომერიც. პატრიკ ა' კ-მ, რომელსაც მთელ მსოფლიოში ალასტორის ფსევდონიმით იცნობდნენ, გაითიქრა, თუმცა რა არის გასაკვირი, — ეს ხომ ჭეშმარიტებაა, რომ ამაღლებული სულის ადამიანებს, ესოდენ განსხვავებულებს დანარჩენი ორფეხებისაგან, ბედი არა სწყალობთ. საბოლოოდ დარწმუნებულმა ამაში, ალასტორმა გრაბა¹ გადაპერა, ბაყალს ფული მისცა, დაავალა მანქანისათვის მიეხედნა და კიბეს აპყვა. ბოლო სართულზე ელოდა სპილენძის ფირფიტა წარწერით: პონციო მაკი.

დიდხანს აკაკუნებდა (ზარი არ მუშაობდა). კარი გაუღო უცვირპირო, შეუხედავმა, ფეხსუმმა და აჩაჩულ-დაჩაჩულმა, გაურკვეველი ასაკის ქალმა ცინგლიანი ბავშვით ხელში. აღბათ, მთარგმნელის ცოლი იყო. პატრიკ ა' კ-მ, რომელმაც იტალიურად სიტყვაც კი არ იცოდა, რამდენიმე ენაზე პკითხა, ეს არის ბატონ პრო-

¹ იტალიური მაგარი სასმელი.



ფესორ მავის ბინაო? მაგრამ ქალმა არ უპასუხა, ეტყობა, არც
ერთი ენა არ ეპიტნავა. მაშინ სტუმარმა თვისი სადარბაზო ჰქონდა
რათი მიაჩეხა.

ალასტორი ვიწრო და ცივ სასტუმრო ოთახში შეიყვანეს, სა-
დაც წიგნის კარალაში გამოსაჩენ აღვილას იდო მისი ოთხი წიგნი,
და მარტო დატოვის. ერთხანს მეზობელი ოთახიდან საბეჭდი მან-
ქანის კავუნი ისპოდა. მერე უცებ შეწყდა. ამერიკელს კარგა ხანს
მოუხდა ცდა და გვარიანად გაითაშა.

შემდეგ ლაბარაკის და ფანჯრის დახურვის ხმა შემოვსმა. მალე
ისევ სიჩუმე ჩამოვაზდა. რამდენიმე წუთის შემდეგ სინიორა მაკი
დაბრუნდა და ილასტორი პატივუებული მთარგმნელის კაბინეტში
შეიყვანა. ოთახში ბნელოდა. დარაბები დახურული იყო. როცა სი-
ნათლე აანთეს, ილასტორმა მწოლიარე მამაკაცი დაინახა. დაფლე-
თილი საბნების გროვიდან ფერწასული სახე მოჩანდა. ავადმყოფს
თავზე ძეველი შარფი ჰქონდა მოხევული. პატარა მარმარილოს მა-
გიდაზე ხელნაშერი იდო. — შესაძლოა ილასტორის მორიგი ნაწარ-
მოების თარგმანი, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობდა.

სინიორა მაკი ოთახში დარჩა, რომ საუბარს დასწრებოდა.
სტუმარმა თავი დაუკრა ავადმყოფს და ჰქითხა, ხომ ნამდვილად
პროფესორი მაკია მის წინაშე? (Yes¹. იყო პასუხი. და სამწუხა-
როდ, ავად ხომ არა ბრძანდება? (Yes) მერე სინანული გამოთქვა,
ასე უდროო დროს რომ ესტუმრა (Yes), და მადლობა გადაიხადა
იმის გამო, რომ ილასტორის შემოქმედების უბადლო პროპაგანდის-
ტი პონციო მაკი, მისი წიგნების თარგმნას სწირავს თავის უძირ-
ფასეს დროს, რომელიც შეუძლია უკეთესად გამოიყენოს, (Yes)
მონოლოგი სულ ორწუთიანი იყო, მაგრამ ავადმყოფი, ეტყობოდა,
მალიან დაიტანგა. იქნება დარჩეს მასთან? თუ, პროფესორ მაკის
სრული სიმშეიდე ურჩევნია? ხომ არ სცირდება წამლები, დახმა-
რება, რჩევა? რიგიანი ექიმი პყავს? კიდევ რომ გაესინჯოს? ან
იქნებ ჯობდეს, საერთოდ არ უგდოს ყური ესკულაპებს?

ყველა კითხვაზე პასუხად უნივერსალური (Yes) გაისმოდა. მო-
რიგი Yes-ის შემდეგ ილასტორმა თქვა, რომ ილარ უნდა ავად-

¹ ინგლისურად — „დიახ“.

მყოფის შეწუხება, თავი დაუკრა მთარგმნელს და მისი ღოთხი
დატოვა.

ამერიკელი კიბის ზედა ბაქანზე გამოემშვიდობა სინიორა მა-
კის, ქუჩაში ჩავიდა, კიდევ ერთხელ გადაპრა გრაპა და თავის
„ლინკოლნში“ ჩაჯდა.

სტრინგეს ქუჩაზე მდებარე № 117-ბ სახლის დახურული დარა-
ბის ქუპრუტანიდან მას თვალს ადევნებდნენ ლოგინიდან წამომხ-
ტარი პონციო მაკი, რომელსაც ტანთაც ეცვა და ფეხშეც, მისი ცო-
ლი და საძი აგზნებული ბავშვი.

— ვინ ეხვეწებოდა ნეტავი, დაუპატიუებლად რომ დამაცხრა
თავს, — ბუზლუნებდა პონციო და შუბლს ისრესდა. — ინჩაბინჩი
არ იცის იტალიურისა ამ ყეყერმა, მოდი და გაივე, რას ფიქრობს!
ხომ არ უთქვამს, კიდევ შემოვივლიო?

— მერედა რა, ისევ გახდები ავად, — გესლიანდ ჩაიხილითა
ცოლმა.

— თუ კიდევ მოვიდეს, უთხარი, შინ არ არის, სხვაგან გაემ-
გზავრა და ორიოდე თვის შემდევ ჩამოვა-თქო. სულ რამდენიმე
სიტყვის თქმა მოგიხდება, არა მგონია, გავიქირდეს. მე დაგასწავლი.

— რამდენიმე სიტყვის თქმის თავი რომ გქონდა, შე უბედუ-
რო, ეს ტაკიმასხარაობა აღარ დაგვიჩიდებოდა.

— მერე, განა არ ველაპარაკე, გამოშტერებულო? ჩინებულად
გამომივიდა. ხუთიანი პლუსით მეკუთვნის.

— უფრო შეკვიანური იქნებოდა, ყრუ-მუნჯად მოვეჩვენებინა
თავი. ახლა კი უმჯობესია, დაჯდე და იმუშავო, ვირო! თუკი ისევ
მობრძანდება, უშენოდაც ვიცი, როგორ გავისტუმრო.

ამასობაში პატრიკ თ'კ-ს „ლინკოლნი“ სასტუმროს უახლოვ-
დებოდა. ხვალ ამერიკელი სამშობლოში მიემგზაურებოდა და უკვე
დღარ ფიქრობდა თავის მთარგმნელზე.

ალასტორი რომ მიმხვდარიყო, წლების განმავლობაში როგორ
აპამპულებდა პონციო მაკი, რომ თურმე ამ ადამიანში იმაღლებოდა
მისი კალმის ღირსი პერსონაჟი, აუცილებლად დაბრუნდებოდა
სტრინგეს ქუჩაზე მდებარე № 117-ბ სახლში, რადგან ძალიან უყ-
ვარდა მსგავსი სიუჟეტები.

ოთხი იცემაზულა

მავიღა და სქამი — აი, მთელი მოწყობილობა ოთახისა, საღაც
შან მიმილო. კედლებსა და კამაროვან ჭერზე, თითქოს დაჭერობანის
თამაშობენო, ერთმანეთს მისდევდნენ გამოხუნებული და დამსკ-
დარი ალეგორიული ფიგურები. ნეტავი რამდენმა მზის სხივმა და
სინესტემ შემოალწია აქ უსარმაზარი ფანჯრიდან, სანამ ამ, ოდეს-
ლაც უდავოდ ლამაზ ფრესკებს ასეთი დღე დაადგებოდათ. ეს გა-
ვიყიქრე თუ არა, დეკანიზი, რომელიც მანამდე მდუმარედ გასცემ-
როდა ტყეს, ჩემკენ მოტრიალდა და საყვედლურებით ამავსო.

— განა მყითხეთ რჩევა, როცა გრაფ მინარელის ბიბლიოთე-
კის ყიდვა გადაწყვეტილი? ან მაშინ, როცა წიგნების გაგზავნას
ავალებლით ფირმას, რომელსაც ენდობოდით? ახლა კი, იმმოაჩი-
ნეთ თუ არა, რომ რომში მოსულ წიგნებს აკლია ოთხი, ყველაზე
იშვიათი და ყველაზე ძვირფასი, რომელთა ფასი ლამის მთელი
კოლექციის ღირებულებას აღმატება, ბედავთ და ჩემთან მოდი-
ხართ? მოპარულიათ? სად, როდის? ასეც რომ იყოს, რატომ უნდა
ვიცოდე? თქვენ ამბობთ, — იქნებ ვინმეს აღსარების დროს
წამოცდესო? დავუშვეთ, ეს გამორიცხული არ არის, მაგრამ, რათ
უნდა გავამჟღავნო თქვენი გულისათვის აღსარების საიდუმლო?

— აი, რა შემიძლია გირჩიოთ: დაიარეთ მთელი ქალაქი და
ექებთ, დროებით მაძებრად იქცით! გამოკითხეთ, მაგალითად, მუ-
ნიციპალურ მდივანს. სწორედ ის განაგებდა განსვენებული გრა-
ფის საქმეებს და ორი გასაღები ჰქონდა. ერთი ბიბლიოთეკისა,
მეორე გრაფ ფედერიკოს გულისა. გამიგოთ?

მუნიციპალური მდივანი მოედანზე მოვნახე, საღაც ქარი ჰა-
ერში იტაცებდა და სადღაც ერექტოდა მტვერსა და ნაგავს. იგი
ერთ ჟილეტს მეორეზე იცვიდა და ვერაფრით ვერ იკრავდა ლი-



ლებს. „ალბათ თითები ეტკინა ამდენი წვალებისაგან“<sup>შემონაბეჭდი
შემონაბეჭდი</sup>
ვიფიქრე მე.

— ძალზე უსიამოვნო ამბავია, — თქვა მან, როცა წიგნების
დაკარგვა შევატყობინე. — გაქვთ ეჭვი ვინმეზე?

ეპვი ყველაზე მქონდა, პირველ ჩიგში კი მასზე. მაგრამ,
როგორ მეოქვა? მხოლოდ ეს ვუთხარი:

— ყველაზე და ორავისზე.

— რატომ არ დაინტერესდებით ექიმით? როგორც შინაურ
მკურნალს, როცა უნდოდა, მაშინ შეეძლო შესვლა და გამოსვლა
გრაფის სახლიდან, განსაკუთრებით მისი ხანგრძლივი ივადმყოფო-
ბის დროს. ექიმს ძალიან უყვარს წიგნები და კარგად იცის მათი
ყადრი.

სანამ ლამის მთელი ქალაქი მოვიარე, დაღამდა, ექიმი თეატ-
რში ვიბოვე. საქველმოქმედო სპექტაკლის წინ სცენისმოყვარეთა
დასის რეპეტიციას ატარებდა. მაკურებელთა დარბაზი ცარიელი
იყო, მერთალად განათებულ სცენაზე კი დაბაჯბაჯებდნენ და თა-
ვიანთ რეპლიკებს გაურკვევლად ბუტბუტებდნენ მონუცი კაცები და
ქალები, რომლებსაც ახალგაზრდები ასახიარებდნენ.

— ინტერესიუ გინდათ ჩამოართვათ ექიმს? ჩაილაბარაკა ვი-
ლაცამ ჩემ ზურგს უკან და მხარზე ხელი დამადო. დეკანოზი გახ-
ლდათ. დაიხარი და შიგ ყურში ჩამჩურჩულა: მოეშვით, ისედაც სა-
ზარელ გუნებაზეა, ცოტა ხნის წინათ ცოლი გაექცა და ორი ბავ-
შვიც თან წაიყვანა. საშობაო წარმოდგენის მომზადება დავავალეთ,
უფრო სწორად, მე დავავალე, ცოტა გული რომ გადაეყოლებინა.
ნამდვილად მუნიციპალური მდივანი გამოგზავნიდათ მასთან. ხომ
მართალია! გენიალური ინტუიციის პატრონი ვყოფილვარ!

დეკანოზმა თეატრილან გამომიყვანა. კაფეში შესვლა შევთა-
ვაზე, მაგრამ უარი მითხრა და ცივად გამომეტშვიდობა. შევედი თუ
არა კაფეში, ყველა იქ მყოფმა კარტის თამაში შეწყვიტა და სინ-
დიკს გააყოლა თვალი, რომელიც ჩემქენ წამოვიდა.

— უკვე ყველაფერი ვიცი, — თქვა სინდიკმა. — მითხარით,
სახელდობრ, რომელი წიგნები დაიკარგა? შემთხვევით, ოთხი ინკუ-
ნაბულა ხომ არა?

თავი დავაქნიე. მან კი წამოიძახა:

— უყურე შენ! ბევრი მსმენია ამ წიგნებზე! საბრალო სენი-
ორი რომეო! — მან გაიღიმა, იმით ნასიამოვნებმა, რომ შეუძლია
და



ასე ფამილიარულად შოიხსენიოს გრაფი, — საბრალო სენიორი არმეო, ღმერთმა შეიწყალოს მისი სული, ყოველთვის ამბობდა საკუნძულო არა არც ერთი წიგნი არ ენანება გასაყიდად. ეპვგარეშეა, ინკუნაბულის ბულებსაც გულისხმობდა. ან იქნებ სულაც მისმა მეუღლემ, სინორა კატერინამ თავისი ვალების დასაფარავად სიკვდილის წინ სინიორა ეულალის გააყიდვინა ეს წიგნები. გრაფის მეუღლე ნამდვილი პრინცესა გახსლდათ, მაგრამ ძალზე მძიმე ხასიათი პქნდა და კარტსაც გატაცებით თამაშობდა. სრულებით არ გამიკვირდებოდა, თუ შევიტყობდი, რომ სინიორა ეულალის მუნიციპალური მდივანი ეხმარებოდა: არაერთხელ მოუჭახრავებიათ ერთად სხეადასხვა საქმეები, — მან ხმას დაუწია (ახლადა შევამჩნიე, რომ კაფეში მუნიციპალური მდივანი შემოვიდა და ორივე უილეტის ღილების გახსნას შეუდგა) და ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა: — თქვენი რომ ვიყო, კარაბინერებს მიგმართავდი.

აეუხსენი, რომ თუ საქმე ჭრდობასთან გვაქვს, იგი მოხდებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბიბლიოთეკის ღირებულება დავადგინე და სათანადო თანხა გადავიხადე. ამიტომ სულ არ მაინტერესებს მითქმა-მოთქმა გრაფ მინარელის ოჯახზე და საერთოდ, ჩემი მიზანია, დაკარგული წიგნების პოვნა და არა ის, რომ ვინმეს ციხეში ამოვაყოფინო თავი. უფრო მეტიც, მზადა ვარ ფული მივცემას, ვინც ინკუნაბულების პოვნაში დამეხმარება.

— შესანიშნავი იდეა! — წამოიძახა სინდიქა. — ჰო, ექიმი ილბათ დაკითხეთ, არა?

ვერ მოვასწარი მეთქვა: თეატრში ვნახე, მაგრამ რეპეტიცია პქნონდა-მეთქი რომ ზღურბლზე თვითონ ექიმი გამოჩნდა. ძლივა იყავებდა კარს, რომელსაც გაშმავებით აწყდებოდა ქუჩიდან ქარი. გამხდარს, გამვალტყავებულსაც კი, სიცივისაგან დაწითლებულ ყურებში ლანდი გასდიოდა, ჭლექიანს ჰგავდა. ისეთი კეთილი ღიმილით მომიახლოვდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით და ერთი სული პქნდა, განეანლებინა საუბარი დაკარგულ წიგნებზე. სინდიქა არ გაგვხადა იმისი ღირსნი, რომ თავი დაეკრა ჩვენოვის და გაგვშორდა. ძლივძლივობით გააღო მინის კარი და გარეთ გავიდა.

— ამ ვაჟბატონს არც ერთი სიტყვა არ დაეჭერება, ღმერთმა უწყის, რა მოეჩვენება ხოლმე. მუდამ წარმოუდგენელ სისულელეს როშაგს.

— ეტყობა, მარცულამაინც კარგ ურთიერთობაში არ უნდა იქოთ
სინდიკატი.

— სრული უფლება გაქვთ, თქვათ, რომ ჭირივით გვძლს ერთ-
მანეთი... ახლა კი, მოდით, დაგსხვეთ, თორემ საშინალად მომქანცა
სამსახურიდან რეპრეზიციის. ორი პუნში, — მიმართა მან ოფიციანტი
ქალს, ჩვენს მაგიდას რომ ალაგებდა. თქვენ, — განაგრძო ექიმმა,
როცა ოფიციანტი ქალი წავიდა, — უნდა შეადგინოთ იმათი ჩია,
ვინც გრაფ მინარელის სახლში დიარებოდა მას შემდეგ. რაც ბიბ-
ლოოთეკის ყიდვა გადავწყვიტეთ. გასაგებია?

— გასაგებზე გასაგებია. — თქვა მუნიციპალურმა მღიერნმა,
რომელმაც თავისი სკამი მოიტანა და მოვვიჯდა. — ისე კი, მინდა
გირჩიოთ, — მომიბრუნდა მე, — სენიორ გულელმოს მიენდოთ.
ჩემის აზრით, ეს ყველაზე გონივრული იქნებოდა. ისე კი, რო-
გორც გენებოთ!

სენიორ გულელმოს სანახვად დილით ადრე მოედანზე წა-
ვედი. იგი უდღეურ მზეს ეფიცხებოდა, რომელიც შმაგმა ქარმა
ხეობიდან ამოაგორა. ეტყობა, ვიღაცამ გააფრთხილა, საქმე რომ
მქონდა მასთან, რადგან როგორც შევატყე, ნამდვილად მელოდე-
ბოდა, თუმცა სახეზე სრული გულგრილობა ეხატა. თითქოს ვერც
მხედავდა, მაგრამ ნამდვილად ახარებდა ჩემი ნაბიჯების ხმა და
როცა მიესალმე, ეს სიხარული უკვე ბებრულად აცრემლებულ
თვალებში აუკიაფდა.

— ოთხმოცდაცამეტი წლისა გახლავართ, ძვირფასო სენიორ,—
მშვიდად თქვა მან. — არც ისეთი ახალგაზრდა ვარ, არა? მაგრამ
აქ, მადლობა ღმერთს, — მან ჩამქრალი ჩიბუხი დაირტყა ფართო-
ფარფლებიან ქუდზე, თავზე რომ ეხურა, — ყველაფერი სრულ
წესრიგშია. ისეა ჩაიწყიოწებული ყოველივე, როგორც სასკოლო
დაფაზე. შემიძლია მოგიყვეთ ყველა გაკოტრებულ დიდგვაროვან
ოჯახზე, გრაფ მინარელების ჩათვლით... მაგრამ ჯერ ბიბლიოთეკით
დავქმაყოფილდეთ. იცით, რომ მისი შეგროვება დაიწყო არა გრაფ-
მა მინარელიმ, როგორც ალბათ გვინიათ, არამედ კარდინალმა
ბატისტინიმ! ათას ექვსსას ოცდაათ წელს, როცა სიკვდილის მი-
ახლოება იგრძნო, გარკვევით ჩაწერა თავის ანდერძში, რომ ის
ბიბლიოთეკა, რომელიც ახლა მინარელის მემკვიდრეებისაგან შე-
იძინეთ, არამც და არამც არ უნდა გაყიდულიყო, არც მოლიანად,
არც ნაწილობრივ. შეიძლებოდა მხოლოდ მისი შეესება... კარდი-



ნალი ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რა მოუვიდოდა მის ბიბ-
ლიოთებას სამნახავერი საუკუნის შემდეგ. ყველაფერი გაყიდვისათვე
დაიტაცეს! თითქოს ვიღაცამ დაწყევლა ეს წიგნებით. და ეს წყევლა,
ეტყობა, ახლაც მოქმედებს. მაპატიეთ და, თქვენც ხომ მისი
მსხვერპლი გახდით.

გზაში მოკლედ ამიხსნა, როგორ აპირებს ძეგის წარმართვას.
ძალიან გაუკვირდა, რომ ნაკლებად მაინტერესებს ჭორები გრაფის-
ოჯახშე და მითხრა, თუ საიდან იცის თავადაზნაურულ გვარეულო-
ბათა ასავალ-დასავალი.

რას იზამ, ისეთი პროფესია მაქვს, რომ ძალაუნებურად ყვე-
ლაფერი ვიცი ხოლმე. ვალებში ჩავარდნილ ყოველ ოჯახს სახლი-
ან ივეჭი აქვს გასაყიდი. შუამავალი გახლავართ და ამიტომ ჩემს-
თვალწინ ხდებოდა ოჯახების როგორც გამდიდრება, ისე გაპარტა-
ხება... თავადები და გრაფები თავიანთ ფულს კარტში იგებენ, მე-
დუქნები და გლეხები კი საიმედო იდგილის ინახავენ.. გინდათ,
გაიგოთ, რა იქნა გრაფის წიგნები? კეთილი. მაშინ პირველად
განსვენებული გრაფ მინარელის მოახლისა და საყვარლის, სინიო-
რა ეულალიას ქალიშვილის, სინიორა ფილუმენას დუქანს ვესტუმ-
როთ.

სინიორა ფილუმენას, რომელმაც მოედნის ახლოს მდებარე-
თავის ძეხვის დუქანში მიგვიღო, სრულიადაც არ გაკვირვებია.
როცა სინიორ გულელმომ სთხოვა, გრაფის წიგნები ეჩვენებინა-
ჩვენთვის. მოხუცმა უთხრა ქალს, რომ მათი ყიდვა მინდა და კარგ-
ფასსაც მივცემდი. სინიორა ფილუმენამ არც ჰო გვითხრა და
არც არა და უკანა ოთახის გავლით სხვენზე იგვიყვანა. იქ შაშე-
თან, ძეხვებთან და ლორის ქონთან ერთად სამი მომცრო ყუთი
დაგვხვდა ყველაზე მტვრიან და ნესტიან კუთხეში... ქალმა გაზი-
მომცა, რომ დაჭვდილი სახურავები ამებსნა და ამაყი გამომეტ-
ყველებით თავშე წამადგა. ყუთებიდან ჯერ მტვრიანი, თაგვის ცურ-
ცლით მოფენილი გაზიერების დასტა ამოვილე, შემდეგ კი მეცხრა-
მეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცის დასაწყისის დაფლეთი-
ლი სასკოლო სახელმძღვანელოების და საყმაწვილო წიგნების შეკ-
ვრები.

— კაპიკია ამ წიგნების ფასი, — ვთქვი მე, თუმცა არ მსია-
მოვნებდა სინიორა ფილუმენას გაწბილება, რომელიც წამითაც კი
არ მაშორებდა თვალს.

— მაშასადამე, გადასაყრელია, არა? — ბრაზიანად  შემუშავება

შან.

— ნამდვილად. — ვუპასუხე მე.

ეს რომ გაიგონა, სინიორა ფილუმენა ამაყად გეემართა ბრუეტისაკენ, გასწი-გამოსწია კონსერვები, გადამდნარი ლორისქინიანი უზარმაზარი ქილები, ბოთლები, რომლებშიც არომატული ნაყენი ესხა და პაკეტი გამოილო. ეს პაკეტი მან ისეთი სასოებით გახსნა, თითქოს მასში საეკლესიო რელიკვია ყოფილიყოს, და გამომიწოდა მეტად შდილრულ ყავისფერ ტყავის ყდაში ჩასმული წიგნი კარდინალის გერბით.

— თქმა ორ უნდა, შესანიშნავი ყდაა, — ვუზხარი მე, — მაგრამ ტექსტი, სამწუხაროდ, უინტერესოა.

— განა მეჩვიდმეტე საუკუნის წიგნი ორ არის? — შეურაცხყოფად მიიღო სინიორამ ჩემი სიტყვები.

— რასაკეირველია, მეჩვიდმეტე საუკუნისაა, — მაერამ მარტო ეს დიდ არაფერს ნიშნავს. ყდა კი მართლაც ძვირფასია.

— ამას იმიტომ ამბობთ, რომ გინდათ, იაფად გამომტყუოთ. — მითხრა კიდევ უფრო განაწყენებულმა სინიორა ფილუმენამ.

— ნუ ღელავთ, უბრალოდ, სულ ორ ვაპირებ ამ წიგნის ყიდვას.

— რა წიგნი იყო, ასე რომ ორ მოგეწონათ? — იყითხა სენიორ გულელმომ, როცა ქუჩაში გამოვედით.

— კრებული პასტორალებისა, რომლებიც არკადის! პოეტებმა მიუძღვნეს კარდინალ ბატისტინის ერთ-ერთი ძმისწულის ქორწინებას, თუ სახელდობრ, რომლისას, ზუსტიად ორ მახსოვეს.

— ალბათ დონ ჩეზარეს. დიდი კვიმატი ვინმე იყო ეს ჩეზარე! — მხიარულად წარმოთქვა მოხუცმა. — ამბობდნენ, თითქოს კარდინალს მზე და მთვარე ამოსდიოდა მასზეო...

ენის გაუჩერებლად შემოვიარეთ ყველა სახლი, სადაც იყიდებოდა ავეჯი, სურათები, სამშვენისები, იმის იმედით, რომ ამ ხარაჭურაში ოთხ ინკუნაბულის აღმოვაჩენდით, მაგრამ თქვენც არ მომიჯვდეთ, წიგნები არსად ჩანდა. რომელიმე სასტუმრო ოთახში თუ შემთხვევით წავიწყდებოდით წიგნის კარადას, რამდენიმე ძველებური წიგნით, მოხუცი მყისვე გაუბამდა შაასს სახლის პატრონს

¹ არადია. იტალიური ლიტერატურული აკადემია, დაარსებული 1690 წელს რომში. არსებობდა 1925 წლამდე (მთარგმნ. შენიშვნა).

ფასის თაობაზე და მალულად მანიშნებდა ხელებით, დრო არ დამეკარგა და სასწრაფოდ მენახა, ხომ არ იყო ამ წიგნებს შორის ოთხი გატაცებული ინკუნაბულა.

შუადღე დადგა. სენიორ გულელმო უკვე მზად იყო ფარ-ხმა-ლი დაყყარა, რომ უეცრად სახელოზე მომქაჩა და წამოიძახა: — ერთი იდეა დამებადა: ჰერცოგთან მივიდეთ. დიდი ხანია უჭირს და თუ მის სახლში ვინმეს რამე თვალში მოუვიდა, უყოყმანოდ მიჰყიდის, ხომ გაგიგონიათ ანდაზა, ვინც ადვილად ყიდულობს, ის ადვილად ჰყიდისო.

მას არ დაუსახელებია გაკოტრებული ჰერცოგის გვარი, მაგრამ დაუმატა:

— ქარის მოტანილი, ქარს მიაქვსო! ჩემი იმედი გქონდეთ-უყელაფერი რიგზე იქნება. მე თქვენ წარგადგენთ არა როგორც მყიდველს, არამედ როგორც კოლექციონერს, რომელსაც ჰერცოგის ბიბლიოთეკის ნამდევილი ღირებულების დადგენა შეუძლია. ნუ ეგშინიათ, შორს არ მოგვიხდება წასვლა.

შიშით მისი წვრილი და სუსტი ფეხები თუ მაშინებდა, უსწორმასწორო რიყის ქვით მოკირწყლულ შუკებში რომ მიაცუნდულებდნენ. ერთ-ერთ მოსახვევთან მოხუცი შედგა, შემდეგ კი გაბედულად გაემართა მომცრო ვილისაკენ, რომელსაც ორი შესასვლელი ჰქონდა—ერთი დიდი, მაგრამ ამოქოლილი, მეორე კი უფრო პატარა. სენიორ გულელმომ რამდენჯერმე დააკაკუნა ამ მეორე კარზე.

— დიდი კარი მხოლოდ მიცვალებულებისთვისაა განკუთვნილი, — თქვა მან. მხოლოდ მაშინ ალებენ, როცა კუბოს გამოტანას აქირო. მაგრამ ჰერცოგი დიდი ხანია მარტო ცხოვრობს და მთავარი შესასვლელი ვაჭმებულია.

კაცი. რომელიც დავინახეთ. როცა კარა ოდნავ გაიღო, ნამდვილად შემაზრჩენი იყო. ბინძურ ლაქის უფრო გავდა და სრულებით არ იმსახურებდა სენიორ გულელმოს მოწიწებით ალსაცე მისალმებას. ოდესაც შავ პიგაკზე ყველა ლილი აწავეტოდა და კალთები ინგლისური ქინძისთავებით დაებნია. პიგაკის ქვეშიდან ვარდისფერი ძაფით უხეიროდ დაკემსილი, გახუნებული ნაცრისფერი მაისური მოუჩანდა. ჰერცოგის სათვალეში ერთი ლინზის ნაცვლად მუყაოს რგოლი იყო. ჩისმული.

— ეტყობა, ჩემზე ადრე აპირებს სცედილს, — თქვა სენიორი.

მან ფრთხილად შეჰყო ფეხსაცმლის წვერი კარის ღია გულებაზე და
მოკრძალებით წარმოთქვა:

— ბატონი ჰერცოგი მიცნობს მე.

კერძოდ, ამას მე მეუბნებოდა, თუ მოხუც პერცოგს.

— და იცის, რომ არასოდეს მომიყვანია მასთან შემთხვევითი პირები. ეს სენიორი, ჩემ ზურგს უკან რომ დგას — აქაური არ არის. იგი მოგზაურობს, რომ დატკბეს ლამაზი ანტიკვარული ნივთების კოლექციებით. ძალიან ბევრი რამ ვაჩვენე უკვე! მაგრამ იგი, როგორც მშვენიერების ყველა ჭეშმარიტი ტრფიალი, გაუმაძღარია. წიგნებიც აინტერესებს, ვანსაკუთრებით ძელებური, და სიამოვნებით დაათვალიერებდა ოქვენს ბიბლიოთეკას... თუკი მოისურვებდით, მის ნამდვილ ღირებულებასაც გეტყოდათ, რა ოქმა უნდა, უსასყიდლოდ. მოგეხსენებათ, ახლა ფასები ყოველდღი იცვლება.

— არა! — გააწყვეტინა ჰერცოგმა. — წიგნები, ისევე რო-
გორც ადამიანები, არ იყიდება.

— რა თქმა უნდა! — წარმოთქვა მოხუცმა. — კარგად ვიცი,
რომ ბატონი ჰერცოგი თავისი სახლიდან ქინძისთვესაც არ გაძყი-
დის. ხომ მართალს ვამბობ, ბატონი ჰერცოგო?

— არასოდეს! — წამოიძახა ჰერცოგმა.

— ძალიან გთხოვთ, მისცემ უფლება, თვალი მაინც გადაავ-
ლოს ბიბლიოთეკას. თხუთმეტ წუთზე მეტს არ მოუნდება. — ებ-
ვეწებოდა სენიორი გულელმო და თავისი უკბილო პირით იღიმე-
ბოდა.

— შეუძლებელია! — წამოიყვირა საშინელი ხმით ჰერცოგმა, —
ვაიგეთ, რომ შეუძლებელია.

— რატომ? — ჰყითხა მოხუცმა წყენით და გამომწვევადაც
კი.

— იმიტომ, რომ მეც ველარ ჭევდივარ შიგ.

— როგორ თუ ვერ შედიხართ? — ეჭვით ოქვა სენიორმა გულელმომ.

— როგორ და ჭრებად. ბიბლიოთეკის გარშემო ქვის კედლები ამოვაშენებინე, სანამ ცოცხალი ვარ, აღამიანიშვილი ვერ შეძლებს მის ნახვის, და, მით უშეტეს, გაძარცვას!



მოუჭრა ჰერცოგმა გულელმოს და ცხვირწინ მიუჯახუნა კარი — ასე რამ გააცოფა, და ალახვროს ეშმაქმა! — წამოიძახა მოქარეობულის ხუცმა. — ცუდად არ მიგვიღო, არა, ბატონმა ჰერცოგმა? — დაქვემდინარებულის მარტა მან ღიმილით. — გაიგეთ? კედლები ამოვაშენებინეო! ჩერჩეტი! მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა უნდა ექნა, მას შემდეგ, რაც თავს გადახდა.

— მაინც რა მოხდა?

— ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ცოლი გაექცა. სხვათა-შორის მსგავსი ამბავი ექიმსაც შეემთხვა, მაგრამ ჰერცოგის მეუღლე ძალიან ლამაზი ქალი იყო, რასაც ვერ ვიტყვი ექიმის ცოლზე, არ მესმის, ვის უნდა მოსწონებოდა თავისი ჩანჩქრა ქმრის გარდა... მაშ ასე, ჰერცოგის მეუღლე სახლიდან გაიქცა. და, ალბათ წარმოგიდგენიათ, რამდენი მითქმა-მოთქმა იცო მასზე და მის საყვარელზე, რომლის ადგილსაც სიამოვნებით დაიკავებდა ჩვენი ქალაქის ყოველი მამაკაცი... ერთი სიტყვით, თავლაფდასხმულმა და დარღით განადგურებულმა საბრალო ბატონმა ჰერცოგმა სცადა, როგორმე გამოისწორებინა გამოისწორებელი. გაემგზავრა ცოლთან და დაითანხმა, შინ დაბრუნებულიყო. მისი საყვარლისათვის ჩხუბი არ აუტეხია, პირიქით, ფულსაც დაპირდა თავისი ცოლის სანაცვლოდ. არ იყითხავთ, როგორ მოიქცა, როცა ცოლი დაუბრუნდა? წელიწადი არ იყო გასული, რომ სიცოცხლეს გამოისალმა. და ისე შეუმჩნევლად და თანდათანობით კლავდა, რომ სამართალშიც კი ვერ მისცეს. საბრალო ქალბატონ ჰერცოგის მეუღლის შხამით მოწამლულ სხეულში გაკვეთის შემდეგ ამ შხამის ნატამალიც ვერ აღმოაჩინეს... მისმა საყვარელმა კი კაპიტიც ვერ მიიღო... მალე კი ფოლინიოს დანტეს უცნაური ამბავი შეემთხვა. ვხედავ, ერკვევით ასეთ რამეებში და ამიტომ, აუცილებლად გეცოდინებათ, რას ნიშნავს ფოლინიოს დანტე.

— როგორც ჩანს, გულისხმობთ „ლვთაებრივი კომედიის“ ყველაზე აღრინდელ და უძვირფასეს გამოცემას, დაბეჭდილს ათას ოთხას სამოცდათორმეტ წელს ქალაქ ფოლინოში.

— ფოლინიო ხომ ჩვენს მხარეშია და რა გასაკვირია, რამ ის, როგორც თქვენ უწოდებთ, ინკუნაბულა აქ ინახებოდა.

— მაინც რა დაემართა იმ ინკუნაბულას?

— გაქრა.

— ეს რა გაფუჭებული ქალაქი ყოფილა! — ველარ ჭიათურა
თავი მე.

— არ არის საჭირო ასეთი გაზვიადება. ჩვენს ქალაქში ცოტა
როდია ლირსეული პიროვნება. მართალია, ვიგინდარებიც ბლომა-
და გვყავს, მაგრამ მაინც ყველა ერთ ტაფაში როდი უნდა მოვაჭ-
ციოთ. ეს არასაკადრისია.

— რა თქმა უნდა, მაგრამ მომიყევით, როგორ დაიკარგა
დანტე.

— ჩემთან მოვიდა ერთი კაცი და მითხრა, რომელიმე მდი-
დარი ბიბლიოთეკის ყიდვა მინდაო. ვიცოდი, ჰერცოგი უკაპიკოდ
იყო, რადგან მთელი თავისი ქონება ვექილებს დაახარგა და ამიტომ
უცნობი მასთან მივიყვანე. მყიდველმა მთელი დღე დაჭყო ბიბ-
ლიოთეკაში, კარგად დაათვალიერა, შეადგინა წიგნების სიები,
რალაცას ანგარიშმობდა და ბოლოს, იმ მიზნით, რომ ჰერცოგს უარი
ეთქვა გარიგებაზე, ძალიან მცირე თანხა შესთავაზა და უთხრა, რამ-
დენიმე დღეში დავბრუნდები და მოლაპარაკება განვაახლოთო. სახ-
ლიდან როცა გავედით, გაზეთში განვეული რაღაც პაკეტი მომა-
ჩეხა.

— ამ პაკეტში ჩემი პირადი ნივთებია. ლამეს თქვენს ქალაქ-
ში არ ვათევ და თუ შეიძლება, ავტობუსის გაჩერებაზე მომიტა-
ნეთ.

როცა, ცოტა ხნის შემდეგ, გაჩერებაზე მივედი, უკვე ავტობუს-
ში იჯდა. ლია საჩუმელში პაკეტი მივაწოდე, ათასი ლირა მომცა და
მადლობა გადამიხადა... საიდან უნდა მცოდნოდა, რომ იმისი მად-
ლობელი იყო, თავი რომ გავატუტუცებინე. რა თქმა უნდა, ხედე-
ბით, რა იქნებოდა პაკეტში?

— რა საკითხავია! დანტეს ტომი.

— მართალი ხართ. ფოლინიოს დანტე, მაშინ რომ მცოდნოდა
ეს!

— დაუბრუნებდით ჰერცოგს წიგნს?

— მე? იდიოტი ხომ არა გვინივართ? რასაკვირველია, დავი-
ტოვებდი. ქურდის ქურდი ცხონებულიათ. იმ კაცმა ჰერცოგს მო-
პარა წიგნი, მე კი მას მოვცარავდი. ეს ნაძირალა ჰერცოგთან მისი
განსვენებული მეუღლის საყვარელს მიუგზავნია, რომ ამოეგო ის
ფული, რომელსაც რქებლადგმული ქმარი შეპირდა გამოსასყი-

დის სახით. არ ერჩივნა, მიეცა? გაცილებით ნაკლები დაუჭდებო—

და. ხომ იცით, რა ღირს დანტეს ეს ტომი?

— არანაკლებ ათი-ოცი მილიონისა.

— ჰკუა რომ მეხმარა, აღარ დაშვირდებოდა სიცხესა და სიცი-
ვეში მოედანზე ყურყუტი და კლიენტების ლოდინი.

უცებ მივხვდი, რომ მეც ტუტუცურად მოვიქეცი, როცა იმის,
გამო, რომ არავის გაეგო, თუ რა ძვირფასი წიგნები ჩამივარდა
ხელში და ვრაფ მინარელის მემკვიდრეები არ მიმხვდარიყვნენ,
რომ ხელს მაძლევდა მთელი ბიბლიოთეკის ნარდად ყიდვა, ყოველ-
გვარი ინკუნტარიზაციის ჩაუტარებლად, მებარგულებსა და სა-
ტვირთო მანქანის მძლოლს ნება მივეცი, ეს ფასდაუდებელი ინკუნა-
ბულები იმ წიგნებთან ერთად ეზიდათ, რომელთა ფასიც კაპიკია.
ახია ჩემშე, — გავიფიქრე და ნაცემი ძალლივით თავჩაქინდრული
ავტობუსისაკენ წავჩანჩალდი.

— რას შვრებით? — წამოიძახა შეშინებულმა გულელმომ,—
ისე მიდიხართ, რომ ერაფერი გაიგეთ?

— გთხოვთ, გაავრცელოთ ხმა, თითქოს ინკუნაბულები ვიპოვე-
ყოველ შემთხვევაში, აქაურები ერთმანეთზე ეჭვს აღარ მიიტანენ.
საქალაქთაშორისო ავტობუსში ჩავჭერი და სარქმლიდან სე-
ნიორ გულელმოს გამოვემშვიდობე. მან კი პასუხის ნაცელად ჰა-
ერში აფრიალა ხუთიათას ლირიანი ასიგნაცია, მე რომ გასამრ-
ჯელოდ მივეცი.

ამ თავისებურმა გამოსალმებამ, რომელიც ირონიასაც გამოხა-
ტავდა და მადლიერებასაც, ბედნიერება მომიტანა. რამდენიმე დღის
შემდეგ ჩემთან მოეგდა იმ სატვირთო მანქანის მძლოლი. რომლი-
თაც გრაფის ბიბლიოთეკა გადმოქმნდათ და ძველ გაზეთში გახვე-
ული ოთხი ინკუნაბული გამომიწოდა.

— ეს წიგნები ძარაში ვიპოვე ფიცრებს შორის — მითხრა მან!

გ ი გ ლ ი თ ა ნ ი ა

— ბარსელონას ერთ-ერთ ვიწრო და უმშეო ქუჩაზე ერთ დროს ცხოვრობდა ფერმკრთალი, თვალებში შუქჩამქრალი კაცი, ეს გახლდათ წიგნის გამყიდველი — ჯაკომო.

იგი ოცდაათი წლისა იყო, მაგრამ მოხუცი და დაძაბუნებული ჩანდა, მაღალი, ბერიკაცივით მხრებში მოხრილი; გრძელი და ჭალარაშერთული თმებით, ღონიერი და დაძარღვული, მაგრამ გაძვალტყავებული და დანაოჭებული ხელებით; ტანზე ღარიბული და დახეული ტანსაცმელი ეცვა. თავად ხომ ერთი უძი და უნიათო რამ გახლდათ, სახეც ფერმიხდილი ჰქონდა, ნაღვლიანი, ულაზათო და არაფრისმთქმელი ქუჩაში მხოლოდ მაშინ ხედავდნენ, თუ ძვირფასი და იშვიათი წიგნის სახარო გაყიდვა იყო დანიშნული. მაშინ კი სულ სხვანარი იყო ჯაკომო: აღარ ჰგავდა იმ უნიათო, უცნაურ კაცს, ეს სულ სხვა კაცი იყო. გამოცოცხლებული თვალები კვესივით უელავდა, ფაციფუცობდა, მოპყვებოდა ბოლთის ცემას, ფეხების ბაჟუნს და ძლივს იკავებდა სიხარულს, მღელვარებას, წუხილს, სახლისაკენ მიმავალი აქოშინებული ჯაკომო სულს ძლივს იბრუნებდა. აიღებდა ძვირფას წიგნს და შეჰქაროდა, ელოლიავებოდა. უყვარდა წიგნი, როგორც ძუნწს თავისი განძი, მამას — თავისი ქალიშვილი, მეფეს — თავისი გვირგვინი.

ეს კაცი, ბუქინისტებისა და ანტიკვარების გარდა, თითქმის არავის ელაპარაკებოდა. ერთიანად პირქუში და ჩაფიქრებული, ნაღვლიანი და მოღუშული იყო, ასულდგმულებდა მხოლოდ ერთი აზრი, ერთი სიყვარული, ერთი მისწრაფება: წიგნები. ეს სიყვარული, ეს მისწრაფება შინაგანი ცეცხლით წვავდა, ღრღნიდა მის ცხოვრებას, ნოქავდა მთელ მის არსებას.

ღამდამობით წიგნის გამყიდველის ფანჯრებში მეზობლები



ხშირად ხედავდნენ მოციმციმე სანთელს, ეს სანთელი შემდეგ გა-
დინაც ცელებდა, ხან შორს წავიდოდა, ხან მაღლა აიწევდა, დრო-
დადრო ქრებოდა კიდეც; შემდეგ ესმოდათ კაკუნი კარებზე, ჯაკო-
მოც გამოჩნდებოდა და ისევ ანთებდა ქარის მიერ ჩამქრალ სანთელს.

ჯაკოში მღელვარე ღამეებს ატარებდა სანუკვარ წიგნებს შო-
რის: თმაგაჩეჩილი დაბორიალებდა საკუჭნაოში და თავის ბიბ-
ლიოთების აღფრთოვანებითა და გატაცებით დასტრიალებდა თავს.
დროდადრო შეხერდებოდა, მიაშტერდებოდა რომელიმაც წიგნს
და თვალები აუციმციმდებოდა, წიგნის თაროების შეხებისას ხე-
ლები უთროთოდა და ენამებოდა.

აიღებდა ერთ წიგნს, გადაფურცლავდა, ქაღალდს ხელით მოსინ-
ჯავდა, შეათვალიერებდა ვარაყს, ყდას, შრიფტს, საღებავს, ფურც-
ლის ნაკეცებს და რთულ ნახატს სიტყვისათვის „Finis“ ხან აღგილს
შეუნაცვლებდა, უფრო მაღლა შემოსდებდა თაროზე, შემდეგ კი
საათობით უჭერეტდა მის სახელწოდებას, მოყვანილობას.

ბოლოს მანუსკრიპტებს დაუვლიდა. თითოეული მათგანი ხომ
თავისი შვილივით უყვარდა. აიღებდა ერთ-ერთ მათგანს, ყველაზე
ძველს, დაფლეთილს, დალაქავებულს და სიყვარულით, აღფრთო-
ვანებით ათვალიერებდა პერგამენტს, შეისუნთქავდა ძველ, ღვთი-
ურ მტვერს და, სიხარულისა და სიამაყისაგან ნესტოებდაბერილს,
სახეზე ღიმილი ეფინებოდა.

დიახ, ეს კაცი ბედნიერი იყო. ბედნიერი იყო ჩაძირული ამ
საკუთარი დაუშრეტელი ცოდნის მდინარეში, რომლის ნამდვილი
მნიშვნელობა და ლიტერატურული ღირსება ძლიერ თუ ესმოდა.
ბედნიერი იყო ამ წიგნებს შორის. ბედნიერი იყო, ხან ოქროსვარა-
ყიან წარწერებს, ხან დაფლეთილ გვერდებს, ხან ჩაყვითლებულ
პერგამენტს რომ შეავლებდა თვალს. მეცნიერება ისევე უყვარდა,
როგორც ბრძას მზის შუქი.

არა! მას მეცნიერება კი არა, მისი გარეგნული სახე, ფორმა
უყვარდა, წიგნი იმიტომ უყვარდა, რომ წიგნი იყო. უყვარდა მისი
სუნი, ფორმა, თავფურცელი. მანუსკრიპტში უყვარდა ძველი, გა-
დაცვეთილი თარიღი, მისი თავისებური და უცნაური გოთური
ასოები, მძიმე ოქროს ვარაყით დამშენებული ნახატები, უყვარდა
მტვრით დაფარული თითოეული გვერდი, რომლის ნაზ; დამათრო-
ბელ სურნელს ნეტარებით ღრმად ისუნთქავდა.

წარმოიდგენდა რამდენი საოცარი და უსაშველოდ ღამაზი წიგ-

ნი შეიძლებოდა ყოფილიყო სამეფო ბიბლიოთეკაში და ოცნებოდა, რომელიმე მეფის მსგავსად, თავადაც უზარმაზარი ბიჭუნისტექა ჰქონდა. როგორ თავისუფლად სუნთქვადა, როგორ მძაყად და ყოვლისშემძლედ გრძნობდა თავს ამ გალერეათა უსასრულობაში, იქ, სადაც მისი მზერა წიგნებს შორის იყარებოდა! თავს ასწევდა — წიგნები! დახრიდა — წიგნები! მარჯვნივ, მარცხნივ — სულ წიგნები და წიგნები!

ბარსელონაში მას ახირებულ კაცად თვლიდნენ, განსწავლულად და ჯაღოქრად.

სინამდვილეში კი კითხვაც ძლივს იცოდა. ისეთი ფერმერთალი და მკაცრი სახე ჰქონდა, დალაპარაკებას ვერავინ უბედავდა; ბოროტი და ვერავი ჩანდა, თუმც ბავშვისთვისაც კი არასოდეს უწყენიერებია, მაგრამ არც მოწყალება გაუღია ოდეგი. მთელ თავის ფულს, ქონებას, გრძნობათა საწყაოს წიგნებისთვის ინახავდა. ოდესლაც მღვდელი იყო, მაგრამ წიგნების გამო ღმერთიც კი დასთმო.

ეს რამდენიმე ხანია უფრო გვიანობამდე ფხიზლობდა. ლამაცაც უფრო გვიანობამდე ენთო წიგნებს შორის — ეს ნიშნავდა, რომ ჯაკომოს ახალი ვანძი — ახალი მანუსკრიპტი ჰქონდა.

ერთ დილას მის დუქანში ახალგაზრდა სალმანკელი სტუდენტი ჟევიდა. ეს ახალგაზრდა მდიდარი უნდა ყოფილიყო, მის თანმხელებორ მსახურს ჯაკომოს კართან ჯორი ევირათ სადავით, სტუდენტს თავშე წითელი ხავერდის ბერეტი ეხურა, თითებზე ბეჭდები უბრჟყვანალებდა.

თუმცა, თავდაჯერებული არარაობისათვის დამახასიათებელი გამომეტყველება არა ჰქონდა, რაც ისეთ აღამიანებს სჩევევიათ, სირმიანი მსახურები რომ ჰყავთ, აცვიათ ძვირფასი ტანსაცმელი, თავი კი ცარიელი აქვთ. არა! ეს გახლდათ სწავლული ყმაწვილი კაცი, ოლონდ მდიდარი სწავლული, ისეთი, რომელსაც პარიზში იქვს წითელი ხის საწერი შაგიდა, ოქროსვარაყიანი წიგნები, მოქარგული ფეხსაცმელები, საოცარი ჩინური სამშვენისები, ხალათი, ბუქრის თავშე დიდი საათი, ჰყავს ნოხშე მთვლემარე კატა და ორი ან სამი ქალი, თავის ლექსებს, პროზას, ზღაპრებს რომ უკითხავს და რომლებიც ეუბნებიან: თქვენ ჰქუამახვილი ხართ და თავქარიან ტრაბახად კი გთვლიანო.

მეტად დახვეწილი მანერები ჰქონდა ყმაწვილს; შესვლისას

მიესალმა წიგნის გამყიდველს, თავი მდაბლად დაუკრა და თავა—
 ზიანად ჰქითხა:

— მანუსკრიპტები ხომ არ გექნებათ, მამაო?

წიგნის გამყიდველი შეცბა და ენის ბორძივით უპასუხა:

— კი მაგრამ, ვინ გითხრათ, ბატონო?

— არავინ, თავად ვივარაუდე.

ყმაწვილმა წიგნის გამყიდველს დახლზე ოქროს თუმნიანებით
 სავსე ქისა დაუდო და მათ ულარუნზე ისე განსაკუთრებულად გაი-
 ღიმა, როგორც ილიმება აღამიანი საკუთარი ფულის შეხებისას.

— დიახ, ბატონო, — თქვა ჯაკომომ, — მართლა მაქვს, მაგ-
 რამ მე არ ვყიდი მანუსკრიპტებს, ვინახავ მათ.

— რისთვის ინახავთ? რას უშვრებით მათ?

— რისთვის ვინახავ? — და გაბრაზებული წამოენოო, — ბა-
 ტონო, როგორც ჩანს, არ გესმით, რა არის მანუსკრიპტი!

— მაპატიეთ, მამით ჯაკომო, მაგრამ წარმოიდგინეთ, მეც
 ვერკვევი მანუსკრიპტებში და ამის დასამტკიცებულად გეუბნებით,
 რომ თქვენ გაქვთ „თურქეთის ქრონიკა“.

— მე-ე? ო, მოგატყუეს, ბატონო.

— არა, ჯაკომო, — უპასუხა ახალგაზრდამ, — ოღონდ დაწყ-
 ნარდით, კი არ გართმევთ, ყიდვა მინდა.

— არასოდეს.

— არა, თქვენ მომყიდით მას, — უთხრა სტუდენტმა, — თქვენ
 გაქვთ ეს მანუსკრიპტი. იგი, რიჩიამინი რომ მოკვდა, იმ დღეს გაი-
 ყიდა.

— მაშ თუ ასეა, მართალია, ბატონო, მე მაქვს იგი, ეს ჩემი
 საუნგეა. ჩემი სიცოცხლე! ო! თქვენ მას ვერ გამომგლეჭთ! მომის-
 მინეთ, საიდუმლოდ გეტყვით: ბატისტო იცით, წიგნით მოვაჭრე
 ბატისტო, მეფის მოედანზე რომ ცხოვრობს — ჩემი მეტოქე და
 ჩემი მტერი? ჰოდა, ასე. მას არა აქვს ეს მანუსკრიპტი, მე კი მაქვს!

— რამდენს აფასებთ!

ჯაკომო დიღხანს დუმდა, ბოლოს ამაყად უპასუხა:

— ორას პისტოლს, ბატონო.

და ისეთი იერით შეხედა ყმაწვილს, თითქოს ეუბნებოდა:

ახლა ხომ მაინც მომეშვები, ხედავ რა ძვირია, უფრო იაფად
 კი მანუსკრიპტს არ მოგცემო.

ჯაკომო შეცდა, ახალგაზრდამ ქისაზე მიუთითა და უთხრა:

— ა, აქ სამასია!

გაკომო გაფიტრდა: სადაცაა გული შეუღონდებოდა.

— ჰმ, სამასი პისტოლი! — გაიმეორა მან — გიუი კრიზის მასზე, ბატონო, ოთხასადაც არ გავყიდი.

სტუდენტმა გაიღიმა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და კიდევ ორი ქისა ამოილო. — აბა, გაკომო, აპა ხუთასი. შენ არ გინდა გაყიდო, გაკომო? მე კი, რადაც არ უნდა დამიჯდეს, დღესვე მივიღებ ამ მანუსკრიპტს, რადგან ძალიან მჭირდება, სიყვარულის უამს ნაჩუქარი ბეჭდის გაყიდვაც რომ დამჭირდეს, ან ბრილიანტებით მოოჭვილი დაშნისა, ანდა საეუთარი სახლისა და სასახლებისა, გინდაც საკუთარი სულისაც! მე მჭირდება ეს წიგნი და ხელში უნდა ჩავიგდო, რადაც უნდა დამიჯდეს: ერთი კვირის შემდეგ სალამანქაში დისერტაციას ვიცავ. ეს წიგნი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად მჭირდება. დოქტორი უნდა გავხდე, რომ არქიეპისკოპოსობას მივაღწიო. მხრებზე მეწამული მანტია უნდა მქონდეს მოსხმული, თავზე ტიარა რომ დავიდგა.

გაკომო ახალგაზრდას მიუახლოვდა და მოკრძალებული აღფრთოვანებით შეაცემდა, როგორც ერთადერთ ადამიანს, რომელსაც მისი კარგად ესმოდა.

— ყური მიგდე, გაკომო, — უთხრა უეცრად ახალგაზრდამ, — ერთ ისეთ საიდუმლოს გატყვი, რომელიც ბედნიერებასა და სიმდიდრეს მოგიტანს: აქ ერთი კაცია, არაბთა საგუშავოსთან ცხოვრობს. მას აქვს წიგნი „წმინდა მიხეილის საიდუმლოება“.

„წმინდა მიხეილის საიდუმლოება?“ — გაიმეორა გაკომომ და სიხარულისაგან შეხტა. — ოჯ, მადლობელი ვარ თქვენი, თქვენ იხსენით ჩემი სიცოცხლე.

— მაშ დროზე, დროზე მომეცი „თურქეთის ქრონიკა“.

გაკომო თაროებს ეცა. უეცრად შეხერდა და, ვითომც რაღაცით შემკრთხლმა, ნაძალადევი გაოცებით ჩაილაპარაკა:

— რა ვქნა, ბატონო, ეგ წიგნი არა მაქვს.

— ქმარა, გაკომო, უქბილო ხრიკებია, თვალებზეც გატყობ, რომ ცრუობ.

— გეფიცები, ბატონო, არ მაქვს ეგ წიგნი.

— ო, შე უგუნურო, ბებერო გაკომო! აბა, შეხედე, ჲა შენ ექვსასი პისტოლი.

გაკომომ მანუსკრიპტი გადმოილო და ყმაწვილკაცს გადასცა.



— გაუფრთხილდით მას, — დაადევნა ჯაკომომ, ვიდრე სტუდენტები და მართალია, ბრიყვი ბატონი გყავთ, მაგრამ ეს სულელიც ხომ გვაცურე, რა ჩერჩეტია ეს ახირებული ბერი! — იმეორებდა სიცილით. — ამას ჰქონია, მართლა გავხდები პაპი.

საბრალო ჯაკომო კი ამ დროს დაღონებული და სასოწარკვეთილი, გახურებული შუბლით ფანჯარას მიყრდნობოდა და სიმწრის ცრემლებს აფრქვევდა. დაბოლმილი, გულისტკენითა და ნალვლიანი თვალებითლა მიაცილებდა თავის მანუსკრიპტს, ამდენი ხნის ნასათუთევსა და ნალოლიავებს, ახლა მდიდარი ახალგაზრდის ტლანქ მსახურებს რომ მიჰქონდათ.

— წყეულიმც იყავ, ჯოჯოხეთის მოციქულო, წყეულიმც იყავ, ასგზის წყეული, ჩემთვის ყველაზე ძვირფასის წართმევისათვის; არა, ვეღარ ვიცოცხლებ ამიერიდან! შემაცდინა იმ გაიძვერამ, მომატყუა! რახან ასეა, მე შურს ვიძიებ, ახლა არაბთა საგუშავოსაკენ უნდა ვიჩქარო, ვაითუ იმდენი მომთხოვოს, რომ არ მქონდეს? მერე რაღა ვქნა? სიკვდილის მეტი რაღა დამრჩენია?

ხელი სტაცა ფულს, ახალგაზრდამ დაზღვე რომ დაუტოვა და შინიდან გავარდა.

უკან მოიტოვა რამდენიმე ქუჩა. გარშემო ვერაფერს ამჩნევდა. მისი გონება მხოლოდ „წმინდა მიხეილის საიდუმლოებას“ მოეცა. წარმოდგენაში ხატავდა ოქროს ასოებით მოვარაყებულ განიერ და ნატიფ ხელნაწერს პერგამენტზე, ცდილობდა გამოეცნო, რამდენი ვერდი იქნებოდა. ისე ძლიერ უძგირდა გული, თითქოს სიკვდილის განაჩენს ელისო.

როგორც იქნა, საგუშავოს მიაღწია.

არ მოუტყუებია სტუდენტს!

ძეველ, დახვრეტილ სპარსულ ხალიჩაზე ათამდე წიგნი ეწყო. ჯაკომო, რომელსაც არც კი მიუმართავს თავისი წიგნებივით მიწაზე გართხმული მძინარე კაცისთვის, გულიანად რომ ხერინავდა თავარა მზის გულზე, სასწრაფოდ ჩაიჩოქა წიგნებთან და მღელვარე, შეწუხებული სახით თვალი გადაავლო მათ სახელწოდებებს, შემდეგ ნირწამხდარი და ფერდაკარგული წამოდგა. ღრმად ჩაძინებული ბუკინისტი ყვირილით გამოაღვიძა და შეეკითხა:

— ეი, შეგობარო! აქ „წმინდა მიხეილის საიდუმლოება“ ხომ არა გაქვს?

— რაო! თვალები დააჭყიტა წიგნის გამყიდველმა, — აღმართ
ამ წიგნებიდან გნებავთ რომელიმე? აირჩიეთ თავად. — ამის
— ო, რა რეგვენია! — თქვა ჯაკომომ ფეხის ბაქუნით, — ამის
გარდა კიდევ გაქვთ სხვა წიგნები?

— დიახ, აი ისინი დაათვალიერეთ — და წიგნის გამყიდველმა
პატარა დასტაზე მიუთითა. ჯაკომომ ნერვიულად დააწყვიტა ბაწარი
და ხარბად დაუწყო თვალიერება სათაურებს.

— ჯანდაბა! აქ სხვა რაღაცებია. — წამოიყვირა მან. — ხომ
არ გაყიდე ეს წიგნი? თუ გაქვს, მომეცი ჩქარა, მომეცი! აი, ასი
პისტოლი, ორასი, სუსკელაფერს მოგცემ, რაც გინდა!

— ღმერთო ჩემო, ალბათ იმ პატარა წიგნზე მეუბნებით, გუ-
შინ რეა მარავედად რომ მცველე მონასტრის მღვდელს, ორვიე-
ტოს.

— გახსოვთ იმ წიგნის სათაური?

— არა.

— „წმინდა მიხეილის საიღუმლოება“ ხომ არ იყო?

— დიახ, დიახ, სწორედ ეგ უნდა ყოფილიყო.

ჯაკომომ რამდენიმე ნაბიჭი უკან გადადგა და ადევნებული
მოჩერენებისაგან გაწამებული კაცივით მტვრიან მიწაზე გაიშოტა.

გონს რომ მოეგო, უკვე საღამოვდებოდა. მზე სულს ღაფავდა
ჰორიზონტზე. წამოდგა, ავადმყოფი და სასოწარქვეთილი დაბ-
რუნდა შინ.

ერთი კვირა გავიდა, მაგრამ ჯაკომომ მაინც ვერ დაივიწყა ის
გაწბილება. მოუშუშებელი ჭრილობიდან სისხლი ისევ უონავდა.
ზედიზედ სამი ღამის უძინარი იყო. მაგრამ იმ ღღეს ესპანეთში
დაბეჭდილი პირველი წიგნის გაყიდვა იყო ღანიშნული, ერთადერ-
თი ეგზემპლარისა მთელ სამეფოში.

მოუსვენარი ფიქრი უღრღნიდა გულს. ხომ შეიძლება ბატის-
ტოს ეყიდა ეს წიგნი, ბატისტოს, რომელიც დიდი ხანი არ არის,
არა თუ მყიდველს ართმევდა ჯაკომოს, — ეს ჯაკომოს ნაკლებად
აწუხებდა! — აჩამედ ცხვირშინ აცლიდა ყველა ძვირფას წიგნს,
რაც კი გამოჩენდებოდა საღმე, განსაკუთრებით უძველესსა და იშ-
ვიათს. ბატისტო, რომლის პოპულარობასაც მსახიობის მძულვა-
რებით შეჰყურებდა. ამ კაცის ატანა აღარ შეეძლო ჯაკომოს, რად-
გან წამდაუწუმ ხელიდან აცლიდა მანუსკრიპტებს. რამდენჯერ შე-
უგდა თავში მღრღნელი ჭია—ფულითა და მოთმინებით რომ ვერას

სლებოდა, ბოროტმოქმედებით მოელო ყოველივე ამისათვის ბოლო
მაგრამ ჯაკომო იგერიებდა შავბნელ ფიქრებს, ცდილობდა სხვა
რამეზე გადაეტანა ყურადღება, არ ეფიქრა იმ სიძულვილზე, ამ
კაცის მიმართ რომ ჰქონდა. ბევრჯერ ჩამოსძინებია ჯაკომოს თავის
წიგნებზე, ამ ბნელ ფიქრებთან ჭიდილში.

დანიშნულ დღეს, ჯერ კარგადაც არ გათენებულიყო, უკვე
იმ სახლთან იდგა, სადაც წიგნების გაყიდვა დაენიშნათ, კომისარზე
უფრო ადრე, ყველა ცნობისმოყვარეზე, შეეზე უფრო ადრე მივიღა
იქ.

როგორც კი კარი გააღეს, კიბეს ეცა. დარბაზში შევიდა, სადაც წიგნები უნდა გაეყიდათ და ის წიგნი მოიკითხა. აჩვენეს. ესეც კი დიდი ბელნიერება იყო.

არა, ჯერ არც ენახა ასეთი საოცარი შიგნი. შიგნი, რომლის წყურვილიც ასე სტანჯავდა. ეს იყო ლათინური ბიბლია ბერძნული კამენტარებით. ჯაკომო ამ შიგნს უფრო ესიყვარულებოდა და აღფრთვანებით შეჰქაროდა, ვიდრე სხვა დანარჩენს. იზონიული ღიმილით ჩაფრენოდა მას და იმ სიმწრის სიცილით იცინოდა, როგორც შიმშილისაგან გულმილეული კაცი იცინის ხოლმე, როცა ოვალწინ უეცრად ოქროს დალანდდავს.

არასოდეს, არასოდეს განუცდია ჭავომოს ასეთი ღიდი სურ-
ვილი. ო, როგორ უნდოდა ამ წუთში, როგორ უნდოდა, თუნდაც
ყველაფრის ფასად, რაც კი მას გააჩნდა — თავისი წიგნების, ყველა
მანუსკრიპტის, მთელი იმ ექვსასი პისტოლისა და თავისი სიცოცხ-
ლის ფასადაც კი, — ხელში ჩაეგდო ეს წიგნი.

დაღვა ნანატრი წუთც. ბატისტოც ქევე იყო ხალხში, მშვიდი
და ლინგი, სახეეგაბრწყინებული. სანუკვარი წიგნის ჯერიც მოვიდა.

პირველად ჯაკომომ შესთავაზა ოცი პისტოლი. ბატისტო დუმ-და და წიგნისაკენ არცყი გაუხედია. ის იყო ბერმა ხელი გაიშოლა და უნდა წაევლო წიგნისათვის, რომელიც თითქოსდა ასე იოლად უვარდებოდა ხელში, რომ ბატისტომ წარმოთქვა: „ორმოცი“, ჯაკომო შეძრწუნებული ხედავდა, რომ მეტოქე ფასის აჭევასთან ერთ-ერთ უფრო ენთებოდა.

— სამოცი, — უპასუხა ბატისტომ.

= also

— ხუთასი, — სინანულით აუწია ფასი ბერმა. მაგრამ / ია
წუთებში, როცა ბერი მთლად კანკალებდა მოუთმენლაშების — და
ბრაზისაგან, გესლითა და ბოროტებით საესე ბატისტო მოჩვენებით
სიმშვიდეს ინარჩუნებდა. სასამართლოს ბოქაულის მძაფრმა, ჩახ-
ლეჩილმა ხმამ სამჯერ გაიმეორა — ხუთასი და ჯაკომო უკვე
გრძნობდა ბედნიერების მოახლოებას, რომ სხვა კაცის ბაგეთაგან
მოწყვეტილმა ერთადერთმა სიტყვამ ბედნიერების ტკბილი ზმანება
გაუფანტა — წიგნის გამყიდველმა მეფის მოედნიდან, ხალხს რომ
მოარღვევდა, წარმოთქვა: „ექვსასწერ“.

წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა, ვიდრე ბატისტომდე მიაღ-
წევდა. ჯაკომოს ისე ახლოს გაუელვა, რომ მისი სუნიც კი შეიგრძ-
ნო და ერთი წამით თვალიც შეავლო, ვიდრე ახალ მფლობელს არ
მიართვეს, რომელმაც წიგნს მაშინვე ხითხითით დაუწყო ფურც-
ელა. ბერმა, სახე რომ დაემანქა, თავი ძირს დახარა. იგი ტიროდა.

ჯაკომო მძიმედ და ზანტად მიაბიჭებდა სახლისაკენ. სახეზე
ისევ ის უაზრო და უცნაური გამომეტყველება დაუბრუნდა, რაც
წინათ ჰქონდა. თვალები ნახევრად მოეხუჭა, ქუთუთოები დასწიოთ-
ლებოდა და ისე ქანაობდა და მიჩლაჩუნებდა, კაცი იფიქრებდა
მთერალიაო. სახეზე ოფლმა დაასხა და კრიჭაშეკრული ზომაზე
მეტად ნასვამი კაცივით რაღაცას ბურღლუნებდა.

გონებას ვეღარ იქრებდა. მისი გაურკვეველი, საკუთარი სხეუ-
ლით დამძიმებული აზრები უმიზნოდ, გაუბედავად ბორიალობდა.
თავი ტკებისავით უმძიმდა, შუბლი გავარვარებული ნახშირივით
უხურდა.

იმ დღეს — ქვირა დღე იყო — უამრავი ხალხი გამოფენილიყო
ქუჩაში. ზოგი ლაპარაკობდა, ზოგიც თავისთვის ლილინებდა, ბერს
ესმოდა ეს ლილინიცა და გაუთავებელი ლაპარაკიც. მაგრამ მის გო-
ნებამდე მხოლოდ ცალკეული წამოძახილები, სიტყვები და ფრაზები
აღწევდა და ეჩვენებოდა, რომ სულ ერთი და იგივე იყო ეს ხმა.
ყველაფერი, ყველაფერი მისთვის ბუნდოვან, გაურკვეველ გუგუ-
ნად, მომაბეზრებელ კაცაფონიად ქცეულიყო.

— გაიგეთ? — ვიღაც კაცი ეუბნებოდა თავის მეზობელს, —
იმ უბედური ორვიედოს, ტაძრის მღვდლის ამბავი? თურმე ლო-
გინში იპოვეს გაგუდული.

ცოტა მოშორებით ქალები გამოსულიყვნენ სახლის წინ, სკამ-

ზე ჩამომსხდარიყვნენ საღამოს სიგრილეში და საუბრობდნენ, და

საქონლები
შესაცემისათვე

ამ, რა ამბავს მოჰკრა ყური ჯაკომომ:

— მისმინე, მარტა, გახსოვთ ის მდიდარი საღამანკელი ახალ-
გაზრდა? სულ რაღაც ეხლახანს რომ ჩამოვიდა აქ და თავისი
მდიდრულად შეკაზმული შავი ჭორით ჩვენს ქუჩებში დაჯირითობდა,
ეკლესიაში მითხრეს დღეს, მომკვდარაო.

— მომკვდარა? — იკითხა ერთმა ქალიშვილმა.

— ჰო, შვილო, — უპასუხა ქალმა, — აქ მომკვდარა, წმინდა
პეტრეს სასტუმროში, ჯერ თავი ასტუკინია, მერე შეუხურებია,
ოთხი დღის შემდეგ კი წაუსვენებიათ.

კიდევ სხვა ბევრი ამბავიც გაიგო ჯაკომომ. ყოველი ეს მოგო-
ნება ურუანტელს გვრიდა მას და ბოროტად ეცინებოდა.

მთლად განადგურებული და ავადმყოფი დაბრუნდა შინ: მა-
შინვე დახლს იქით, ცარიელ ფიცრებზე მიეგდო და იქვე ჩაეძინა. მოუსვენრად ეძინა. მძიმედ სუნთქვდა, დოო და დრო ყრუ, ხრინ-
წიანი ხმა აღმოხდებოდა ხოლმე, საშინელი კოშმარებისაგან დაქან-
ცულს რომ გამოეღვიძა, ოფლში ცურავდა.

შუალამე იდგა, ის იყო თერთმეტჯერ ჩამოჰკრა მეზობელ სამ-
რეკლოზე, რომ ჯაკომოს ყვირილი შემოესმა: „ხანდარია — ვიწ-
ვით!“ ჯაკომომ გამოაღო ფანჯარა და გითხედა ქუჩაში. მართლაც,
სახლის სახურავების ზემოთ უზარმაზარი, მოგზეგიზე ცეცხლის
ენები დაინახა. სახლში შებრუნდა, წიგნსაცავში აპირებდა შესვლას
და ის იყო ლამპა უნდა აეღო, რომ ყური მოჰკრა ხალხის ლაპა-
რაქს, მისი ფანჯრების წინ რომ გარბოდა: ეს ბატისტოს სახლი
იწვის მეფის მოედანზეო.

ბერს შეაერეოლა. გესლიანად ჩაიქირქილა და ბრბოსთან ერთად
გაქანდა წიგნის გამყიდველის სახლისაკენ.

ბატისტოს სახლი ცეცხლს მოეცვა. საშინელი ალი სულ მაღლა-
მაღლა მიიწვედა, ხმაურიანი და მოუსვენარი ბარსელონას თავზე,
ესპანეთის მშენიერი მტრედისფერი ცისკენ. ქარი კიდევ უფრო
აძლიერებდა მას. და პორიზონტს ისე გაკვროდა, თითქოს ფარდაა,
ცრემლის დაფარვას რომ ლამობსო.

ნახევრად შიშველი, გონდაკარგული ვიღაც კაცი, სიმწრისაგან
თმებს იგლეჭდა, მიწაზე გორავდა და მერეხელურ და სასოწარკვე-
თილ სიტყვებს ისროდა. ეს იყო ბატისტო.

ბერი მშვიდად, სიხარულით შესცემეროდა მის სასორწარკვეთას.

ბატისტოს ყოველ წამოკვნესაზე დაუნდობლად იცინოდა, როგორც იციან ხოლმე ბაშვებმა ფრთებდაგლეჭილი პეპელასა შემებისას.

კარგად ჩანდა, ერთ-ერთ ზემო სართულზე, როგორ მოედო დეცხლი რაღაც ქაღალდების დასტას.

ჯაკომომ აილო კიბე, მიაყუდა გაშავებულ და მორყეულ კედელს. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე კიბე ყანყალებდა. მაინც სულმოცუთქმელად მიიწევდა წინ, აი, მიაღწია კიდეც იმ ფანჯარას, დასწყვევლოს ღმერთმა! რაღაცა ძველი წიგნები იყო: არც არაფრად საინტერესო და არც არაფრად ღირებული.

რა უნდა ექნა? უკვე შიგნით იყო. ან ცეცხლში უნდა შესულიყო და მოეძებნა, ან უკან დაბრუნებულიყო კიბით. კიბეს უკვე ცეცხლი მოსდებოდა, სადაცაა ნახშირად იქცეოდა; — არამც და არამც! კვლავ წინ გასწია.

გაიარა რამდენიმე დარბაზი. იატაკი ტკაცუნობდა ფეხქვეშ, რომელ კარსაც მიუახლოედა, ცხვირწინ ჩამოექცა, სახლის კოჭები თავზემოთ ეკიდა, ჯაკომო ბოლისაგან იგუდებოდა, მაგრამ მაინც გააფთრებით მიიწევდა წინ.

ო, როგორ სჭირდებოდა ეს წიგნი! მოკვდება და მაინც იპოვის! აღარ იცოდა საით გაქცეულიყო, მაინც წინ მიიწევდა.

ბოლოს, ჯერ ცეცხლისაგან შეუხებელი, რომელილაც დაკეტილი კარის წინ აღმოჩნდა. კარს ფეხი ჰქრა და შეამტვრია, დაინახა ბნელი და გრძელი ოთახი, ხელის ფათურით შევიდა; რაღაც წიგნებს წააწყდა, სტაცა ერთ-ერთ მათგანს ხელი და ოთახიდან სინათლეზე გამოიტანა. სწორედ ის იყო, ის! — „წმინდა მიხეილის საიდუმლოება“. ისევ უკან გამოვარდა მთვარეულივით დაბორიალობდა. წიგნის მეტი აღარაფერი ახსოვდა. ახტებოდა დანახშირებულ ხის გროვებს. შურდულივით მიიწევდა წინ აბრიალებულ ცეცხლში, მაგრამ კიბე იქ აღარ დახვდა. ძლიერ მიაღწია რომელიაც ფანჯრამდე. კედელ-კედელ ჩამობობდა. მუხლებით და ხელებით შვერილებს ეყრდნობოდა, ტანსაცმელზე ცეცხლი მოედო, როგორც კი ძირს დაშვა, მტვერში გაგორდა.

გავიდა რამდენიმე თვე.. წიგნით მოვაჭრე ჯაკომოს შესახებ აღარაფერი ისმოდა, და თუ რაიმეს იტყოდნენ, მოიხსენიებდნენ, ერთ-ერთ თავისებურად უცნაურ ადამიანთა შორის, რომელთაც

ესპანეთი იმყამად სხვა უფრო მნიშვნელოვანმა სერიოზულმა
ინტერესებმა მოიცვა — თითქოსდა ქვეყანას ბოროტი ძალა და-
ეუფლაო, ყოველ დღეს ახალი შკვლელობა და ბოროტმოქმედება
მოქმნდა. ყოველივე ეს ვიღაცის უხილავი ბოროტი ხელით ხდე-
ბოდა თითქოს ყოველი სახლისა და ოჯახის თავზე ხანგალი იყო
აღმართული. ხალხი სადღაც იკარგებოდა, ჭრილობილან გამოეო-
ნილი სისხლი კვალსაც არ ტოვებდა. სამოგზაუროდ წასული კაცი
უკან აღარ ბრუნდებოდა.

ვერ გაეგოთ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ საშინელ უბე-
დურებათა მიზეზი. ასეა ყოველთვის, უბედურების მიზეზს სხვაგან
ეძებენ, ბედნიერებისას კი თავისთავში.

თადარიგიანი და გულმოლგინე პოლიცია ყოველ ღონეს ხმა-
რობდა დამნაშავის აღმოსაჩენად დაქირავებული მაძებრები ყველა
სახლში ძერებოდნენ, ყურს უგდებდნენ ჩურჩულს, წამოძახილს,
ყოველ გამოხედვას იჭერდნენ, მაგრამ მაინც ვერაფერს გებულობ-
დნენ.

ვენერალური პროკურორი გაუხსნელს არ ტოვებდა წერილსა
თუ ლუქს, გულდაგულ გაღსხერიკა ქუჩაბანდები, მაგრამ ვერა
გააწყო რა.

და ის, დადგა დილა, როდესაც ბარსელონაშ მოიხსნა თავისი
ძალები, რომ შეევსო სასამართლო დარბაზი, სადაც სიკვდილით დას-
ჯის განაჩენი უნდა გამოეტანათ იმ ადამიანისათვის, ვისაც დამნა-
შავედ თვლიდნენ ამ საშინელ მკვლელობებში.

საბრალო ჯაკომოს. მშეიდა ჭა უწყინარ ადამიანს ბრალი
დასდეს ბატისტოს სახლისათვის ცეცხლის წაკიდებასა და მისი
წიგნის მოპარვაში; მას კიდევ ათასი სხვა ბრალდებაც ამძიმებდა.

ასე აღმოჩნდა მკვლელობისა და ავაზაკებისათვის განკუთვ-
ნილ სკამზე ეს უანგარი წიგნისმოყვარული. საწყალი ჯაკომო, რო-
მელიც მხოლოდ თავის წიგნებზე ფიქრობდა, გახლართული აღმოჩნდა
მკვლელობისა და ეშაფოტის საიდუმლოებებში.

დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ბოლოს წამოდგა პროკურო-
რი და წაიკითხა საბრალდებო აქტი. პროკურორმა თქვა, რომ ჯა-
კომოს სახლში იპოვა წიგნი, რომელიც ბატისტოს ეკუთვნოდა,
და რომ ეს წიგნი ერთადერთი იყო ესპანეთში. და თუ ეს ასეა,

ბუნებრივია, ვივარაულოთ, რომ ჯაკომომ დაწვა ბატისტოს სახლი,
რათა ხელში ჩაეგდო ასე იშვიათი და ძვირფასი წიგნი. კინგისაც ასე
ჩუმდა და სუნთქვადამძიმებული დაჯდა თავის ადგილზე:

მაგრამ ბერი კვლავ უმოოთველი სიმშვიდით იჯდა და ერთი
შეხედვითაც კი არ პასუხობდა მის შეურაცხმყოფელ ბრძოს.

მაშინ წამოდგა ჯაკომოს დამცველი და დიდხანს, დიდხანს ტა-
პარაკობდა შეეცრმეტყველურად. ბოლოს, როდესაც დამსწრეთ
ჯაკომოს დანაშაულობებში უკვე ეჭვიც შეეპარათ, დამცველმა მან-
ტიის ქვეშ დამალული წიგნი გამოაჩინა და ხალხს დაანახვა. ეს
იყო იმ იშვიათი წიგნის მეორე ეგზემპლარი.

ჯაკომოს ყვირილი ოღონებდა, სკამზე მოწყვეტით დაეცა და
თმების გლეჭას შობყვა. დადგა გადამწყვეტი წუთი; ყველა ელოდა
ბრალდებულის თუნდაც ერთ სიტყვას, ის კი კრიკაშეეკრული იჯდა.
მხოლოდ ერთი წუთით წამოდგა, შემდეგ ისევ დაჯდა, მსაჯულებსა
და დამცველს ისე შეაცქერდა, თითქოს ესაა, ბურანიდან იღვიძებსო.

ჰქითხეს, — გრძნობდა თუ არა თავს დამნაშავედ ბატისტოს
სახლის დაწვაში.

— არა, ღმერთმა დამიტაროს! — უპასუხა მან.

— არა?

— ბოლოს და ბოლოს, დამსჯით თუ არა? დამსაჯეთ, გეხვი-
წებით! სიცოცხლე ისედაც ტვირთად მაწევს, ჩემმა დამცველმა
მოგატყუათ, არ დაუჭეროთ, დამსაჯეთ. მე მოვკალი დონ ბერ-
ნარდი, მე მოვკალი მღვდელი, მე მოვიპარე ეს წიგნი, ერთადერთი
წიგნი, რომლის მეორე ცალი მთელს ესპანეთში არ არსებობს!

დამცველი მიუახლოვდა და დაანახვა სხვა ეგზემპლარი.

— მე შემიძლია გიხსნათ, შეხედეთ!

ჯაკომომ წიგნი გამოართვა და ხარბად დაუწყო თვალიერება.

— ოოხ, მე კი მეგონა ის წიგნი ერთადერთი იყო მთელს ეს-
პანეთში. აჲ, მითხარით, რომ იცრუეთ. — და ჯაკომო უგრძნობლად
დაჯდა.

მოსამართლეებიც დაბრუნდნენ და ჯაკომოს სიკვდილის გა-
ნაჩენი გამოუტანეს.

ჯაკომომ ისე მოუსმინა განაჩენს, ერთი კუნთიც არ შეტოკე-
ბია სახეზე, პირიქით, თითქოს უფრო დამშვიდდა კიდეც. ბოლოს
გამოუცხადეს, თუკი სურვილი ჰქონდა, შეეძლო თხოვნით მიემარ-
თა პაპისათვის და შეწყალება მიელო. მაგრამ ჯაკომომ შეწყალება არ

ინდომა. მისი ერთადერთი თხოვნა იყო საკუთარი ბიბლიოთეკა, მისთვის გადაეცათ, ვისაც ყველაზე ბევრი წიგნი ჰქონდა მთელი მასში. ესპანეთში.

როგორც კი ხალხი დარბაზიდან გაიკრიფა, დამცველს სთხოვა, გორის გადაეცათ და ის წიგნი მათხოვეო. დამცველმა მიაწოდა.

ჯაյომომ სიყვარულით სავსე სინაზით გამოართვა იგი, რამდენიმე ცრემლი დაეცა მის ფურცლებზე, შემდეგ სიძულვილით და-
ხიდა იგი და ნაფლეთები თავის დამცველს სახეში მიაყარა:

— თქვენ მანც იცრუეთ, ბატონო ადვოკატო! ხომ გიუბნე-
ბოდით, რომ ჩემი წიგნი ერთადერთია მთელს ესპანეთში.

სამეცნიერო-ტექნიკური ინცორმაცია
ტექნიკური პროგრესის სამსახურზე

სკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წ. აპრილის პლენუმზე ჩამოყალიბდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფცია. მომავალი ხუთწლედის გეგმებსა და 2000 წლის პერიოდის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია, რომ ცენტრალურ კომიტეტს ამ მხრივ მხედველობაში აქვთ არა მარტო სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპების დაჩქარება (რაც თავის მხრივ გულისხმობს სამეცნიერო კვლევის ეფექტიანობას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წარმოებაში დანერგვასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების უველა რეზერვის გამოყენებას), არამედ მთელი სოციალისტური წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა და მართვის ეფექტიან ფორმებზე გადასვლა.

მეცნიერების განვითარების დღევანდელი ეტაპისათვის ნიშანდობლივია სამეცნიერო და სამრეწველო ძალების მაქსიმალური ინტეგრაცია, განვითარების ტენდენციები — „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში, მეცნიერებაში, ტექნიკასა და წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის მართვის სრულყოფისათვის გამოცდილების მიღებას ხელი შეუწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის VI პლენუმშა დევიზით — „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უპირველესი პარტიული საზრუნვადა“.



მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პრობლემები კვლავ იქნა განხილული 1985 წლის 11 ივნისს საქართველოს პარტიულ-სამეცნიერო აქტივის კრებაზე, რომლის შედეგები გააწყვევდა ლიზებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ჭ. ი. პატიაშვილის მოხსენებაში „ეკონომიკის ინტენსიფიკაციის კურსით“.

პრინციპულად ახალი სტრატეგიული კურსი იქნა შემუშავებული სკპ XXVII ყრილობაზე, ეს არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსი, რომლის არსია: „წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკის სტრატეგიული გარდაქმნის, შრომის გართვის, ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების საფუძველზე“.

დასახული ამოცანები მოითხოვს წარმოების მეცნიერებისაკენ შემობრუნების და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გაქსიმალური შეთვისების აუცილებლობას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება გულისხმობს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, წარმოებისა და პრაქტიკის მოწინავე გამოცდილების შესახებ არსებული და მიმდინარე სამეცნიერო ლიტერატურის დროულად მონახვას, მის ანალიზს, დამუშავებას, პროპაგანდას, გაუზრულებას და ინფორმაციის ცალკეულ მომხმარებლამდე დაყვანას, რაც სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

საჭირო ინფორმაციის დროულად მიღებას ხელს უშლის მრავალი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი, როგორიცაა: ინფორმაციის გაფრცელება სივრცესა და ღრმოში, ინფორმაციის გაფანტულობა თუ განაწილება სხვადასხვა სახის გამოცემაში, ინფორმაციის სიძეველე, ინფორმაციული კულტურის დაბალი დონე, ენობრივი ბარიერი და სხვ. აღნიშნულ მიზეზთა გამო საჭირო ინფორმაციის მიღებას დიდი დრო სჭირდება; მაგალითად, ქიმიური მეცნიერების დარგში — სამუშაო დროის 1/3, სოფლის მეურნეობაში — 1/6, და ა. შ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. მ. გ. ს. გორგაძევის 1985 წლის 11 ივნისის მოხსენებაში — „პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის

ძირეული საკითხები“ ნათქვამია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კატალიზატორს სხვა დარგებთან ერთად წარმოადგენს ინფორმატიკის ინდუსტრია.

სკუპ XXVII ყრილობაზე დაისახა და მიმღინარე წელს განხორციელდა გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტის შექმნა, რომელსაც დაევალა სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა გამოთვლითი ტექნიკით და ამ მიმართულებით სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაცია.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც მართვა ხორციელდება მხოლოდ დაგემვის პრინციპით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო ლიტერატურის მიღება-შესწავლისა და პროპაგანდის ორგანიზაციის საკითხებს. დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს მომავლის ის გეგმები და პროგნოზები, რომელსაც სამეცნიერო ინფორმაცია იძლევა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩარების მიზნით საჭიროა სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნიკოლოგიურ სამუშაოთა დაგეგმვა და კოორდინაცია, რაც შეუძლებელია მსოფლიო მიღწევების გათვალისწინების გარეშე.

სამეცნიერო ინფორმაციის მიღება-შესწავლა-დამუშავება-გავრცელების ფუნქციებს, ინფორმაციის ორგანოებთან ერთად, ასრულებენ საკავშირო ცენტრალური დარგობრივი და სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები და ბიბლიოგრაფიის ორგანოები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ინფორმატიკის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის წარმოშობა განაპირობა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სწრაფმა ტემპმა, მათი მიღწევების წარმოებასა და პრაქტიკაში დროულად დანერგვის აუცილებლობამ, მეცნიერების დარგების ვიწრო სპეციალიზაციამ, სამეცნიერო კადრების არმიის შექმნამ და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა რიცხობრივმა ზრდამ, რამაც თავის მხრივ ხელი შეუშენებობის სამეცნიერო ინფორმაციის დაგროვებას.

1965 წელს მოსკოვში ინფორმაციის დარგში გამოვიდა პირველი სახელმძღვანელო მონოგრაფია „სამეცნიერო ინფორმაციის საფუძველები“ ა. ი. მიხაილოვის, ა. ი. ჩერნის და რ. ს. გილიარევსკის ავტორობით. 1968 წელს აღნიშნული წიგნის მეორე გამოცემა დაიბეჭდა „ინფორმატიკის საფუძვლების“ სახელშოდებით (გამომცემლობა «Наука»).



ინფორმატიკა დაკავშირებულია ცოდნის ისეთ დარგებთან, როგორიცაა კიბერნეტიკა, ფსიქოლოგია, ბიზუინესი, წიგნმცოდვებულის ხელმისაწვდელი და სხვ.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახსიათებელია მეცნიერების დარგების დიფერენციაცია და სპეციალიზაცია, ე. ი. მეცნიერების დარგებს შორის ურთიერთკავშირი და ურთიერთხემოქმედება.

XIX საუკუნის მეცნიერულმა აღმოჩენებმა საფუძველი ჩაუყარეს მეცნიერების დარგებისა და ქვედარგების გამოყოფას. მეცნიერების განვითარების ეს ეტაპი ხსიათდება მეცნიერების კავშირით ტექნიკასთან, როცა მეცნიერება უშუალოდ გადაქცა საწარმოო ძალად.

მეცნიერების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, მათ შორის სამეცნიერო კვლევებზე გაწეული ხარჯები, სამეცნიერო კადრებისა და მათ შესაბამისად სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის ზრდა. იუნისკოს მონაცემებით, თუ 60-იან წლებში მსოფლიოში ყველა დარგის ვიწრო სპეციალობით ყოველდღიურად 100 ნაბეჭდი გვერდი გამოდიოდა, 70-80-იანი წლებისათვის ყოველ 40 წუთში 40000 ინფორმაცია იქმნება. თუ XIX-XIX საუკუნეების მეცნიერებს „ატონვნად „ცოცხალ ენციკლოპედიას“ უწოდებდნენ, მეოცე საუკუნის მეცნიერი უკვე თავისი ვიწრო სპეციალობის ლიტერატურის შესწავლით იფარგლება. ოპტიმისტების ვარაუდით, 2000 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობის ერთი მესამედი მეცნიერებით იქნება დაკავებული. ამ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო შრომის სპეციალიზაციასა და მისი ნაყოფიერების ზრდას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია მეცნიერული აზროვნების სტილის შეცვლა, მეცნიერების წინსვლის ტემპის ზრდა და მისი მიღწევების პრაქტიკაში დროულად დანერგვის აუცილებლობა, პროგნოზირების ფუნქციის ზრდა, მეცნიერების დარგებს შორის დიფერენციაციისა და ინტეგრაციის თანაფარდობის დაზღვევა. ერთი სიტყვით, მივიღეთ ეგრეთწოდებული „ინფორმაციული ბუმი“; ცოდნისა და ინფორმაციის ამ მოზღვავებულმა ნაკადმა დღის წესრიგში დააყენა ცალკეული სამეცნიერო თუ საწარმოო კოლექტივის, ინფორმა-

ციის ცალკეული მომხმარებლის ორიენტირება და სათანადო რნ-
ფორმაციით უზრუნველყოფა.

დღეს ინფორმაციას განიხილავენ ისეთივე მნიშვნელობით,
როგორც მიწის, ენერგიის, შრომისა და კაპიტალის სახელმწიფო
რესურსებს.

ჩვენს ქვეყანაში საინფორმაციო საქმიანობას საფუძველი ჩა-
ეყარა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღე-
ებიდანვე. 20-იან წლებში დაიწყო ბიბლიოგრაფიისა და ინფორ-
მაციის ორგანოების ჩამოყალიბება.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი სახელმწიფოებრივ მნიშვნელო-
ბას ანიჭებდა ბიბლიოგრაფიისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინ-
ფორმაციის ორგანოების ორგანიზაციისა და მისი საქმიანობის სა-
კითხებს, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების შესა-
ხებ სამეცნიერო ლიტერატურის დროულად გაცნობის საქმეს; იგა
მოითხოვდა, რომ კაცობრიობის მიერ მოპოვებული მთელი საუნ-
ჯე საბჭოთა ხალხის საკუთრებად ქცეულიყო. 1921 წლის 12 ივნი-
სის ლენინური დეკრეტის თანახმად ჩვენს ქვეყანაში საფუძველი
ჩაეყარა სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის გამოყენების
საქმეს, რომლის შედეგად დაარსდა წიგნის პალატა და ინფორმა-
ციის სპეციალური სამსახურები, დაიწყო რეფერატული უურნალე-
ბის გამოცემა მრეწველობის დარგში. უშუალოდ ვლადიმერ ილიას
ძე ლენინის ხელმძღვანელობით და ინიციატივით 1921 წელს შე-
იქმნა „საზღვარგარეთის ლიტერატურის შესყიდვისა და გავრცე-
ლების ცენტრალური საუწყებათაშორისო კომისია“, რომელსაც
ევალებოდა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა სფეროში, მეცნიე-
რული ლიტებულების მქონე, 1914 წლიდან გამოცემული მიმღი-
ნარე და რეტროსპექტული, ყველა სახის ლიტერატურის შეძენა და
მათი განაწილება ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ ბიბლიოთეკებში.
ვლადიმერ ილიას ძე თვითონვე ადევნებდა თვალყურს კომისიის
მუშაობას. ლენინის მოთხოვნებს — შევისწავლოთ მეცნიერებისა
და ტექნიკის მიღწევები სახალხო მეურნეობის საქმიანობის ყველა
ფრონტზე, მსოფლიო მასშტაბით, — დღესაც არ დაუკარგავს თვით-
ის აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. წიგნის პალატა გა-
დაიქცა ნაბეჭდი პროდუქციის სახელმწიფო რეგისტრაციის ორგა-
ნოდ; 20-იან წლებში შეიქმნა ინფორმაციის დარგობრივი ორ-
განოები მძიმე მრეწველობაში; 40-იან წლებში დაიწყო საინფორ-



მაციო სამსახურების ჩამოყალიბება ცალკეულ სამინისტროებსა და მთავრობას დაწესებულებებში; 1952 წელს შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტი, რომელიც შემდგომში საკავშირო ინსტიტუტად გადაეცევდა.

რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში არსებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანიზაციის ფორმა ვერ პასუხობდა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დაქარებულ ტემპს, ვერ აქმაყოფილებდა იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რომელსაც მეცნიერების წინსვლა და მისი შედეგების წარმოებაში დანერგვის აუცილებლობა მოითხოვდა, არ პასუხობდა განვითარებული სოციალიზმის სახალხო მეურნეობის მართვის ახალ პირობას, საბოლოო ჯამში ადგილი ჰქონდა სამეცნიერო კვლევების, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნილოგიურ სამუშაოთა დუღლირებას, რის გამოც იხარჯებოდა და ნიავდებოდა სახელმწიფო სახსრები, საჭირო გახდა ახალი ლონისძიებების გატარება.

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების და სამსახურების საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას ბიძგი მისცა სკკპ XXIII ყრილობამ, რომლის დირექტივებში მითითებულია, რომ დაქარებეს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები და მათი შედეგების დანერგვა წარმოებასა და პრაქტიკაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს რიგი დადგენილებების შედეგად ჩვენს ქვეყანაში 70-იან წლებში ჩამოყალიბდა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო სისტემა (ГСНТИ)*, რომელიც სტრუქტურულად მოიცავს: 1. ინფორმაციის საკავშირო, 2. ცენტრალურ-დარგობრივ, 3. ტერიტორიულ-რესპუბლიკურ შრავალდარგობრივ, 4. დარგთაშორის ტერიტორიულს და 5. ინფორმაციის სამსახურებს საწარმო-დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქანკნებში, სამეცნიერო-კვლევით და უმაღლეს სასწავლებლებში და სწავლების აქვე უნდა დავუმატოთ ბიბლიოთეკები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, პროპაგანდისა და ტექნიკის სახლები, სახალხო მეურნეობის და მათ შორის სასოფლო-სამეურნეო გამოფენები. სპეციალური დადგენილებით განისაზღვრა სამეცნიერო-ტექ-

* 1 შემდგომში ყველა ორგანოს შემოკლებები წარმოდგენილი იქნება რუსული სახელწოდების მიხედვით.



ნიური ინფორმაციის საერთო-სახელმწიფო ბრივ სისტემაში შემოგვალი ინფორმაციის ცალკეული ორგანოს ტიპიური დებულქებურია

ინფორმაციის ყოველი ორგანოს საინფორმაციო საქმიანობის ძირითად ობიექტს ყველა სახის დოკუმენტით წარმოადგენს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გარკვეული ყურადღება შევაჩეროთ მათზე.

თანამედროვე დოკუმენტური ნაკადის სახეები ისტორიულად სხვადასხვა ეტაპზე ჩამოყალიბდა. ისინი პირობითად იყოფა პირველად და მეორად გამოცემებად. პირველად დოკუმენტებს განეკუთვნებიან სხვადასხვა სახის წიგნები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელები, სამეცნიერო კონგრესების, სიმპოზიუმების თუ თაობირების მასალები, ოფიციალური საუწყებო გამოცემები, ბროშურები, უურნალ-გაზეთები, ტექნიკური გამოცემები, სტანდარტები, გამოგონებათა აღწერილობები, რაციონალიზატორული წინადაღებები და პატენტები; ტექნიკური და საფირმო კატალოგები, პრეისკურანტები; დამთავრებულ სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშები, დისერტაციები, ავტორეფერატები; ხელნაწერები, პრეპრინტები, თარგმანები; საცნობარო ლიტერატურა (ენციკლოპედია, ცნობარი, სასაუბრო, ორენოვანი და მრავალენოვანი ლექსიკონები).

მეორადი დოკუმენტები წარმოადგენენ ზემოჩამოთვლილი პირველადი დოკუმენტების ანალიტიკურ-სინთეზური და ლოგიკური დამუშავების შედეგად მიღებულ ინფორმაციულ მასალებს — რეფერატული უურნალებისა და სხვა სახის საინფორმაციო გამოცემების სახით.

მეორადი დოკუმენტები თავის მხრივ ქმნიან ე. წ. საინფორმაციო პერიოდული გამოცემების სისტემას, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას შეადგენს საზოგადოების ყველა წევრის უზრუნველყოფა იმ აუცილებელი და საჭირო ინფორმაციით, რაც კაცობრიობას შეუქმნია. ექ უნდა ვიგულისხმოთ სოციალური სტრუქტურის — საზოგადოება-კოლექტივის, ცალკეული ინდივიდის ინფორმაციული უზრუნველყოფა.

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფო სისტემაში შემავალ ორგანოებს ევალებათ მსოფლიო სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის შესწავლა-შერჩევა-გავრცელება-შენახვა.



ბიბლიოგრაფიის და ინფორმაციის თითოეული ორგანო პირ-
ველადი ლიტერატურის ანალიტიკურ-სინთეზური დამუშავების სა-
ფუძველზე გამოსცემს ე.წ. წ. მეორად გამოცემებს: ბიბლიოგრაფი-
ულ და რეფერატულ ჟურნალებს; ექსპრეს, მიმოხილვით, სასიგნა-
ლო ინფორმაციებს და სხვა სახის საინფორმაციო თუ ბიბლიოგ-
რაფიულ გამოცემებს მეცნიერების, ტექნიკის, სახალხო მეურნეო-
ბის ცალკეული დარგების, თემების თუ პრობლემების მიხედვით.
ინფორმაციის და ბიბლიოგრაფიის საკავშირო ორგანოებს
ეკუთვნის:

1. სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საკავშირო ინს-
ტიტუტი (ВИНИТИ). იგი შეიქმნა 1952 წელს. ამუშავებს
მსოფლიო ლიტერატურას საბუნებისმეტყველო, ზუსტი და ტექ-
ნიკური მეცნიერების და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში,
გარდა კლინიკური მედიცინის, სოფლის მეურნეობის ორგანიზაცი-
ის, მშენებლობა-არქიტექტურისა, რომელთა მიხედვით ცალკე არ-
სებობს ინფორმაციის საკავშირო-დარგობრივი ინსტიტუტები.
„ვინიტი“ წარმოადგენს ინფორმაციის მოწინავე და ძირითად ინს-
ტიტუტს ქვეყანაში, რომლის რეფერატული ჟურნალები მეცნიერე-
ბისა და ტექნიკის ცალკეულ დარგებზე, ქვედარგებსა თუ პრობ-
ლემებზე მოიცავენ მსოფლიო ღოკუმენტური ნაკადის ყველა
სახეს შემდეგი დარგებისა და მათი ქვედარგების მიხედვით: მა-
თემატიკა, ფიზიკა, მექანიკა, ქიმია, ქიმიური მრეწველობა, ბიოლო-
გია, გეოგრაფია, გეოფიზიკა, გეოლოგია, სამორ საქმე, ასტრონო-
მია, კოსმოსური სივრცის გამოკვლევა, მეტალურგია, მანქანათმშე-
ნებლობა, ენერგეტიკა, ელექტროტექნიკა, რადიოტექნიკა, ელექ-
ტრონიკა, კავშირგაბმულობა, ავტომატიკა და ტელემექანიკა, გამომ-
თვლელი ტექნიკა, ტრანსპორტი, პოლიგრაფია, ფოტოტექნიკა,
კვების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, სატყეო და ხისდამმუ-
შავებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა (სასოფლო-სამეურ-
ნეო მანქანა-იარაღები, მეცენარეობისა და მეცხოველეობის ბიო-
ლოგიური საფუძვლები, ნიადაგმცოდნეობა), მრეწველობის ეკო-
ნომიკა (მათ შორის სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზა-
ცია), ინფორმატიკა. აღნიშნული გამოცემები 1986 წლისათვის გა-
მოდის 28 კრებსითი გამოცემა, სულ 242 სერია: „ვინიტი“ აგრეთ-
ვე გამოსცემს სასიგნალო ექსპრეს, მიმოხილვით ინფორმაციებს,
რეფერატულ ბარათებს და კარტოთეკას, რომლებიც მთლიანად შე-

იცავენ 130 ქვეყნის (66 ენაზე) მსოფლიოში არსებულ მიმდინარე სამეცნიერო და ტექნიკურ ლიტერატურას.

2. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტი (ИНИОН) შეიქმნა 1968 წელს, საზოგადოებრივი მეცნიერების ყველა დარგში, მათ შორის: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ლიტერატურათმცოდნეობა, მეცნიერებათმცოდნეობა, ფილოსოფიური მეცნიერებანი, ეკონომიკა, მეცნიერული კომუნიზმი, ენათმეცნიერება და სხვ. „ინიონი“ შეისწავლის, ამჟამავებს და აანალიზებს მსოფლიო ლიტერატურული ნაკადის ყველა სახეს, რომელთა მიხედვით შემდეგ გამოსცემს ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს და რეფერატულ ჟურნალებს ცალკე სამამულო და ცალკე საზღვარგარეთის ლიტერატურის შესახებ, მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით.

3. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საკავშირო ცენტრი (ВЦНТИ) შეიქმნა 1966 წელს, რომელსაც დაეკალა ქვეყნის შიგნით მიმდინარე, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგის სამეცნიერო-კვლევით, საცდელ, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა თემატიკისა და დამთავრებულ სამუშაოთა ანგარიშების და დისერტაციების რეგისტრაცია-კოორდინაცია და მათ შესახებ რეფერატული და ბიბლიოგრაფიული კრებულების გამოცემა. სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების, საკონსტრუქტორო დაწესებულებებისა და საცდელი სადგურების კვლევის შედეგების გამოქვეყნებისა და გავრცელების ტრადიციულ ფორმას ცენტრის შექმნამდე სამეცნიერო პერიოდიკის სტატიები წარმოადგენდნენ. დანარჩენი მასალის 2/3 კი ინახებოდა არქივებში, რის გამოც ადგილი ჰქონდა კვლევით სამუშაოთა დუბლირებას, ერთი და იგივე პრობლემის კვლავ გადაწყვეტას. ცენტრის შექმნამდე აღნიშნულ სამუშაოთა სისტემატური და თანმიმდევრული რეგისტრაცია არ ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში.

დღეს, სამეცნიერო დაწესებულება-ორგანიზაციებს ევალებათ ცენტრს წარუდგინონ საინფორმაციო-რეფერატული ბარათები წლიურ ანგარიშებსა და დისერტაციებზე, რომელთა მიხედვით გამოსცემს თემატიკის რეგისტრაციის ბიულეტენებს და რეფერატულ კრებულებს დამთავრებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე.

ამ გამოცემების საშუალებით შეიძლება თვალყური ვადევნოთ



შიმდინარე ყველა სახის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ სამუშაოთა შედეგებს.

4. სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურისა და დოკუმენტაციაში ციის თარგმანების საკავშირო ცენტრი (ВЦП), რომელიც 1972 წელს შეიქმნა, წარმოება-ორგანიზაციების შეკვეთების საფუძველზე ეწევა: მთარგმნელობით მუშაობას მეცნიერებისა და ტექნიკის ნებისმიერი თემატიკის მიხედვით; თარგმანების კოორდინაციას ქვეყნის შიგნით, რომელთა საფუძველზე გამოსცემს თარგმანების კატალოგს.

5. ტექნიკური ინფორმაციის, კლასიფიკაციისა და კოდირების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ВНИИКИ) შეიქმნა 1964 წელს; იგი სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და ხარისხის მართვის საკითხებზე შეისწავლის და აგროვებს მსოფლიო ლიტერატურას, რომელთა დამუშავების და სისტემატიზაცია-შესწავლის საფუძველზე გამოსცემს ბიბლიოგრაფიულ, რეფერატულ, მომხილვით ინფორმაციებს საერთაშორისო სტანდარტების, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის, ტერმინოლოგიის, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის და სხვა სერიების მიხედვით.

6. საპატენტო ინფორმაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ВНИИПИ) შეიქმნა 1962 წელს; მასვე ეკუთვნის „პატენტის“ საწარმოო-პოლიგრაფიული საწარმო, საკავშირო საპატენტო-ტექნიკური ბიბლიოთეკა და საპატენტო მომსახურების საკავშირო ცენტრი. საზღვარგარეთის და სამამულო საპატენტო გამოგონებათა და მასალების დამუშავების საფუძველზე გამოსცემს ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს და რეფერატულ კრებულებს მიცნებებისა და ტექნიკის ცალკეული დარგების მიხედვით, აგრეთვე დანერგილ გამოგონებათა საძიებელს.

7. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფო სისტემაში აგრეთვე შედის სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გართვენა (ВДНХ СССР). იგი პროგანდას უწევს მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და წარმოების უახლეს მოწინავე გამოცდილებას, აწყობს თემატურ გამოფენებს, დათვალიერებებს, სპეციალურ კურსებს გამოცდილების გაზიარება-შესწავლის მიზნით; ეწევა საწარმო-დაწესებულებათა და მნახველთა საცნობარო-ინფორმაციულ მომსახურებას, აქვს საცნობარო-საინფორმაციო ფონდი 200 ათასი დასახელების ფაქტოგრაფიული ინფორმაციით;

ამუშავებს პროსპექტებს, გამოფენის ექსპონატების ტექნიკურ-და-ხსიათებებს და ოწერილობებს; საერთაშორისო გამოფენების კავშირო განყოფილებათა კატალოგებს; კონფერენციების, კონგრესების და სხვა ღონისძიებათა მასალებს, რომელთა საფუძველზე გამოსცემს ინფორმაციულ ბიულეტენს თემატური გამოფენის და სხვა ღონისძიებათა საინფორმაციო მასალებზე.

8. საკავშირო წიგნის პალატა (ВКП) წარმოადგენს ბიბლიოგრაფიის სახელმწიფო ორგანოს ჩვენს ქვეყანაში. იგი რეგისტრაციას უკეთებს ქვეყანაში გამოცემულ ყველა სახის ლიტერატურას, რომლის საფუძველზე ცოდნის ყველა სფეროში გამოსცემს ბიბლიოგრაფიულ უსრნალებს „მატიანების“ სახელწოდებით. ესენია: წიგნის მატიანე, საგაზეთო სტატიების მატიანე, საურნალო სტატიების მატიანე, რეცენზიების მატიანე, ნოტების მატიანე, რომელთა მიხედვით ქვეყნის ცენტრალური დარგობრივი ბიბლიოთეკები შემდგომ სავალდებულო ეგზემპლარის საფუძველზე აღვენენ დარგობრივ ბიბლიოგრაფიულ უსრნალებს. ასევე ხდება მოკავშირე რესპუბლიკების ნაციონალური ბიბლიოგრაფიების შედგენაც.

9. სსრკ სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოტეკა (ГПНТБ СССР) შეიქმნა 1958 წელს, როგორც სამამულო და საზღვარგარეთის სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის მრავალ-დარგობრივი წიგნსაცავი. იგი გამოსცემს ბიბლიოგრაფიულ, ანბანურ და სისტემატურ საძიებლებს ბიბლიოთეკაში შემოსული საბჭოთა და საზღვარგარეთის უსრნალების და წიგნების შესახებ საბუნებისმეტყველო მეცნიერების, მედიცინის, ტექნიკის და სოფლის მეურნეობის დარგებში. აგრეთვე, საზღვარგარეთის პერიოდულ გამოცემათა საერთო-საკავშირო კრებსით კატალოგებს, გაცვლითი ფონდის საძიებლებს დარგების მიხედვით, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის დარგობრივ გამოცემათა ლიტერატურის საძიებლებს.

10. ინფორმაციის საკავშირო ორგანოებს ეკუთვნის აგრეთვე სსრკ ლენინის ორდენისასნი ვ. ი. ლენინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა (ГБЛ СССР), რომელიც კულტურისა და ხელოვნების, ბიბლიოთეკათმცოდნეობის და ბიბლიოგრაფიის დარგში სამამულო და საზღვარგარეთის ლიტერატურული მასალების მიმოხილვის საფუძველზე გამოსცემს ბიბლიოგრაფიულ, რეფერა-

ტულ და მიმოხილვით ინფორმაციებს ცალკე სამამულო და დალგენის საზღვარგარეთის ქვეყნების მიხედვით.

11. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფო სისტემის შემადგენლობაში შედის ინფორმაციის დარგობრივი და რესპუბლიკური მრავალდარგობრივი ინფორმაციის ინსტიტუტები, რომელთაგან გამოვყოფთ სამეცნიერო ინფორმაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს (ВНИИМИ), რომელიც 1963 წელს შეიქმნა. მსოფლიო ლიტერატულ ურნალებს და ექსპერს-ინფორმაციებს მედიცინის ცალკეული დარგების მიხედვით.

აქვე შედის მეცნიერების, ტექნიკისა და სახალხო მეურნეობის-ცალკეული დარგების მიხედვით ინფორმაციის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა ინსტიტუტები (ЦНИИТЭИ), რომლებიც სპეციალური ლიტერატურის ნაკადის შესწავლა-დამუშავების საფუძველზე გამოსცემენ ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს, რეფერატულ კრებულებს და მიმოხილვით ინფორმაციებს ვიწრო დარგობრივი და ვიწრო თემატური სერიების მიხედვით. ზემოაღნიშნული ინფორმაციის ორგანოები, საინფორმაციო გამოცემების გარდა, დარგის განვითარების ძირითადი მიმართულების, მიზნობრივი კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების და უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით გამოსცემენ მიმოხილვით ინფორმაციებს, ექსპრეს-ინფორმაციებს, დასაწერგად რეკომენდებულ მოწინავე გამოცდილების და რაციონალიზატორულ წინადადებებს, სამამულო და საზღვარგარეთის საწარმოო გამოცდილებებს ცალკეული დარგების მიხედვით.

გარდა საინფორმაციო მუშაობისა, ისინი ეწევან ინფორმაციის ცალკეულ მომხმარებელთა საცნობარო-საინფორმაციო მომსახურებას, მათი მოთხოვნების მიხედვით გასცემენ ბიბლიოგრაფიულ, ფაქტოგრაფიულ, ანალიტიკურ ცნობებს, პირველწყაროს ას-ლებს, თემატურ შენარჩევებს.

ისმება კითხვა, საიდან შეიძლება საჭირო, უახლესი, სამედიცინო ინფორმაციის მიღება, რომელი არხიდან, საიდან დავიწყოთ მათი ძებნა.

ინფორმაცია, რომელიც არსებობს და ვერ ვლებულობთ, იყარება. დაკარგული ინფორმაციის რაოდენობა სამეცნიერო ლიტერა-

ტურის კანონზომიერებათა მიხედვით, დაახლოებით 50-60% შეადგენს. და თუ დაკარგულ ინფორმაციას გადავიყვანთ მანქანურებულ საბოლოო ჯამში ნაციონალური შემოსავლით განვსაზღვრავთ, ენახავთ, რომ დიდ ეკონომიკურ ზარალთან გვექნება საქმე. აქედან იქმნება მდგომარეობა, რომელსაც „ინფორმაციული კრიზისი“ ეწოდება, რაც ერთდროულად გულისხმობს როგორც ინფორმაციის დიდ რაოდენობას, ასევე მისი მიღების სირთულეს ან შეუძლებლობს საერთოდ.

სკპ XXVII ყრილობის მასალებიდან ავიღოთ ასეთი მაგალითი: XII ხუთწლედის დასასრულს მანქანათსამშენებლო კომპლექსური პროგრამის განხორციელება ქვეყანას მისცემს 100 მილიონ ტონაზე მეტ სათბობის ეკონომიის, გამოათავისუფლებს 12 მილიონი კაცის შრომას, ხოლო კომბაინი „დონ-1500“ გამოათავისუფლებს 4 ათას მეტანიზაცირს, შეამცირებს მილიონობით ტონა მარცვლეულის დანაკარგს.

აქ შეიძლება დავიკონკრეტოთ სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის პრობლემები, რომლებიც საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალებშია წარმოდგენილი, კურძოდ: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების კონფიუნგრის განსაზღვრა, შრომის ნაყოფიერებისა და სტიმულირების ზრდა, სამუშაო დროის სწორი გამოყენების ორგანიზაცია; მცირე მექანიზაცია, რეზერვების გამოძებნა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის ფორმების დამუშავება; 2000 წლამდე რესპუბლიკის მიწათმოქმედების კომპლექსური ღონისძიებების მიხედვით სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის დაჩქარება; საკვებდწარმოების გადიდება, სელექციის, მეთესლეობის, ქიმიზაციის და სხვა საკითხები. მათი აუცილებელი და სასწრაფო გადაწყვეტა თუნდაც იმითაა დასაბუთებული, რომ რესპუბლიკაში დიდი სხვაობაა ერთი ზონის სხვადასხვა მეურნეობათა და კოლმეურნეობათა მოსავლიანობას შორის; ასევე, მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არა რაოდენობრივი ზრდის ტენდენციის შენარჩუნება, არა-მედ მისი ექსპლოატაცია, რემონტი, მექანიზმების, მოწყობილობათა და სათადარივო ნაწილების მოვლა-პატრონობა, გამოყენება-შენახვა; სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, წარმოებისა და ორგანიზაციის, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება; მინერალური და



ორგანული სასუქების გამოყენება-შენახვა, მათი ნიადაგში შეტანილი რაციონალიზაცია; მცენარეთა დაცვის ახალი მეთოდების გამოყენება-შენახვა ნება; გარემოს დაცვა; კოლხეთის დაბლობის დაშრობა, სარწყავი მიწების ფონდის გადიდება; მთიანი რაიონების სათიბების, საძმვრების, ნიადაგის მოვლა, სარეველებისა და ეროვნის წინააღმდეგ ბრძოლის უახლესი მეთოდების დანერგვა და ა. შ.

საინფორმაციო გამოცემების ანალიზი გვაძლევს მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევების გამოყენებისა და დანერგვის უამრავ; მაგალითს, კერძოდ, ენერგიის რაციონალური და ეკონომიური ხარჯვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მსოფლიო მასშტაბით. მეცნიერები სწავლობენ ელექტროენერგიისა და სათბობის ეკონომიის თეორიის საკითხებს, კერძოდ, გერმანელ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ენერგიის მოხმარება წარმოების სტრუქტურისა და ტექნიკური პროცესების გაუმჯობესების ხარჯზე 30%-ით უნდა შემცირდეს, სოფლის მეურნეობაში ენერგიის ეკონომიის რეზერვს წარმოადგენს ივტოსადგომებისა და მეცხოველეობის ფერმებში გათბობის რეგულირება, სათბობლანადგართა დაცვა დამტკიცირებისა და გაჭუჭყიანებისაგან, საწყობებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღია მოედნების განათების შემცირება 30%-მდე და ა. შ.

ამერიკელი სპეციალისტების გამოანგარიშებით, სოფლის მეურნეობაში დახარჯული ენერგიის 75% მემცენარეობაზე მოდის, რომლის შემცირების საშუალებას იძლევა ნიადაგის დამუშავების შეჩეული ფორმა, ღიზელ-გუთნების გამოყენება, რომელიც ფრთიან გუთანთან შედარებით ორჯერ ნაკლებ ენერგიას ხარჯავს.

ასევე ნაკლებია ენერგეტიკული დანახარჯები ღისკონიანი ფარცხისა და საველე კულტივატორების გამოყენებისას; ტრაქტორების საბურავების ბუქსირების ოპტიმიზაცია იძლევა ენერგიის ეკონომიას 10-15%-მდე. ასევე გაანგარიშებულია, რომ სილოსის ამონები კომბაინის დანების პერიოდული ალესვისას ენერგიის ეკონომია 20-30%-მდე აღწევს.

საბჭოთა სპეციალისტების გამოანგარიშებით, თუ ერთი წამის განმავლობაში იღვრება 1 წვეთი სათბობი, დღელამის განმავლობაში მისი დანაკარგი 4 კგ აღწევს, ხოლო წლის ბოლოს — ტო-

სანახევარს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო-სამუშაოთა ურნეო ტექნიკის გამართვის საკითხებს.

სამაულო და საზღვარგარეთის მიღწევების შესახებ სიახლეთა შესწავლა-გამოყენება შეიძლება მთელ რიგ უნივერსალურ და დარგობრივ ინფორმაციულ გამოცემებში, რომლებსაც ინფორმაციის საკავშირო და დარგობრივი ინსტიტუტები გამოსცემენ. სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის კომპლექსური ხასიათი განაპირობებს სოფლის მეურნეობის დარგების ინფორმაციულ მომსახურებას საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა მიმართულებებით.

დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის და მთელი რიგი მომიჯნავე დარგთაშორისი დარგების ინტეგრაცია, კერძოდ: შეიქმნა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის, დაფინანსებისა და ეკონომიკური გაძლილის ერთიანი მთლიანი სისტემა. ამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის ტეურნეობის, კუნძულის მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ტექმომსახურების, რემონტის და ა. შ. სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქციის, მელიორაციის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, ვაჭრობის, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების საკითხებზე მსოფლიო მიმდინარე სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის შესწავლისა და მათი გამოყენების საქმეს.

ასევე მნიშვნელოვანი მოვლენაა 1986 წლის აპრილის სკპც ცენტრალური კომიტეტის თათბირზე მიღებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლის სამეურნეო ანგარიშებზე ურთიერთობებს.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა საკავშირო ინსტიტუტი (ВНИИТЭИСХ) შეიქმნა 1964 წელს; ინსტიტუტი სოფლის მეურნეობისა და მისი მონათესავე დარგების მიხედვით მსოფლიო ლიტერატურის შესწავლა-დამუშავება-ანალიზის საფუძვლებზე გამოსცემს ანოტირებულ თემატურ ბარათებს 64 სერიად, რეფერატულ ჟურნალებს რამდენიმე სერიად დარგების მიხედვით და




1. ლადო გრიგოლიას ექსლიბრისი პირადი ბიბლიოთეკისათვის, 1924




୨. „ଶାଶ୍ଵତବଳା“ ଗାମନଶ୍ରଦ୍ଧାରୀ
ରା ତଥା ଏକମଙ୍ଗଳ ପ୍ରକଟଣ
ରାତ, ୧୯୨୮


ଶ୍ରୀଗୋଟିଏ କଣ୍ଠପୂଜନୀନୀ



19 ୫ ୫ ୫



କ. ଗୋଟିଏ ଉତ୍ସବାବ୍ୟାକ ମେରିକୁଣ୍ଡଳ, ୧୯୫୩



ବ. ପ୍ରାଚୀ-ପ୍ରଶାନ୍ତରେ ମେଲିକରେତ୍ତି,
୧୯୦୩

ଅକ୍ଷାକ୍ଷର ବ୍ୟକ୍ତିଗତିଲୋ

ପ୍ରମାଣ
I







10. Указы по Третий отдела Собрания литературы С. Толстого и С. Т. Чехова
«Служебный альбом „Собрание литературы Толстого“», 1940.




11. Указы по Третий отдела Собрания литературы С. Толстого и С. Т. Чехова



12. ଅକ୍ଷୟଙ୍କ ପ୍ରେରଣଲୋକ ମୋରତର୍କୁ



13—14. ଅକ୍ଷୟଙ୍କ ପ୍ରେରଣଲୋକ ତଥିଶ୍ରୀଲ୍ଲବନ୍ଧାତା ୫ କୁମିରେଶ୍ବରଙ୍କ ତାତ୍ପର୍ଯ୍ୟ




ଜାହାନ୍ତର କେନ୍ଦ୍ରିଯାଲ୍




16. ଜାହାନ୍ତର ବ୍ୟୋମଫଳଙ୍କର ଶମ୍ଭୁପତିଗୁଣ୍ଠଳ



17. ତାଙ୍କୁରିତା



18. ନୋଟଙ୍କଳି ଦାରୀତାଶ୍ଵେତିଲିଳ ଜୁମରିଶାପ୍ରକ. ଶେଖବିଲ୍ଲେଟ ତାରିଖିତ 1945





୨୦. ବିଜୁଲିଷ ବାରାତାଶ୍ଵରାଳୀର ଉତ୍ତରତମ୍ରମୟରୀଳୀର ଶଶିପଟୀତରୁଣୀ



21. თავსართი და საწყისი ასო ლექსისათვის „მერანი“




კაპილეონ




22. თავსართი და საწყისი ასო ლექსისათვის „ნაპოლეონ“

1841


ჩემთ მეგობაზოთ



28. თავსართი და საწყისი ასო ლექსისათვის „ჩემთ მეგობაზოთ“





ჭრიან ბარათაევის ტხარფეშაველ



29. თავსართი და ბოლოსართი, საწყისი ასო ლექსისათვის
„ჭრიან ბარათაევის აზარფეშაველ“



25-33. „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ (1948 წ.) საწყისი ასოები





ଶବ୍ଦାଳ୍ପିନୀ
କରିବାକୁ ପାଇଁ ଏହାରେ
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ଶ୍ରୀଅବ୍ସାଦନାଥଙ୍କର ପରିଚୟ

ଶ୍ରୀଅବ୍ସାଦନାଥଙ୍କର ପରିଚୟ

ଶ୍ରୀଅବ୍ସାଦନାଥଙ୍କର · ଓ
ଶ୍ରୀଅବ୍ସାଦନାଥଙ୍କର ପରିଚୟ
ଶ୍ରୀଅବ୍ସାଦନାଥଙ୍କର
ଲେଖକ · ବିଦେଶୀ ଲେଖକ · ଶ୍ରୀ
ଶ୍ରୀଅବ୍ସାଦନାଥଙ୍କର

ଶ୍ରୀଅବ୍ସାଦନାଥଙ୍କର · ଓ
ଶ୍ରୀଅବ୍ସାଦନାଥଙ୍କର ପରିଚୟ
ଶ୍ରୀଅବ୍ସାଦନାଥଙ୍କର
ଲେଖକ · ବିଦେଶୀ ଲେଖକ · ଶ୍ରୀ
ଶ୍ରୀଅବ୍ସାଦନାଥଙ୍କର

ଶ୍ରୀଅବ୍ସାଦନାଥଙ୍କର · ଓ
ଶ୍ରୀଅବ୍ସାଦନାଥଙ୍କର ପରିଚୟ
ଶ୍ରୀଅବ୍ସାଦନାଥଙ୍କର
ଲେଖକ · ବିଦେଶୀ ଲେଖକ · ଶ୍ରୀ
ଶ୍ରୀଅବ୍ସାଦନାଥଙ୍କର

ს ი ლ ი ვ 3
ს ი ლ ი ვ 3
ს ი ლ ი ვ 3
ს ი ლ ი ვ 3
ს ი ლ ი ვ 3
ს ი ლ ი ვ 3
ს ი ლ ი ვ 3
ს ი ლ ი ვ 3



 გჲ : ა ბ : რ
 გ ღ ე ვ ვ თ ი
 კ ლ მ ნ ი პ ე
 რ ს ტ ე ვ დ ე
 ყ მ ჩ ი ც ნ ჭ ხ
 წ გ : ზ კ : ჭ ნ

37. ნორმალური პროპორციის ორ-
 ხაზოვანი აკადემიური შრიფტი
 შტრიქთა ნორმალური შესამებით

ა ბ გ დ ე ვ გ თ
 ი კ ლ მ ნ ი პ ე
 ს ტ ე ვ ქ ლ ყ ძ
 წ ც ძ წ ჭ ხ ჯ პ
 ჭ : ი ტ ვ ჭ ჭ ჭ : უ
 ხ ხ ხ ი ტ ე პ ნ

38. ოთხხაზოვანი სისტემის ნორ-
 მალური პროპორციის აკადემიუ-
 რი შრიფტი შტრიქთა კონტრას-
 ტული შესამებით



ଧ୍ୟ : ଧ୍ୟ : ରୁ
ଧ୍ୟାତ୍ମକାଣ୍ଡ
ଧ୍ୟାନିକା
ରେତ୍ରାପ୍ରଦ
ଯାନ୍ତ୍ରବନ୍ଧକ
ନ୍ଧାନ୍ଧାନ୍ଧା

39. କ୍ରମିକା 2 (11)

ଧ୍ୟାନିକା
ଧ୍ୟାନିକା
ଧ୍ୟାନିକା
ଧ୍ୟାନିକା
ଧ୍ୟାନିକା
ଧ୍ୟାନିକା

40. କ୍ରମିକା 9 (1)

ଧ୍ୟ : ଧ୍ୟ : ରୁ
ଧ୍ୟାତ୍ମକାଣ୍ଡ
ଧ୍ୟାନିକା
ରେତ୍ରାପ୍ରଦ
ଯାନ୍ତ୍ରବନ୍ଧକ
ନ୍ଧାନ୍ଧାନ୍ଧା

41. କ୍ରମିକା 6 (V1)

ଧ୍ୟାନିକା
ଧ୍ୟାନିକା
ଧ୍ୟାନିକା
ଧ୍ୟାନିକା
ଧ୍ୟାନିକା
ଧ୍ୟାନିକା

42. କ୍ରମିକା 15 (V11)

ଅଧିକାରୀଙ୍କଠି
ଓପ୍ରଦାମନନ୍ଦମୁଖ
ସତ୍ୟକଲ୍ୟାମ
ହୃଦୟକ୍ଷବ୍ଦି
ଧର୍ମକ୍ଷରକ୍ଷେତ୍ର

ଅଧିକାରୀଙ୍ଗଠି
ଓପ୍ରଦାମନନ୍ଦମୁଖ
ସତ୍ୟକଲ୍ୟାମ
ହୃଦୟକ୍ଷବ୍ଦି
ଧର୍ମକ୍ଷରକ୍ଷେତ୍ର

43. କ୍ରାତୁଳା 13 (V)


44. କ୍ରାତୁଳା 14 (VI)

ଅଧିକାରୀଙ୍ଗଠି
ଓପ୍ରଦାମନନ୍ଦମୁଖ
ସତ୍ୟକଲ୍ୟାମ
ହୃଦୟକ୍ଷବ୍ଦି
ଧର୍ମକ୍ଷରକ୍ଷେତ୍ର

ଧର୍ମ : ଧର୍ମ : ଧର୍ମ
ଧର୍ମକ୍ଷବ୍ଦି
ଧର୍ମକ୍ଷବ୍ଦି
ଧର୍ମକ୍ଷବ୍ଦି
ଧର୍ମକ୍ଷବ୍ଦି
ଧର୍ମକ୍ଷବ୍ଦି
ଧର୍ମକ୍ଷବ୍ଦି

45. କ୍ରାତୁଳା 26 (II)

46. କ୍ରାତୁଳା 7 (VII)





ବୀ	ଜୀବିତ	ଦେ	ପି	ଯୀ
ଶ୍ରୀ	ଲୋ	ଲୋ	ଲୋ	ଶ୍ରୀ
କୋ	ପୀ	ଥୀ	ପୀ	କୋ
ଲୋ	ପାତ୍ର	ପାତ୍ର	ପାତ୍ର	ଲୋ
କୋ	ପାତ୍ର	ପାତ୍ର	ପାତ୍ର	କୋ
କୋ	ଲୋ	ଲୋ	ଲୋ	କୋ
କୋ	ଲୋ	ଲୋ	ଲୋ	କୋ
କୋ	ପାତ୍ର	ପାତ୍ର	ପାତ୍ର	କୋ
କୋ	ପାତ୍ର	ପାତ୍ର	ପାତ୍ର	କୋ

ଦୁଃଖ ଓ ଶୁଦ୍ଧି



୧୯୫୬ - ୧୯୫୦



49. ମହାକୁରୁଣଙ୍କ ଶରୀରକୁ ଏକାରତ୍ରର ପିଠଙ୍କି, ୧୯୫୨

ශාඛලිය දායදෙශ




ඡැංකකුගැ කුඩාසි






සාධ්‍යතා
ව්‍යුහයාදා





51. შმუცობული ნ. ბარათაშვილის პოემისათვის „მედი ქართლისა“, 1968





୩୫—୩୬. ତାଙ୍ଗେଶ୍ୱରମା ଓ ଧୀରନ୍ଦମ୍ବଶ୍ୱରମା ଶ୍ରୀଜନ୍ମନ୍ତର ଦାର୍ଶନିକାଲୋକି ଲ୍ୟେଜ୍‌ସିନ୍‌ହାତ୍ମନ୍
“ପ୍ରଥମ କ୍ରମାଂକ” 1968



୩୭. ତାଙ୍ଗେଶ୍ୱରମା ଶ୍ରୀଜନ୍ମନ୍ତର ଦାର୍ଶନିକାଲୋକି ଲ୍ୟେଜ୍‌ସିନ୍‌ହାତ୍ମନ୍
“ହେମ ପାରସ୍ୟାଙ୍ଗେ”

ექსპრეს-ინფორმაციებს სამამულო და საზღვარგარეთის წარმოების მოწინავე გამოცდილების დასანერგად რეკომენდებული სიახლე- გამოცდილების და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ. ინსტრუქციის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მეცნიერების ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა (ЦНСХБ), რომელიც აგრეთვე გამოსცემს ბიბლიოგრაფიულ ჟურნალებს ფონდში შემოსული სამამულო და საზღვარგარეთის ლიტერატურის მესახებ ცალ-ცალკე სარეკომენდაციო და რეტროსპექტულ ბიბლიოგრაფიებს.

ზემოაღნიშნული თემატიკის მიხედვით საინფორმაციო გამოცემებს მსოფლიო მიმღინარე ლიტერატურის შესახებ, აგრეთვე გამოსცემენ ინფორმაციის შესაბამისი დარგობრივი ინსტიტუტები. გარდა სამეცნიერო ლიტერატურისა (წიგნები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები და ა. შ.), მათში წარმოდგენილია მიმღინარე კვლევით სამუშაოთა შედეგები, გამოგონებები, რაციონალიზატორული წინადადებები, რეკომენდაციები და სხვ. ეს ვამოცემებია: სსრკ სახაგრომრეწვის ს/კ და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა ცენტრალური ინსტიტუტის რეფერატული კრებულები, ექსპრეს-ინფორმაციები და მიმოხილვითი ინფორმაციები, სოფლის მეურნეობის მომარავების, სატრანსპორტო მომსახურების, საწარმო-ტექნიკური მომსახურების, რემონტის, მექანიზაცია-ელექტრიფიკაციის რეგულირების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის, ეკონომიკის დარგებში. კვების მრეწველობის ინფორმაციის ს/კ და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა ცენტრალური ინსტიტუტი გამოსცემს რეფერატულ კრებულებს, ექსპრეს-ინფორმაციებს და მიმოხილვითი ინფორმაციებს მეღვინეობის, უალკოჰოლო სამეცნიეროს, თამბაქოს მრეწველობის და სხვა დარგებში.

80-იან წლებში მეცნიერების, ტექნიკისა და სახალხო მეურნეობის დარგებში დამუშავდა სამეურნეო-ტექნიკური პროგრესის კუმბლექსური მიზნობრივი პროგრამა მიმღინარე და მომავალი შუალედების მიხედვით და ინფორმაციის შესაბამისი ორგანოების მიერ ხორციელდება მათი ინფორმაციული უზრუნველყოფა. დარგების მიხედვით გამოიდის მიმოხილვითი ხასიათის საინფორმაციო გამოცემები. მათ შორის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილებები, რომლებიც მოიცავენ ექსპუნგიუში მიმღინარე ძირითად ეკონომიკურ, სოციალურ, ტე-

2. მწიგნობარი 86



რიტორიულ და სამეცნიერო-ტექნიკური მიზნობრივ კომპლექსური პროგრამის ჩამონათვალს სასმელების, თამბაქოს მრეწველობის და სხვა დარგებში. აღნიშნული საინფორმაციო გამოცემები განკუთვნილია მეცნიერ-მუშაკების, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკებისა და წამყვანი სპეციალისტებისათვის.

ამგვარად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით სპეციალისტები სისტემატურად და თანმიმდევრულად უნდა ეცნობოდნენ, თვალყურს ადვინცებდნენ და სწავლობდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეებს, პრაქტიკის მოწინავე გამოცდილებას, რომელთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის ზემოაღნიშნული ორგანოების გამოცემებში, ხოლო აღნიშნული გამოცემების გამოწერა შესაძლებელია „სოიუზბეჩატის“ სპეციალური კატალოგების — «Каталог изданий органов информации» — მფშვეობით.

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სამსახური წარმოადგენს შემაერთებელ ხილს სამეცნიერო ლიტერატურასა და სპეციალისტებს შორის, რომელთაც ევალებათ ინფორმაციის დაყვანა ცალკეულ მომხმარებლამდე. საბოლოო ჯამში სპეციალისტთა გააქტიურება ხელს შეუწყობს სიახლეთა დანერგვა-გამოყენებას მათ ხაქმიანობაში.

P. S. 1987 წლიდან „საკსახაგრომრეწვში“ გაერთიანდა: სოფლის შეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა საკიბრისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მშენებლობის, კვების მრეწველობის, რძისა და ხორცის მრეწველობის ინფორმაციის დარგობრივი ინსტიტუტები, რომლებიც შესაბამის დარგების მიხედვით გამოსცემენ საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიულ გამოცემებს.



ქადაგი და ფურცელი





იოდაიანე საუზნის შინათ ქვეიდნონ ქართულ ახალს,
ხელნაწილი გაცელილ დროს მოგვითხოვთ გვირთა ამჩავს
სწორება ქველი ზიგნიგისა, მუნიციპალ ქველი ინა,
სული ქართლის ცენვრებისა, რესოაცილის აღმაფრენა!

თანამედროვე ქართული გრაფიკული სკოლის ფუძემდებლის

თანამედროვე ქართული გრაფიკული სკოლის ფუძემდებლის —
ლადო გრიგოლიას მრავალმხრივი შემოქმედება დაუშრეტელი წყა-
როა ახალგაზრდა ქართველ გრაფიკოსთა თაობისათვის.

ამ სტატიაში შეუძლებელია ლადო გრიგოლიას პიროვნებასა
და შემოქმედებაზე ვრცელი საუბარი. ხელოვანის მხატვრული მემ-
კვიდრეობა იმდენად მრავალმხრივია, რომ ეს საკითხი ფუნდამენ-
ტურ კვლევასა და დეტალურ ანალიზს საჭიროებს.

ჩვენ შევეხებით მისი შემოქმედების მხოლოდ ერთ მხარეს,
სახელობრ, ქართული გრაფიკული შრიოფტის თანამედროვე ფორ-
მების შექმნის კანონებს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს
გრაფიკის ხელოვნებისათვის, კერძოდ, წიგნის გრაფიკისათვის.

ლადო გრიგოლია რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მრავალ-
ფეროვანი ქართული შრიოფტების შექმნას, იქიდანაც ჩანს, რომ მის
ფუნდამენტურ ნაშრომს „ქართული იყალემიური შრიოფტი და მისი
396 გარიაციათა სისტემა“ და „მხატვრული შრიოფტები და მისი შე-
ქმნის ხერხები“ წამდლვარებული აქვს ანატოლ ფრანსის ხატოვანი
გამოთქმა: „ერთი სილამაზეს მე ვამტკიცებ ეროვნული ალფაბე-
ტით“. ეს ნაშრომი, ტაბულების უმდიდრეს კოლექციისთან და მხატ-
ვრული შრიოფტების ნიმუშებთან ერთად, შეაღევნს ქართული თა-
ნამედროვე შრიოფტების გრაფიკული სახეების შექმნისა და კანონიზა-
ციის თეორიულ საფუძველს.

როგორც ცნობილია, უველა სახის გრაფიკული შრიოფტების
ავტორის კანონთა შექმნა, — ორხაზოვანი და ოთხაზოვანი სისტე-
მების (მოდულის საფუძველზე) კანონიზება — ასეთი ყოვლისმომ-

კუველი მასშტაბებით, მიუხედავად ქართული საშრიფტო ხელოვნების განვითარებისა, დღემდე არავის შცდია.

საქართველოს სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველი მოღვაწე ლადო გრაფოლია ორმოც წელზე მეტ ხანს ასწავლიდა სამხატვრო აქადემიის სტუდენტებს წიგნის გრაფიკის, კომპოზიციის, პლაკატის, ლითოგრაფიისა და შრიფტის ხელოვნებას. მან დაგვიტოვა დიდი ოსტატობით შესრულებული მხატვრული ნაწარმოებები: პორტრეტები, ჩანახატები, სკულპტურული ნამუშევრები (ადრეული პერიოდის); პლაკატები, მცირე ფორმის გრაფიკული ნამუშევრები — ექსლიბრისები, ემბლემები, საგამომცემლო მარკები, ოფიციალური გრაფიკისა და ორნამენტის ბრწყინვალე ნიმუშები, ასობით გაფორმებული წიგნი და მხატვრული შრიფტის უნიკალური კოლექცია, ნაშრომები: „აკადემიური შრიფტი და მისი 396 გარიაციათა სისტემა“, „მხატვრული შრიფტი და მისი შექმნის ხერხები“, და „სასათაურო (კონსტრუირებული) შრიფტი“, აგრეთვე საპლაკატო, სასწავლო, ჩონჩხისებური, პოლიგრაფიული და ძველი ქართული დამწერლობის საფუძველზე შექმნილი შრიფტები.

განცვიფრებას იწვევს მხატვრის მიერ საკუთრივ ცალკეული გამოცემებისათვის შექმნილი შრიფტების ნაირგვარობა (შოთა რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვები). მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დავით ალმაშენებლის“ სამი სხვადასხვა გამოცემის ყდა და ტიტული სამი სხვადასხვა ხასიათის შრიფტით არის შესრულებული.

ხანდახან მხატვარი ქმნიდა მისთვის უფრო საინტერესო, გამორჩეულ შრიფტს, აგსებდა ანბანს ამავე ხასიათის იმ ასო-ნიშნებით, რომლებიც ტაბულას აკლდა. მხატვრული შრიფტების ამ ტაბულებს, ჩვენ, პირველი გამოცემის მიხედვით, პირობითი სახელები შევარქვით: „აკაკი“, „ბარათაშვილი, 1945“, „ბარათაშვილი, 1968“, „გამსახურდია“, „ენციკლოპედია“ და სხვ.

მხატვრის არქივში შემონახულია ნიმუშები მთელი რიგი შრიფტებისა სრული ანბანის ცალკეული ტაბულების გრაფიკული, მხატვრული სახის შესაქმნელად, მოსამზადებელი სამუშაოც ჩატარებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შრიფტების შეგსება და სრული ანბანური ტაბულების ჩამოყალიბება მხატვარმა ვეღარ მოასწრო.



წიგნის მხატვრობის მთავარი და ძირეული კომპონენტის — თთოვეული ასო-ნიშნის ხატის სილამაზე, ფორმების სინატრიფე, პარმო- პარმონიულიათა კანონიზება, ყველა ელემენტის ურთიერთ პარმო- პარმონიული შერწყმა, მყითხველის გათვალისწინება, აღვილად წასაკით- ხის — აი, ის ძირითადი ღირსებები, რომლებიც განსაზღვრავენ ლა- ლო გრიგოლის შრიფტთა სრულყოფილებას.

მაგრამ წიგნის გაფორმების კომპონენტთა საერთო გადაწყვე- ტის, მთლიან ჩანაფიქრთან კარგში ის გარეშე არ შეიძლება შრიფ- ტების გრაფიკული და მეტრული ხასიათის განხილვა. შრიფტი გან- საჟურნალულ ულერადობას იძენს მხოლოდ ფურცლის კომპოზიცი- ასთან, წიგნის მთლიან არქიტექტონიკასთან, ორნამენტთან, შტრიხ- თან ერთად.

წიგნის გაფორმებისას ყველაფერი მნიშვნელოვანია: წიგნის ხასიათი და ბუნება, მისი სიუჟეტი, ფაბულა, პოეზია და ბოლოს ეპოქა. უნდა მოიძებნოს ერთიანება, გამომსახველობითი და ზუსტი პასუხი იმ კითხვებზე, რომლებსაც წიგნი აღძრავს.

ალბათ ამიტომ იყო, რომ ყოველი ახალი ნაწარმოების გა- ფორმებისას მხატვარი ეძიებდა, ქმნიდა, აგებდა ახალი ხასიათის შრიფტს, მხატვრული ფორმის ახალ კომპოზიციას.

ლალო გრიგოლია, უპირველეს ყოვლისა, მოქანდაკე-კომპოზი- ტორია. მის ხელში გამოვლილ ფურცელზე ყველაფერი აწინ-და- წონილი და გაანგარიშებულია, აგებულია არქიტექტურულად, მყარია, მცირე და დიდი დეტალები დახვეწილია და მიუვანილია სრულქმნილებამდე. ერთი წერტილის გაღანაცვლებაც კი არ შე- იძლება, უთუოდ დაირღვევა მთლიანობა, აღქმის პარმონიულობა.

„წინკარის“ — ყდის გავლით, სატიტულო ფურცელს — „შესასვლელ კარს“ მივაღებით, რომელიც ნაწარმოების სილმი- სეულ სანახებში შევვიძლება. სწორედ აქ იწყება მოძრაობა, ათ- ვალიერებ „კარნიზებს“ — თავსართებს, შმუცტიტულების ფართო თაღებს — „სარკმლებს“ და ეს გახლავთ ლიტერატურული ქმნი- ლების ხელახალი წაკითხვა, ახალი თვალით დანახვა, გაოცება, აღ- ტაცება — ერთი სიტყვით, ხელოვნების მადლი.

ძნელია ლალო გრიგოლის რთული და მრავალმხრივი, გონიე- რებით აღბეჭდილი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან საუკეთესო წიგნის, საუკეთესო გადაწყვეტის, საუკეთესო ფურცლის გამორ- ჩევა.

გრაფიკული ინტერპრეტაციის ძალა აშკარად იგრძნობა თუ დაც ერთ, აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა საიუბილეო უფლისტორიკულის (1940—1948) გრაფიკული გაფორმების მთავრობითხეც. მმ გამოცემისათვის მხატვარმა შეასრულა ყდა, ორმხრივი ტიტული, შმუცტიტულები, თავსართები, საწყისი ასოები, ბოლოსართები, შავი, გეომეტრიული ფონის (რომბი, სწორკუთხედი) მეტაცი არქიტექტონიკა, თხელი ორნამენტული ხვეულიდან ორგანულად ამოზრდილი მარგალიტებივით ელვარე თვლები, ორნამენტის მდიდარ პლასტიკაში ჰარმონიულად ჩართული მრგვლოვანი ხასიათის შრიფტი, ასო-ნიშნების ფური — ყოველივე ეს პოეზიის ბრწყინვალე აკომპანიმენტია და ქართული გრაფიკული ხელოვნების ერთ-ერთი ორიგინალური და წარუვალი მშვენიერებით აღმეცდილი ნიმუშია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებების ორი — 1945 და 1968 წლების — საიუბილეო გამოცემების მხატვრული გაფორმება სულ ახალი ხასიათისაა, საცებით განსხვავდება წინა ნამუშევრებისაგან. უფრო მეტიც, სხვადასხვა დროს შესრულებული მხატვრული გაფორმება გადაწყვეტილია სხვადასხვა ხერხით. გრაფიკის ენაზე გაფორმებული თითოეული ლექსი დამთავრებული პოეტური სტრიქონია, რაც დაკვირვებულ წაკითხვას მოითხოვს. მაგალითისათვის ვიღოთ 1945 წლის გამოცემაში „მერანის“ თავსართი და საწყისი ასო, სადაც გრაფიკული ორნამენტის მეტაცი, რიტუელი ელემენტი მიისწრავების უსასრულობაში; ანდა მოხდენილი აზარფება, ყურძნის მტევანი, ხვეული, მღერადი რტო ლექსისათვის „კნიაზ ბარათავების აზარფებაზედ“. ან სტარიკური, ჩაკეტილი, გვირგვინივით მორთული და შუბივით მახვილი დაფნის რტო — ორნამენტი ლექსისათვის „ნაპოლეონ“; ან საწყისი ასოები და თავსართი ლექსისათვის „ჩემთ მეგობართ“, სადაც თავსართის ორნამენტის გამჭვირვალე, ნაზი ლირიკული მოტივი ერწყმის ასო „ჭ“-ს (ჭაბუკი) ტემპერამენტიან მოხაზულობას და ქმნის „ქართულის“ მოცეკვავე ჭაბუკის ასოციაციას (№№ 21, 22, 23, 24).

ექ არ შევვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ერთტომეულის 1945 წლის გამოცემის გაფორმება დაბეჭდილია მკრთალი ცისფერით, პოლიგრაფიულადაც ცუდადა შესრულებული და იყარება ორიგინალის ძალა და სილამაზე, რაც ამანიჯებს მხატვრის საერთო ჩანაფიქრს. უნდა აღვნიშნოთ ისიც,



ამომ ორიგინალები მხატვარმა შავ-თეთრით შეასრულა. ფერები კი, მხატვრის დროებით თბილისში არყოფნის გამო შეარჩია სტამპისათვე გამ, ამიტომ, ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნის აზრი ამ გამოცემის ფერთა გამის შესახებ გასათვალისწინებელი არ არის.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ერთობმეულის 1968 წლის გამოცემა უფრო ვიზუალურადაა იგებული, ვარბობს ილუსტრაციული ხასიათის ელემენტები, რომლებიც ერწყმიან არქიტექტურული ფორმის ორნამენტულ მოტივებს.

აი, თაგართზე გამოსახული ლურჯი და შავი ღრუბლები, გადაკვეთილი ორნამენტის ზოლით, რომელიც შეიქმნა ლექსისათვის „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“, ანდა ჩანაფიქრი ლექსისათვის „ვპოვ ტაძარი“, ორ ხმელ ტოტს შორის მოქცეული ლამპარი თავსართზე, ბოლოსართზე კი ხეთა ტოტებს შორის გამომკრთალი ტაძრის კონტური, ჩამოლვენთილი სანთლები და ფიალა, კარგად ეხამება ამ ლექსების განწყობილებას. „სულო ბოროტოს“ გაფორმებაში კი გადატეხილ ხის კოჭს ჩამოჰკიდებიან, ან ამ კოჭზე სხედან სტილიზებული ლამურები, ბუკნაჭორის მსგავსი ორნამენტის ელემენტები. თავისი ლაკონურობით გვანცვიფრებს თასი, დაბალი ფიალა, რომელიც დგას ორივე მხრიდან შავი ხაზებით გადაკვეთილ სიბრტყეზე (თავსართი) და საოცარი, თითქოსდა ნახაზამდე დაყვანილი კომპოზიციური გადაწყვეტა მაგიდისა და თასისა (ბოლოსართი), რომელიც ავსებს და კრავს ლექსის „ვლოცავ დღეს ჩემსას“ მთელ ფურცელს. ანდა ორმაგ ხაზობრივ ჩარჩოში ჩასმული გადატეხილი ხმალი მიმობნეული მოციმციმე ვარსკვლავების ფონზე, პოემისათვის „ბედი ქართლისა“ (№№ 52, 55, 54, 51).

მხატვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ინგლისურ ენაზე „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ მხატვრული გაფორმება, რომელიც ორჯერ — 1948 და 1958 წელს იქნა გამოცემული. ორნამენტული კომპოზიციების მდიდრული, ტევადი, კლასიკურად ზუსტი, უნაკლო პლასტიკა, ცალკეული ელემენტების სილამაზე, ორნამენტებისა და შრიფტის შეხამება ამ გაფორმებას განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს. განსხვავებული, მაგრამ ერთ საერთო ხსიათში გადაწყვეტილი გრაფიკული გაფორმება ორივე წიგნისათვის, ინგლისური საწყისი ასოები, თითქოს ვარირებული, მაგრამ

მაინც ახალი, თავსართები ინგლისური შრიფტით, ცალკეულ, და მოუკიდებელ ნაწარმოებებად აღიქმებან. ოთხეუთხედ ჩატურიშვილი გეტილი, ცალკე ტაბულაში შეკრებილი საწყისი ასოები — ეს მცირე ორნამენტული სურათები კი — ხელოვნების ნაწარმოებია (№ 25-33).

ჩევნ ნაწილობრივ შევეხეთ რთულ და სერიოზულ თეშის, მაგრამ შრიფტსა და წიგნის არქიტექტონიკაზე ლაპარაკისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ერთი შეხედვით უხილავ, ლიტერატურულ ნაწარმოებთა პოეზიის ან პროზისა და გრაფიკის დუეტს. სახვით ხელოვნების საშუალებით საოცარი, ფაქიზი, გრიგოლიასეული „თანაავტორობა“, ლიტერატურულ-შემოქმედებით პროცესში მონაწილეობა, ნაწარმოების გრაფიკის ენაზე ამეტყველება, შეუმჩნეველი და შეუფასებელი არ დარჩენილა რისა კოლეგებისა და მოწაფეების მიერ.

მხატვრის არქივში დაცული მრავალი ესკიზი და ჩანახატი მასალა აღასტურებს, რომ მისი ყოველი გრაფიკული ნაწარმოები, ჭიდი თუ პატარა, მრავალგზისი ძიების, ფილტრაციის, შერჩევის შედეგად იქმნებოდა.

თითოეულ გრაფიკულ ფურცელში შეიძლება ამოიკითხო მხატვრის „თანაავტორობა“, შექმნის თარიღის ზუსტად დადგენა და ლიტერატურული ნაწარმოების თემა.

მკაცრი და თავისთავისადმი მომთხოვნი მხატვარი უდიდესი სიფაქიზით ეკიდებოდა თითოეული ფურცლის კომპოზიციის, ყოველი ორნამენტის მოტივის შექმნას, და ისევე, როგორც შრიფტის შექმნისას, ყოველთვის ეძიებდა ახალ სიტყვას, ახალ გადაწყვეტის.

ლადო გრიგოლის შემოქმედებითად თავისთავადი ყოველი ორნამენტი, ერთი შეხედვით „ამოსაცნობია“, მის ხელშერას აშკარად ატყვაი დროისა და ეპოქის ბეჭედი. სწორედ ამიტომაა იგი ქართული საბჭოთა პერიოდის გრაფიკული ხელოვნების თანამედროვე სკოლის ფუძემდებელი.

გრაფიკული ნაწარმოების ბეჭდვაც ხელოვნებაა, რაც ზედმიწევნით სიზუსტესა და გამჭრიას თვალს საჭიროებს.

შტრიხისა და ხაზების სისქე, დაწოლის ძალა, შესაბამისი ფერი, რაც მხატვარმა შემოქმედებით პროცესში იპოვა, რეპროდუცირებისას (განსაკუთრებით ჭიდი შემცირებისას) ხშირად კარგავს

თავის გამომსახველობას, სილამაზეს, პლასტიკურობას. ნახატის მეტისმეტად დაწვრილებული ხაზები კარგად არ აღიძება, ამახინ შემცირდებს მხატვრის ჩანაფიქრს. პოლიგრაფიული წუნის ერთ-ერთი ასე-თი შაგალითია შალვა დადიანის „გიორგი რუსის“ 1946 წლის გამოცემის გარევანი. მხატვრის მიერ შესრულებული საოცრად ლამაზი, პატიოსანი თვლებივით მოციმციმე ორნამენტული ჩარჩო კითხველმა დეფორმირებული იხილა, თუმცა ამ შემთხვევაში ორი გინალისა და რეპროდუქციის ზომა იღენტური იყო.

აქ ცოტა უნდა გადავუხვიოთ ქრონოლოგიას და აღვნიშნოთ შემდეგი: შოთა რუსთაველის 750 წლისთვის საიუბილეო თარიღ-თან დაკავშირებით აღდგენილი იქნა მისი უკვდავი პოემის „ვეფ-ნისტყაოსანის“ 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემა, რომელსაც ასევე საიუბილეო თარიღი — 250 წელი უსრულდებოდა. იგი და-ბეჭდილი იყო იმ დროისათვის ყველაზე საუკეთესო ხელნაწერის კალიგრაფიის მიხედვით, სტამბის მიერ სპეციალურად შექმნილი ახალქართული (სამოქალაქო) შრიფტით, ორ ფერში. 1936—1937 შემდგრადებში აკადემიკოს აკაკი შანიძის რედაქციითა და ხელმძღვა-ნელობით მომზადდა პირველნაბეჭდის აღდგენილი გამოცემა. ლადო გრიგოლიამ დიდი მუშაობა გასწია „ვახტანგისეული“ შრიფტის, არ-შეიბის, ვინიეტისა და წიგნის სხვა საკაზმის აღსაღენად.

მოგვიანებით, 1941 წელს „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფი-ის“ პირველი ტომის გამოცემაზე მუშაობისას, ვახტანგ VI-ის სტამ-ბის პირველნაბეჭდი წიგნების განყოფილებაში, მხატვარმა, ცდი-ლობდა რა გამოეკვეთა იმ დროის სტილი, შერჩევით გამოიყენა წიგნის საკაზმის ცალკეული ორნამენტული და შრიფტული ელე-მენტები, რაც ტიპიური იყო ადრეული სტამბური გამოცემებისათ-ვის, გადამუშავა ეს ელემენტები და შექმნა ლაპონური, პლასტი-კური, დამთავრებული, თანამედროვე გრაფიკული ოსტატობით შეს-რულებული ორნამენტული ციკლი. ეს ციკლი მოცემული თემის ფიმპონიმენტია, ხაზს უსვამს მელოდიის სიმღიდრეს. არცერთ შემდგომ ნამუშევრებში მხატვარ ორნამენტის ამ ელემენტებს იღია იყენებს და ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნის ცდა — დაუ-კავშიროს ლადო გრიგოლის შემოქმედება მარტოლენ და ძირი-თადად ძველი ქართული ხელოვნების შესწავლას — მხატვრის მი-მართ თქმული ცუდი კომპლიმენტია.

ხელოვნებაში ახალი ფორმების პოტენციური ძიება, დამკვიდრება და განვითარება ხალხის მარადიული გენიის თვისტებაზე მავალი თაობა მიღებული მექანიდრეობიდან შეჩრევით ამკვიდრებს და ცნობს მხოლოდ იმ მთავარ ნიშნებს, რომლებიც ორგანულად აყალიბებენ ეროვნულ ხასიათს, აზროვნების სფეროს, დროის სტილს.

ძევლი ძეგლებისა და ძევლი ხელოვნების ნიმუშების თანამედროვეობასთან ხელოვნური დაკავშირება — ეკლექტიკაა, თითქმის პლაგიატია და შექმნილ ნაწარმოებს მაინც დაიდ პატივს ვერ დასდებს. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ჭეშმარიტად ეროვნულ ხელოვნებად უნდა ვცნოთ იმ მხატვრის შემოქმედება, რომელიც დროის გასწრების ახალ ნიშნებს ატარებს, ისეთ ნიშნებს, რომლებიც ისევე აუცილებელია მომავალი თაობისათვის, როგორც ამ შემოქმედის თანამედროვეთათვის.

მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებული, მშობლიური მიწაწყლით შთაგონებული და სამშობლოს ჭირისა თუ ლენინს გამზიარებელი მხატვარი — მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მის ხელოვნებას წინა თაობებისათვის დამახასიათებელი, „ნაცნობი“ ნიშნები, აუცილებლად იქნება ეროვნული კულტურისა და ხელოვნების საგანგურთა შემავსებელი, გამამდიდრებელი. რაც უფრო ელვარე და თვითმყოფადია მხატვრის ნიჭი, მით უფრო ახლოს მივა ერის გულისგულთან მისი ნაზრევი, მისი ხელოვნება.

მომავლისათვის დამახასიათებელი ხელოვნების ფორმათა შექმნა ლადო გრიგოლიას შემოქმედებაში ძალიან აღრე, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოვლინდა. 1928 წელს მან შექმნა სკულპტურული ფიგურა „სამშობლო“ (გამომწვარი თიხა, ჭიქურით), მისი ხატოვნება, პლასტიკური გადაწყვეტა, თემის გააზრება საოცრად თანამედროვეა, მონუმენტურია, ლაქონურია და ქმნის ნათელ და ძლიერ, თითქმის ტრაგიკულ სახეს მრავალტანჯული დედასამშობლოს. რაოდენ დასანანია, რომ თავის დროზე ეს სკულპტურა არ გაითვალისწინეს ქალაქის ინტერიერისათვის.

მოგვიანებით, 1934 წელს, მხატვარმა ეს მოტივი შეიტანა თავის ექსლიბრისში, იმავე წლის მაისში ლოს-ანერელესში გამართულ წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე «Ex Libris Lado Grigolia», საბჭოთა კავშირიდან წარდგენილი წიგნის ნიშნებიდან ამ ერთადერთმა ნამუშევარმა, მიიღო პრემია „Award of merit“. იმ დროისათვის

ეს იყო არა მარტო ახალგაზრდა მხატვრის, არამედ ქართული საბჭოთა სახეობითი ხელოვნების დიდი გამარჯვებაც.

ღრმა და ეპოქა მოითხოვდა ხელოვნების ახალი, ცოცხალი და შრის მობილური ფორმების დამკვიდრებას, წიგნის გრაფიკის, ბეჭდების, შრითების ხელოვნებას. თბილისის სამხატვრო ოკადემიას სჭირდებოდა სახელმძღვანელო ონამედროვე ქართული მხატვრული შრიტისა და მისი შექმნის მეცნიერული კანონების სწავლებისათვის.

1933 წლის იანვარში სამხატვრო ოკადემიას დირექციაში ლადო გრიგოლიას „შესთავაზა „ქართული შრიტების კურსის“ წარითხეა გრაფიკის კათედრაზე, რომელსაც მაშინ გამოჩენილი პროფესორი ი. ა. შარლემანი ხელმძღვანელობდა. პრაქტიკულად, ამ ღროიდან იწყება მხატვრის ფართო და ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა; ამავე ღროიდან იწყება დიდი შრომა გადოებრივი მოღვაწეობა; ამავე ღროიდან იწყება აგების ახალი კანონების დასახვეწად, დასამუშავებლად, წიგნისა თუ დაზგური გრაფიკის მაღალმხატვრული ფორმების შესაქმნელად და შექმნილის ხელოვნებაში დასამკვიდრებლად.

საჭიროა გავითხსენოთ ზოგიერთი ეპიზოდი მხატვრის შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან.

ვლადიმერ (ლადო) დავითის ძე გრიგოლია დაიბადა 1903 წლის 28 (15) აგვისტოს აბაშის რაიონის სოფელ სეფიეთში. იქვე მი-იღო დაწყებითი განათლება. შემდეგ სწავლობდა ბაქოს ქართულ სკოლაში (1913—1918), ქუთაისის რეალურ სასწავლებელში (1919—1921), ბათუმის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში (1921—1924). 1925 წელს შევიდა თბილისის სამხატვრო ოკადემიაში სკულპტურის ფაკულტეტზე და ჩაირიცხა პროფ. იაკობ ნიკოლაძის კლასში.

სკულპტორის პროფესიით დიდი გატაცების მიუხედავად, ლადო გრიგოლია სერიოზულად მეცადინეობს გრაფიკის ფაკულტეტზეც. ესწრება პროფ. ე. ე. ლანსერეს, ი. ა. შარლემანის, ჰ. ვ. პრინცევ-სკის ლექციებს და 1930 წელს, თითქმის ერთდროულად, ამთავრებს ორ ფაკულტეტს: სკულპტურისა (1930 წლის თებერვალში) და გრაფიკის (1930 წლის სექტემბერში).

ამ პერიოდისაა მისი სკულპტურული ნამუშევრები: „სამშობლო“, „მწუხარება“, „პაგანინი“, „ქალიშვილის თავი“, „მოხუცის თავი“ (შ. რუსთაველი), რომლებიც ტონირებული თიხითაა შესრულებული ან დაფარულია ჭიქურით, დიდი სკულპტურული ნამუშევრებისათვის.

რები, რომლებიც არ ჩამოსხმულა, როგორიცაა, მაგალითად, **ზაფრან ბაზარი**
რიატიდი“ შადრევანის პროექტისათვის და სხვ. ძველმა ფოტოებმა
თუ შემოგვინახეს.

გაოცებას იწვევს, ერთი შეხედვით, თითქოსდა უმნიშვნელო
ფაქტი: მხატვრულად ბრწყინვალედ შესრულებულ საპლაკატო
შრიფტის ტაბულაზე, რომელიც 1928 წელს არის შედგენილი (მე-
სამე კურსის სტულენტის მიერ), მოცემულია საპლაკატო შრიფ-
ტის აგების სრული სქემა სამ ვარიანტად და დართული აქვს შე-
ნიშვნა: „კონსტრუირებული შრიფტის ავების კანონთა საფუძველ-
ზე“.





მოგვიანებით, თითქმის ორმოცი წლის შემდეგ, თავისთავის
მიმართ ძალზე მომთხოვნია, უკვე დაისტატებულმა მხატვარმა ქართველი
ნამუშევრების გადახედვისას ამ ტაბულაში შეტანილი ანგარიშის
ნის მხოლოდ 16 ასო-ნიშანი ჩასწორია ფანჯრით, ეს ჩასწორე-
ბებიც უმნიშვნელო იყო და უფრო ასო-ნიშანთა დაწერის ხასიათს
ეხებოდა, ვიღრე შათ მხატვრულ ფორმას. ამჟამად მხატვრის არ-
ჭივში შემონახული მასალებისა და დოკუმენტების მიხედვით შე-
იძლება დავასკვნათ, რომ ლადონ გრიგოლიამ უკვე 30-იან წლებში
გახდა დიდი შრომა და თითქმის ჩამოაყალიბა ის მკაცრი, დახვე-
წელი სისტემა ქართული კონსტრუირებული შრიფტის წმინდა გვ-
ომეტრიულ საფუძველზე ავებისა, რომელიც შემდგომში, მხატვრუ-
ლი შრიფტების უმდიდრესი კოლექციის შექმნის პროცესში მის-
თვის იქცა ძირითად საყრდენად, ერთგვარ „ჯადოსნურ ქვად“.

1931 წელს, სამხატვრო აკადემიის დამთავრების შედევგ,
ლადონ გრიგოლიამ ერთი წელი იმუშავა საქართველოს მარმარი-
ლოს წარმოებაში სკულპტორ-ქონსტრუქტორად. მხატვარი თავის
ერთ-ერთ აღრეულ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში აღნიშნავს: „ვა-
წარმოებდი სხვადასხვა ქართული ჯიშის მარმარილოს გამოცდას, თუ
რომელი მარმარილო რისთვის იყო გამოსადევი, ამის გამო, აგრეთ-
ვე მიხდებოდა ქანდაკებების შესრულება და გადატანა მარმარი-
ლოზე, საიდანაც მივიღე ქვაზე მუშაობის ლიდა გამოცდილება
რომლის მსგავსი აკადემიაშიც არ მიმილია; სხვათა შორის, ამავე
წლიდან გრაფიკის ხაზით შემეძლო როგორც სიხელმწიფო გამომ-
ცემლობაში, ისე სხვადასხვა გმომცემლიბებში მემუშავა წიგნის
მხატვრულ გრაფიკულ გაფორმებაზე და ჩემი ექონომიკური პი-
რობებიც ბევრად უფრო კარგ მდგომარეობაში ჩამეყენებინა, მაგ-
რამ მოქანდაკეობისაკენ გული უფრო მიწევდა და ვარჩიე, საქარ-
თველოს მარმარილოს წარმოებაში ბუშაობა.

მარმარილოს წარმოების დავალებით შესრულებული ქანდაკე-
ბები მიღებული იყო „საქართველოს რევოლუციონერ მხატვართა
ასოციაციის“ (სარმა) გამოფენაზე და პრესის მიერ დადებითად იქ-
ნა აღნიშნული“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი სკულპტურა „ქვის მთლელი“
იმავე წლებში შეიძინა საქართველოს სამხატვრო გალერეამ. სამ-
წუხრაოდ, დღეს ამ სკულპტურის ადგილსამყოფელი, როგორც იმ
პერიოდის ბევრი სხვა ნამუშევრისა, ცნობილი არ არის.

„მოვწყდი თუ არა მარმარილოს ჭარმოებას, — წერს შემზებ
მხატვარი, — ქნდა აკეთებაზე მუშაობის პირობები ვეღარ შევეჭინო
და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული პალეოგრაფიულის
განკურილების მაშინდელი გამგის პავლე ინგოროვას თხოვნით
(1932 წელს) დავიწყე მუშაობა მხატვარ გრაფიკოსად იმავე გან-
ყოფილებაში, სადაც მომეცა შემთხვევა მთლიანად გავცნობდი
ქართული დამწერლობის ძეგლების საუკეთესო ნიმუშებს: დაწერი-
ლობას, ორნამენტს (ხელნაწერულს, მჭედლურს, ქანდაკურს, ფრეს-
კულს), ქართული წიგნის კამარებს, მინიატურებს და ხუროთმოძლ-
ვრულ ფორმებს“.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, 1933 წლიდან ლადო გრიგოლია
მუშაობს პედაგოგად თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის
ფაკულტეტზე.

ქართული შრიფტის კანონიზაციის პრობლემებზე მუშაობასთან
ერთად, ამ და მომდევნო წლებს განეკუთვნება მხატვრის მიერ ფურ-
ცლების — საუკეთესო მხატვრული შრიფტების ტაბულების შექმნა
(„ხელნაწერი შრიფტი დამუშავებული ძეგლქართული დამწერლო-
ბის ძეგლების მიხედვით“, მხატვრული შრიფტი „ძონტრასტული“
(ვარიაციებით), მხატვრული შრიფტი „მონოტონური“ (ვარიაციე-
ბით), „საპლაკატო შრიფტის“ რამდენიმე ტაბულა და ორიგინალუ-
რი შრიფტები წიგნის გრაფიკიდან კონსტანტინე გამსახურდის, ვა-
ხუშტის, სულხან-საბა ორბელიანის და სხვა ავტორთა ნაწარმოე-
ბებისათვის“).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1936—1937 წლებში
შესრულებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ორი საი-
უბილეო გამოცემის ვრცელი გრაფიკული (ორნამენტული და შრიფ-
ტული) გაფორმება (ლადო ქუთათელაძის თანავტორობით). ამათ-
გან ერთი გამოსცა თბილისის სახელმწიფო გამომცემლობამ, მეო-
რე — „დეტიგიზმა“ (მოსკოვი-ლენინგრადი).

ამ ორი გამოცემიდან პირველში გამოყენებულია ტექსტის ორ-
ნაშენტული თავხართები, ოთხხაზოვანი შრიფტი დამწერლობის ძეგ-
ლი ძეგლების სტილში, თავსართები, ულამაზეს კომპიუტიკიებში
გადაწყვეტილი სპირალისებური ორნამენტი. სამწუხაროდ, მხატვა-
რული გაფორმება ბეჭდვის დროს, ტექნიკური მიზეზების გამო რეპ-
როლუცირებულ იქნა ლითოგრაფიული ანაბეჭდებიდან და ამიტო-

მაც არსებითად განსხვავდება ორიგინალისაგან (ორიგინალები ამაღ უამაღ იმყოფება ლ. ქუთათელაძის არქივში).

მხატვრული შრიფტები, რომლითაც გაფორმებულია წიგნება-
 უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, ფ. შილერის „ტრაგედი-
 ები“, ნიკო ლორთქიფანიძის „რჩეული“, „ქართული პერიოდი“
 და ორმოციანი წლების მთელი რიგი სხვა გამოცემები, მიუხედა-
 ვად ასოთა მოხაზულობის სხვადასხვაობისა, კლასიკურად დახვეწი-
 ლა, ზოგჯერ ამ შრიფტებს საზეიმო ელფერიც დაპერავს, ზოგ-
 ერთ შრიფტში შეაფილდა გამოხატული ასო-ნიშანთა წერტილოვა-
 ნი დაბოლოება.

ამ ხასიათის შრიფტებს მხატვარი შემდეგ იშვიათად იყენებდა-
 წიგნების გასაფორმებლად. იგი მუდამ ახალი მხატვრული ფორ-
 მებისა და კომპოზიციური გადაწყვეტის ძიებაში იყო.

ამავე წლებს განეკუთვნება ლადო გრიგოლის ინტენსიური-
 მუშაობა უმნიშვნელოვანეს ნაშრომზე — ქართული აკადემიური
 შრიფტის გარნიტურის ვარიაციათა სისტემის დამუშავებაზე, ამ
 შრიფტის ყველა სახის დადგენისა და მისთვის საბოლოო გრაფი-
 კული ფორმის მიცემაზე.

მაგრამ დავუბრუნდეთ ძირითად დებულებებს...

ტრადიციული ქართული დამწერლობის ისტორიულად ჩამო-
 ყალბებულ სახეს ახასიათებს ასო-ნიშანთა კალიგრაფიული მოხა-
 ზულობა. დასაწყისში სწორედ ეს წანამდლვრები დაედო საფუ-
 ვლად კონსტრუირებული შრიფტის შექმნას, რომელიც დამუშავდა
 აგების გეომეტრიულ პრინციპებზე დაყრდნობით, მოღულირების
 სისტემით, ხოლო შემდეგ ფართო განვითარება პპოვა ყველა თა-
 ნამედროვე სახის ქართული გრაფიკული შრიფტის დადგენისას.

ლადო გრიგოლის მიერ შექმნილი, ორხაზოვანი სისტემით აგე-
 ბული კონსტრუირებული (სასათაურო) შრიფტი, 1933 წლიდან კი
 უკვე საქუთარი სახელით ცნობილი „აკადემიური შრიფტი“, საფუ-
 ვლად დაედო თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულ-
 ტეტზე შრიფტის ხელოვნების სწავლებას. ამ შრიფტის აგების კა-
 ნონები საშუალებას იძლევა პრატიკულად აღვილად, მოღულის მი-
 ხედვით და ასო-ნიშანთა მოცემული სიმაღლისა და სისქის გათვა-
 ლისწინებით, ასო-ნიშანთა პროპორციების დადგენისა.

ცნობილია, რომ „აკადემიურ შრიფტად“ ჩაითვლება ის შრიფ-
 ტი, რომლის აგების კანონები ემსახურება მისივე ძირითადი ფორ-



მების შექმნას, რომელსაც დამთავრებული, თავისთავადი მონაზულობა აქვს. კონსტრუირებული შრიფტი სავსებით პასუხისმგებელი მოთხოვნებს.

მაგრამ ოთხაზოვანი მონაზულობის სისტემის შრიფტის შექმნის აუცილებლობამ (ასეთი მონაზულობის შრიფტი დამახასიათებელია ძველქართული დამწერლობისთვისაც და ამასთანავე კარვად პასუხობს თანამედროვე კურსივის მოთხოვნებსაც), მხატვარი აიძულა ჩაეტარებინა შემდგომი ძიებანი.

ამ ამოცანის გადაწყვეტაზე მუშაობის წლებში, ფორმათა დამუშავებამ, ცალკეული ასო-ნიშნების ზუსტი საზღვრების დადგენამ, რაც განსაზღვრავდა მცირე დეტალების საწყის და ბოლო წერტილებს, ხატვის პრინციპმა (ეს პრინციპი დამახასიათებელია თითქმის ყველა ლათინური და სლავური შრიფტისათვის) ლადო გრიგოლიას შესაძლებლობა მისცა შეექმნა ის უნიკალური და ორიგინალური „აკადემიური შრიფტისა და მის ვარიაციათა აგების“ სისტემა, რის წყალობითაც ქართულმა შრიფტმა შეიძინა თანამედროვე მდიდრული ფორმა.

ტრაქტატში შრიფტების შესახებ ლადო გრიგოლია აღნიშნავს: „თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქართული დამწერლობის ბრწყინვალე ძეგლებს ამ მოთხოვნის მხრივ პროპორციათა არავითარი საერთო საზომი არ გაჩნიათ, ნათელი განცდება, თუ რა დიდი ამოცანა იღვა ქართული ბეჭდური შრიფტის წინაშე. პროპორციათა დაზუსტება, როგორც სიმაღლეების, სტრიქონის სტრიქონთან დაახლოების, ისე ასოთა ნიშნების სიგანის პროპორციათა დადგენა პირველად სცადეს მე-19 საუკუნის 40-იან წლებში რუსეთის (სანკტ-პეტერბურგის) მეცნიერებათა აკადემიის მიერ შემოღებულ ქართულ ბეჭდურ აკადემიურ შრიფტში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასოთა ნიშნები სიგანის მხრივ მაინც 18 ჯგუფად იყოფოდა.

თუ სიმაღლის შემცირებას მხედველობაში არ მივიღებთ, ასეთივე მდგომარეობაა პროპორციების მხრივ მთელ რიგ ბეჭდურ შრიფტებში და დღეს ყველაზე უფრო მიღებულ ქართულ ბეჭდურ „ვენურ“ შრიფტშიც.

მაგრამ, ვიღრე დაწვრილებით შევეხებოდეთ „აკადემიურ შრიფტსა და მის 396 ვარიაციათა სისტემას“, იგრეთვე მეცნიერულ ნაშრომს „ქართული შრიფტის აგების კანონების შესახებ“, ვისარგებ-

ლოთ ზოგიერთი საყოველთაოდ მიღებული დებულებითა და ის
ტორიული ფაქტებით.

როგორც ცნობილია, შრიფტის პროპორციების საკითხებზე წარსულში მუშაობდნენ გამოჩენილი მხატვრები: პაჩილი, დიურე-
რი, ტორი და სხვ. ისინი ცდილობდნენ დაედგინათ ასო-ნიშანთა,
აგების მეტრული კანონზომიერებანი. მაგალითად, დიურერი შრიფ-
ტის ასაგებად იყენებდა კვადრატს. ასო-ნიშანთა ძირითადი შტრი-
ხის სიგანეს ერთ შემთხვევაში განსაზღვრავდა კვადრატის 1/10-
ით, სხვა შემთხვევაში 1/9-ით, ხოლო წვრილი შრიფტის სიგა-
ნეს — ძირითადი შრიფტის სიგანის 1/3-ით.

შრიფტის ნახატი, როგორც გრაფიკული ხელოვნების საგანი,
თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე სტილურ ცვლილე-
ბებს განიცდის. შრიფტის აგებისას აუცილებელია ანბანის ყველა
ასოს შორის მოინახოს ურთიერთყავშირი.

ანბანი უნდა წარმოადგენდეს ერთიან გრაფიკულ და რიტმულ
სისტემას.

მეტრული ურთიერთყავშირი გულისხმობს შრიფტში ყველა,
ასოსათვის ძირითადი და შემაერთებელი შტრიხებისა და სხვა,
ელემენტების, სიმაღლისა და სიგანის საერთო საზომი ერთეულის,
არსებობას.

გრაფიკული ურთიერთყავშირი ასოებს შორის გამოვლინდება
საერთო ნახატში რქისებურ, წვეთისებურ, წერტილოვან ელემენ-
ტებში, ერთი ელემენტის მეორესთან შეერთების ფორმაში და
სხვ.

რიტმული ერთიანობა შრიფტში, გრაფიკული ურთიერთყავში-
რის გარდა, დამკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, მათ განე-
კუთვნება შრიფტის აგების საერთო პრინციპი (სხვადასხვა სიგანისა
და ერთი სიგანის ასოების) — დახრის ხასიათი, მშვიდი (სიმეტრი-
ული) ფორმის ასოთა მონაცვლეობა დინამიკურთან (ასიმეტრიულ-
თან), ძირითადი და შემაერთებელი შტრიხების, ასოების, ხარვე-
ზების და სხვა მონაცვლეობა.

სივრცობრივი ურთიერთყავშირი შრიფტში გულისხმობს ასო-
ების ერთნაირ შეფარდებებს, მთელი ანბანის ერთიან სივრცობრივ
წყობას, ტექსტის ანაწყობის მხედველობით-ოპტიკურ აღქმას.

სწორეულთხევდის სიმაღლისა და სიგანის ურთიერთშეფარდება,
სადაც უნდა ჩაიხატოს ასო-ნიშანი, ძირითადად განისაზღვრება

პროპორციებით, რომლებიც მიღებულია მოცემული შრიფტისათვის.

ასო-ნიშნის ძირითადი და შემაერთებელი ხაზების სტრუქტურა
საზღვრავს შრიფტის კონტრასტულობა.

ამრიგად, რა არის აკადემიური შრიფტის ვარიაციის სისტემა,
მისი დანიშნულება და შესაძლებლობანი?

პირველ ყოვლისა ისმება კითხვა: რატომ მაინცდამაინც 396
ვარიაცია და არც მეტი, არც ნაკლები?

გავარჩიოთ ვარიაციათა სისტემის აგებების ძირითადი სქემა.

აკადემიური შრიფტის ვარიაციათა სისტემის

სქემა

ნორმალური სიგანის სწორი 48	ვიწრო სწორი 48	განიერი სწორი 48	-28
დახრილი 48	დახრილი 48	დახრილი 48	
ნორმალური სიგანის სწორი 18	ვიწრო სიგანის სწორი 18	განიერი სიგანის სწორი 18	-108
დახრილი 18	დახრილი 18	დახრილი 18	

სულ: 396 ტაბულა

მაგალითისათვის ავიღოთ ნორმალური პროპორციების აკადემიური შრიფტი ვერტიკალური და პორტონტალური შტრიხების სისქის ნორმალური შეხამებით № 36.

ორხაზოვანი სისტემის შრიფტი ძირითადი პროპორციების ნორმალური სისქის შტრიხითა ნორმალური შეხამებით წარმოდგენილია 8 სახის შრიფტის ტაბულით:

1. ნორმალური სისქისა და შტრიხთა ნორმალური შეხამებით.
№ 37.

2. ნორმალური სისქისა და შტრიხთა კონტრასტული შეხა-
მებით. № 39.

3. ნორმალური სისქისა და შტრიხთა მონოტონური შეხამე-
ბით.

4. წვრილი სისქისა და შტრიხთა ნორმალური შეხამებით.
5. წვრილი სისქისა და შტრიხთა კონტრასტული შეხამებით.
6. სქელი სისქისა და შტრიხთა ნორმალური შეხამებით.
7. სქელი სისქისა და შტრიხთა კონტრასტული შეხამებით.
8. სქელი სისქისა და შტრიხთა მონოტონური შეხამებით.

ამრიგად, ნორმალური სიგანის ორხაზოვანი სისტემის შრიფ-
ტის ასაგებად მივიღეთ გრაფიკული შრიფტის ძირითადი პროპორ-
ციის რვა სხვადასხვა სახე.

სქემის ანალოგიური გამოყენება შეიძლება ოთხხაზოვანი სის-
ტემის აყადემიური შრიფტის აგების რვა შემდგომი სახის ტაბუ-
ლის მისაღებად.

ამგვარად, მივიღეთ აყადემიური შრიფტის დაწერის ორხაზო-
ვანი (სასათაურო) და ოთხხაზოვანი (სასტრიქონო) სისტემის ძირითა-
დი პროპორციის შრიფტები (16 ვარიაცია): ნორმალური, კონტ-
რასტული, მონოტონური, წვრილი, სქელი და ა. შ. შტრიხთა შე-
ხამების ორივე სისტემის დაწერისათვის შემდგომ ვარიაციებს იძ-
ლევა ახალი პროპორციის შრიფტები: მაღალი, დაბალი, განიერი,
ვიწრო, სწორი, დახრილი.

მდიდარი გარნიტურა, აგების სისადავე და დახვეწილობა ემ-
ყარება მეტად მოდულურ სისტემას.

აყადემიური შრიფტის აგებისას საერთო ზომის ერთეული — მო-
დული — ძირითადი ზომის ერთეული (ძირითადი ზ/ე), რომელიც
უდრის ასო-ნიშნის სიმაღლის 1/8-ს, მცირე ზომის ერთეული (მცი-
რე ზ/ე) უდრის ძირითადი ზომის ერთეულის ნახევარს და წარმო-
ადგენს დამხმარე ერთეულს.

ამ ორი ზომის ერთეულით — ძირითადითა და მცირეთი —
დადგინდება ქართული აყადემიური შრიფტის ორივე სისტემის და-
წერის ყველა პროპორციის სიღიღე.

სიგანის მიხედვით შრიფტის ასო-ნიშნები იყოფა ოთხ ჯგუფად.
ვამონაკლისია ასო „ლ“, რომელიც ცალკე, მეხუთე ჯგუფს შეაღ-
ვენს.



I ჯგუფის (19) ასო-ნიშნები სიგანის მიხედვით უდრის 4 ზო-
მის ერთეულს, ე. ი. ასო-ნიშნის სიმაღლის ნახევარს. შემდეგით
II ჯგუფის (5) ასო-ნიშნები სიგანის მიხედვით უდრის 5 ზო-
მის ერთეულს.

III ჯგუფის (5) ასო-ნიშნები სიგანის მიხედვით უდრის 6 ზო-
მის ერთეულს.

IV ჯგუფის (3) ასო-ნიშნები სიგანის მიხედვით უდრის $6\frac{1}{2}$ -
ზომის ერთეულს.

V ჯგუფი (1) „ლ“ სისქის მიხედვით უდრის 8 ზომის ერთე-
ულს და იწერება კვადრატში.

ორხაზოვანი სისტემის (სასათაურო) შრიფტის აგებისას ანბა-
ნის ყველა ასო-ნიშანი, აგების ძირითადი კანონის თანახმად, უნ-
და ჩაიწეროს ორ პარალელურ ხაზს შორის. ამისათვის სწორკუთ-
ხედში, რომელიც ორი კვადრატისაგან შედგება, მოდულის სისტე-
მის მიხედვით, ასო „მ“ ჩაიწერება როგორც ნიშანდობლივი ძირი-
თადი მოყვანილობის მატარებელი, რადგანაც იგი ასაგებ მოედანში
იწერება მთლიანად.




ოთხხაზოვანი (სასტრიქონო) სისტემის შრიფტის აგებისას ან-
ბანის ასო-ნიშნები მათი დაწერის ისტორიულად ჩამოყალიბებული
ხასიათის თანახმად, განლაგდება ოთხ პარალელურ ხაზს შორის.
ასო-ნიშანთა მთავარი ნაწილი განლაგდება ორ „საშუალო ხაზს“
შორის.

დაწერის მოდულური სისტემის თანახმად, ანბანის ყველა ასო
ჩაიწერება სამი კვადრატისაგან შედგენილ სწორკუთხედში.

ოთხხაზოვანი სისტემის ასოთა დაწერის ყველა ნიშანდობ-
ლივი ასო-ნიშანია „ჭ“, რომელიც სწორკუთხედის სამივე კვადრატს
იკავებს.

ლადო გრიგოლიას ხელნაწერის „მხატვრული შრიფტები და



უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებული მასალა — „მხატვრული შრიფტები და მათი აგების ხერხები“, რომელიც ლადო გრიგოლიამ დაამუშავა როგორც თბილისის სამხატვრო აკადემიის სტულენტთა სახელმძღვანელო, შედიოდა მისი ლექციების კურსში.

ამჟამად იგი, თავისი საწყისი მონაცემებით, საუკეთესო რეკო-
მენტაციას წარმოადგენს დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაო-
ბისათვის. ამ ნაშრომის გამოყენებით შეიძლება შეიქმნას სხვადა-
სხვა გრაფიკული შრიფტების მრავალი ციფლი.

ლადო გრიგოლიას შრიიფტების გრაფიკული და მეტრულურიანული ლიზი გვიჩვენებს, თუ როგორი ჭეშმარიტად გლობალური ამოცანა გადაქრა მხატვარმა თანამედროვე გრაფიკულ ხელოვნებაში ასონიშანთა სტრუქტურის სრულყოფის, აგების, ძირითადი კანონების ჩამოყალიბების (ერთიანი მოღული) და უმდიდრეს მხატვრულ ფორმათა გამოვლენით.

ჩვენ გამოსაცემად მოვამზადეთ და გამომცემლობა „ხელოვნებას“ ჩავაბარეთ ლადო გრიგოლიას ორი წიგნი: „დაზური და წიგნის გრაფიკა. სკულპტურა“ და „ქართული შრიიფტის ხელოვნება“. წიგნებში შევიდა გრაფიკის, წიგნის გაფორმების საუკეთესო ნიმუშები, პორტრეტები, ჩანახატები, პლაკატები და მეცნიერული ნაშრომი „შრიიფტების აგების კანონების შესახებ“, აკადემიური შრიიფტის მრავალი ტაბულა ანბანის ყველა ასო-ნიშნის აგებით, კონსტრუირებული, სასწავლო. ჩონჩხური, საპლაკატო შრიიფტები. სამწუხაროდ, იმ წიგნების გამოცემა დღემდე ჭიანურდება.

ლადო გრიგოლია მოწოდებით პედაგოგი იყო, სძულდა სიცრუე და მოჩვენებითობა ხელოვნებაშიც და ცხოვრებაშიც, პქონდა დახვეწილი გემოვნება. კოლეგები და მოწაფეები პატივს სცემდნენ მის პრინციპულობას, თანმიმდევრულობას, ძიების დაუკოებელ წყურვილს. იგი იყო გულისხმიერი, მგრძნობიარე, რაღაც განუსაზღვრელი სიკეთით სავსე, ძლიერ ემოციური და ამავე დროს დინჭი და თავშექავებული. ყოველ მოწაფეში ეძიებდა ტალანტის მარცვალს, თავისთვის ახალგაზრდა მხატვარს აიძულებდა ერწმუნა თავისი მომავალი წარმატებანი. მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო ყველასათვის, ვისაც ძიების და შემოქმედებითი დაოსტატების გზაზე კეთილი რჩევა დასჭირდებოდა.

მეოდეიონს ენატოლი. სნეჟკე



ණිකිත්සා සිංහලයේ උස්ථාවලු එයකටත,
රාජ්‍යාච්ච රුහුණිසාප පෙනෙන දායිතිකරණය
හා, මධ්‍ය මෙහෙයුම තැබෙන සැමස්‍යාවහා-
ලුයා.

සෙන්කර්නෝ දා ප්‍රියා ප්‍රාග්‍රූහී ප්‍රාග්‍රූහී

შერარ გარიბი

ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი, ბელგიის სამეფო აქადემიის წევრი, აღმოსავლეთმცოდნეობის უურნალ „მუზეონის“ დირექტორი — უერარ გარიტი წლების განმავლობაში დაუღალავ მეცნიერულ მუშაობას ეწევა ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევისა და პოპულარიზაციისათვის. იგი შესანიშნავად ფლობს და იცნობს არა მარტო ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურას, არამედ ახალსაც. ქართული ენის ცოდნა მკვლევარს ეხმარება ქართული ლიტერატურის ძეგლების ღრმად შესწავლასა და მათ შესახებ გამოკვლევების გამოქვეყნებაში.

1. გარიტი დაიბადა 1914 წელს. 1926—1931 წლებში სწავლობდა ლუვერის პროვინციის კოლეჯში, სადაც უცხო ენების შესწავების დიდი ნიჭი გამოავლინა — წარმატებით დაეუფლა ბერძნულს, ლათინურს, არაბულს, გრძმანულს, ინგლისურს, 1932 წელს შევიდა ლუვენის უნივერსიტეტში და დაასრულა 1936 წელს.

გარიტი, ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში შეუდგა მეცნიერულ კვლევას კლასიკური ფილოლოგიის დარგში.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რომელშიც იგი მონაწილეობდა, გარიტმა გააგრძელა მეცნიერული მუშაობა ბელგიაშა და რომში, კერძოდ, ვატიკანის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. 1945 წელს გარიტი დოცენტი გახდა, ხოლო 1950 წელს პროფესორი. ორმოცანი წლების დასასრულს იგი ბიზანტიური და ბერძნული ფილოლოგიის საკითხებზე ლექციების წასაკითხად ლუვენის უნივერსიტეტში მიიწვია მისმა რექტორმა პროფ. ვაინბერგმა.

2. გარიტი 1950 წლის 26 თებერვლიდან 11 მაისამდე ამერიკულ მეცნიერებთან ერთად იმყოფებოდა სინას მთაზე, სადაც წმინ-

და ეკატერინეს მონასტერში გადაიღო ქართული ხელნაწერების
მიეროვილმი.

მკვლევარმა 75 დღის განმავლობაში უდიდესი სამუშაო შეას-
რულა. შეისწავლა აღმოსავლური ფონდები, და განსაკუთრებული
გულმოდგინებით მეცხრემეტერთმეტე საუკუნეებით დათარიღებუ-
ლი 85 ქართული ხელნაწერი. აღწერა ისინი, თარგმა ფრანგულ-
ლათინურ ენებზე და გამოსცა კომენტარებით, რომლებმაც მოე-
ლი მსოფლიოს მეცნიერები დააინტერესა. საზღვარგარეთის ქართ-
ველოლოგები, კავკასიონლოგები, პატროლოგები და ბიზანტიონლო-
გები მის ნაშრომებს იყენებენ სამეცნიერო მუშაობაში.

1955 წელს გარიტმა ქ. ლუვენში ცალკე წიგნად გამოსცა წმინ-
და ანტონის ეპისტოლეთა ქართული ვერსია და ფრაგმენტები კოპ-
ტური ენიდან. მან წინასიტყვაობაში აღნიშნა, რომ წმინდა ანტო-
ნის ეპისტოლეთა ქართული ტექსტი ცნობილი გახდა მას შემდეგ,
რაც აღ. ცაგარელმა 1888 წელს გამოაქვეყნა ქართულ ხელნაწერთა
აღწერილობა, და იქვე მიუთითა წმინდა ანტონის 7 ეპისტოლებზე,
რომელთაგან პირველი მთლიანად დაზიანებული ყოფილა. ამასთან
დაკავშირებით, მკვლევარი გადმოგვცემს საგულისხმო ცნობას: „სი-
ნას მთის მონასტერში ყოფნისას ჩვენ მივაკვლიერ და გამოვიყვლი-
ეთ აღ. ცაგარელის მიერ აღწერილი ხელნაწერი № 80, რომელიც
დღეს წმინდა ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკის ქართულ ფონ-
დში 35 ნომრითაა გატარებული. ჩვენ აღმოვაჩინეთ ანტონის ორი
ეპისტოლეს ტექსტი სინას მთის მეორე ხელნაწერში. ეს გახლავთ
დღემდე უცნობი ქართული ხელნაწერი № 25“¹.

შურნალ „ლა ნუველ კლიონში“ (ტომი 7-8-9) 1956 წელს გამოქ-
ვეუბულ სტატიაში „სინას ქართული ხელნაწერები“, რომელიც
გამოხენილი ფრანგი მეცნიერის ანრი გრეგუარის სინას მთაზე მოვ-
ზაურობის 60 წლისთავს მიუძღვნა, გარიტი აღნიშნავს, რომ ბერ-
ძნული, არაბული და სირიული ტექსტების ხელნაწერები ინგლისე-
ლი და გერმანელი მეცნიერების მიერ მეცხრამეტე საუკუნის ბოლო
წლებში ძალიან მოკლედ და ცუდად, იყო აღწერილი. ეს ხარვეზი
გამოასწორა ანრი გრეგუარმა. მან აღმოაჩინა ბერძნული ხელნაწე-
რის შესანიშნავი ტექსტი. „რაც შეეხება ქართულ ხელნაწერთა

¹ Lettres de S. Antoine, version georgienne et fragments coptes, éditées par Gérard Garitte, Louvain, Imprimerie Orientaliste, 1955.

ტექსტებს, — წერს გარიტი, — ისინი დასავლეთის მეცნიერთა მიერ უყურადლებოდ იყო დატოვებული“.

შკვლევარი განსაკუთრებით მოიხსენიებს სინას მთის ქართულ ხელნაწერთა ორ კატალოგს, რომელიც შედგენილია ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ. იგი წერს: „ამ ორი კატალოგის შესახებ მე მხოლოდ აკაკი შანიძის მეშვეობით გავიგე. მეცნიერმა დიდი პატივი დამდო და ერთი ეგზემპლარი გამომიგზავნა. სამწუხაროდ, ხელნაწერთა ამ კატალოგებს ვერ იყენებენ მეცნიერები, რომელთაც ქართული არ იციან“.

უ. გარიტი იუნისკოს დავალებით, 1957 წელს მონაწილეობდა სუეცის ექსპედიციაში, რათა გაეგო, რა მდგომარეობა იყო მონასტრებსა და ბიბლიოთეკებში ისრაელთა ოკუპაციის შემდეგ. ამ ორი ექსპედიციის შედეგად უ. გარიტმა ჩამოიტანა ძვირფასი ფოტოსურათები და ღიკუმენტები. გამოსცა სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ქართულ ტექსტს დაურთო ლათინური თარგმანი და ამით ქართული ხელნაწერები მისაწვდომი გახდა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ ბიზანტიოლოგებისა და პატრილოგებისათვის, რომელთაც ქართული ენა არ იციან.

1958 წელს გარიტმა გამოაქვეყნა ნაშრომი მიქელ თარხნიშვილზე, სადაც წერს: „მიქელ თარხნიშვილი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც დასავლეთ ევროპის მკვლევარებს გააცნო მათვის ნაკლებად ცნობილი ქართული ლიტერატურა. ქართველმა მეცნიერმა გერმანულ ენაზე დაწერა წიგნი „ქართული სასულიერო მწერლობის ისტორია“, რომელიც გამოვიდა ვატიკანში 1956 წელს. ეს იყო პირველი ვრცელი ნაშრომი, დაწერილი დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ ენაზე ქართული სასულიერო ლიტერატურის საკითხებ-



ურაზ გარიტი



ჸე. ამ წიგნშა როგორც სპეციალისტების, ისე არასპეციალისტების
შეხივ დიდი ინტერესი აღმრა“².

1958 წელს გარიტმა გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი, „პა-
ლესტინური ქართული კალენდარი სინური ხელნაწერის № 34-
ის მიხედვით“. კალენდრის ტექსტი თარგმნა ფრანგულ ენაზე, და-
ურთო ვრცელი გამოკვლევა და წინასიტყვაობა, რომლებიც უცხო-
ელ მკითხველებს უხსნის ქართული კალენდრის რაობას: „წინამდე-
ბარე ქართული კალენდარი, — წერს იგი, — წარმოადგენს კომენ-
ტირებულ გამოცემას. იგი უნიკალური ძეგლია თავისი მოცულო-
ბით, სიძველითა და შინაარსით.

კალენდარი შეიცავს 1100-ზე მეტ წმინდანთა ხსოვნის ლიქს-
სახსოვარ დღეს, რაც განაწილებულია ყველა თვეზე, პირველი იან-
ვრიდან 31 დეკემბრამდე... კალენდარი დაიწერა პალესტინაში მე-
ათე საუკუნეში და გვაწვდის უძვირფასეს ცნობებს დადგენილი
დღესასწაულების შესახებ... კალენდარში ცოცხლადაა შემონახული
აღგილობრივი ლიტერატურული ცხოვრების ყველა ელემენტი“³.

უერარ გარიტის მეცნიერულმა მოღვაწეობამ, არა მარტო უც-
ხოელი მეცნიერების ყურადღება მიიპყრო, არამედ ბელგიის მეფი-
საც. 1959 წელს წიგნისათვის „პალესტინური ქართული კალენ-
დარი“ გარიტს ფრანგის პრემია მიანიჭეს. როგორც ცნობილია, ამ
პრემიით ბელგიაში აჯილდოებენ აღმოსავლეთის ძეგლი ქრისტია-
ნული ლტერატურის ყველაზე დიდ მცოდნეებს. პრემია მეცნიერს
პირადად გადასცა მეცე ბოლუენშა.

ამ დიდ მოვლენას გამოხმაურა „რევიუ დე კარტელოლო-
ების“ რედაქტორი პროფ. კ. სალია. მან უურნალის 1959 წლის მე-
ექვსე-მეშვიდე ტომში გამოაქვეყნა წერილი „უერარ გარიტი —
ფრანგის პრემიის ლაურეატი“, რომელშიც წერს: „უერარ გარიტმა
უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ მწერლობას. პროფესორი
დაულალავიდ, განსაკუთრებული სიყვარულით, ზუსტი მეცნიერუ-
ლი მეთოდებითა და პუნქტუალობით ეწევა მეცნიერულ მუშაობას;

² ქ. გარიტი, „მიქელ თარხნიშვილი“, „რევიუ დე კარტელოლოები“, ტ.
30-31, 1958 წ.

³ Le Calendrier Palestino-Géorgienne du Sinaiticus 34 (x siècle), édité
traduit et commenté à l'Université de Louvain, Société des Bollandistes, Bru-
xelles, 1958, pp. 5-485.



მტვერს აცლის დღემდე უცნობ ხელნაწერებს, აცნობს მათ უცხო-
ელ ხალხს და ამით დიდი წვლილი შეაქვს ქართული კულტურული პრობლემების შესწავლის საქმეში”.

ქ. გარიტი თავის ნაშრომებში აშუქებს ბიზანტიური, არაბუ-
ლი, ქართული და სომხური ლიტერატურის რიგ საკითხებს. იგი
ამელაგნებს საკვლევი ობიექტის დიდ ცოდნასა და ერუდიციას.
დიდია მისი დამსახურება აღნიშნულ დარგებში, მან ქრისტიანული
აღმოსავლეთის სპეციალისტებს შორის საპატიო აღვილი დაიჭირა.

ქ. გარიტმა დიდი შრომა გასწია აქად. კორნელი კეჩელიძის
სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფიის შედგენისა და გამოცემის
საქმეში. იგი დალაგებულია ქრონოლოგიურად 1905 წლიდან 1962
წლამდე, წამძლვარებული აქვს მოკლე წინასიტყვაობა, რომელ-
შიც გაღმოცემულია ქართველი მეცნიერის მოღვაწეობის მთავარი
მომენტები. გარიტი წერს: „1962 წლის 7 ივნისს 83 წლის ასაკში
გარდაიცვალა კორნელი სამსონის ძე კეჩელიძე, თბილისის უნი-
ვერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრი. კორნელი კეჩელიძე იყო ქართველ მეცნიერთა შორის ერთ-
ერთი იშვიათი მეცნიერი, რომლს სახელი კარგად არის ცნობილი
დასავლეთ კვრობის პატროლოგების. ლიტურგისტების და აგიოგ-
რაფებისათვის. იგი იყო თანამედროვე ქართული ფილოლოგიის
ფუძემდებელი: თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე (მისი
პირველი ნაშრომი 1905 წელს გამოქვეყნდა) მეცნიერმა გამოაქ-
ვეყნა მრავალი გამოკვლევა და ტექსტი, რომლებიც ქართული ლი-
ტერატურის სპეციალისტთა ყურადღებას იძყრობს“⁴.

საქმიანი მეცნიერული კონტაქტები ჰქონდა ბელგიელ მეცნი-
ერს ილია აბულაძესთან. აწ განსვენებული ქართველი პროფესორის
ხსოვნის უკვდავსაყოფად მკვლევარმა გამოსცა მისი ნაშრომების
ბიბლიოგრაფია შესავალი წერილით: „ჩვენ ვითიქრეთ, რომ ყვე-
ლაშე უკეთესი პატივისცემა პროფ. ი. აბულაძის ხსოვნის უკვდავ-
საყოფად იქნებოდა მისი მეცნიერული შრომების ბიბლიოგრაფიის
გამოქვეყნება ფრანგულ ენაზე და მისი მიწოდება დასავლეთ ევ-
რობის მკვლევარებისათვის. თუ ეს ჩვენი გეგმა კარგად განვახორ-
ციელეთ, ამას უნდა ვუმაღლოდეთ ილია აბულაძის გამოჩენილი

⁴ Gérard Garitte, «Bibliographie de K. Kekelidze», «Le Museon», tome 56,
Louvain, 1963, p. 443.

თანამშრომლის ქალბატონ ელენე მეტრეველის მუშაობაში. ქალბატონი ელენე მეტრეველი დღეს აგრძელებს აბულაძის საქართველოს საქმეს, ხელმძღვანელობს ხელნაწერთა ინსტიტუტს; მან მისთვის ჩვეული თავაზიანობით გამოგვიგზავნა განსვენებული პროფესორის ბიოგრაფიული ცნობები, ნაშრომების ბიბლიოგრაფია, გარდა ამისა, ილია აბულაძის 24 პუბლიკაცია, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნდა. სხვა ნაშრომების უმრავლესობა ჩვენმა დატირებულმა კოლეგამ სიცოცხლეში გამოგვიგზავნა⁵.

გარდა ამისა, ბელგიელმა მკვლევარმა „რევიუ დე კარტელო-ლოგის“ 1960 წლის 26-ე ტომში გამოქვეყნა სტატია „ილია აბულაძის ხსოვნას“.

ნაშრომის პირველ ნაწილში ვეტორი უცხოელ მკითხველებს ქართველი მეცნიერის ბიოგრაფიას აცნობს.

„თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში, — წერს ჟერარ გარიტი, — ილია აბულაძემ შექმნა მრავალი საყურადღებო მეცნიერული ნაშრომი“.

ბელგიელი ქართველოლოგი დიდ ადგილს უთმობს ილია აბულაძის სადოქტორო დისერტაციის ანალიზს, რომელიც 1944 წელს იყავი შანიძის რედაქციით ცალკე წიგნად გამოქვეყნდა. განსაკუთრებით მოიხსენიებს იმ ნაშრომებს, რომლებმაც ილია აბულაძეს საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში მოუხვეჭა სახელი.

ვეტორი ყურადღებას ამახვილებს მეცნიერის მუშაობაზე ძველ ქართულ ტექსტებზე და მის მიერ შედგენილ პალეოგრაფიულ აღმოჩე, რომელიც 1949 წელს გამოვიდა.

სტატიის ბოლოს გარიტი აკეთებს მეტად საყურადღებო დასკვნებს: „პროფესორ ილია აბულაძის ნაშრომებს, — წერს იგი, — აქვს დიდი მეცნიერული ღირებულება. ისინი გამოირჩევა დიდი ობიექტურობით, ფილოლოგიური და პალეოგრაფიული კვლევის დიდი უნარით, ლინგვისტური სიზუსტით, უნაკლო ერუდიციით და კრიტიკული აზრის გამჭრიახობითა და სიღრმით... დიდია ილია აბულაძის დამსახურება. მეცნიერმა ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები მისაწვდომი გახდა ამ დარგში მომუშავე ბევრი უცხოელი მკვლევარისათვის, რის გამოც ისინი ძალიან

⁵ «Bibliographie d'Ylia Abouladzé», «Le Mouséoné, 1969, Louvain, tome 82, p. 408.



შალიერნი ახიან. პროფესორ ილია აბულაძის მეცნიერულ ნაშროვანების რომებს მაღალი შეფასება მისცეს სპეციალისტებმა არა მარტო თანამდებობას შევყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

1966 წელს ლონდონში გამოვიდა ქართული „ბალავარიანის“ ინგლისური თარგმანი, რომელიც ჩვენმა კოლეგამ და ლანგმა შეასრულა. მან თარგმანს წარუმდღვარა ილია აბულაძის მიერ დაწერილი შესვალი წერილი. ჩვენს გულში დიდხანს დარჩება პროფესორ ილია აბულაძის ნათელი ხსოვნა. მან ბევრი მეცნიერი შთაავონა, დაუტოვა მათ მრავალი ნაშრომი და ხელნაწერთა ფოტოპირები. ჩვენ ქედს ვიხრით დიდი მეცნიერის ცხედრის წინაშე, მისი სამშობლოს, მისი თანამშრომლებისა და მეგობრების წინაშე⁶.

პროფ. ილია აბულაძის არქივში (ხელნაწერთა ინსტიტუტში) დაცულია გარიტის წერილები.

1956 წლის 29 ოქტომბრის წერილში ვკითხულობთ: „24 ოქტომბერს გამოგიგზავნეთ სინას ქართულ ხელნაწერთა კატალოგის ერთი ეგზემპლარი, რომელიც დაიბეჭდა „კორპუს სკრიპტორიუმ ორიენტალიუმში“ და აგრეთვე სტატია საეკლესიო ეურნალში. ვთარგმნე ქართული ფრაგმენტი თომას სახარებისა, რომელიც 1941 წელს აკაკი შანიძემ გამოაქვეყნა.

მაღლობას გიძლენით თქვენი ა/წ 21 ივლისის წერილისათვის. დიდი სიხარულით გავიგე, რომ ამზადებთ „სიბრძნე ბალვარიანის“ ახალ გამოცემას, ვისურვებ, რომ ეს ნაშრომი მაღა გამოქვეყნდეს.

დიდი მაღლობელი ვიქნები, თუ მომაწვდით თქვენს წერილებს, რომლებიც დაიბეჭდა „ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბეჭი“ და აგრეთვე გთხოვთ სხვა სტატიებს, თუ გაქვთ ცალკე ამობეჭდილი. ჩემს თავს ნებას ვაძლევ ამ წერილს თან დავურთო თქვენი სხვა სტატიების სია, რომელთა არსებობის შესახებ ვიცი. აგრეთვე მაინტერესებს ბატონ კორნელი კაკელიძის სტატია ითანებ ზოსიმეს კალენდრის გამოცემის შესახებ. ივი დაიბეჭდა „თბილისის უნივერსიტეტის შრომებში“.

დიდი სიამოვნებით მივიღებდი აგრეთვე თქვენს სტატიებსაც.

⁶ ს ერგო თუ რნავა, „ბელგიული მეცნიერის ნაშრომი ილია აბულაძეზე“, გან. „საბჭოთა საეთო“, 1970 წ., 31 იანვარი.


რომელთა არსებობაზე არაფერი ვიცი. ჩემ მხრივ გამოგიგზავნის
შპელაფერს, რაც გამაჩნია, რამდენიმე კვირაში მიიღებულია ჩემს
ნაშრომს მარტინიუს ბერის ქადაგების „შესახებ“.

1962 წლის 25 ოქტომბრის წერილში გარიტი წერს: „მე უკვე
მივიღე თქვენი 8 ოქტომბრის წერილი და ამანათი... დიდ მადლო-
ბას მოგახსენებთ თქვენი ინსტიტუტის შესანიშნავი შრომების გა-
მოგზავნისათვის. ამავე დროს ვიმედოვნებ, რომ თქვენც მიიღოთ
ჩემს მიერ გამოგზავნილი წიგნები, სახელდობრ: უკრნალ „მუზე-
ონში“ დაბეჭდილი სტატია, რომელშიც გაანალიზებულია 1961
წლის დამოსული თქვენი ინსტიტუტის შრომები“.

1962 წლის 9 ნოემბრის წერილში ვკითხულობთ: „დიდი სია-
მოვნებით მივიღე წიგნები, რომლებიც გამოგიგზავნიათ. სახელ-
დობრ, ლევან მენაბდის წიგნი „ძველი ქართული მწერლობის კე-
რები“, რომელიც ჩემთვის ძალიან საინტერესოა“.

1962 წლის 30 ნოემბრის წერილში ბელგიელი მეცნიერი მად-
ლობას უხდის პროფ. ი. აბულაძეს იმისათვის, რომ მან მიაწოდა
ზუსტი ცნობები იპოლიტე რომაელის თხზულების „დავითისა და
გოლიათის“ შესახებ.

1964 წლის 27 მარტის წერილში ნათქვამია: „დიდი სიამოვ-
ნებით მივიღეთ წიგნები, რომლებიც ახლა გამოგიგზავნიათ. სახელ-
დობრ: ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“, ტომი მეხუთე, „ქარ-
თველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ანტონ კიზირიას წიგნი
„მარტივი წინადაღების შედგენილობა ძველ ქართულში“. ს. ყაზბ-
ეგიშვილის „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია“, რისთვისაც
დიდ მადლობას მოგახსენებთ. ამ ნაშრომებს ჩემთვის დიდი მნიშ-
ვნელობა აქვს და დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. მე ბედნიერი
ვარ, რომ თქვენი მეშვეობით ვიგებ ასეთი კარგი წიგნების არსე-
ბობას და ვლებულობ კიდეც“.

უკრადლებას იქცევს აგრეთვე 1966 წლის 6 იანვრის წერილი,
რომელშიც ჟ. გარიტი გადმოსცემს თავის შთაბეჭდილებებს სა-
ქართველოში ყოფნის შესახებ.

„მე დიდი სიამოვნებით მივიღე თქვენს მიერ გამოგზავნილი
საუკეთესო ნაშრომები, როგორიცაა: საბა-სულხან ორბელიანის
მეოთხე ტომი, კრებული „შოთა რუსთაველი“ და „ისტორიულ-
ფილოლოგიური ძიებანი“ თქვენი ინსტიტუტის მიერ გამოვეყენე-
ბული... მე და ჩემს მეუღლეს არასოდეს დაგვავიწყდება საქართვე-
ლება“



ლოში გატარებული დღეები, განსაკუთრებით 27 ოქტომბერი, რო-
დესაც თქვენ ხელნაწერთა ინსტიტუტში გულითადი შეხვედრა მოგენერირდა
კიშვეთ. ეს ჩვენთვის ძვირფასი იყო. კიდევ ერთხელ გულითად
მაღლობას მოგახსენებთ.

სწორედ დღეს მივიღე ვახტანგ ბერიძისაგან ჩვენი ჯგუფის
შვენიერი ფოტო, რომელიც გადავიღეთ თქვენი ინსტიტუტის კი-
ბეზე. მა სურათში თქვენ ძალიან კარგად ხართ გამოსული და აგ-
რეთვე თქვენი თანამშრომლები. ჩვენთვის ეს განსაკუთრებით
ძვირფასი სუვენირია...

ამავე დროს წერილს ვწერ ქალბატონ ელენე მეტრეველს,
ასევე დაუვიწყარია ჩვენთვის მასთან შეხვედრა. ქალბატონმა ელე-
ნემ მიჩვენა თავისი ნაშრომი, რომელსაც გამოსაცემად ამზადებს.
მე მასვე ვთხოვ, თუ შესაძლებელია, გამომიგზავნოს მიკროფილმი
„წმინდა მართას ცხოვრებისა“. როგორც თბილისში ჩემი ყოფნისას
ვითხარით, ვთარგმნე „წმინდა მართას ცხოვრება“ და გამოსაცე-
მად ვამზადებ.

გისურებოთ ჯანმრთელობას, ნაყოფიერ მუშაობას როგორც
თქვენ, ისე თქვენი ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებს“.

საინტერესოა ბოლო წერილი, რომელიც დათარიღებულია 1968
წლის 15 იანვრით. „ბატონო დირექტორო და კოლეგავ, ჩემს თავს
ვაძლევ უფლებას, ერთხელ კიდევ შეგაწუხოთ. გთხოვთ, გამომიგ-
ზავნოთ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერების მიკროფილმები.
გაცნობებთ, რომ მალე გამოგიგზავნით წმინდა მართას ცხოვრების
ქართული ვერსიის ლათინურ თარგმანს, რომელიც ჩემს მიერ არის
შესრულებული“.

ასეთივე დიდ ინტერესს იჩინს უერარ გარიტი აყავი შანიძის
მიმართაც. მან ფრანგულ ენაზე შეადგინა და გამოსცა ქართველი
მეცნიერის ნაშრომების ბიბლიოგრაფია და დაურთო შესავალი წე-
რილი. ამის შემდეგ კიდევ გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი „აყავი
შანიძე—ქართველოლოგიის მამამთავარი“, რომელიც დაიბეჭდა „რე-
ვიუ დე კარტეველოლოგიის“ 1968 წლის 25-ე ტომში.

შესავალ ნაწილში მეცნიერი მოკლედ გადმოსცემს აყავი შა-
ნიძის ბიოგრაფიას.

მკვლევარი დიდ ადგილს უთმობს ქართველი მეცნიერის შრო-
მების ანალიზს, რომელთაც იგი ხუთი ათეული წლის განმავლობაში

აქეცყნებდა. ავტორი ხაზს უსვამს აკაკი შანიძის დამსახურებულის წერს: „აკაკი შანიძემ ნახევარი საუკუნის მეცნიერული განვითარების პროცესში ღიღი სახელი მოიხვეჭა ენათმეცნიერებისა და ქართული ფილოლოგიის ყველა დარგში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აკაკი შანიძე არის პიონერი ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის ბევრ დარგში. იგი ერთნაირად ძლიერია ისეთ დარგებში, როგორიცაა თანამედროვე ქართული ენათმეცნიერება, ძველი ქართული ტექსტების გამოკვლევა და გამოცემა, პალეოგრაფია და ეპიგრაფია, ენის ეტიმოლოგია და ისტორია, ქართული და ქართველური დიალექტოლოგია (ლაზ-მეგრული და სვანური), ლექსიკოგრაფია, სალიტერატურო ქართულის დადგენა, რესთველოლოგია. ალბანოლოგია, პოპულარული ლიტერატურა და ფოლკლორი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგიკა“⁷.

განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს გარიტი ისეთ ფუნდამენტურ ნაშრომებს, როგორიცაა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირის ქართულ ზმნებში“, „ქართული ენის გრამატიკა“ და „ქართული გრამატიკის საფუძვლები“.

„აკაკი შანიძე — განაგრძობს ბელგიელი მეცნიერი, — არის თანამედროვე ქართული ენის მეცნიერული გრამატიკის მამამთავარი. მისი „ქართული ენის გრამატიკა“ და „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ არის და ღიღანის დარჩება მეცნიერული კვლევის აუცილებელ ბაზად. მისი მრავალი მეცნიერული ნაშრომი ღიღი ორიგინალობით ხასიათდება. მათში წამოყენებული დებულებები სცილდება ქართველოლოგიის დარგს და ზოგად ენათმეცნიერებაზე ვრცელდება. ერთი ასეთი ნაშრომი ითარგმნა ფრანგულ ენაზე, გამოქვეყნდა პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების „მოამბეში“ (1963 წ. ტ. 58, გვ. 1-27) და ფრანგი მეცნიერების ბრწყინვალე შეფასება დაიმსახურა“.

უერარ გარიტი აღნიშნავს, რომ „აკაკი შანიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართული ზმნის შესწავლის საკითხს. ზმნის კატეგორიების ირგვლივ მან შეიმუშავა ორიგინალური თეორია და ახალი ტერმინოლოგია, რომლებიც ქართულ ენათმეცნიე-

⁷ Gérard Garitte, «Akaki Chanidzé, maître de la Kartvélologie», «Revue de Kartvélologie», vol. XXV, Paris, 1968, pp. 46-50.



რებაში დაუყოვნებლივ მიიღეს... საკვირველი ინტუიციისა და შორხა-
მცენერეტელობის მეშვეობით აკაკი შანიძემ სავსებით განაახლა მეურის და მეურის განახლება
ნიერების რამდენიმე საკვლევი დარგი".

უცხოელი მკვლევარი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ აკა-
დემიკოს აკაკი შანიძის გამოკვლევები ემყარება ზუსტ ფილოლოგი-
ურ მეთოდებს. მკვლევარი მსჯელობს აგრეთვე აკაკი შანიძის ხელ-
მძღვანელობით გამოცემულ ნაშრომთა სერიებზე, როგორიცაა
„ძველი ქართული ენის ძეგლები“ და „ძველი ქართული ენის კა-
თედრის შრომები“. ვრცლად იხილავს პროფ. ივანე იმნაიშვილის
ნაშრომებს: „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ
ქართულში“, „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“. მაღალ
შეფასებას აძლევს ორივე ნაშრომს, მაგრამ განსაკუთრებულ ყუ-
რადღებას აქცევს სიმფონია-ლექსიკონს და წერს: „ჩვენ პირველ
პლანზე წამოშევთ „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონს“. ამ
ლექსიკონში წარმოდგენილია ყველა სიტყვა. ყველა შემთხვევა-
ვაში მოყვანილია კონტექსტი და თუ საჭიროა, ვარიანტებიც. ეს
„სიმფონია“ დიდ დახმარებას გვიშევს კლასიკური ლექსიკის მეცნი-
ერული შესწავლისათვის". თავის წერილში „ქართული ფსალმუნის
კრიტიკული გამოცემა“, რომელიც დაიბეჭდა „რევიუ დე კარტ-
ველოლოგის“ 1961 წლის 36-37-ე ტომში (გვ. 19-20) მკვლევარი
მოიხსენიებს მზექალა შანიძის მიერ გამოცემულ წიგნს „ფსალმუ-
ნის ძეველი ქართული რედაქციები მეათე-მეოთხრმეტე საუკუნეთა
ხელნაწერების მიხედვით“. იგი წერს: „ქალბატონ მზექალა შანიძის
ამ შვენიერ გამოკვლევას დიდი წვლილი შეაქვს ქართული ენისა
და ლიტერატურის შესწავლის საქმეში. ტექსტებში აშკარად ჩანს
ქართველი მკვლევარის მეცნიერული კვლევის უნარი. ეს არის
ფსალმუნის ძეველი ქართული თარგმანების პირველი კრიტიკული
გამოცემა“.

პარიზელი პროფესორი კალისტრატე სალია* თავის წერილში
„უერარ გარიტი ფრანგის პრემიის ლაურეატი“, გადმოვცემს ერთ
საინტერესო ინტერვიუს, რომელიც პქონია უერარ გარიტს ფრანგ
უურნალისტ შარლ იდევალთან.

უურნალისტ შარლ იდევალთან ინტერვიუში შეკითხვაზე —

* პროფ. კალისტრატე სალია 1986 წლის 27 ივნისს გარდაიცვალა პარიზში.
გაზეთმა „კომუნისტა“ გამოქვეყნა ნეკროლოგი. ვტორის შენიშვნა.

რატომ არის რომ თქვენ, ბელგიელს კარგად გიცნობენ  ში? — გარიტმა უპასუხა:

„თბილისში მე იმიტომ მიცნობენ, რომ მჭიდრო კავშირი შაქვს ქართულ კულტურასთან, ფრანგულ ენაზე ვთარგმნი ქართული ლი-ტერატურის ძეგლებს და ვწერ მათზე გამოკვლევებს.

— თქვენ საქართველოში ხართ დაბადებული თუ ზემო ეგ-ვიპტეში?

— არა, საქართველოში არ დავბადებულეარ, მე დავიბადე ულენტ გოეგნიეში, ლუვიერის ახლოს (ბელგია) 1914 წელს. სამი წელია, რაც მშობლები აღარ მყაეს, ისინი წარმოშობით და ბრენ ლო კონტედან იყვნენ. ჩემს მშობლებს ჰყავდათ ათი შვილი, მე მეოთხე ვარ. ესწავლობდი ლუვიერის წმინდა უოზეფეს ინსტიტუტში, ლუვენში კი კლასიკურ ფილოლოგიას. 1939 წელს გამგზავნეს რომში, სადაც ვმუშაობდი ბელგიის ისტორიის ინსტიტუტსა და აკადემიაში. აქ 6 წელიწადს დავყავი. არმიიდან განთავისუფლების შემდეგ, 1942 წელს კვლავ დავბრუნდი რომში და გავაგრძელე ჩემი ჟეცნიერული მუშაობა ემგვაეს ხელმძღვანელობით ბელგიის ისტო-რიის ინსტიტუტში.

ვატიკანის ბიბლიოთეკა მთელ ჩემს ცხოვრებაში მეორე სკოლა იყო. აქ ვმუშაობდი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე აწ განსვენებული, კარდინალ მერკატის ხელმძღვანელობით. იგი 93 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან ბევრი რამ გააკეთა ვატიკანში აღ-მოსავლური ლიტერატურის შესწავლის საქმეში. ამ კეთილშობილი ადამიანის შუამდგომლობით მოვცვდი ლუვენის უნივერსიტეტში კოპტური ენისა და ლიტერატურის პროფესორთან, გამოჩენილ ელი-ნისტთან, ბატონ ლეფორთან, რომელმაც ქრისტიანული აღმოსავ-ლეთის კარები გამიღო.

ამჟამად, მუშაობას ვაგრძელებ ლუვენის აღმოსავლეთმცოდნე-ობის ინსტიტუტში, სადაც 1946 წლიდან პროფესორი ვარ, ვმუ-შაობ ერთეულ ლამოტის (მოწაფე გამოჩენილი მეცნიერის ვალე-პუსენისა) და ბატონ ბ. დრაგეს ვევრდით. აღნიშნული მეცნიერები არიან ასურულის თვალსაჩინო სპეციალისტები. მე მათი დახმა-რებით შევისწავლე რუსული და ქართული. ხომ არ ისურვებთ, ამის მაგალითი რომ მოვიყვანოთ? აი, წერილი, რომელიც დაწერი-ლია ქართულად. ჩემი საბჭოთა კოლეგები თბილისის უნივერსი-

ტეტიდან მთელი გულით მოხვევნ, რათა ვეწვიო მათ და მეც მად-
 ლობის გრძნობით ვუგზავნი პასუხს”⁹.

1960 წლის 26 იანვარს ლუვენის უნივერსიტეტის სხდომათა
 დარბაზში გაიმართა გარიტის 45 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეც-
 ნიერო სესია. მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის პრეზიდენტი ეტი-
 ენ ლამოტი, რომელმაც ვრცლად დაახასიათა პროფ. უერარ გარი-
 ტის ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა: „მე არ შევეცდები
 უერარ გარიტის ქებას. ეს მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მე მხო-
 ლოდ ავალაპარაკებ ფაქტებს, რომლებიც თავისთავად საკმაოდ
 შეერჩემტყველია. უერარ გარიტს წარმატებებისათვის პროტეგი-
 ისა და ინტრიგების შედეგად არ მოუღწევია, არამედ თავისი და-
 ძაბული, ენერგიული მუშაობით. უერარ გარიტი მოვიდა ლუვენის
 უნივერსიტეტში სწავლისათვის და ისწავლა კიდეც. მან ღრმად
 შეისწავლა ბერძნული ენა, რომ ფართოდ გაეღო ანტიკური სამ-
 ყარის კარები საერთოდ და ქრისტიანული აღმოსავლეთისა კერ-
 ძოდ. ბატონ მ. ლეფორის ხელმძღვანელობით, 20 წლის განმავ-
 ლობაში მთელი მგზნებარებით სწავლობდა ეგვიპტის ქრისტიანთა
 კოპტურ ენას. ეჭვს გარეშეა, რომ უერარ გარიტი შეჯდა ჭოჭო-
 ხეთის ცხენზე, რომელსაც მეცნიერი ეგვიპტელ ქრისტიანთა კოპ-
 ტური ენიდან — არაბულამდე, არაბულიდან სირიულამდე, სირიუ-
 ლიდან სომხურამდე და სომხურიდან ქართულამდე უნდა მიეყვანა. უ-
 ერარ გარიტი თავის მეცნიერულ მუშაობაში ყოველთვის იყენებ-
 და და იყენებს მეცნიერულ პრინციპებს. მან გამოიჩინა დიდი ენერ-
 გია, შეისწავლა ინდო-ევროპული და კავკასიური ენები და ამასთან
 ერთად მკვდარი ენები“.

ქართველი მეცნიერები: აკაკი შანიძე, ივანე იმნაიშვილი, არ-
 ნოლდ ჩიქობავა, ალექსანდრე ბარამიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ივანე
 ქავთარაძე, ივანე ლოლაშვილი¹⁰, მზექალა შანიძე, სოლომონ ყუბა-
 ნეიშვილი, მიხეილ ჩიქოვანი, ვახტანგ იმნაიშვილი და სხვანი, პროფ.
 გარიტის მეცნიერულ მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევენ.

უერარ გარიტი ზედმიწევნით გულისხმიერი მეგობარია. უყუ-

⁹ კ. ს ა ლ ი ა, „უერარ გარიტი ფრანგის პრემიის ლაურეატი“, „რევიუ და
 კარტველოლოები“, ტ. VI-VII, 1959, პარიზი.

¹⁰ Etienne Lamotte, «Gérard Garitte», Orbis. Bulletin international de Documentation lingvistique, tome IX, 1, 1960.



რადლებოდ არ ტოვებს ჩვენს წერილებს, გვიგზავნის საჭირო უსაფრთხოების რომებს. ერთ-ერთ წერილში, რომელიც დათარილებულია 1970 წლის 23 ივნისით, ბელგიელი პროფესორი გვწერს: „ჩემი ძვირფასო კოლეგავ, მე ძალიან დავაგვიანე პასუხი თქვენს სასიმოვნო წერილზე, რომელშიც მთხოვთ გამოგიგზავნოთ ზოგიერთი ჩემი ნაშრომი. გთხოვთ, მაპატიოთ პასუხის დაგვიანებისათვის, რადგან ეს გამოწვეული იყო ჩემგან დამოუკიდებელი გარემოებით, სახელდობრ, მოუცლელობით, ყადემიური წლის დამთავრებასთან დაკავშირებით. ბოლოს მოვიცალე, მოვძებნე თქვენთვის ცალკე წიგნებად გამოცემული ნაშრომები და გამოგიგზავნეთ სამი ამანათთ, პირველში მოთაგსებულია სხვადასხვა სტატია (ჟურნალებში გამოქვეყნებული), მეორეში — ჩემი პალესტინური ქართული კალენდარი, მესამეში — „წმინდა მართას ცხოვრება, ქართული ტექსტები და თარგმანი“. ვისურებ, რომ მალე მიიღოთ. მე, სამწუხაროდ, ვერ შევძებლი თქვენს სიაში აღნიშნული ყველა ნაშრომის გამოგზავნა, რადგან არც ერთი ეგზემპლარი არ გამაჩნია. ვუიქრობ, თქვენ შეგიძლიათ ამ ნაშრომების ნახვა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც, ჩემი აზრით, ყველა ნაშრომი გაგზავნილი უნდა მქონდეს. სახელდობრ, ეს გახლავთ ქართული ფილოლოგის საკითხებზე დაწერილი ნაშრომები.

რაც შეეხება ჩემს ფოტოსურათს, რომელსაც მთხოვთ, ამჟამად ხელთ არ მაქს, მაგრამ მალე მექნება და გამოგიგზავნით.

მივიღე თქვენი მშვენიერი წიგნი, რომელიც პროფესორ რენა ლაფონზე დაგიწერიათ, მან მე ძალიან დამაინტერესა. დიდი სიამოვნებით წავიკითხავ თქვენს ნაშრომებს. მე მაღლობას მოგახსენებთ ასეთი ჭარბი წიგნის დაწერისათვის.

ძვირფასო კოლეგავ, ერთხელ კიდევ მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი და გულითადი მაღლობა“.

უერარ გარიტი მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერია, რომელ მაც თავისი უმნიშვნელოვანესი გამოკვლევებითა და თარგმანებით დიდი წვლილი შეიტანა ფილოლოგიურ მეცნიერებაში. თავისი შრომებით მას თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ბელგიელი და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში. დიდია მისი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე.

ପ୍ରମାଣିତ



მერძნის გიგლიოოთისა

გერძნის ფეხურაცეული რესუბლიკის მიწ-მრთი სასახ-
ლო დაწესებულების საცავში ზემორჩა დღისათვის საკმაოდ
იმპიატი საკრიზი, ეზრით ჯოგებული „გერძნის გიგლიოოთი-
კა“. ამთი გიგლიოოთისგან დიდი პოპულარობით სარჩევლო-
ბდნენ XVIII საუკუნის გერძნის არისტოკრატია უორის.
ზიგნი არის როველივე ხისგან დამზადებული ზერდაზა-
უდაც იმავე ხის კირძისაგან არის დამზადებული. გასუ კა-
როსფერი საღეგავით ზერია ზიგნის სახელმოძღვანია. ზიგნი
ჩამყობილია გამხარი ფოთლები, ნაყოფი, თასლი და ხის
ფისვები. ამვე ჭაიკითხავთ მათ მოცლე ბორბანიურ აღწირი-
ლობას.

ვიზედსტყაოსნის პარიზული ხელნაწერი

აპოლოგია ვეფხისტყაოსნის გადამწერის —
„უაზანთ ბეჭოას ქალის ალასი“

„შიდეობა მითხრას მი...“
ალას მინაწერი

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ერთ-ერთ თაროშე, ძველ ფოლიანტთა შორის, დევს ქართული ხელნაწერი — 1702 წლით დათარიღებული ვეფხისტყაოსანი, რომელსაც აქვს მინაწერი: „დაიწერა შამახი[ა]ს...“

საქართველოში მისი ფოტოპირი გვაქვს მხოლოდ.

ვეფხისტყაოსნის ჩვენამდე მოღწეულ, ოდესლაც კი მეფეთა, „აზნაურთა და უაზნოთა“ კუთვნილ მდიდრულ თუ უბრალო, მოხატულ თუ სადა, სრულ თუ ხარვეზიან, მაგრამ თანაბრად მნიშვნელოვან და ძვირფას ხელნაწერებს, მსგავსი ადამიანებისა, თავისი ბედი და გზები აქვთ. მათი მნიშვნელობა ქართული კულტურისთვის მარტივენ წმინდა ფილოლოგიური თუ ხელოვნებათმცოდნეობითი ინტერესებით არ ამოჩეურება. გამოჩენილი საბჭოთა არაბისტის — აკად. ი. ი. კრაჩოვსკის მოგონებათა წიგნში — „არაბულ ხელნაწერებზე მუშაობისას“ არის მშვენიერი და ბრძნული სიტყვები: „ხელნაწერთა შორის ცხოვრება ისევე საინტერესოა, როგორც ადამიანთა შორის“. ესიაც ხელნაწერებზე უმუშავია, იცის — უტყვი ხელნაწერის მიღმა თანდათან ცოცხლდება ადამიანი — მისი გადამწერი, შფლობელი თუ წამკითხველი თავისი ხასიათით, თვისე-

1 ხელნაწერის შიფრია P10, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ შემოღებული ლიტერატურული აღნიშვნით X.

ბებით, მიღრეკილებებით, შესაძლებლობებით. ყო
თავისი დროის და „სტატუსის“ დამღა ატყვაი.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა „ოქროს ფონდის“ — XVII საუკუნის პროფესიონალ კალიგრაფთა ნატიფი, დახვეწილი ხელით შესრულებულ ნუსხათა ფონზე „პარიზული ხელნაწერი“ უცნაურ კონტრასტს წარმოადგენს — თითქოს გაუშაფავი ხელი, მიჯრით მიწყობილი უთანაბრო ასოები, აშკარა ცდა ნაწერის დედანთან მიმსგავსებისა და ცალკეულ ასოთა „გალამაზებისა“, უნდღლიყ ცდომილებანი მართლწერისა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს მისმა გადამწერმა ქართული წერა-კითხვა საგანგებოდ ვეფხისტყაოსნის გადასაწერად ისტავეთ.

პარიზული ხელნაწერის პირველივე გვერდზე ვიღაცას აღრევე მიუწერია: „დიალ. ცუდი. ვეფხის. ტყაოსანია“.

ალბათ, სწორედ ეს საბედისწერო შეფასება გახდა მიზეზი, რომ შამახიაში² გადაწერილი ვეფხისტყაოსანი თავის სამშობლოში — საქართველოში — ვეღარასოდეს მოხვდა; მაგრამ ამავე წარწერას არ შეუშლია ხელი პარიზის სამეფო (შემდგომში — ნაციონალური) ბიბლიოთეკის მესვეურთათვის მის შეძენაში. XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის იგი უკვე ევროპის ამ ერთ-ერთი უდიდესი წიგნთსაცავის საკუთრება იყო.

კიფებისტყაოსნის ხელნაწერულ მემკვიდრეობაში, რამდენადაც ვიცით, პარიზული ხელნაწერი ერთადერთია, რომელიც ქალმა გა-დაწერა. იგი სომეხი ერის შვილია — „ყაზანთ ბეჭოს ქალი ომა“.

როგორც უკვე ვთქვით, ამ ნუსხის გადამწერი პროფესიონალი კალიგრაფი არ არის, როგორც ჩანს, ქართული ენა ცუდად იცის, მეტად გულმოდგინეა, მაგრამ მართლწერაში ხშირად შეცდომები მოსდის. ძირითადად ეს შეცდომა ხმოვათა — განსაკუთრებით კი ა-ნის — მეტ-ნაკლებობაა: სიტყვაში ამ ასოს ან იქ წერს, სა-დაც ზედმეტია, ან იქ აკლებს, სადაც აუცილებელია. სხვათაშორის, ამგვარივე შეცდომას ძალიან ხშირად უშვებს ვეტენისტუალისნის უძ-ველესთარილიანი — 1649 წლის ნუსხის გადამწერი მამუკა თავა-ქალაშვილიც — იმერეთის მეფის მდივანი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია!

² თანამედროვე გამოთქმით — „შემახა“: აზერბაიჯანის სსრ შემახის რა-
ონის ცენტრი.

ხელნ.წერის ერთ-ერთ ბოლო ფურცელზე მინაწერია:
„ესე: ლექსი: ალამა:³ გარდმოწერა: რომ: არის: ბეჭოასკარიანული
ქალი“.



და: ესე: წიგნი: არის: სამასი: რვა: არის: დაიწერა: შემახის:
წიგნი: იანვარის: იე: გასულის: ქვს: ტე“⁴.

ასე ვიტყობთ, რომ ალა „ყაზანთ ბეჭოას ქალი“ ყოფილა. გა-
დამწერის სახელი მეტად თანამედროვედ ულერს, მაგრამ ირკვევა,
რომ ძველია. ალა ნიშნავს „გაცვლილს“, მისი ხსენება 26 მარ-
ტსაა. გამოთქმა „ყაზანთ ბეჭოას ქალი“ გულისხმობს, რომ ბე-
ჭოა ალის მამის სახელია, ყაზანთ ანუ ყაზანთ კი — მისი
გვარის მაჩევენებელი (შდრ.: „ოთარაანთ“). საგულისხმოა, რომ გვა-
რის წარმოება ქართული ტიპისაა.

ხელნაწერის 112-ე ფურცლის მეორე გვერდზე, ქვედა არშიის
შუაში ჩვენთვის მრავალმხრივ საყურადღებო მინაწერია: „მე.
იოანემ. სარდლის. შვილმა. ვნახე. მინდა. მეყიდა. და. აღარ. ვიყი-
დე. 1723“, ხოლო მომდევნო გვერდზე კვლავ ქვედა არშიის შუ-
აში ასოჩართვით მიწერილია სახელი „იოანე“, „ე“ ასოში ჩაწერი-
ლია რიცხვი „23“ (აღმათ 1723 წელი).

საინტერესოა, რატომ მიაწერა „სარდლის შვილმა“ იოანემ ეს
სიტყვები ნუსხას? იქნებ იმ უცნაური წინათგრძნობის ძალით, რომ
მხოლოდ ამ მინაწერით შემორჩებოდა მისი სახელი ისტორიას?
მის ლაკონიურ წინადადებაში არ ჩანს, რატომ „აღარ იყიდა“ შა-
მახური ეფუხისტყაოსანი, მაგრამ მიზეზის ახსნა ძნელი არ არის:
ხელნაწერის გარეგნული სახე და ხელწერა ვერ მოხიბლავდა პო-
ტენციურ მყიდველს. რომელსაც ხელოვანი კალიგრაფების დაოს-

3 ზოგიერთმა მკვლევარმა შეცდომით „ლ“ ასო „ღ“-დ მიიჩნია და მოი-
კითხა „ალამა“, მაგრამ საქმარისია ხელნაწერში ვნახოთ „ალ“ ასოთა გადამა
(მაგ. სიტყვებში „მარგალიტი“, „მტირალი“), რომ ცხადი გახდეს ნამდვილი
წაკითხვა.

4 ალას ხელწერამ კვლავ გაუვებრიბა გამოიწერა: ფრანგული კატალოგის
შემღებელს ქორონიკონის გამოფერისას „ე“ ასო „ზ“-დ მიუჩნევია და ხელნა-
წერი შესაბამისად 1619 წლით დაუთარილებია. იხ. ექვთიმე თაყაიშვილი, რჩე-
ული ნაშრომები, ტ. I, ობილისი, 1968, გვ. 48.

5 საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1977, გვ. 410.

ტატებული ხელით შესრულებული ულამაზესი ქართული ხელნაწერი
რები უნახავს.
„ლარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უბედოსა ბედისა...“

* * *

არ ვიცით ორი უმთავრესი რამ:

პირველი. როგორ მოხვდა შამახიაში ვეფხისტყაოსნის ას ხელ-
ნაწერი (თუ მისი აღრინდელი დედანი), რომლიდანაც აღმ თავისი
ნუსხა გადაწერა. პარიზული ვეფხისტყაოსანი ტექსტის სისტემით
ეგრეთწოდებულ სამეფო სახლის რედაქციას განეკუთვნება.
იქნებ შამახიას სამსახურში მყოფ ქართველ დიდგვაროვანთა ოჯახს
ჰქონდა თან წალებული საგვარეულო განძად შერაცხული ვეფხის-
ტყაოსანი ან რომელიმე ქართველ ასულს გაატანეს იგი მზითევში, იმ
უცხო მხარეს, „სულთა დგმად და ჭირთა თმენად“? არაქართველ-
თავან კი ვის უნდა ჰქონდა ვეფხისტყაოსანი შამახიაში? ან რო-
გორ მოხვდა იგი „ყაზანთ ბეჟოს ქალის“ ხელში? ნუთუ იქ მხო-
ლოდ ორად-ორი ხელნაწერი — ალასეული ვეფხისტყაოსანი და
მისი დედანი არსებობდა? და უნებლივთ იბადება ფანტასტიკუ-
რი აზრი: იქნებ შემახიაში ან მის რაიონში, რომელიმე ბიბლიო-
თეკაში ან ოჯახში არსებობს ვეფხისტყაოსნის ძეველი ნუსხა (თუნ-
დაც ფურცლები!) და ჩვენ არ ვიცით? მაგრამ წარმოუდგენელი
არაფერია: განა სულ ამ ცოინდე წლის წინ არ იძოვა ქართული
ლიტერატურის დაულალავმა მკვლევარმა — პროფესორმა ილია
აბულაძემ ახალციხეში ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი უძველესი ხელ-
ნაწერის ფურცლები, რომლებიც მეცნიერულ მიმოქცევაში „ახალ-
ციხური ვეფხისტყაოსნის“ სახელით შევიდა?

შეორე. მცირე ხნით მაინც დაუბრუნდა თუ არა შამახიაში გა-
დაწერილი ვეფხისტყაოსანი თავის სამშობლოს? — რამდენადაც
ამ ტიპის ნუსხას საქართველოში არავითარი კვალი არ დაუტოვებია,
უნდა ვივარაუდოთ, რომ არა.

რატომ დაიწუნე ალას გადაწერილი ვეფხისტყაოსანი, იოანე
„სარდლის შვილო?“

„ბედი აზომ თურე მიკვეთს...“

ალბათ იმიტომ, რომ ამ ხელნაწერს შინ დიდი და გრძელი გზა
ედო.
„ჩემი გზა კიდევანია...“

* * *

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორია ქართული კულტურის
ისტორიის ნაწილიც არის: თუ მათ თავგადასავალს ყურადღებით
მივადევნებთ თვალს, კულტურულ ურთიერთობათა მეტად საინ-
ტერესო და მეტყველ ფაქტთა მოწმე გავხდებით.

ქართული ხელნაწერების პროფესიონალ გადამწერთა შორის
ეროვნებით სომხე კალიგრაფთა სახელებს არაიშვიათად შეხვდე-
ბით, მაგრამ ამჯერად ეს არ მაქვს მხედველობაში. მე გაცილებით
უფრო მნიშვნელოვან გარემოებას ვგულისხმობ: ჩანს, სომეხი ერის
გარკვეული წრეებისათვის ვეფხისტყაოსანი მათი სულიერი საზრ-
დოს ნაწილს შეაღენდა. ეს ლიტონი სიტყვები არ არის, და ამას
XVII საუკუნის ცნობილი კალიგრაფის ბაღდასარაშვილის —
„მუშრიბ აღმურაანთ გასპარას“ მიერ ვეფხისტყაოსნის ყველაზე
ვრცელ ნუსხაზე (H 757) მიწერილი ანდერძით დავასაბუთებს:
„შეცაუწყოდით, უფალნო ჩემნო, რომელ უამსა, ოდეს ამ ვეფ-
ხისტყაოსანსა ვსწერდი მე, აღმურაანთ ბაღდასარაშვილმა, მუშ-
რიბი გასპარამა, მაშინ დმერთმან წყალობა მიყო და დაიბადა ჩემი
ყმაწვილი დავით, ენკენისთვის კგ, ქეს ტნთ (1661 წ.), შაბათს, კვი-
რაძალს, და მაშინვე აღვითქვი მისთვის ეს ვეფხისტყაოსანი“ (ხაზი
ჩემია — ც. კ.). ასე ჩჩება შეიძლ მამისებან — სომეხი კალიგრაფის-
გან — წყობილი მარგალიტის დარი ქართული ასოებით დაწერილი
ვეფხისტყაოსანი, არა „ოქროს ფასად“ ნაყიდი, არამედ უსასრუ-
ლო თვეების მანძილზე ყოველდღიური შრომით და ჭაფით გასრუ-
ლებული ძღვენი „ვერ-დანადები ფასისა“.

მინაწერითვე ვიტყობთ, რომ XVII საუკუნით დათარიღებული
ვეფხისტყაოსნის ე. წ. გურგენასეული ხელნაწერიც მის მფლო-
ბელს საგანგებოდ გადაუწერინებია, რათა შვილისთვის ეანდერძა.
აქ საგანგებო ყურადღებას ის იპყრობს, რომ საქართველოში გადა-
წერილი ეს ხელნაწერი შემდგომ სომხეთში იპოვეს და იგი 1946
წერილი ეს ხელნაწერი შემდგომ სომხეთში იპოვეს და იგი 1946
წელს სომხეთის სსრ მთავრობამ ქართველ ხალხს უძღვნა საჩუქ-
რად.

ამგვარი შინაგანი სწრაფვა ქართველი ერის სულიერი განძი-
სადმი სომეხი ერის ამ წარმომადგენელთა შინაგანი კულტურული მეცნიერების
ზომიც არის. ჩანს, ვეფხისტყაოსანი საუკუნეთა მიღმა სომეხი ერის
წარმომადგენელთათვისაც ახლობელი, და, უფრო მეტიც — საჭი-
რო იყო. ეს ქართველი და სომეხი ერის კულტურული ურთიერ-
თობის ერთ-ერთი საგულისხმო ფურცელია, ისტორიული მასალით
წარმოჩენილი და დამოწმებული. ფაქტია, რომ ვეფხისტყაოსნის
არაქართველ დამფასებელთაგან პირველნი სომეხი ერის წარ-
მომადგენელნი იყვნენ.

ამ საზომით და ამ თვალთახედვით უნდა მივუდგეთ „ყაზანთ
ბეჟოას ქალის ალას“ გადაწერილ ნუსხასაც. მეემვება, რომ ალას
გაყიდვის მიზნით გადაწეროს ვეფხისტყაოსანი. იგი საკუთარი, სუ-
ბიექტური განწყობით გადაწერილ ხელნაწერს უფრო ჰგავს. მისი
გარეგნული სახე, ტრაგვარად დაუდევარი ხელწერა, გადაწინაპინილი
და შელნით დათხვრილი ფურცლები უფრო იმას გვაფიქრებინებს,
რომ „ყაზანთ ბეჟოას ქალს“ ეს ვეფხისტყაოსანი თავისთვის უნ-
დოდა. ამასევ უნდა მოწმობდეს წიგნად აკინძული ხელნაწერის ბო-
ლო თავისუფალ ფურცლებზე იმ დროს პოპულარული მთვარის
პოროსკოპის — „სამთვარიოს“, და, რაც მთვარია, ქართული
სატრიუალო — ალბათ, განწყობილებისმიერი — ლექსების მიწე-
რაც.

* * *

სამწუხაროდ, ოდესლაც წიგნზე მიწერილი ბედითი სიტყვები
„დიალ ცული ვეფხისტყაოსანია“ პარიზული ნუსხის ზოგიერთ სა-
მეცნიერო შეფასებათა რეფრენადაც იქცა, მაგრამ ცხადია, არ შე-
იძლება „უვიცი“ ვუწოდოთ იმ პიროვნებას, რომელმაც ვეფხის-
ტყაოსნის გადაწერა განიზრახა და ალასრულა კიდეც, პიროვნებას,
რომელსაც სწამდა, რომ კეთილი საქმე გააკეთა, და მისი ნაშრომ-
ნაჯაფი სხვასაც გამოადგებოდა — „ვინცა გადაწერიოს, შენდობა
მითხრას მე“...

⁶ აქ და შემდგომ გადაწერის მიერ მინაწერებში დაშვებული შეცდომები
შესაძლებლობათა ფარგლებში გასწორებულია („გამოასწერას“ resp. გადა-
წერის).



შეუნდოთ ალას ქართული ენის უნებლივ დამახინჯება ცუდად წერდა, მაგრამ დაწერილი კი კარგად ესმოდა. მან ხომ თვიურიკოვანა თონაც არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რა კეთილად აუხტებდა ეს ანდერძი, და რუსთველოლოგიური მეცნიერების გარიფრაზე რა დიდი და საკრძალავი სახელები დაუკავშირდა მის ხელნაწერს.

საიდან უნდა სცოდნოდა ალას, რომ მისეული ვეფხისტყაოსანი ერთი საუკუნის შემდეგ აზის პროვინციული შამახიიდან კულტურული მსოფლიოს ცენტრში — „ყოველსა მვეყანასა ზედა სიბრძნითა განთქმულსა და ყოვლითურთ სიბრძნის მოყვარესა ერსა შორის ფრანციისასა“⁷ მოხვდებოდა და მისი სატახტო ქალაქის — პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაიდებდა სამუდამო ბინას?

„სადაურსა სად წიყვან...“

საიდან უნდა სცოდნოდა ალას, რომ რუსთველოლოგიური მეცნიერების მესაძირკვლე, საქართველოს მეფის ძე — აკადემიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი თავისი ფრანგი მეგობრის — მარი ბროსე-საღმი მიწერილ წერილში შამახიაში გადაწერილ ვეფხისტყაოსანს მოიხსენიებდა, რომელიც „ბიბლიოტიკასა შინა სამეფოსა პარიჟსა შინა ყოფილ არს დაცულ?“⁸

საიდან უნდა სცოდნოდა ალას, რომ 1828 წელს პირველი უცხოელი ქართველოლოგი, „სიბრძნითა და მეცნიერებით აღსავსე“ აკადემიკოსი მარი ბროსე გადაწერდა მის მიერ შამახიაში გულ-

7 თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესაღმი, თბილისი, 1964, გვ. 7.

8 იქვე, თეიმურაზ ბაგრატიონისათვის საყურადღებო იყო ვეფხისტყაოსნის ყოველი ხელნაწერი. ალას გადაწერილ ნუსხას ინტერპოლატორთა მიერ შეოხერული დასასრული ერთვის, რომელიც 13 თავისგან შედგება: „სტანცია ეს პარიზის ხელნაწერშია იპოვებიან“ — წერდა მარი ბროსე ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში (გვ. XIV). თეიმურაზ ბაგრატიონი ამ გამტელებათა აერორად ნანუჩა ციციშვილს მიიჩნევდა. საგულისხმოა მისი შესწორები სიტყვები რუსთველის პოემის კეშმარიტი მოცულობის შესახებ: „ეს ზემო ათცამეტი პუნქტი რუსთველისაგან არ არის თქმიული და არც ვეფხისტყაოსნისა არის, ტყუილი არის და ცუდი ლექსებიც არის... რაც რუსთაველს დაუწერია ვეფხისტყაოსნისად, ისი კმარა. იმას სხვა დამატებული არა ეჭირება რა“. ის. გვ. რამ შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემა კრებულში „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“, 1966, გვ. 271—272.

მოდგინედ გადანუსხულ ვეფხისტყაოსანს და მას „პარიულ ხელნაზე წერს“ დაარქმევდა?

საიდან უნდა სცოდნოდა ალას, რომ აკადემიკოსი მარი ბროსე მისი ხელნაწერიდან საკუთარი ხელით გადაღებულ ასლს პეტერ-ბურგში⁹ თან წაიღებდა და ამრიგად მისი ნალვაში რუსეთის იმ-დროინდელ სატახტო ქალაქშიც მოხვდებოდა?

შამახია — პარიზი — პეტერბურგი...

უცნაურ არიან გზანი შენი, ხელნაწერო...

შემდგომში კი პარიზულ ხელნაწერს წილად ერგო ისეთ დიდ მამულიშვილთა ყურადღება, როგორნიც იყვნენ პროფესორი ალექ-სანდრე ხახანაშვილი¹⁰ და ქართული კულტურის რაინდი ექვთიმე თა-ყაიშვილი¹¹.

ალას შეეძლო ეთქვა: „ბედი ღმრთისაგან მიჯობსლა ამას რო-მელი...“

* * *

ის ხელნაწერი, რომლიდანაც ალამ პირი გადაიღო, ჩანს, მე-ტად ძველი უნდა ყოფილიყო, რადგან პირებელი ფურცელი აკლდა. პარიზული ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის მეცხრე სტროფით იწყება, წინ კი სათაური აქვს წამძლვარებული: „ქ. დასაწყისი პირველი ან-ბაგი სპარსული რუსთველისგან ქართულთ ნათარგმნები რომელსან ვეფხისტყაოსნაც უხმობენ ტარიელის და ნესტან-დარეჯნის მიჯნუ-რობან“ (Sic). მაშასადამე, ხელნაწერს თავიდანვე ჰქონდა პრო-ლოგის პირველი 8 სტროფი. საერთოდ, ძნელია დავასახელოთ ვეფ-ხისტყაოსნის სხვა, ჩვენამდე დაუზიანებლად მოღწეული ხელნაწე-

⁹ ეს ასლი (საფონდო ნომერი K₂₃) დაცულია აზიის ზალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდში. იხ. გ. შარაძე, და-სახ. წერილი.

¹⁰ ა. ხახანაშვილი, შოთა რუსთაველის პოემის გაგრძელება, გაზ. ივერია, 1895, 30 სექტემბრი, № 209, გვ. 3-4; პარიზის ნაციონალური ბიბლიო-თეკის ქართული ხელნაწერები, უურნ. მოამბე, 1898, იანვარი, № 1, გვ. 1-20; გ. შარაძის ცნობით, რისთვისაც ულრჩეს მაღლობას მოვახსენებ, პარიზული ხელ-ნაწერის აღწერილობა აქვს უცხოელ აჩმენოლოგ Macler-საც.

¹¹ ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაწერები, ტომი I, თბილისი, 1968, გვ. 47—49.



რი, რომ ასეთი რაოდენობით აკლდეს ძირითადი ტექსტის სტროფები: პარიზულ ხელნაწერში, პროლოგის 8 სტროფის გარდა, არის რუსთაველის ტექსტის 27 სტროფი: 63 (46), 75 (56), 175 (118) — 183 (124), 222 (155), 245 (174), 270 (193), 278 (197), 290 (207), 335 (244), 435 (319) — 438 (233), 549 (413) 601 (459), 620 (478), 666 (521) — 669 (524), 1541 (1351)¹². ინტერესმოვლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ეს სტროფები ხელნაწერს ძირითადად პირველი 700 სტროფის ფარგლებში აკლია (სულ ხელნაწერში 1962 სტროფია). იქნებ ეს იმის ბრალია, რომ ალა პროფესიონალი გადამწერი არ არის და, გულმოლგინების მიუხედავად, გამორჩება ხოლმე რომელიმე? მაგრამ ყველა სტროფის შესახებ ამის თქმა არ ძეიძლება.

ალასეულ ვეფხისტყაოსანში არ არის სტროფები:

245 (174) — დარბოლეს და სხვაგნით სხვათა მოამბეთა მოასტმილეს...

270 (193) — მთით ჩამოვიდა ავთანდილ, გავლნა წყალნი და ტყენია...

309 (222) — ყმამან უთხრა: „დღო ასმათ, ხილნი ზლვასა ჩაგვიცვილეს...“.

მაგრამ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ იგივე სტროფები არ არის პოემის მთელ რიგ ხელნაწერებში, მთავარი კი ის არის, რომ ეს ხელნაწერები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერული ტრადიციის ე.წ. „მოკლე რედაქციის“ განვეკუთვნებიან: ესაა თავაქალაშვილისეული, ბებურიშვილისეული, გურგენასეული, თარხან-მოურავისეული, რედაქტირებული, ქუთაისური, მხეხათუნისეული ხელნაწერები. ეს ფაქტი იმ მნიშვნელოვან გარემოებაზე მიუთითებს, რომ პარიზულ და ე.წ. „მოკლე რედაქციის“ შემცველ ნუსხებს შედგენილობის (არა სტილის!) მხრივ რომელიმდევ შორეული პროტოგრაფი აკავშირებთ. ამრიგად, ეს სამი სტროფი პარიზულ ხელნაწერს შემთხვევით კი არ აკლია, არამედ მისი შედგენილობის თავისებური რეაქციული წარმომავლობის გამო.

13 სტროფი (46, 56, 155, 197, 207, 244, 413, 459, 478, 1350

12 პირველი ნომერი ვეფხისტყაოსნის ვრცელი გამოცემისაა (ვეფხისტყაოსნი. ჩანართით და დანართით ტექსტებით, თბილისი, 1956), ხოლო მეორე — ვეფხისტყაოსნის 1957 წლის გამოცემისა.

საიუბილეო გამოცემით), ჩანს, შემთხვევებით გამორჩა ალას; ყოველ
შემთხვევაში, ამჯერად სხვა ვარაუდისთვის საფუძველი უნდა მოიპოვოს
ბობს, მაგრამ მომავალმა კვლევა-ძიებამ, სავსებით შესაძლებელია,
რომ ამ სტროფთა დაკლებაში რაღაც კანონზომიერებას მიაგნოს და
მიზეზიც ახსნას.

ტექსტოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით უფრო საყურად-
ღებოა ის ფაქტი, რომ ალას გადაწერისას სამ ადგილას თანამიმ-
დევარი სტროფები იქნა გამოტოვებული, ამასთან ალასეული პაგი-
ნაციის მიხედვით ხელნაწერს ფურცლები არ აკლია.

ა. ხელნაწერის მე-17 ფურცელზე (ალას პაგინაციით „ივ“), მის
ორ გვერდზე მოთავსებულ სტროფებს შორის¹³ ხელნაწერს აკლია
ვეფხისტყაოსნის ტექსტის 7 თანამიმდევარი სტროფი, მაგრამ თუ
ერთ ჩანართსაც დავუმატებთ (A 177 — „მეფე აღდგა, მუხლმოყ-
რილმან შემოქმედსა თაყვანი-სცა“), რომელიც რედაქციულად პარი-
ზულშიაც უნდა ყოფილიყო, რიცილებთ 8 სტროფს:

175 (118) — მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი
ძეო“.

176 (119) — ესე თქვა და სიხარულით თამაშობდა აღიადა.

178 (120) — ავთანდილ ჭდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ
მართ პერანგი.

180 (121) — ავთანდილს მიპხვდა მოსმენა საქმისა სანატრე-
ლისა.

181 (122) — ავთანდილ ლალი, უკადრი მივა, არვისგან პრცხვე-
ნოდა.

182 (123) — გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპი-
რონი.

183 (124) — დალრევით იყო მჯდომარე ძოწეულისა რიდითა.
საყურადღებოა, რომ ჩამოთვლილი სტროფები ზუსტად ამვ-
გარი გინლაგებით არის ვეფხისტყაოსნის პოლიევები კარბელაშვილი-
ცეული ხელნაწერის (H 2610) მე-14 ფურცელზე.

ბ. ხელნაწერის 43-ე და 44-ე (ალასეული პაგინაცია ფოტო-
პირში არ ჩანს) ფურცლებს აკლია ძირითადი ტექსტის სამი სტრო-
ფი (და სავარაუდოა, ჩანართი A 437):

¹³ გვერდი „ივ“ recto 171, 172 (115), 175 (116), 174 (117); გვერდი
„ივ“ verso 184 (125), 185 (126), 186 (127), 187 (128).



435 (319) — მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად

გათაღ.

436 (320) -- ასმათ, მითხრობდი, რაცა სცა ჩემგან ამბობდა შესაბამისა.

A 437 — ნადიმსა შიგან მოყმენი სიცილით მომეგებიან.

438 (322) — მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა დედოფალი.

სტროფთა ამ განლაგების აღდგენის უფლებას გვაძლევს აღმუ-
რაანთ შეორე (Q 779) ხელნაწერი, რომელშიც ეს სტროფები
28 recto გვერდზეა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ და მომ-
დევნო სტროფებთან დაკავშირებით ხელნაწერებში თავიდანვე რა-
ღაც გაუგებრობა მომხდარა, 435 (319)—441 (324) სტროფთა თანა-
მიმდევრობა უმეტესობაში დარღვეულია, ხოლო 436 (320) სტრო-
ფი არ არის კიდევ სამ ხელნაწერში (ერთ-ერთ უძველეს ხელნა-
წერში A 363-ში, რედაქტირებულში, მხებათუნისეულში).

გ. პარიზული ხელნაწერის 70 და 71 გვერდებს შორის გა-
მორჩენილია ძირითადი ტექსტის 4 სტროფი:

666 (521) — იყო არ ნათლად ნათელი...

667 (522) — ქვე წვა, ვით ქლდისა ნაპრალსა...

668 (523) — მიბრძანა: „მიკვირს, რად მოხველ...

669 (524) — ვთქვი, „პასუხსა ვერას გყადრებ...

ამ სტროფების გამოტოვება აღს შეუმჩნეველი არ დარჩენია,
რადგან 71-ე გვერდზე, ზემოთ, არშიაზე წაუწერია: „აქა დაიწე-
როს“; ჩანს, გამორჩენილი სტროფების ჩაწერას პირებდა, თუმცა,
რატომძაც აღარ ჩაუწერია.

იმის ფორმალური კონსტრაციის გარდა, რომ პარიზულ ხელ-
ნაწერს აკლია ესა თუ ის სტროფი, ტექსტოლოგისთვის არის თუ
არა რაიმე საყურადღებო ამ ფაქტში? შეიძლება თუ არა დავინახოთ
მასში რაიმე სხვა, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მხოლოდ
და მხოლოდ ლაპუნათა სტატისტიკური აღნუსხვა?

დიაღ, მთავარი ის არის, რომ ეს ფაქტი გაცილებით უფრო
მნიშვნელოვანია, ვიდრე შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს —
მისი მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს იმ ხელ-
ნაწერზე მინიშნებაში, საიდანაც ალა ტექსტს იწერდა. ამ თანამიმ-
დევარ სტროფთა უნებლივ გამოტოვებაში პარიზული ნუსხის პრო-
ტოგრაფის — ე. ი. უშუალო დედანის — ნაკვალევი ჩანს: იმის

მიხედვით, რომ ერთგან 8 სტროფია გამოტოვებული, ორგვან როთხ-ოთხი, დაბეჭითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჟურნალის ხელნაწერის პროტოგრაფშიც თითოეულ გვერდზე 4 სტროფი იყო მოთავსებული. მაგვარი მონაცემები და ხელნაწერის სხვა ნუსხებთან შეჯერება საფუძველია ვეფხისტყაოსნის ცალკეულ რედაქციათა არქეტიპების რეკონსტრუქციისთვის, მათი ურთიერთშეჯერება კი უკვე მყარ ნიადაგს შექმნის ვეფხისტყაოსნის სავარაუდო დედნის რესტავრაციისთვის.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერულ ტრადიციაში ფურცლის ერთ გვერდზე — შესაბამისად კი ფურცელზე — სტროფთა გარკვეული რაოდენობის მოთავსებას თავისი ტრადიცია აქვს: პოემის უძველეს ხელნაწერებში თითო გვერდზე უმეტესწილად 4, უფრო იშვიათად — 5 სტროფია დაწერილი, ყოველი გადახვევა ამ წესიდან — ვთქვათ, ერთ გვერდზე 6 სტროფის მოთავსება — იმ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს, რომელიც წესს აღსატრირებს¹⁴. ოთხეულითა და ხუთეულით ნაწერ ხელნაწერთა შორის უმეტესობა ოთხეულითაა ნაწერი¹⁵ და სწორედ ეს უნდა იყოს არქეტიპის დამახასიათებელი ნიშანი. ძველ ხელნაწერთა გადათვალიერებისას არ შეიძლება ჩეენი ყურადღება არ მიიქციოს იმან, რომ დიდი ფორმატის ფურცელზე საგანგებოდ კეთდება დიდი ხელოვნებით შესრულებული შართვუბა ჩარჩო საგანგებოდ ოთხი სტროფისთვის (H 54—გიორგი მეთერთმეტისეული, H 2074 — ე. წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან), მაშინ, როდესაც ფურცელი საშუალებას იძლეოდა ერთ გვერდზე 5 სტროფი მოთავსებულიყო და ბორდიურისთვისაც საკმაო ადგილი დარჩენილიყო. ალბათ, ესეც ტრადიციის უტყვი მოწმეა.

პროტოგრაფის ფორმალური მხარის დაცვა გადამწერთათვის უმნიშვნელო ფაქტორი ეკრ იქნებოდა — სწორედ ამ ფორმის მკაცრი დაცვა დააზღვევდა გადამწერს ისეთი ცდომილებისგან, როგორიცაა სტროფის გამოტოვება. ეს თითქოს გარეგნული და მეორეხარისხოვანი მხარე სინამდვილეში მეტად ფასეული მინიშ-

¹⁴ გვიანდელ ხელნაწერებში ერთ გვერდზე უკვე 6 ან 7 სტროფია მოთავსებული; ეკვესტროფიანი გვერდის ტრადიცია ვახტანგისეული გამოცემიდან უნდა მოღიოდეს.

¹⁵ უძველეს 25 ხელნაწერში მხოლოდ რვა არის ხუთეულით ნაწერი.

ნებაა ტექსტოლოგისთვის, განსაკუთრებით კი მისთვის, ვინც რო-
მელიმე ხელნაწერისა თუ რედაქციის პროტოგრაფის აღდგენას განვითარება
ნიზრახავს.

საფიქრებელია, რომ ვეფხისტყაოსნის უძველესი ხელნაწე-
რები სწორედ ოთხეულით იყო ნაწერი და ხუთეულით გადაწე-
რას გლოსათა სახით დართული ჩანართი სტროფების პოემის
ტექსტში შეტანამ დაუდო დასაბამი.

პარიზული ხელნაწერი სტროფული შედგენილობის თვალსაზ-
რისითაც მეტად თავისებურია. სტროფულ შედგენილობაში იგუ-
ლისხმება ვეფხისტყაოსნის უძველეს ხელნაწერთა ის რეალური
სახე, რომლითაც მათ ჩვენამდე მოაღწიეს, მათი ეს სახე კი, თანა-
მედროვე ტექსტოლოგიური ტერმინოლოგია რომ მოვიხმოთ, „ავ-
ტორის ნების“ ხელყოფის კლასიკური ნიმუშია, მაგრამ, ჩანს, ასე-
თია ჭეშმარიტად სახალხო წიგნის ბედი: რუსთაველის მზიური გენი-
ის ორბიტაში მოქცეულმა მკითხველებმა პოემისაღმი თავისი
ემოციურ-ინტელექტუალური დამოკიდებულება კვლავ რუსთაველუ-
რი შაირით გამოხატეს: ვეფხისტყაოსნის ვარიანტები, ისევე, რო-
გორც მისი ჩანართი და დანართი სტროფები — პოემის პირველი
კომენტარია.

სტროფთა ერთი დიდი ფენის გარდა, რომლებიც განფენილია
ყველა რედაქციაში, თითოეულ რედაქციას აქვს მხოლოდ მისთვის
დამახასიათებელი ინტერპოლაციები — ესაა მათი შედგენილობის
ძირითადი განმასხვავებელი თვისება. ვეფხისტყაოსნის ხელნაწე-
რები სტილისტური და სტროფული შედგენილობის მხოლოდ მათ-
თვის დამახასიათებელი თვისებებით რამდენიმე რედაქციას ქმნიან.
გარკვეულ რედაქციაში შემავალი ხელნაწერი მკაცრად ემორჩილება
ამ რედაქციის „კანონს“: ე. წ. სამეფო კარის რედაქციისთვის და-
შახასიათებელი ჩანართები (მაგ., ფარსადან-სარიდანის ნადირობა)
არც ერთ სხვა რედაქციაში არ გვხვდება; ასევე, მზეხათუნისეული
რედაქციისთვის დამახასიათებელი ლირიკული პასაუი („რაღაა იგი
სიცოცხლე“...) მხოლოდ მასში შემავალ ხელნაწერებშია და ა. შ.
ყოველივე ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ხელნაწერთა ისტროიულად
განპირობებულ „ნათესაობასა“ და „მემკვიდრეობითობაში“ უნდა
ვეძიოთ.

ამ მკაცრ კანონზომიერებაში ერთადერთ გამონაკლისს პარი-

ზული ხელნაწერი წარმოადგენს: იგი შედგენილობით შეუდალუბ-
ლად მოკლეა, ვიღრე სამეფო სახლის რედაქციის რომელიც მოქმედდებოდა ნაწერი, მაგრამ ამავე დროს მასში თავმოყრილია სხვადასხვა რე-
დაქციებისთვის დამახასიათებელი ჩანართების ნაწილი. როგორ და
რატომ მოხდა ასე, მომავალმა კვლევა-ძიებამ უნდა გაარკვიოს,
ოღონდ ვარაუდის სახით შეიძლება დავუშვათ, რომ აღასეული
ხელნაწერის საგულვებელი პროტოგრაფი (თუ პროტოგრაფის რო-
მელიდაც პროტოგრაფი აღმავალი ხაზით) საქართველოდან ძალიან
აღრე იქნა გატანილი და ამიტომაც შემდგომში შექმნილი ინტერ-
პოლაციები მასში აღარ შესულა. ეს რომ ასე უნდა იყოს, მოვიყ-
ვან ერთ მაგალითს: პარიზულ ხელნაწერში, პოემის დამასრულე-
ბელი სტროფების შემდეგ, თავისუფალ ფურცლებზე (248 recto)
შეა ადგილას მიწერილია ცნობილი ჩანართი: „გამზრდელო, ცეცხ-
ლი შედების, ლაპვრით ვარ მე დახეული“ (A 998), რომელიც
ბებურიშვილისა და ქუთაისური რედაქციების ნუსხებსა და თავა-
ქალაშვილისეულ ხელნაწერში გვხვდება მხოლოდ. საიდან გაღმო-
წერა იგი ალამ, ან რატომ მოათავსა ბოლო ფურცელზე და არა
იქ, თუნდაც გლოსის სახით, სადაც იგი შინაარსით უდგება? ამ კით-
ხვას პასუხი უნდა გაეცეს: ერთი კი ცხადია — ამ სტროფის მიხედ-
ვით შეგვიძლია დავაკვნათ, რომ შამახიაში ზემოთ დასახელებულ
რედაქციათა რომელიდაც ნუსხის ადექვატური ხელნაწერი უნდა
ყოფილიყო. ჩანს, იქ ვეფხისტყაოსნის ორი სხვადასხვა ხელნაწერუ-
ლი ტრადიცია შეხვდა ერთმანეთს, ეს კი თავისთვის საყურად-
ლებო ისტორიული ფაქტია.

ტექსტის შედგენილობის მიხედვით შეიძლება დავუშვათ ჰიპო-
თეზა, რომ პარიზული ნუსხა ს ა მ ე ფ ი ს ა ნ ლ ი ს რედაქციის არ-
ქეტიპის ნიშნების შემცველი ხელნაწერია, ეს კი ისეთი მნიშვნელო-
ბის ფაქტია, რომლის საფუძველზეც შორს მიმავალი ვარაუდების
და წინასწარი დასკვნების გაკეთება შეგვიძლია.

ხელნაწერთა მიხედვით მათი პროტოგრაფის, ხოლო სხვადა-
სხვა რედაქციის პროტოგრაფთა მიხედვით აღმავალი ხაზით სა-
გულვებელი დედნის რეკონსტრუქცია ტექსტოლოგიური მეცნიე-
რების განვითარების დღევანდელ დონეზე უტოპიად აღარ ითვლე-
ბა და ოდნავი ეჭვიც კი არ მეპარება, რომ აღრე თუ გვიან არათუ
ვეფხისტყაოსნის ინტერპოლაციათაგან განთავისუფლებული პრო-
ტოგრაფის, პრამედ დედნის რესტავრაციაც კი საცხებით რეალუ-



ჭია, მაგრამ ასეთი სამუშაო, უალრესად რთული და შრომატევადი ფილოლოგიური მეცნიერების საფუძვლიან ცოდნასთან ერთად როგორც აუცილებელ პირობას — საქმის უსაზღვრო სიყვარულსა და თავდადებასაც გულისხმობს; უფრო მეტიც — კეშმარიტი ენტეზიაზმის გარეშე მგვარ საქმეს — რუსთველოლოგიური ტექსტოლოგიის „საჯილდაო ქვას“ — ვერავინ მოერევა.

ამ უძნელეს და ამასთან უკეთილშობილეს საქმეში პარიზულ სელნაწერს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება.

* * *

ვეფხისტყაოსნის პარიზული ხელნაწერი პარადოქსული ხელნაწერი¹⁶: იგი სინამდვიწლეში არასოდეს არ არის ის, რაც შეიძლება პირველი შთაბეჭდილებით გვევონოს: იგი იმ იშვიათ და ალოგიკურ გამონაკლისს წარმოადგენს, როდესაც ნაკლად შერაცხული თვისება — ღირსებაა, და ადამიანთა შესახებ არსებული აფორისტული გამოთქმა: „ადამიანთა ნაკლი მათივე ღირსებების გაგრძელებაა“ მის მიმართ შებრუნებით უნდა ითქვას: მისი ღირსება მისივე ნაკლთა გაგრძელებაა.

რა ნაკლს ვეულისხმობთ? მაგალითად, ალას შეუძლია სტრიქონი „გამოემართა ავთანდილ მოყმე მხნე, ლალად მავალი“ (147) გადაწეროს ასე: „გამოემართა ავთანდილ მოყმე მხნე, ლალად მამალი“, ანდა სიტყვაში „ყველა ავთანდილ ბოლო ორ ასოს ადგილები შეუნაცვლოს და სტრიქონი „ავთანდილს უძღვნა ყველა არა სიტყვითა წბილითა“ (1467) კურიოზიად აქციოს: გამოვა, თითქოს ფრიდონმა „ავთანდილს უძღვნა ყველა არა სიტყვითა წბილითა“. გავიღიმოთ, მაგრამ ნუ დავცინებთ ალას — ამ შეცდომებშიც იგი გულწრფელი იყო და ამგვარი შეცდომები

16 ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძელი რედაქციები, თბილისი, 1963, გვ. 42, 61-62, 126; ც. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხი; წიგნში: „შოთა რუსთველი, საიუბილეო კრებული“, თბილისი, მეცნიერება, 1966, გვ. 339-350 სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის სტრიქია, თბილისი, 1970, ტ. I, გვ. 205-206; 266-267 და სხვ., ტ. II, გვ. 76-77; ც. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის, თბილისი, 1977, გვ. 46-48, 52-53.

მისი ნაკლი კი არა, უდიდესი ღირსებაა: ქლასიკური ტექსტოლოგია ყველაზე სანდოდ სწორედ იმ ხელნაწერებს შეასრულა, რომელიც უბირ გადამწერთ ეკუთვნით, გადამწერთ, რომელნიც ტექსტს ზესტად იწერენ და თავის პირვენულ თვისებათა გამო არც არაფერს უმატებენ და არც არაფერს აკლებენ — რაც მთავარია, ტექსტში არაფერს ცვლიან, არ „უსწორებენ“ ავტორს; მათ მიერ დაშვებული შეუგნებელი შეცდომების მიხვედრა და განმარტება-გასწორება კი ტექსტოლოგისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ეს არის ალას ის ღირსება, რომელიც მისი ნაკლის — ქართულ ენაში გაუწაფაობის — გაგრძელებაა, ესაა ის დაუფასებელი, უძვირფასესი ღირსება გადამწერისა, რომლის შესახებაც ერთმა ცნობილმა ტექსტოლოგმა თქვა: „კურთხეულ არიან უვიცნი გადამწერნი!“

პარიზული ხელნაწერი ე. წ. სამეფო სახლის რედაქციის ეკუთვნის ვეფხისტყაოსნის ოთხ საუკეთესო ხელნაწერთან ერთად. ესენია: პოემის ე. წ. აღმურავთ თრი ხელნაწერი (H 757 და Q 779), მეგთაბეგის (H 54) და H 2074 ხელნაწერი. როგორც აკად. აკაკი შანიძე ფიქრობს, ეს ხელნაწერები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა საუკეთესო ტრადიციებს განსახიერებენ. მე რედაქციის მთავარი ღირსება ისაა, რომ მიუხედავად ჩანართ-დანართით უაღრესად გავრცობილი შედგენილობისა, მისი გადამწერნი თვით ტექსტში არ ერევიან, დედნის ზუსტ პირს იღებენ და ამის წყალობით ჩვენამდე ავტორისეული ტექსტის ყველაზე დაახლოებული ასლი მოაქვთ. სწორედ ეს რედაქცია დაედო საფუძვლად აკადემიკოსების — აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით ვეფხისტყაოსნის 1966 წელს გამოცემულ მეცნიერულ-კრიტიკულ ტექსტს, რომელსაც პოემის ხელნაწერთა ვარიანტები ახლავს.

ხუთივე ზემოთ ჩამოთვლილი ხელნაწერის მაქსიმალური ტექსტობრივი სიახლოეს მათთვის საერთო არქეტიპის არსებობას გულისხმობს, მაგრამ სამეფო სახლის რედაქციაში შემავალ ხელნაწერებში სრულიად განსაკუთრებული ვითარება გვაქვს: თუმცა პარიზული ხელნაწერი ტექსტის სტილისტური სახით სრულიად იდენტურია სხვა ხელნაწერებისა, თავისი შედგენილობით მკვეთრად განსხვავდება მათვან — იგი გაცილებით მოკლეა, ვიღრე ამ



რედაქციის რომელიმე ხელნაწერი. პარიზული ხელნაწერის თავის
სებური სტრუქტურა იმ ვარაუდს აღძრავს, რომ პარიზული ხელნაწერი
ნაწერი სამეფო სახლის რედაქციის არქეტიპის ნიშნების შემცველი
ხელნაწერია.

ალას მიერ შემახიაში გადაწერილი ვეფხისტყაოსნის ჰეშმა-
რიტი ღირსების შეცნობა და რუსთველოლოგიისთვის მისი მნიშ-
ვნელობის დადგენა ჯერ კიდევ წინაა.

* * *

ვეფხისტყაოსნის ამ ხელნაწერის პროტოგრაფი რომ მთლიანად
ქართულ გარემოშია შექმნილი, მოწმობს ერთი საინტერესო დე-
ტალიც: წიგნად აკინძული პარიზული ხელნაწერის ბოლო ფურც-
ლებზე „სამთავრიოს“ შემდეგ ერთი გვერდი (256 ყ) სამედიცინო
ხასიათის ტექსტს უკავია — ესაა რჩევა „მკლავის გახსნის“, ანუ,
დღევანდელი ტერმინოლოგით, სისხლის გამოშვებისთვის შესა-
ფერის თუ შეუფერებელ დღეთა შესახებ, რომელშიც მეტად სა-
ყურადღებო ტერმინი გვხვდება: „საქაშვეთო“ (სუნი):

„ქ. მკლავისა გახსნისა, მართალი და ჰეშმარიტი.

(ა) მთვარესა კარგია; (ბ) (გ) (დ) (ე) (ვ) (ზ) არ ვარგა, გუ-
ნებაზედ სმელად ამყოფებს, ვინცა ღვინოს სვამს, იმისთვის არ
ვარგა; (ც) ათრთოლდების; (ო) სამჯერ ფერს უცვლის; (ი) საშვალო
არის; (ია) კარგია; (იბ) კარგია; (იგ) კარგია; (იღ) საქაშვეთო დაუ-
მართების; (იე) კარგია სიმრთელისთვის; წამლად ეყოფის; (ივ) კარგია
კარგია სიმრთელისთვის; (იზ) (ი) კარგია; (ით) კარგია; (ცა) კარგია
გულის სიმართლისთვინ; (ცაა) კარგია სიმრთელისა და გულის ბნდე-
ბისთვინ; (ცბ) კარგია, ჰქვასა[?] მოუმატებს; (ცგ) (ცდ) კარგია სიმ-
რთელისთვის; (ცე) არ ვარგა; (ცე) დაბნდების; (ცზ) ანაზღათ სიკვდი-
ლისა საფათერაკო არის; (ქ) (ქთ) (ლ) არ ვარგა; ერთობ არ ეჭირე-
ბის.“

გადაწერაში ალასთვის ჩვეული შეცდომებია დაშვებული, თუმც
გაცილებით მეტი, ვიდრე ვეფხისტყაოსნის ტექსტში. ისიც ჩანს,
რომ ალამ ვერ ამოიკითხა სიტყვა „სიმრთელე“ (ჯანმრთელობა) ან
ვერ გაიგო მისი მნიშვნელობა და თავისთვის ნაცნობი სიტყვით —
„სიმართლით“ შეცვალა (ან იქნებ ასე გამოთქვამდა „სიმრთელეს“,

მნიშვნელობა კი ესმოდა?); ტექსტში ყველგან, საღაც „სემარტილე“ წერია, „სიმრთელე“ უნდა იყოს.

ჩანს, „მკლავის გახსნა“ ანუ, ვეფხისტყაოსნის ტერმინოლოგით, „ხელის გახსნა“ და „სისხლის დინება“ წინათ უებარ სამკურნალო საშუალებად იყო მიჩნეული: „ხელი გავიხსენ, დამიშებო მოჭობინება“...

მაგრამ ჩვენთვის ის უფრო საინტერესოა, რაც მთვარის მეთოთხმეტე (იდ) დღესთან არის დაკავშირებული: „მკლავის გახსნის“ „მართალი და ჰეშმარიტი“ რეკომენდაციით, ვინც ამ დღეს სისხლს გამოიღებს, „საქაშვეთო“ სენი დაემართება. „საქაშვეთომ“ არ შეიძლება არ გაგვახსენოს ქაშუეთის ეკლესია თბილისის ცენტრში, რომლის სახელის ახსნა თავისებური განმარტებით სცადა ხალხმა, მაგრამ „საქაშვეთო“ სენი უფლებას ვგაძლევს სხვა თვალსაზრისით შევხედოთ ამ სახელის წარმოშობას. სულხან-საბაო ორბელიანის განმარტებით „ქაშუეთი“ არის „ხორცის დარღვევა წყლულებითა“. დიდი ქართველი მედიკოსი ზაზა ფანასკერტელიციციშვილი თავის სამედიცინო ტრაქტიატში „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“ ასახელებს ამ სენს: ნაზღა „თუ გულშიგან ჩავიდეს, გული დაუსუსტის და სლოკინი და ქაშუეთისა დაემართოს“¹⁷; აქვე ნახსენებია „ქაშუთის წყალი“, როგორც სამკურნალო საშუალება: „ანუ შუასუა: სიქორეაგი ერთი ქაშუთის წყალი“¹⁸. ბუნებრივია გვითხოთ, იქნებ „ქაშუთის წყალი“ გადამწერისეული კალმისმიერი ლაფსუსია და უნდა ყოფილიყო „ქაშუთის წყალი“? თუ ეს ვარაუდი დასაშვებია, მაშინ შეიძლება კავშირი დავინახოთ ამ სენსა, მის სამკურნალო საშუალებასა და თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კელესის — ქაშუთის სახელწოდებას შორის. სახელწოდება „ქაშუეთი“ ხომ არ მომდინარეობს იმ სამკურნალო წყლის სახელიდან, რომელიც, შესაძლებელია, ამ კელესის მიღამოებში მოედინებოდა ოდესადაც? მეორე მხრივ, რელიგიის ისტორიაში ცნობილი და აღიარებული დებულებაა, რომ ნაყოფიერების ყველა

¹⁷ ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი — სამკურნალო წიგნი კარაბადინი, თბილისი, 1978, გვ. 266.

¹⁸ აქვე, გვ. 5321. ას ნიშნავს „ქაშუთის წყალი“, განმარტებულია არ არის. ამ თვალსაზრისით შრე, გიორგი ლეონიძე, „ჩვენი დედაქალაქის წარსულიდან“; ლიტერატურული გაზეთი, 25. I, 1957, № 4, გვ. 3-4.



ღვთაება ამავე დროს მკურნალიც არის: მაგალითად, ქართულ წარმართულ პანთეონში — ნანა¹⁹, ქრისტიანულ რელიგიაში — იესო ქრისტეს ქრისტე. ამ ზოგად დებულებათა ასპექტში იქნებ სავარაუდოა, რჩება ქაშუეთის ადგილას აღრევე არსებობდა სამლოცველო სამკურნალო წყლის „მაგიური“ ძალის მფარველი და მფლობელი ღვთაებისა, რომლის ადგილზეც შემდგომ ქრისტიანული ეკლესია აშენდა, სახელი კი ძველი დარჩა. როგორც რელიგიის, ისე არქიტექტურის ისტორია მოწმობს, რომ ღვთაების ადგილი არასოდეს არჩება „ვაკანტური“ — ძველი, დამხობილი ღვთაების ადგილს მაშინვე ახალი იყავებს და, შესაბამისად, მის სამყოფელსაც ეპატრონება. ანალოგიისთვის დავისახელებ ათენის აკროპოლის ტაძარს — ერებოსტონს, რომელიც აღრე ნაყოფიერების ხთონური ღვთაების, წმინდა გველის — ერიხოთონიოსის სამლოცველო იყო; შემდგომ იმავე ადგილზე ათინას და პოსეიდონის ტაძარი ააგეს, სახელი კი ძველი შერჩა²⁰.

ამგვარი ფიქრები მომვარა ალას გადაწერილმა „მკლავის განხილვის“ რეკომენდაციებმა და „საქაშვეთომ“. ალბათ, როდესაც ეს სამედიცინო რჩევები იწერებოდა ისიც იცოდნენ, რას ნიშნავს „ქაშუეთის წყალი“...

* * *

ვეფხისტყაოსნის ტექსტი 247-ე ფურცელზე მთავრდება, 249-ე ფურცლის *verso* გვერდი კი მთლიანად უკავია ალას მინა-

¹⁹ В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, с. 81-85.

²⁰ Всеобщая история Архитектуры, т. 2, М., 1973, гл. 224; Н. И. Брунов, Парфенон и Эрехтейон, М., 1973, гл. 118. ამ ორი სხვადასხვა ეპოქის კულტის შერწყმას ისიც მოწმობს, რომ ათინას ერთ-ერთი ატრიბუტი — ველია, ღვთაების ატრიბუტი კი, ისევე როგორც მისი ეპითეტი, ყოველთვის ღვთაებაზე უფრო ძველია და მის აღრინდელ სტადიალურ სახეს ჭარმოადგენს. იგივე ითქმის პოსეიდონის შესახებ: ერებოსტის კულტი შეერწყო მის კულტს, რასაც ყველაზე ცნადად მისი ერთ-ერთი ეპითეტი — „პოსეიდონ ერებოსტის“ მოწმობს. იხ. Мифологический словарь, Л., 1961, гл. 281; მითოლოგიური ლექსიონი, თბილისი, 1972, гл. 111. (შედრ. სახელწოდება „ქაშუეთის წმინდა ვიორგი“).



წერს, რომლის ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობები უკიდურეს მოყვანე, სრული სახით კი ასეთია:

ესე ლექსი ალამა გარდმოწერა რომ არის ბეჭას ქალი,
ცოდვისგან ვიტანჯვი, მიშველეთ ვინც ხართ სამოთხის! შვილია;
და დარე წავიდეთ სამოთხეს, შემოვისვეწოთ მარიამის შვილია,
და ცოდვისგან მალ ნუ მაჟლავს, ვიაჭი, თუ თვის დედის შვილია.

ვახსენოთ დამბალებელი ღმერთი არსისგან ქებული,
წამის ხანს შექმნა ქვეყანა, არეისგან დაწუნებული,
და დამ და იევა დაბადა, კაცაგან შედარებული
ანგელოზთ დასი შექმო, ეშმაკი შექმნა ცნებული.

და ესე წიგნი არის სამასი რვა არის
დაიწერა შამახი(ა)ს წიგნი იანვარის იე (15)
გასულს ქეს ტე” (1312+390=1702 წ.).

ხელნაწერს მეორე მინაწერიც აქვს, რომელიც შემდეგ მელნით
საგანგებოდ არის წაშლილი; ფორმპირში მისი ამოკითხვა შეუძლებელია, დედანში კი გაურჩევიათ: „ქ. მე; ცოდვილი: ყაზანთ: ბეჟუოს: ქალმა: დამიწერია: ვეფხისტყაოსანი: ვინა: გამოასწერას: შენდობა: მითხრას: მე“²¹;

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ალას ეს მინაწერი ერთგვარ კრიპტოგრამას ჰგავს: შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ეს თორმეტსიტყვიანი ტექსტი ჩვეულებრივ სტრიქონებად კი არ არის დაწერილი, არამედ ფურცლის შუაში ტოლგვერდა სამკუთხედის ფორმით: სამკუთხედი მთლიანად მელნითაა დაფარული, მაგრამ ფორმპირშიც გაირჩევა რამდენიმე ასო — „გ; თხ; რას: მე“, რომელთა მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ სამკუთხედის ფუძეში მოთავსებული ბოლო ორი სტრიქონი: ბოლოსწინა სრული სტრიქო-

²¹ ეს სიტყვა, რომელიც ძალშე ცხადად იყოთხება, ზოგიერთ მკვლევარს ასტომლაც შეცდომით ამოუკითხავს, როგორც „სომხის“ და ასე დაუბეჭდავს.

²² ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტომი I, თბილისი, 1968, გვ. 48. „გამოასწერას“ კალმისმერი ცდომილებაა, იგულისხმება: „გადაწეროს“. ალა, ჩანს, იმედოვნებდა, რომ მისი „დაწერილი“ ვეფხისტყაოსნიდანაც გადაიღებდნენ პირს; მრავლისმოქმედი დეტალია. იქნებ ისიც სავარაუდოა, რომ მსგავსი შინაარსის ტექსტი ეწერა „გოლგოთის ჯვრის“ ფუძე სამკუთხედში თვით პარიზული ხელნაწერის პროტოგრაფში.

ნია: „გ [ამოასწერას შენდობა მი]თხ“; ბოლო არასრული სტრიქონიზ
„რას: მე“.

რატომ აქვს მინაშერს ამგვარი გეომეტრიული სახე, ან რატომ
არის შემდეგ თვით ალას მიერვე წაშლილი, ჯერჯერობით გაურ-
ძვეველია, მაგრამ აქ საყურადღებო სხვა რამაა: ეს უბრალო სამ-
კუთხედი კი არ არის, არამედ ეგრეთწოდებული „გოლგოთის ჯვა-
რი“, ზუსტად იმ ფორმისა, რომელიც ამ ბოლო ხანს აღმოჩნდა ცი-
ხისუბანში — 1103 წელს ქვაზე ამოკვეთილი წარწერა — ლექსის
დასაძყისში²³, როგორც ქრისტე სიტყვის პირველი ასო, და
დასტურდება ქვის ფილაზე წარწერის მარცხნივ კიდევ ორ ად-
გილას. ქვაზე ამოკვეთილ სამკუთხედზე აღმართული ჯვრისგან
განსხვავებით პარიზულ ხელნაწერში სამკუთხედის წვეროსა და
ჯვრის გასწვრივ — მარცხნივ და მარჯვნივ ერთი-ორი სანტიმეტრის
დაცილებით ერთ მხარეს მაქერალი ორი ჯილისანი ფრინველი
(ფარშევანგი?) არის მიხატული.

ციხისუბნის „ასვათის წარწერის“ მკვლევარი ვ. სოლოგავა-
ვარაუდობს, რომ ქვაზე სამგან ამოკვეთილი „გოლგოთის ჯვარი“,
შესაძლებელია, ჰერალდიკური ნიშანი იყოს — ამ პიპოთეზისთვის-
პარიზული ხელნაწერის ჯვარს სრულიად განსაკუთრებული მნიშ-
ვნელობა ექნება და სხვა მრავალ საკითხთან ერთად იქნებ ალას
მიერ შამახიაში დედნად გამოყენებული ვეფხისტყაოსნის საგვარე-
ულო კუთვნილების საკითხიც გაირკვეს: დაბეჭითებით შეიძლება
ითვას, რომ ეს ჯვარი ალას ფანტაზიის ნაყოფი არაა და იგი პოე-
მის იმ ხელნაწერიდან გადაიღო, რომლიდანაც ტექსტი გადაწერა.

ამრიგად, პარიზული ხელნაწერის თითქოს შემთხვევითი „გოლ-
გოთის ჯვარი“ მრავალგვარ ფიქრებს აღძრავს.

ზემოთმოყვანილი გალექსილი prodomosua-ც, საეჭვოა, ალა-
შეთხული იყოს. საფიქრებელია, რომ პროტოგრაფსაც ჰქონდა
ასეთივე მინაშერი, რომელშიც ალამ გადაწერისას შესაფერის ად-
გილას თავისი სახელი ჩასვა და ვეფხისტყაოსნის გადაწერის თარი-
ლი აღნიშნა. „ცოდვისგან ტანჯვა“, „ადრე სამოთხეს წასვლის“ ნატ-
ვრა და იქვე გულუბრყვილო ვედრება — „ცოდვისგან მალ ნუ მამ-

²³ ვალე რი სილოგავა, რუსთაველის ეპოქის ეპიგრაფიულ-
ლექსი, გამ. „ლიტერატურული საქართველო“, 16 ნომერი, 1984, № 47
(2332), გვ. 10-11.



კლავს” — რაღაც შტამპად ქცეული ფორმულის განმეორების უფლის რო ჰავას, ვიდრე ალას „სულის ძახილს“.

ეს რომ მართლაც ასე უნდა იყოს, მოწმობს ხელნაწერის ბოლო ფურცლებზე გადაწერილი ქართული სატრაფიალო ლექსები — ფფიქტობ, ისინი უფრო ამეღავნებენ ალას შინაგან რომანტიკულ სულისკვეთებას.

* * *

მაგრამ ალას გადაწერილი ვეფხისტყაოსანი კიდევ სხვა მხრივაც არის საინტერესო — საესებით მოსალოდნელია, რომ ამ ნუხამ ფოლკლორისტთა ყურადღებაც მიიპყროს.

პარიზული ხელნაწერის ბოლო ფურცლებზე „სამთვარიოს“ გარდა სხვადასხვა ლექსებიც არის მიწერილი, და, შესაძლებელია, რომ ეს ყველასი თუ არა, ზოგიერთი მათგანის პირველი წერილობითი ფიქსაცია იყოს. ლექსები სატრაფიალო ხასიათისაა: ჩაწერილ ტექსტში გაცილებით შეტი ორთოგრაფიული და შინაარსობრივი შეცდომებია, ვიდრე ვეფხისტყაოსნისაში; ამიტომ, აქ ორი ვარაუდია შესაძლებელი: შეცდომათა სიმრავლე ან იმით შეიძლება აიხსნას, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტისგან განსხვავებით, რომელიც კალიგრაფიული ხელითაა შესრულებული და ამიტომ ადვილად გასარჩევი, ეს ლექსები გაკრული ხელითაა ჩაწერილი და ალას გარჩევა უჭირს, ანდა ალა მათ ზეპირად წერს (თუ სხვა უკანასხებს?); ამ შემთხვევაში ცხადია მისი ქართული გარემოცვა და მისი ლტოლვა ამ გარემოსადმი. ფურცლებზე ორგან მინაწერი თითქოს სხვა ხელით უნდა იყოს შესრულებული, ორივე ხალხური ლექსების ფრაგმენტებს ჰავას: „ქ. შენ რომ ხისა კუკურაში მაღლა ბუდე ავიგია, ორგულობა გამოგიჩნდა, ჩემთვის გული ავიგია“ (247) და „შენ ჩემო საგონებელო, ამამოველიო დღეთაო, შენ[?] მდილო [?] მასკვლავო მანათობელო ბნელთაო“ (248 V). ამ ორი (იქნებ შემდეგდომინდელი?) მინაწერის გარდა სხვა ლექსები ალას ხელითაა ჩაწერილი; ერთი ლექსი ქალაქური — მაჯამური — პოეზიის ნომუში უნდა იყოს, მაგრამ რაღაც არეულია:

შენ წახვედი, მე გამიშვი სიღარიბის კარზედა...

ხელნაწერის ბოლო სამ გვერდზე (257 V, 258 V) 12 ერთმანეთ-

თან დაკავშირებელი (თუ არ ჩავთვლით, რომ მათ ერთი თემა —  სიყვარული — აკავშირებთ) სტროფია დაწერილი. იმათგან მე მხოლოდ ერთზე შევჩერდები, რომელიც ხალხურ ლექსად არის მიჩნავითი ნეული:

ეს სოფელი მისთვინ მინდა, შენ გიჭურიტო, ჩემო მზეო,
რა ეჭნა, ფთენი არ მასხა, გარდმოვტრინდე მანდით მეო,
სადაც იყო, იქ მოვიდე, ჩემო თვალის სინათლეო,
და გულის ჭირი უკუმყროდეს, ოდეს ვიჯდე, ჩემო მზეო²⁴.

ეს ლექსი განსაკუთრებით იმიტომ გამოვარჩიე, რომ მას თავისი ლიტერატურული ისტორია აქვს: ამ ლექსს, დიდი ილიას ნებით, ოთარაანთ ქვრივის გილრგი მღეროდა კესოს ბალში მუშაობისას: „როცა ბალში ჰმუშაობდა და ქეიფზე მოვიდოდა, სულ ერთსა და იმავე სიმღერას პლილინებდა ხოლმე ხმადაბლა: „ეს სოფელი მიტომ მინდა, შენ გიყურო, ჩემო მზეო“, თითქოს სხვა აღარა იცოდა რა, თითქოს სხვა არაფერი ენატრებოდა, არაფერი ეხარჩებოდა ამ დედამიწის ზურგზე²⁵.

საღ, როგორ, ვისგან გაიგო ეს ლექსი ალამ, ვერასოდეს შევიტყობთ, მაგრამ მისი პირველი ჩანაწერი კი მას ეკუთვნის.

* * *

„წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძლვენსა სძლვნობდი“...

ჩემს წარმოდგენაში ავთანდილის ამ სიტყვებით თავად რუსთაველი მიმართავს ვეფხისტყაოსნის მომავალ გადამწერთ, მერმინდელ თაობათათვის მისი „უფასო ძლვენის“ მომღებთ.

ერთ-ერთი მათგანი — „ყაზანთ ბეჟოას ქალი ალაა“. ძნელია მისი ღვაწლის ჯეროვანი შეფასება: რა ნატიფი ბუნება უნდა ჰქონოდა ალას, რომ ოდითგანვე ევას მოღმისთვის განწესებული და დამამშვენებელი ხელსაქმის — რთვის, ქსოვის, ქარგვის ნაცვლად კალამი აელო ხელში და თვეების მანძილზე ვეფხისტყაოსნის ჭადოსნური სტრიქონები ეწერა.

შიმახიაში ალბათ ბევრმა იდედოფლა, მაგრამ რომელი დედოფლი

²⁴ შდრ. ქართული ხალხური პოეზია, VI, სატრფიალო ლექსები, თბილისი, 1978, № 464, აგრეთვე შენიშვნები.

²⁵ ილია ჭავჭავაძე, რჩეული, ტ. VII, 1960, გვ. 340.



ლის ნაღვაწი შეედრება შენს ნამუშაკარს, გონიერო და ~~უკუცვანო~~
„ყაზანთ ბეჟოას ქალო“! დედოფლებმა იდელოფლეს და ~~უკუცვანო~~
გაქრნენ ამ „მიწყივ მბრუნავ“ წუთისოფელში, შენ კი „დაშვერ,
ვითა წესია საურავ-გარდახდილისა“ და დაიცავი შენი თავი ყოველი
არსის უწყალო მტრის — განადგურებისა და დავიწყებისგან.

კურთხეულიმცაა შენი სახელი, ალა!

P. S. რა უსამართლოა პარიზულ ხელნაწერზე ვიღაც უშეცარის
მიერ მიწერილი სიტყვები: „დიალ. ცუდი. ვეფხისტყაოსანია“.
ფოტოპირს ყდაზე წავაწერე: „დიალ. კარგი. ვეფხისტყაოსანია“.

„ქილილა და დამანა“ ლექსების ვახტანგისეული.
 თარგმანები

„ქილილა და დამანა“ მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი, პოპულარული თხზულებაა, რომელიც თითქმის ყველა ცივილიზაციული ერის ენაზეა თარგმნილი და გამოცემული. ამ იგავარაკო კრებულში ნართაულად, უდიდესი ოსტატობითაა დახატული. მდა-მიანთა მრავალფეროვანი, სისხლსავსე ცხოვრება, იშვიათი მახვილ-სიტყვაობითაა მოცემული უმრავე სიბრძნე, შეგონება და სწავლა...

ვიდრე ეს ბრწყინვალე ნაწარმოები სრულყოფილ სახეს მი-იღებდა, ვრცელი და ხანგრძლივი. გზა განვლო. თავდაპირველად ხალხური სიტყვიერების ნიაღაგზე ჩამოყალიბდა ინდოეთში, VI საუკუნეში. გადაღებულ იქნა საშუალ სპარსულზე (ფალაურზე). აქედან ამავე საუკუნეში ითარგმნა სირიულად, VIII საუკუნეში — არაბულად, ხოლო ამ უკანასკნელიდან — ახალ სპარსულად. X-XI საუკუნეებში ახალ სპარსულ ენაზე იგი მრავალ პოეტურ და პრო-ზაულ ვერსიად დამუშავდა. განსაკუთრებული მოწონება და გავ-რცელება ხვდა წილად XV საუკუნის ბოლოს ვაიშ ქაშიფის მიერ დაწერილ ვერსიას, რომელიც „ანვარე სოჭაილის“ სახელით არის ცნობილი, რაც ნიშნავს მნათობ თავთირს (ვარსკვლავს). აქედან იღებს სათავეს ქართული თარგმანებიც.

„ქილილა და დამანას“ ქართულ ენაზე გადმოღებასაც რთული ისტორია აქვს, რომლის ამოხსნა და საბოლოო გარკვევა ალ. ბარა-მიძის სახელთან არის დაკავშირებული. ვახტანგ მეექების ცნო-ბით, რომელსაც თანამედროვე მკვლევარებიც იზიარებენ, ეს თხზუ-ლება ჩვენში უნდა ეთარგმნათ თამარის ეპოქაში, მაგრამ ტექსტს ჩვენს დრომდე არ მოუწევია. XVI საუკუნეში კვლავ დაისვა სა-კითხი, ქართველ კაცს შესაძლებლობა ჰქონოდა მშობლიურ ენაზე ზიარებოდა ამ შესანიშნავი მხატვრული ქმნილების სიბრძნესა და სილამაზეს. თარგმნას შეუდგა კახეთის მეფე დავითი, თეიმურაზ



პირველის მამა, რომელმაც თხზულების მხოლოდ ერთი ნიშანის, „კუსა და მორიელის“ არაკამდე გასრულება შესძლო. შემდეგ და დეგლი ამ საქმეს მისთვის დამახასიათებელი ენერგიულობითა და გატაცებით ხელი მოჰკიდა ვახტანგ მეექვსემ და ბოლომდეც მიყვანა. მას ჯერ ვინმე სპარსელისა და შემდეგ ასევე ჩვენთვის უცნობი სომებისათვის დაუვალებია, გაეგრძელებინა დავითის დაწყებული სამუშაო, რომლებმაც დავალება შეასრულეს, მაგრამ მეფე-პოეტს მათი ნახელავი არ მოსწონებია. ვახტანგს არც დავითისეული ტექსტი აქმაყოფილებდა. ამიტომ იყო, რომ მოვინანებით მან თვითონ თარგმნა ეს ვეებერთელა თხზულება თავიდან ბოლომდე. პირწმინდად და ზედმიწევნით გაპყვა დედანს და შექმნა არა იმდენად მხატვრული, რამდენადაც ზუსტი პწყარელული თარგმანი.

ხრულყოფილი მხატვრული ტექსტის მისაღებად თვითონ მოუცდელმა ვახტანგმა თავისი თარგმანი სარედაქციოდ ჯერ ონანა მდივანს გადასცა და მერე სულხან-საბა თრბელიანს. ონანა თხზულების მხოლოდ ნაწილს შეეხო, სულხან-საბამ კი მთელი ტექსტი ძირფესვიანად გადამუშავა და ვახტანგისეული პწყარედის საფუველზე შექმნა ახალი, მაღალმხატვრული თარგმანი, რომელმაც საბოლოოდ, ვახტანგისავე დასტურით, კანონიური სახე მიიღო; ეს ტექსტი გამარტივების მიზნით შეამოკლა და თავისებურად გამართა, არსებითად კი დაამახინეა, მელიგზად ბებუღოვება. სულხან-საბასეული თარგმანი მრავალ ცალიდ არის გადანუსხული, მაშინ როდესაც დანარჩენი თარგმანები ერთი ან ორი ხელნაწერის სახით მოიპოვება. ასეთივე მდგომარეობაა გამოცემების მხრივაც: სულხან-საბა თრბელიანისეული ერთსია ოთხჯერ არის გამოცემული. პირველად იგი ილ. ჭყონიამ დაბეჭდა 1886 წელს, მეორედ — ალ. ბარამიძემ და პ. ინგოროვეამ 1949 წელს (შემოკლებით), მესამედ — ალ. ბარამიძემ და ელ. მეტრეველმა 1962 წელს და ბოლოს — მ. თოდუამ 1975 წელს. დანარჩენი თარგმანები, გარდა ზოგიერთი ნაწილისა, გამოუქვეყნებელია. არადა, მათ ლიტერატურული და ისტორიული მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ლირსი არიან დღის სინათლის ხილვისა. ეს განსაკუთრებით ვახტანგისეულ თარგმანზე ითქმის.

ვახტანგ მეექვსე „ქილილა და დამანას!“ ქართულ ენაზე დამუშავებისას მუდამ შეუნებელ ყურადღებას აქცევდა ლექსების

პოეტურად გადმოლების საკითხს. როგორც ცნობილია, სპარსული დედანი ე. წ. ლექსების შიგ ჩართვის წესით არის დაწერილი: პრო-ზაულ ტექსტს სისტემატურად მიჰყვება ლექსები, რომლებშია უმეტესად შეგონება-აფორიზმების სახით განზოგადებულად გამე-ორებულია არაკებში პროზით მოთხრობილი ამბები. დავითისა და უცნობი პირების მიერ ნათარგმნ ტექსტებში ლექსების დიდი ნა-წილი გამოტოვებულია, ხოლო რაც გადმოლებულია, გაწყობილია არა ლექსებად, არამედ პროზად.

როდესაც ვახტანგმა ხელი მოჰყიდა ამ თარგმანების სრულ-ყოფას, ჯერ პროზაულად გადმოლებული ლექსების ლექსებადვე გამართვა დაიწყო. მეფე-პოეტის მიერ ამ თხზულებაზე გაწეული აღრინდელი ნამუშევარი შემონახულია დ. ჩუბინაშვილის ნაქონ, პ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ S 3177 ხელნაწერში. ეს ნუსხა პირველად ოწერა, მასში მოთავსე-ბული ლექსების ხელი გაარკვია, ამ ხელისა და ლექსების ვახტანგი-საღმი კუთვნილება დაადგინა ე. თაყაიშვილმა¹, რომელმაც ნაწილი ლექსებისა იქვე დაბეჭდა (გვ. 322-345). ამავე ლექსებს განიხი-ლავეს ალ. ბარამიძე, მ. თოლუა და სხვები.

ამ ხელნაწერში ვახტანგს არშიებზე და ტექსტშიაც ჩაწერილი აქვს მის მიერ ლექსად გაწყობილი სტროფები. დავიმოწმოთ რამ-დენიმე ნიმუში:

ქართულ პროზაულ თარგმანში არის: „რომელი რტო შენის ხე-ლით აღმაღლდეს, მას ნუ დაამტვრევ შენივე ხელით, — შენი უკადრისობაა“ (გვ. 166).

ვახტანგი ლექსავს:

„რაც შტო შენით რომ ამაღლდეს, ნაყოფთ მქონედ აღემართოს,
ნუ დაამსხვრევს ხელი შენი, რაცა გინდ[ა] დაგემართოს!
საზრახავ[ა]დ გაუხდების, ვინც ეს ასრე წარიმართოს,
და აუგი და მოყივნება ერთმანეთსა მიუმართოს!“

¹ Е. Такаишвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. 1, Тб., 1902—1904, с. 302-347. შემოყლებით გადაბეჭდილია მისივე „რჩეული ნაშრომების“ პირ-ვალ ტომში (თბ., 1968, გვ. 120-136).



პროზაული თარგმანი: „რომელმაც იმხიარულოს საცდებულებელი საქმეზედან, მას მინდობა არა აქვს, გვარად და მოღვაწით შეკრის ზე ეს“ (გვ. 177).

ვახტანგი ორსტრიქონიან ლექსად მართავს:

„ეინც იხარებდეს სხვის ავზე, იმას მიენდოს სხვა ვინა? ზეოთა სჭირს, გვარად ეს მოსლგამს, ნეტამცა დამაშვევინა!“

პროზაული თარგმანი:

„თუ შეუით საქმე არ გარიგდეს, გიეობა გამოიჩინეო“.

(გვ. 178).

ვახტანგის გალექსილი:

„რა არ იქნა საქმე შეკვითა. ხელობითა შე[ი]ცავე“

და ა. შ.

როდესაც ვახტანგმა აღნიშნული პროზაული თარგმანები დედანს შეადარა, გამოტოვებული ლექსები ჩაწერა; გაასწორა ლექსების აღრინდელი პროზაული თარგმანები; გზადაგზა და შემდეგაც მიუბრუნდა და ხელმეორედ გალექსა, შეასწორა ზოვიერთი თავისი პოეტური თარგმანი. იი, ვახტანგის ხელით ჩაწერილი ერთი და იმავე ლექსის პწყარედული და პოეტური თარგმანები. პწყარედული თარგმანი (გვ. 22):

„შეეყნის შეება და ლხენის თხოვნა რომ ვქნათ,
ვინ დაინდო, რომ ჩვენ დაგვინდოს!/
მინდობის ტვინი არ არის ამ ძე[ი]ლში,
უკვდავების სული არ არი ამ მიწასში.“

გალექსილი ვარიანტი:

„შეება, ლხინი ამ სოფლისა რომ ვითხოვოთ, ვიწადენით, —
ვინ დაინდო, ჩვენ დაგვინდოს, არ გაგვხადოს ცრემლთა დენით!/
ამ ძვალს ტვინი მინდობისა არც სულ უძეს, ვინც ვცადენით,
და არამ მიწას უკვდავების სული უდის მოსადენით!“

აქა-იქ ერთი და იგივე ტექსტი ორი სხვადასხვა რედაქციით არის გალექსილი, რომელთაგან ერთი წაშლილია. პროზაული ტექსტი:

„აერთიბარი ძალს რომ შისდგამს,
 მას კაც ჭობს, ვის არ მოსდგამს“.

(გვ. 155)

ვახტანგს ჭერ გაულექსავს:

„ბუნებით ძალსა რომ მოსდგამს მინდობა, ერდგულობანი,
 და მას სჯობს ასწილად უთუოდ, ვისაც აქვს მის კლებანი!“

მერე ეს ტექსტი გადაუხაზავს და იქვე მიუწერია:

„მინდობა და ერდგულობა ძალსა მოსდგამს მეტად დია,
 მას კაცსა სჯობს ათასწილად, ვის ეს საქმე გაუგდი!“

ზოგიერთი ტექსტი კიდევ წაუშლელად არის დატოვებული და
 კირს გაეგბა, რომელია ბოლო რედაქცია. მაგალითად, ვახტანვის
 ხელით ტექსტში ჩაწერილია:

„ელიასა წვიმის მსგავსად, ხამს, მოლონტია კაცსა უყოს:
 სწავლა არვის დაუჭიროს, თუ მსმენელი არ სჯერიყოს!“

(გვ. 183)

იმავე ხელით არშიაზე მიუწერილია:

უოდვას მოიმეს შადლის წილ, ვინც ამას დაიშურებსა:
 ელია წვიმის მოიყვანს, არვის არ შოიმლურებსა,
 მის მსგავსად შენცა სწავლანი ასმინე კალთა ყურებსა,
 და არ დაეჭიროის, ვინ ისმენს და ან ვინც არ იჯერებსა!“

პროზაული დედანი: „როდესაც საბჭელი გაწყდება, შეპკვრენ
 და ნასკვი დარჩება“ (გვ. 192).

ვახტანგს ეს პატარა წინადაღება ერთსტრიქონიან და ოთხს-
 ტრიქონიან ლექსებად გაუმართავს. ტექსტში ჩაუწერია:

„რა გაწყდეს სამე საბელი, შეერავ, — დარჩების ნასკვები!“

არშიაზე კი მიუწერია:

„რა რომ გვარლი შევარლება ჩალხითა ქნას შეგრეხილი,
 რა ის იქნას, რასაც ფერით გაწყვეტილი, გატეხილი,
 ვეღარ შეერა, რომ შეიქნა მეცალენე მეტად ფოხილი,
 და კვლავ მას ნასკვი შესატყობი არ დააჩნდეს ვითა თხილი!“

სამი და მეტი რედაქციითაა დამუშავებული ქვემოთ წარმოდგნილი ტექსტები.

ვახტანგს დედნის პროზაულ თარგმანიდ დაუწერიაზე დამატებითი მართვის მიზანით

„სადაც დუგუნის დასმა გინდოლეს, იქ მაღმის დება არას არგვბს“.

(გვ. 143).

გაულექსავს კი ოთხ და ერთსტრიქონიან ლექსებად:

„სად სწადდეს დასმა დალისა ცეცხლითა მოსაფებითა,
მუნ მალამისა იყოსცა გამპირე დასადებითა,—

ვერ კურნებს იმას მურჩნალი, მთავრობდეს ხელოვნებითა,
და გინ სიბრძნის შუქსა სამუდამოდ მყობოდეს მოვანებითა!“

ამ სტროფის პირველი სტრიქონის გასწერივ გვერდზე ერთი
სტრიქონი ჩამოჭრილია და არ იყითხება. პროზაული ტექსტის ზე-
მოთ და ქვემოთ ჩაწერილია:

„საცა ხამდეს დალის დასმა, მ[ა]ს მალამმა ვერა კურნოს!“

„დალის ადგილს მალმის დება არას არგვბს უსაცილოდ!“

და სხვა.

როგორც ვთქვით, ვახტანგი არ დაქმაყოფილდა ამ ნამუშევ-
რით და შემდეგ სპარსეთში, ქირმანში, ყოფნისას 1714-1716 წლებ-
ში „ქილილა და დამანა“ თვითონვე დამოუკიდებლად თარგმა-
უშუალოდ დედნიდან. და აქაც შემდეგ თავისი თარგმანი მრავალ-
ჯერ ჩასწორა და გადაამუშავა.

ეს რედაქციული ნამუშევარი დაცულია სსრ კავშირის მეც-
ნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლე-
ნინგრადის განყოფილების M 53 ნუსხაში. ეს ხელნაწერი, მისი
რედაქციული სახე „ქილილა და დამანას“ სხვა რედაქციებთან ერ-
თად პირველად, მრავალმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლა აღ-
ბარამიძემ, რამაც საშუალება მისცა გაერკვია და აღედგინა ამ
ძვირფასი მხატვრული ძეგლის ქართულად თარგმნისა და ჩამოყა-
ლიბების რთული და ჩახლართული ისტორია. მეცნიერი სხვა სა-
კითხებთან ერთად შეეხო თხეულების ლექსთა ვახტანგისეულ რო-
გორც პოეტურ, ისე პროზაულ თარგმანებს, შეადარა ასინი დე-
დანსა და სულხან-საბა ორბელიანისა და ონანა მღივნის რედაქციებს

და მოგვცა ზოგიერთი მათგანის ისტორიულ-ფილოლოგიური და მხატვრული ანალიზი².

იგივე საკითხები სხვა ასპექტებით განხილული აქვს მ. თო-დუას³. სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით „ქილილა და დამა-ნას“ ლექსების ვახტანგისეულ თარგმანებს ეხებიან აგრეთვე ელ-მეტრეველი და ალ. გვახარია⁴, ვ. გაბესკირია⁵ და სხვები.

ვახტანგს ნაწარმოების ხელმეორედ თარგმნისას ზოგიერთი თავისი აღრინდელი თარგმნილი ლექსი უცვლელად გამოუყენება.

აღრინდელ პროზაულ თარგმანში იყო: „თქვა: გულს ეკალი ჩაეჭრი (!), მისთვის ცრემლი შეუშრობი ვარ“ (S 3177, გვ. 391).

იქვე ვახტანგს მიუწერია:

„თქვა: ჩემი თვალთა ნათელი და ხარ წუთისა სოფელი,
ჩემის გულისა ნასკვისა საშუალოთ გახსნით მყოფელი,
შემრემია გულსა ეკალი, შემქმნია ჩასაყოფელი,
და ამად მდის საკ თვალთაგან, ვა, ცრემლი შეუშრობელი“.

ლენინგრადულ M 53 ნუსხაში ეს სტროფი გადამწერის ხელით მთლიანად შეტანილია ტექსტში (გვ. 245 r).

თბილისურ S 3177 ხელნაწერში ვახტანგის მიერ ჩაწერი-ლია (გვ. 462):

„სანამ ცოცხალ ვარ, მე შენსა მხევლობასა ეიქ მონებით,
მოკვდები, შენსა საფლავსა ემსახურებ გულით, გონებით“.

ასევე უცვლელადაა შეტანილი ეს ტექსტი ლენინგრადულ ნუსხაში (გვ. 276 V).

ზოგიერთ ლექსში ვახტანგს მცირეოდენი შესწორებანი შეუ-ტანია. აღრინდელ რედაქციაში არის (გვ. 161):

² ალ. ბარამიძე, ნარკევევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, მეორე შეჯებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 1945, გვ. 237-372.

³ მ. თოდუა, „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბ., 1967. შემოკლებით შესულია წიგნში: ქილილა და დამანა, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მ. თოდუაშ, თბ., 1975, გვ. 7-182.

⁴ ელ. მეტრი ვალი, ალ. გვახარია, სულხან-საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის, კრებული: სულხან-საბა ორბე-ლიანი, საიუბილო კრებული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გა-მომცემლობა, თბ., 1959.

⁵ ვ. გაბესკირია, „ქილილა და დამანას“ გარშემო, „მნათობი“, 1961, გვ. 134-142.

„ბევრის სარგებლის მდომელი დიდს ზიანს შეეყარსაც აღმართოდა და ვის ეს არ უნდა, ამ საქმეს დახსნას, გაეყაროს!“

ლენინგრადულ ხელნაწერში „უნდა“-ს მაგივრად წერია „სწადეს“ (გვ. 101 V). ადრინდელ რედაქტირაში არის (გვ. 239):

„ბულბულთ ჭიკჭიკს ყურს არ უგდებ, ყვავთ ძახილსა ზედა ხარობს!“

ბოლო რედაქტირაში კი გვაქვს:

„ბულბულის ხშას ყურს არ უგდებ, ყვავის ძახილს ზედ დახარი! (150 r.)
ზოგიერთ ლექსში კიდევ მეტი ცვლილებებია შეტანილი.

ადრე, როდესაც ვახტანგი პროზაულ ტექსტს ლექსავდა — „რაგინდ შორს გაგვაგდონ, დაგვიძახებენ, ფრინვით მოვალთ“, — შექმნა თითოსტრიქონიანი ლექსები ორი რედაქტირით:

„შორს გამაგდებს, დამიძახებს, მანც მოვალ კიდევ ფრენით.“

„შორს გამაგდებენ, მალ მოვალ, რა დამიძახებს, ფრენითა.“

(გვ. 157).

ლენინგრადულ ნუსხაში მათ ნაცვლად ორსტრიქონიანი ლექსია, სადაც მეორე სტრიქონად გამოყენებულია პირველი რედაქტირის მეორე ტექსტი:

„გარეთ ნაწევი მფრინველი, აწ ასე თავშეწყვინთა,
შორს გამაგდებენ, მალ მოვალ, რა დამიძახებს, ფრენითა“. (97 V).

იქვე ვახტანგის ხელით ჩაწერილია შესაბამისი ახალი პწკარული დარღმანი:

„გარეული მფრინველი რომ შორს გამაგდონ,
რა რომ დამიძახებენ, გამოვმუნდები და მოვალ“.

როგორც ვხედავთ, ახალი პოეტური ვარიანტის შექმნა განაპირობა ახალმა დედანმა, სბარსული ტექსტის გაცნობამ. ანალიზიური მაგალითები სხვაც არის.

პირველ რედაქტირაშია:

„სული და გული რა არი, შენს ჭირს არ ვანაცვალოა?“

(გვ. 416).

პოეტი მაშინ ეყრდნობოდა შემდეგ პროზაულ ტექსტს:

„სული რა არის, რომ შენ არ ვანაცვალო! გული რა არის, რომ შენს ჭირს არ ვათაყვანო?“

ამ ლექსის ადგილას ლენინგრადულ ნუსხაშია:

„სული რა არის, საწყალმა შენს ჭირს არ ვანაცალოა,
თუ გული შემეტიროდეს, ან იმას დავაცალოა!“

(გვ. 255 V).

ამჯერად ვახტანგი ეყრდნობოდა სპარსულ ტექსტს, რომლის
პწყარედული თარგმანი იქვეა მისივე ხელით ჩაწერილი:

„ხული რა არის, რომ შენოვის არ დაითმობოდეს,
თუ გული თავს შემომევლებოდეს, რატუმ არა ვიქ?“

და სწო.

ზოგიერთი ლექსი, დედნის შესაბამისად, ახლად არის შექმნი-
ლი და სრულიად განსხვავდება წინამორბედისაგან. თბილისურ ხელ-
ნაწერში გვაქვს:

„რადგან გიყვარს შენი თავი, გულის სიტყვა შეიწახე!“

(გვ. 331).

ამ აფორიზმის საფუძველია პროზაული თარგმანი: „თუ თავი
გიყვარს, გულის პასუხი კარგად შეინახეო“.

ლენინგრადულ ხელნაწერში აღნიშნული ლექსის ნაცვლად
გადამწერის ხელით წერია ორსტრიქონიანი განსხვავებული ლექსი:

„რა ტებილად უბნობს, ისმინე, კაცი მღვიძარე, ქებული:
თუ თავი გიყვარს, ხეაშიადს ნუ უბნობ, ქონდეს დებული!“

(გვ. 206 V).

ვახტანგს იქეე ჩაუწერია დედნის პწყარედული თარგმანი,
რომლითაც ის ხელმძღვანელობს:

„რა კარგად უთქეამს მას გონიერს კაცს:
თუ თავი გინდა, ხეაშიადი შეინახე!“

ლენინგრადულ ნუსხაში ლექსების საქმაო ნაწილი ახალია,
რომლებიც პოეტს აღრე არ დაუმუშავებია. განსაკუთრებით ეს
ითქმის „ქილილა და დამანას“ იმ ნაწილზე, რომელიც დავითმა
თარგმნა. როგორც ვახტანგი თავის ანდერმში იუწყება, დავითს „არც
ლექსი გადმოელო და ზოგი სიტყვაც დაეკლო“.

აქედანაც ზოგიერთი ლექსი ხელნაწერის გადამწერის ხელით

არის შესული, ნაწილი ვახტანგის მიერ არის ჩაწერილი, ეს იმის
მაჩვენებელია, რომ გადამწერის ხელით შესრულებული არის მაჩვენებელი
პოეტს შედარებით აღრე აქვს დაწერილი, მის მიერ ჩაწერილება
კი — მომდევნო ხანას განეკუთვნება. ამასთან, ამ ლექსების უმეტე-
სობა ლენინგრადულ ხელნაწერში გადამწერილი არის ხელით
არის მიწერილი. ე. ი. ვახტანგს ეს ლექსები მას შემდეგ შეუთხ-
ზავს, როცა აღნიშნული ნუსხის გადაწერა დამთავრებული იყო.

გადამწერის ხელით მიწერილი ლექსები, რომლებიც თბილისუ-
რი ნუსხისათვის უცნობია:

„თემთა მისის სამართლითა სიმდიდრენი მოეპოვა,
ძალი თეისის მოწყალებით გაეძო და გაეპოვა“. (4 r).

„სიმაღლე ჰქონდა ფრიდონის, სიმდიდრე ჭიმშედისანი,
მაყიდოვნურებ სახეეწი კარი აქვს სიღილისანი,
მოწყალეება უქრთოდა კით პირი მნათობისანი,
და ერთად შეერთო ცეცხლი და წყალი სხეის ბუნებისანი“ (7 v).

„იყო წესი მის მეტისა უჩნითა შუბლის დადაღვანი,
მებრძოლოთ თავზე ხრმლისა დასმა, ადვილიდამ გარდაძერანი,
სამართალში გასაწყრომთა სისხლის სმა და სისხლის ღრანი,
და მოწყალება ულონოთა, სიმდიდრის წინ მოგვარანი“. (7 v).

და სხვა.

ვახტანგის ხელით მიწერილი ლექსები, რომლებიც აგრეთვა
თბილისურ ნუსხაში არ დასტურდება:

„თითოს ამისა სიტყვაზე გაშლილა თითო ბალია,
შაბჩირახისებრ ბრწყინვალე და უფრო განანალია,
ამისნი ტკბილნი იგავნი უკვდავთ წყალთაებრ სალია,
და ახალს ვაუკაცებრ თამამობს, სიტყვები მისი ლალია“. (3 v).

„სიკეთო მუშქი გავს: რა გინდ რომ დაფარო, გაახეიო და;
საყნოსელს სული ექნების, თუ გინდა რა გახიო და;
არ გაისების მზის შუქი, ტალახი დაასხიო და,
საათს და საათს შუქს მატობს, რაგინდ არ მოივწიო და“. (4 r).

და სხვა.

ვახტანგს აქაც ადრინდელი შეთხული, გადამწერის ხელით
მიწერილი ლექსები, რომლებიც პირველ რედაქციაში (თბილისურ

ნუსხაში) არ გვხედება, გადაუხაზავს და მის ნაცვლად აწალი რჩანტი მოუყია. დავიმოწმებთ ერთ ნიმუშს.

გადამწერის ხელით მიწერილია:

„შენ სოილი ხარ, ვარსკვლავი, დარი და მგზავსი მზისანი;
რა აღმოხდები, ქვეყნისა მიმფენელი ხარ სკისანი;
ვის მიაყენებს შენ შეუჭა, ბედისა არის ნიშანი,
და შლის სიბრძნის გარდა სამუდმოდ, მიცემა იცი წლისანი“. (5 v.)

ვახტანგს ეს სტროფი გადაუხაზავს და სამაგიეროდ თავისი ხელით ჩაუწერია ორსტრიქონიანი ლექსი:

„თაგდირი ხარ; ვისი ბედი, მიაყენო შენ რომ შუქი,
სკე-დოვლათის ნიშანია, რაოდა იყო უქი!“

ეს უკანასკნელი შეესაბამება დედანს, რომლის პწყარედული თარგმანია:

„შენ სოილი ხარ. ვისი ბედია, რომ შენ შუქი მიაყენო.
ვისაც მიაღება, დოვლათის ნიშანია“.

თავისთავად ცხადია, ამგვარი ლექსები პოეტის მიერ ტექ-
სტიჟ მუშაობის შემდგომი ეტაპის გამოხატულებაა.

როდესაც ვახტანგმა თავისი თარგმანი გასაჩალხვად გადასცა
ონანა მდივანსა და სულხან-საბა ორბელიანს, მისი ყურადღების
ცენტრში, როგორც თხზულების ანდერძიდან ვგებულობთ, კვლავ
ლექსების საკითხი მდგარა.

ონანამ მხოლოდ ვახტანგის მიერ პროზაულად თარგმნილი
ლექსები გადაამუშავა, ⁶ ხოლო სწავლული მეფის პოეტურად გაწყ-
ყობილი ლექსები ხელუხლებლად თუ მცირე ცვლილებებით და-
ტოვა და არშიაზე მითითებით „მ“ (მეფის ნათქვამი) შეიტანა თავის
ნაშრომში. სულ ონანასეულ ნუსხაში, რომელიც ჩვენამდე ნაკლუ-
ლი სახით არის მოღწეული, ვახტანგის 42 ლექსი დასტურდება.
აქედან ორს აღნიშნული მითითება არ ახლავს. ესენია: ერთი, ორს-
ტრიქონიანი ლექსი:

⁶ „ქილილა და დამანას“ ონანას მიერ დამუშავებული ლექსები გამოვეყნე-
ბულია დ. ბრევაძის მიერ (ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII), I, თბი-
ლისი-ქუთაისი, 1958, გვ. 214-252).

„ვერძს მისი შიშით ცაშიგან შოვნანი ეზარებოდა,
და მის მესაკლავედ მესისხლე მარიხი იარგბოდა“.



(გვ. 40 Ⅴ).

ეს ლექსი, გადამწერის ხელით შესრულებული, ზუსტად ამგვარად იკითხება ლენინგრადულ ხელნაწერში (28 V).

მეორე გარკვეულ სხვაობას იძლევა. ლენინგრადულ ხელნაწერში გვაქვს:

„იტუოდა თუ: ნეტარ ღმერთო, ცხადსა ვხედავ, ანუ ბნელსა?!“

(გვ. 41 ɪ).

ონანას ხელნაწერში ეს სტრიქონი უცვლელად არის შეტანილი და თანაც მეორე სტრიქონი ემატება:

„თავსა ჩემსა სიკეთეში ამ ჭირს უკან მისთვის ხელსა“.

(48 ɪ).

ეს ლექსი მეორე სტრიქონის ჩათვლით ზუსტად იმეორებს დედნის პროზაულ პრეკრედს, რომელიც ლენინგრადულ ნუსხაში ვახტანგის ხელით არის ჩაწერილი:

„ეჭ, ღმერთო, ამას რომ ვხედავ, ცხადია თუ სიზმარი,
ჩემს თავს, ამ სიკეთეში ამთონს ჭირს უკან?“

შეიძლება ვიფიქროთ: ვინაიდან მეორე სტრიქონი ახალია, ონანამ ამიტომ არ ჩათვალა ეს ლექსი ვახტანგის კუთვნილად. მაგრამ, ამავე დროს, არც ის არის გამორიცხული, მეორე სტრიქონიც ვახტანგს ეკუთვნოდეს: იმ ხელნაწერში, რომელიც ონანას გადაეცა, ვახტანგს ის ორსტრიქონიანად ჰქონდა წარმოდგენილი და, მსგავსად პირველი მაგალითისა, ონანას ავტორის აღნიშვნა გამორჩა. ერთი კი აშკარაა, პირველი ლექსი და მეორე ლექსის პირველი სტრიქონი ვახტანგისაა.

ვახტანგის ლექსებში ლენინგრადულ და ონანასეულ ნუსხებს შორის მცირეოდენი სხვაობაა, კერძოდ, ამგვარი:



ლენინგრადული ნუსხა:

რას ჭირსა ესჭამ ცის მზისაგან, რადგან მაღვას
თქვენი ჩრდილი
მაშიგან თევზნი ვეცხლისებრ თეორი, არა თუ
რვალია

კაცი კაცის სიავეზე სამუდმოდ არს მიწყივ მზანი
ააგზნებს ცეცხლსა ასეთსა მტერობა დაუცადია
ამა ორთა სახეს შუვა გარჩევა ესოდენი
სიმდაბლის მეტა სხვა ღონე ვერა ქნას გასაძლედა
ვერეინ დამხსნის უსაფლილოდ, რაც ცოცხალი

ქვეყნად ვარ და
მან ათასის ხერხის ცდითა გზა იპოვა გასაპარი
გახსოვს, ოდეს უცნს კარზედ ვჩემ, ლხინი არსიო
მელეოდა
სისხლი სწერთდა ძლებისაგან, იტყოდის და თავსა
ხრისა

ონანასეული ნუსხის განსხ-
ვავებული წაკითხვები: გადამომავა

რად; გვადგა
ვერცხლისა; არ თურე

სამუდამოდ არის
პისის ცეცხლითა
სახეთაგან განრჩევაა
განაბის
თუ

იშვინა
ნეტარ იყოს შენსა კარსა
ვგ(!) ლხინი არის
სდისა მისის ძვლისა
და ხევ.

ამ მცირეოდენ განსხვავებულ სტროფებში ერთადერთ გამო-
ნაკლისს წარმოადგენს ერთი 8-სტრიქონიანი ლექსი, რომელიც ამ
ხელნაწერებში მნიშვნელოვნად შორდება ერთმანეთს:

ლენინგრადულ ხელნაწერში ვახტანგის ხელით ჩაწერილია:

„თუ უ მოწყალე თვალით სინგავს წყალობის თვალითო,
მინისაც ქონდეს, შეიტყოს და იცნას ამის ძალითო,
ჩემის უცდელის საქმისგან მრცევენის, ვარ დასალითო,
შენ ნელარ შემიქ ყველებით გულს ნაჭრად დასავალითო!
სოფელში თავისუფალთვან, წესი არ არის, ძალითო
დაცემულთ უთხრას ყველრება ან ცხადად ანუ მალითო;
მეშურნე მქერდსა დაიხევს სირცხვილით შესაწყალითო,
შევიდ-მხედი თვალი კაცის[ა] აიბს არ ნახავს ლალითო“. (7 გ)

ონანას ხელნაწერში ეს ლექსი, რომელსაც უწერია ვახტანგი-
სადმი კულვნილების აღმნიშვნელი ასო „მ“ (გვ. 5 V. — 6 გ.) თავიდან
ბოლომდე განსხვავებული რედაქციით იკითხება:

„თუ ვინ გასინჯავს, გასინჯავს მოწყალებისა თვალითა,
ჰინქის კაცალიც ეყარის, იცნობის თავის ძალითა,
მრცევენიან გამოუცდელსა, ჩემი საქმე მწვავს ალითა,
შენ გულსა რაღათ დამიკოდ ყველრების მღვრიეს წყალითა?
სრულსა არ უხმის სიფელში იყოს ამისა ხალითა,
დაცემულს კაცსა ჰყენდრიდეს და იყოს მაზე ბრალითა,



მაგრამ მეშურნე სირცხვილით შეერდსა დაიჩევს ბრჭყალითა, სიმშვილის თვალი სხვის სირცხვილს არ დაინახა კვალითა“. შპლიკოვენ

თუ აქ გაუგებრობას ადგილი არა აქვს და ონანას ხელნაწერის ცნობა სწორია, ასევე, განხილული ლექსების ის განსხვავებაზე რომლებიც ამ ხელნაწერს ლენინგრადულ ნუსხასთან შედარებით მოეპოვება, ეკუთვნის ვახტანგს და არა ონანას, მაშინ ერთი საბუთი კიდევ გვაქვს იმის დასაღისტურებლად, რომ ონანას ვახტანგმა დასამუშავებლად გაუგზავნა „ქილილა და დამანას“ თარგმანის არა ლენინგრადული ნუსხა, არამედ რომელილაც სხვა, დღესდღეობით უცნობი ხელნაწერი.

სხვა მაგალითების მოხმობით ამგვარივე დასკვნა გამოაქვს
მ. თოლუას⁷.

„ქილილა და დამანას“ ლექსების ვახტანგისეული პოეტური თარგმანები მოიპოვება აგრეთვე სულხან-საბასეულ ტექსტშიაც. როგორც ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანმა პროზაულ ტექსტთან ერთად თავიდან ბოლომდე გადაამუშავა ამ თხელულების ვახტანგისეული პოეტურად თარგმნილი ლექსებიც. მისი ნამუშევარი მრავალი ხელნაწერითაა შემონახული. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტოგრაფი S 31, მისგან გადათეთრებული პირი—სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების P 2 ნუსხა, მე-18 საუკუნის ხელნაწერები S 33, S 2650, S 3183 და სხვ. სულხან-საბამაც თავის რედაქციაში შეიტანა ვახტანგის პოეტურად ნათარგმნი რამდენიმე ლექსი, რომელსაც გაუკეთა აღნიშვნა: „მეფის თქმული“, „მეფის ნათქვამი“. სულხანის ამგვარი მინაწერი აქვს 5 ლექსი. ესენია:

1. „მე ვარ ღამისა მოყვარე, ამ დღისა მომლოდინარე,
თასი და ჰიქა ლვინითა კაშუაშით თავს გარდმდინარე;
ყინვა წარხდა და მოვიდა ივ ვარდი მოუწყინარე,
და ზამთარმან გავლო, ზაფხული მოვეეცა მოსალხინარე“⁸.

ეს ლექსი თბილისურ (გვ. 512) და ლენინგრადულ (გვ. 307 გ.) ნუსხებში რამდენადმე განსხვავებულად იყითხება:

⁷ ტექსტისათვის, ქილილა და დამანა, 1975, გვ. 81.

⁸ ალ. გარამიძისა და ელ. მეტრეველის გამოცემა, II, გვ. 137, მ. თოლუას გამოცემა, გვ. 803.

„მე ვარ ღამისა მოყვარე, ამ დღისა მომლოდინარე,
თასი და მინა აღვსილი, კაშკაშით გამომდინარე;
წავიდა ყინვა (გვალვა S 3177), მოვიდა იგ ვარდი მოუწყინარე,
და ზამთარი წახდა, ზახული გვეწვია (გვწვია M 53) მოსახინარე.“

2. „რაცა კაცი ას საქმეში არ გეიძეოს, არ გეცადოს,
ხვაშიაღსა ნუ გაანდობ, რა გინდ მრავალს შეეცადოს!“
(გამოცემები: შესაბამისად II, 2, გვ. 227; 903)

თბილისური (გვ. 583) და ლენინგრადული (347 V.) ნუსხების
წაკითხვა:

„რაცა კაცი ას საქმეში (ასზე საქმით S 3177) არ გეშინჯოს.
არ გეცადოს,
რატომ (რასთვის M 53) ეტყვი ხვაშიაღსა რაგინდ (რაგინ
S 3177) ბევრსა შეეცადოს!

3. „წარპ-ბრტყელი, ტუჩ-პატარაი, ვარდის ფურცლებრი ღაწვია,
კბილ-მარგალიტი, ღრძილ-ძოწი, ენა-შაქარი, აწვია,
ტანად სარო და პირად მზე, მჭერეტელთა ჭირნი აწვია,
და მისთა ტრფიალთა უწყალოდ ცეცხლთა მომდები აწვია!“
(II, 2, გვ. 228-229; 905).

თბილისური (გვ. 584) და ლენინგრადული (გვ. 348 r.) ნუსხები
აქაც განსხვავებულ ვარიანტს იძლევა:

„წარპ-ბრტყელი, ტუჩი პატარა, ვარდის ფურცლისა (ფურცელი M 53)
ღაწვია,
კბილ-მარგალიტი უფასო, ენას შაქარი აწვია,

ტანად სარო და ლერწამი, შემხედთა ჭირი აწვია,
და ტრფიალთა არად მოწყალუ, ცეცხლის მომდები აწვია.“

4. „ნაღიმ-ნათელი, პურ-დიდი, მზისაცა შესადარია,
ვეშპისა ომი ძალ-ედვა, მტერთა სრუად დაუზარია,
სწორის მსჯავრითა ყოველთა მისი შეპქნოდა ზარია,
და უხევად გამცემით უნჯისა სხვათა მეფეთა დარია“.
(II, 2, გვ. 232; 909).

თბილისური (გვ. 587) და ლენინგრადული (გვ. 349 V.) ნუსხე-
ბის ვარიანტი:

„ნაღიმი ქონდა ნათელი, მზისაცა შესადარია,
ომი — ვეშპისა უმალე, მტერთა სვრით (სვრად M53) დაუზარია,
სასწორის სჯითა ყოველნი (ყოველი M 53) მისი მორჩილი არია,

შხვად გაცემით (გამტები M53) ქვეყნად სხვა [ა]რა ყვანდა
(ჰყვანდა M53) ღარია“.

5. „პირ-მთვარე, მუშკებრ სუნნელი, გულისა მოსანდომელი,
სურეოლის მახარებელი, მნახველთა შემაცომელი“.
(II, 2, გვ. 235; 911)

თბილისური ნუსხის წაკითხვა (გვ. 590):

„პირ-მთვარე, მუშკ-საყნოსელი, გულისა წარმტაცებია“.

ლენინგრადული ნუსხა (გვ. 350 V.):

„პირ-მთვარე, მუშკ-საყნოსელი, გულისა მოსანდომია,
სულისა მახარებელი, კაცისა მომაცდომია“.

ბუნებრივია, აქაც ისმის საკითხი, ვის ეკუთვნის ის კითხვა-
სხვაობანი, რომლებიც ამ ლექსებს თბილისურ და ლენინგრადულ
ნუსხებთან შედარებით აქვს?

ალ. ბარამიძემ ნათელყო, რომ სულხან-საბა ორბელიანს მუშა-
ობისას ხელთ სჭერია ლენინგრადული ნუსხა⁹. აქედან გამომდინარე,
როგორც ალ. ბარამიძე ვარაუდობს¹⁰, აღნიშნული სხვაობა სულხა-
ნის ნახელავია, მაგრამ, ვინაიდან ცვლილებები დიდი არ იყო, მან
ლექსებს ვახტანგის სახელი არ ჩამოაშორა. ვიმეორებთ, ამგვარი
მოსაზრება სავსებით დასაშვებია. მაგრამ ამასთან ერთად, ვფიქ-
რობთ, არც ის არის გამორიცხული, რომ სულხან-საბა ლენინგრა-
დულ ნუსხასთან ერთად სარგებლობდა სხვა წყაროთიც, როგორც დღეს არის ისინი
S 31 და მის მიმყოლ ხელნაშერებში.

გარდა ამ ხუთი სტროფისა, S 31 ხელნაშერებში კიდევ სამ
ლექსეს, ოღონდ არა სულხან-საბა ორბელიანის, არამედ განსხვავე-
ბული ხელით აქვს მინაშერი: „მეფის თქმული“.

ეს ლექსებია:

1. „ბერთა სიცოცხლე მიღიან, მგზავრობენ მგზავრთა წესითა,
მისთა მტერთაგან ვერ ვნახოთ, ქარმან მოგებერნეს გესითა“.
(გვ. 33V; გამოცემები: II, 1, გვ. 161; 330).

⁹ ალ. ბარამიძე, ნაკვევები... 12, გვ. 304, 321 და შემდგომი.

¹⁰ იქვე, გვ. 342-343; მისივე, სულხან-საბა ორბელიანი, ცხოვრება და
ლიტერატურული მოღვაწეობა, თბ., 1959, გვ. 126; შდრ.: მ. თოდუა, ტექ-
სტისათვის, გვ. 101.

2. „ამ ქამად კაცთა მინდობა ამხანგთაგან ძნელია,
 საწილის პირთა გამთავე საქმით არა ჩანს მქნელია,
 რომელიც მშვიდი გვინაია, იგ ხერხთა მომფენელია,
 და მუცელს ლხინად და ნადირად უჩანს საქმენი ბნელია!“
 (გვ. 44. V.; გამოცემები: II, 1, გვ. 161; 378).

არც ერთი ლექსი თბილისურ და ლენინგრადულ ნუსხებში არ არის. ლენინგრადულ ხელნაწერში მოიპოვება მხოლოდ მათი პწკა-
 რედული პროზაული თარგმანები.

3. „დაიწყო სიტყვა წყლიანი, ბროლისა უწმინდესია,
 სიტყბოთ თაფლისა უტყბილე, რაცა მისი წესია,
 რომელი ყური ისმენდა, რამც იყო უამესია,
 და პლატონ ბრძნისა ნათქვამსა, შენვე სთქვი, უკეთესია“.
 (გვ. 152r.; გამოცემები: II, 2, გვ. 178; 849)

თბილისურ (გვ. 543) და ლენინგრადულ (გვ. 326 V.) ნუსხებში
 ეს ლექსი განსხვავებული რედაქციითაა მოცემული. პირველში
 ერთსტრიქონიანია:

„სიტყვა უტკოსი შაქრისა, უმჯობე თვალ-მარგალიტთა“.

მეორე ნუსხის ვარიანტი საკმაოდ ახლოს დგას საძიებელ ლექ-
 სთან:

„დაიწყო სიტყვა სიტყმინდით ქვათ წმინდათ უწმინდესია,
 სიტყბოთ შექრის უტყბილე, რაც იყო მისი წესია;
 რაც ყური იმას ისმენდა, რამც იყო უამესია,
 და აფლათუნ ბრძნისა ნათქვამსა შწვე იყო უკეთესია“.

სამივე ამ ლექსის ავტორობის აღმნიშვნელი მინაწერი ერთია
 და იმავე ხელითაა შესრულებული. მართალია, ისინი სულხან-საბას
 ხელისაგან განსხვავებულია, მაგრამ, აშკარაა, ძველი მინაწერებია.
 იგივე დასტურდება სხვა ხელნაწერებში: S 33 (გვ. 77 რ., 99 რ., 333
 V.), S 3183 (გვ. 87r., 288 V.). S 2650-ში პირველ ორ სტროფს არ
 აქვს ეს მინაწერი, მესამეს კი — აქვს. და სხვ.

ამ სტროფების გახტანგისადმი კუთვნილებას ეჭვის ქვეშ აყე-
 ნებს ის ფაქტი, რომ, განსხვავებით ზემოთ დამოწმებული 5 სტრო-
 ფისა, ამ სამი სტროფის ავტორზე მითითება ნაწერია არა სულხან-
 საბა ორბელიანის, არამედ სხვა ხელით. გამოსარკვევია, ვისია ეს
 ხელი და რამდენად სარწმუნოა მისი ცნობა.

უფრო მეტიც, „ქილილა და ღამანას“ სულხანისეულ ოქანქ-
ციაში არის კიდევ 4 სტროფი, რომელსაც ზოგიერთი შესახებ
ტანგს მიაწერს.

S 3183 ხელნაწერში ვკითხულობთ: „რაც ლექსს აშ[ი]აზედ
მანი უზის, მეფის არის ნაბრძანები“ (349 რ.). ამ ნუსხაში, გარდა და-
სახელებული სტროფებისა, „მ“ უზის შემდეგ 4 სტროფს (345 —
347 რ.):

1. ჩახრებაული

ეპა, მეფეო, პურ იუფეო, წალილის ხელით უჯოთა მძლეველად,
საგდებლის თოვი, თემთ დასაოე, ცად გარდაგიცვამს ქვეყნის
მძლეველად,
დასარიგებლად, დასარიგებლად ცა დაგიმშვიდდა არ მრჩეველად,
და შენის ჩრდილით, ბლუარით ჩრდილითა, შენი ძალი სძლევს
გამასრეველად“.

2. „ვინც იცნა სოფლის ღადრობა, მისი სიჭრელით ღებანი,
მას შიგან მყოფმა არა ქნა სამკედროდ სახლთა გებანი;
ფუნდუქსა, გინა პალტასა ვინმცა შეუშემო ზე ბანი,
და ბოლოდ სხვას დარჩა, წაუხდა მაშენებელსა ნებანი“.

3. „ეცადე საგზ[ლ]ის შეკვრასა, — მიხვალ სავანედ შორებსა,
მუნ კერა ნახავ მოყვასთა, კერცა თავისა სწორებსა,
არა შიგაქე რა, გეტვიან: იქით გამრიდე მორებსა!
დამზადდი ნუშლი და ბარგი, აღრე აჰკიდე ჭორებსა!“

4. „ეპა, სიტყვაო, ვინ გაქო, გონება-მიუწმომელო,
შენ აშენებ და შენ არლვევ, სიბრძნითა გაუზომელო;
შენ მოახლენ და შენ აშენ, რაც გინდა ვისი მდომელო,
რომელთა დამაშვიდლო, რომელთა გამამწყრომელო—“
(გამოცემები: II, 2, გვ. 303-305; 982-984).

ვახტანგისადმი ამ სტროფთა კუთვნილებას დუმილით უვლის
გვერდს სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფი S 31 (გვ. 184 V —
185 V). S 33, S 2650 და სხვა ნუსხები.

არც ერთი ეს სტროფი თბილისურ და ლენინგრადულ ნუსხებში
გალექსილი არ არის. ვახტანგის ავტოგრაფას ეჭვის ქვეშ აყენებს

აგრეთვე პირველი სტროფი, რომელიც ჩახრუხაულის ფორმითაა
გალექსილი. „ქილილა და დამანას“ ვახტანგის მიერ პოეტურად დაწარმოებულია შესრულებულია რუსთველური ჭარბის
რით. ამიტომ ეს გამონაკლისი სანდო არ უნდა იყოს.

ჩვენი დასკვნა ასეთია: საეჭვო არ არის სულხან-საბა ორბე-
ლიანის ცნობა: პირველი ხუთი სტროფი ვახტანგისაა, მიუხედავად
იმისა, ეკუთვნის თუ არა მას ის წაკითხვები, რომლითაც ისინი თბი-
ლისური და ლენინგრადული ნუსხებისაგან გამოირჩევა. ყურადსალე-
ბია S 31 ხელნაწერის მინაწერიც დამოწმებული მომდევნო სამი
სტროფის თაობაზე, რომლებიც თუმცა სულხან-საბას არ ეკუთვნის,
მაგრამ ადრინდელია.

ამრიგად, ვახტანგ მეექვსის მიერ გალექსილი „ქილილა და
დამანას“ ლექსები საქმაო მოცულობისაა: შეიცავს 16-მარტვლი-
ანი შაირით შესრულებულ 400-ზე მეტი ერთსტრიქონიან, ორსტრი-
ქონიან, ოთხსტრიქონიან და აქა-იქ მეტსტრიქონიან ლექსებს, რო-
მელთაგან 40-ზე მეტი ორი და მეტი რედაქციითაა წარმოდგენილი.
ექდან გამოქვეყნებულია ნახევარი. ე. თაყაიშვილს დაბეჭდილი
აქვს 200-ზე ცოტა მეტი ლექს-სტროფი. ვახტანგის „ლექსებისა
და პოემების“ გამოცემაში, რომელიც აღ. ბარამიძეს ეკუთვნის
(თბ.. 1947 და 1975 წწ.), შესულია მხოლოდ პროლოგისა და ეპი-
ლოგის 16 სტროფი. ეს სტროფები დაბეჭდილია აგრეთვე „ქილილა
და დამანას“ სულხან-საბა ორბელიანისეული რედაქციის გამოცე-
მებში. მათ ემატება ის 5 თუ 7 სტროფი, რომლებიც ამ რედაქციაში
დასტურდება.

3030 010816083030

୧୩୦୬୧୨୦୯

[32486168 80053602]

ମେ ଶୁଭପିଠୀର୍ବେଶାଙ୍କ ଦମ୍ଭାତାଗାନ, ବାନ୍ଧିତୁଣ୍ଡ-ୟୁ ସାହେଲାଲ୍‌ଦେବପୁରୀ,
ଓତେ ଶ୍ରୀଲ ଅୟେନ ମହେତା, ଶ୍ରବନୀଶି, ସାଙ୍ଗକାଳୀ କାମାରୀ ଗ୍ରେହିଲା,
ରୂପିଲାଲୀଶି[୩] ବିନନ୍ଦି କ୍ଷେତ୍ରକାଳୀର ଶ୍ରେଷ୍ଠକାରୀ କନ୍ଦାକ୍ଷେତ୍ରପୁରୀ。
ନେମତବିନ୍ଦୀଶାର୍ପ ସାହଳୀ ସାର୍ଜୁନିଶା, ଶିଂଗ ଲ୍ଲେବିନ୍ ମନ୍ତ୍ରିନନ୍ଦପୁରୀ.

სტამბა მოვიღე კლასეთით, ვამრავლე წიგნთა შელანი, ქციის რუ ხუნანს წიგნიდე, გაღმითად მოვრწყე ვილანი, მაშევერის რუ ტბას ჟევრო, ზიგ ჩავსხი ოვეზი ყველანი, ეს მთა მოვინადირე, ვძოცე ირემნ ძევლანი.

სამართლის წიგნი დაწერე, მსაჯულს არ უნდა ცილობა, ვეტენისტუარის თარგმნობა, სხვა წერილთ არ ვსთქვა ცილობა. ქემთან მყოფთა კაბუკთა უქმნია კარგი ზრდილობა. ბოლოლ მიმილო სოლელმან სიმღილრ, მეცეთ შეილობა.

ଶୁଣ

ବ୍ୟାକିଲା
ଯୁଗା
ପଳାଜି

ଶୁଣ

შანათლებულობის არსი არა ზიგნის შეძლებაში,
არამედ გამოყენებაში.

პლუტარქი

:პირველი ჩართვები როგანტიპოსის თხზულებანი

XIX საუკუნე მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ერთი ბრწყინვალე პერიოდია. ამ პერიოდში ქართული მწერლობა და მხატვრული აზროვნება დააღვა განვითარების იმ გზას, რომელ საც შემდეგ ილია ჭავჭავაძემ „ევროპეიზაცია“ უწოდა, უკან მოიტოვა ისტორიის ის საფეხური, როდესაც ქართულ ლიტერატურაში ჭარბობდა აღმოსავლური თემები, მოტივები და ჰანგები. ამიერიდან პოეტის პიროვნება, მისი ფიქრი და განცდა, მისი შემოქმედება ორგანულად დაუკავშირდა ქვეყნისა და ხალხის ისტორიულ და პოლიტიკურ ვითარებას, რამაც განსაზღვრა და მიმართულება მისცა იმ პოეტთა შემოქმედებას, რომელთაც ბედმა ორგუნა ყოფილიყვნენ ახალი მწერლობის, ახალი ლიტერატურის, ახალი პოეზიის დამწყებნი.

ქართველმა პოეტებმა — ალექსანდრე ჭავჭავაძემ, გრიგოლ ორბელიანმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა და სხვ. იტვირთეს ახალი საქართველოს ბედის ტრიალის, ახალი ცხოვრების ასახვა; მთ ახალი კვალი გაავლეს ქართულ პოეზიაში და საკუთარ გულთა და ერის არსის მხილველად აქციეს; ქმნიდნენ ერთ ლიტერატურულ სტილს, ერთგვარ აზრობრივ პრინციპებს, ქართულ პოეზიაში განავითარეს და დაამკვიდრეს რომანტიზმი — სიტყვისა და აზრის ეს მაღალი და ნატიფი ხელოვნება საგნის ხედვისა, საზოგადოებრივ მოვლენათა ანალიზისა, სიკეთისაკენ ლტოლვისა, და ხშირად, დაუკავშირდეს პიროვნულ მისწრაფებათა გამოხატვისა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ცნობილი იყო არა მხოლოდ როგორც დიდი მემამულე, ან კიდევ სამხედრო და სამოქალაქო მოღვაწე, არა მხოლოდ ომთა მონაწილე, ან სახელოვანი, მშვენიერი და სტუმართმოყვარე, ოჯახის უფროსი, არამედ როგორც მოლექსე, პოეტი,

შემოქმედი, რომლის ნაწარმოებებსაც შინი შახლობლები კავკაზი
იცნობდნენ, ხშირად წარმოსთქვამდნენ მათ, ხოლო მრავალი სახლში
ღრეობის პანგი ჰქონდა შეწყობილი თვით პოეტისაგან.

ქართული საზოგადოებრიობისა და სახელმწიფოებრივი ყო-
ფის მოუწესრიგებლობის გამო XIX საუკუნის პირველი ნახევრის-
მწერლების შემოქმედება კამერული და სალონური ხასიათისა იყო.
იმის გამო, რომ საქართველოში იმ დროს არ არსებობდა ლატერა-
ტურული პრესა, და არც სხვა საშუალებანი, რომელთა მეშვეობით-
მწერალთა და პოეტთა შემოქმედება ფართო საზოგადოების ინტე-
რესების წრეში მოექცეოდა, არ იძეჭდებოდა დიდ პოეტთა შემოქ-
მედება, პოეტური და, საერთოდ მხატვრული შემოქმედება ვიწრო-
წრეში ტრიალებდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში განთქმული იყო თვით ალექ-
სანდრე ჭავჭავაძის სალონი, სადაც თავს იყრიდა პოეზიითა და-
ლიტერატურით გატაცებული ბეგრი გამოჩენილი ადამიანი. ცნო-
ბილია, რომ 1839 წლს აქ წაიკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თა-
ვისი ეპოქალური ნაწარმოები „ბედი ქართლისა“.

სახელმოხვევილ პიროვნებას, ტკბილპანგოვან პოეტს ალექ-
სანდრე ჭავჭავაძეს, თავისი ნაწარმოებნი დაბეჭდილი არ ღირსებია,
თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის მეურ თარგმნილ ა. პუშკინის
„განლვიძებას“, რომელიც „ტფილისის უწყებანის“ 1830 წლის
იანვრის ნომერში (№ 2) დაბეჭდი სოლომონ დოდაშვილმა, რომელ-
საც არც ავტორის გვარი აწერია და არც მთარგმნელის.

სამწუხაროდ, მაშინდელ ქართულ პრესას, რომელიც ჩანასახო-
ვან მდგომარეობაში იყო, არ უცდია საზოგადოებისათვის მიეწოდე-
ბინა ქართული მხატვრული აზროვნების ნიმუშები, ან გარდასულ
დროთა ლიტერატურული მემკვიდრეობა გაეცნო მკითხველისათვის.

ურნალმა „ცისკარმა“ 1852 წლიდან დიდი ამაგი დასდო ალექ-
სანდრე ჭავჭავაძეს იმით, რომ ქართველ მკითხველს მიაწოდა პო-
ეტის ნაწარმოებნი და მისი სახელი მკითხველთა წრეებში გაიტანა.
„ცისკარს“ ამ დროს ხელმძღვანელობდა გიორგი ერისთავი, რო-
მელიც ახლოს იცნობდა თვით პოეტსა და მის შემოქმედებას. 1852
წელს მან „ცისკრის“ სხვადასხვა ნომრებში დაბეჭდა ალ. ჭავჭავაძის
ორმოცდაათამდე თრიგინალური თუ ნათარგმი ნაწარმოები. რო-
დესაც 1857 წლს „ცისკრის“ გამოცემა განახლა ივანე კერესე-
ლიძემ, მანაც გაავრძელა ალ. ჭავჭავაძის ქმნილებათა ბეჭდვა.



ଅଲ୍ଲାଜୀଶ୍‌ବନ୍ଦର୍ର ପାତ୍ରମହାନ୍ତିକ



1863 წელს ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეშოთიდან“ ტამბა თავისი დიდი მოგვარის ორი ლექსი: „შენის გონების სიცენი...“ და „კმუნვის მახვილი გულსა მსობია“.

ილია ჭავჭავაძეს ამ ღროს გამომუშავებული პქონდა საკუთარი აზრი ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტურ აზროვნებაზე და, უნდა ითქვას, მართებულადაც პქონდა გაგებული მისი შემოქმედების ორი. იგი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა ჯეროვანი შეფასება მისცა ქართველი პოეტი-რომანტიკოსის თხზულებებს.

ი. ჭავჭავაძემ 1858 წელს დაწერა ლექსი „ჩემი თარიარალი (მიზანი ალ. ჭავჭავაძისადმი)“, ხოლო 1860 წელს ლირიკული ლექსი მიუძღვნა ალექსანდრე ჭავჭავაძეს:

მისი ლექსი შეებით, ლხენით,
ხან მეჯლისში მოფრინდება,
გულს ჩაგვკრის, ჰლალობს, ჰხარობს,
გამლერებს და ამლერდება;
ხან ღონდება ნაზ ქალსავით
უიმედო სიყვარულით,
ხან იფეოქებს ჭაბუქსავით
და განდევნის სევდას გულით;
ხან ბუჩქებში მიმალული
ვზის მარტო, ვით იადონი,
შეჰყეფს სატრფოს გულსაკლავად,
ტრფობის ისრით განწირნი;
ხან ჰრბის ველად, მარტო ჰგალობს
უდაბნოში, ვითა მწირი,
შეჰყენეს შავ-ბედს ქვეყნისასა,
ქვეყნისათვის ანატირი;
ხან დაჟურებს ნილვლაანალ,
დაფიქრებით გოგჩის ტბასა
და ემდურის მწვავის მოთქმით
დაუდგრომელ ღროო ბრუნვასა...

ილია ჭავჭავაძემ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების ამ პოეტურ დახასიათებას ეპიგრაფიც წარუმდლვარა ა. პუშკინის სიტყვები, შიმართული უცკოვსკისადმი: «Его стихов пленительная сладость пройдет веков завистливую даль».

თვით მიძღვნაც და მორგებული ეპიგრაფიც მართალი შეფასება იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებისა და თანაც პირველი ნამდვილი შეფასება.

ამის შემდეგ ქართულ ეურნალებსა და გაზეთებს აღარ შეუწყობდა ვეტიათ ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა პუბლიკაცია.

შიუხედავად დიდი სახელისა, ალ. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გამოცემა XIX ს-ის 80-იან წლებამდე ვერ მოხერხდა. პოეტის ლექსების მოძიებისა და გამოქვეყნებისათვის ბევრი ილვაწა პეტრე უმიკაშვილმა. პოეტის შეილებს — ეკატერინესა და დავითს, არაფერო აღმოაჩნდათ თავისი მამის მემკვიდრეობიდან. არც ის იყო ცნობილი, რა განადგურეს შემილის ყაჩალურმა ბანდებმა, რომლებმაც 1854 წელს გაძარცვეს და ცეცხლს მისცეს პოეტის სახლი.

ოთხმოციანი წლებისათვის უკვე მომწიფდა ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და გამოცემის საკითხი. ამ დროს შეიქმნა „ქართული აკადემიაც“ — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც ბევრ სასიკეთო წამოწყებას მეთაურობდა. აქაც, ჩვეულებრივ, ილია ჭავჭავაძე იყო ერთი მათგანი, რომელიც გულმტკივნეულად განიცდიდა ქართველ პოეტ-მწერალთა შემოქმედების მიმართ ინერტულ დამოკიდებულებას და სხვებთან ერთად შეუდგა კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და გამოცემას.

1881 წელს სერიით „ქართული მწერლობა“ ქართველმა მკითხველმა მიიღო ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების კრებული: „ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები, ნაწილი პირველი“, რომელიც ექვთიმე ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა.

ალ. ჭავჭავაძის ლექსების კრებულს უძლვის მცირე წინასიტყვაობა, რომელსაც ხელს აწერენ „გამომცემელნი“. საკვირველია, ძავრამ ფაქტია, რომ ალ. ჭავჭავაძის ლექსების პირველმა გამომცემლებმა არ ინდომეს გვარების დაწერა გამოცემაზე, არადა, ეს გამომცემელნი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, პეტრე უმიკაშვილი და გიორგი თუმანიშვილი.

პოეტის ლექსების კრებულს გამომცემლებმა ეპიგრაფად წარუმძღვარეს ილია ჭავჭავაძის ზემოთ მოვანილი მიძღვნა, როგორც დახასიათება და ანალიზი ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა. გამომცემელნი წინასიტყვაობაში წერდნენ, რომ წინამდებარე კრებულში შეტანილი ლექსები აქამდე უურნალებსა და გაზეთებში იყო გაფანტული, ზოგიერთი ლექსი შეტანილი იყო დავით ჩუბინაშვილის მიერ გამო-

 ტემულ ქრესტომათიდან. გამომცემლებს ორ წიგნად გააზრებული პოეტის ლიტერატურული მეტკვილრეპისაფრთხოებულა მეორე წიგნში უნდა დაბეჭდილიყო თარგმნილი ღრამატული თხზულებები და „თუ კიდევ მოვიპოვეთ, სხვა ნაწერებიცა“.

გამომცემლები მწუხარებით აღნიშნავენ, რომ პოეტის ავტოგრაფები ვერ უშოვიათ და იძულებული ყოფილან მხოლოდ სხვა-თავან გადაწერილით ესარგებლათ, თუმცა აცხადებდნენ: „იმედს არა ეჰქარგავთ, რომ საღმე არ აღმოსჩნდეს და ვერ მოგვეპოვებოდეს ნამდვილი ხელთნაწერი პოეტისა“. იმედმოცემულნი მიმართავლნენ საზოგადოებას, რომელიც პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ ალბათ დაინტერესდებოდა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებით, რომ „მოპოვებისთანავე წარმოგვიგზავნონ მეორე ნაწილში დასაბეჭდათ“. კიდევ ერთი სათხოვარით მიმართეს გამომცემლებმა წიგნისა და ლიტერატურის მოყვარულთ: „ამგვარსავე თხოვნას მივმართავთ მოპოვებისათვის ბიოგრაფიის მასალისა, რომლისაც ბეჭდვას მეორე ნაწილში ვაპირებთ“-ი.

ალ. ჭავჭავაძის ლექსების უმეტესობა გამომცემლებს გადმოუწერიათ დავით ალექსი-მესხიშვილის (რექტორის) მიერ შედგენილი კრებულიდან, რაც პეტრე უმიქაშვილს ჰქონია ხელთ. ისინი დაყრდნობიან დავით რექტორის ავტორიტეტს, რომ მის მიერ გადაწერილ კრებულში ნამდვილად ალ. ჭავჭავაძის ლექსებია შეტანილი, რომელიც „პოეტის თანამდეროვე კაცს, ქართულს მწერლობაში განვითარებულს, დავით რექტორს გადაწერილი აქვს 1823 წელსა“. ეს კრებული, პეტრე უმიქაშვილის მინაწერებით, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში № 1512. გარდა ამისა, გამომცემლებს ალ. ჭავჭავაძის ლექსების ნაწილი „სანდო მწერალთა და მწერლობის მცდნეთა“ დასტურით შეუტანიათ გამოცემაში.

ამრიგად, 1881 წელს გამოცემულ ალ. ჭავჭავაძის ლექსების წიგნში შეტანილია 98 ნაწარმოები. აქ თავმოყრილია პოეტის როგორც ორიგინალური ლექსები, ისე თარგმანები ფრანგული და რუსული ლიტერატურიდან. კრებულში მოთავსდა პოეტის კლასიკური ნაწარმოები: „სახე შენი“, „ვაჲ, დრონი, დრონი“, „გოგჩის ტბა“, „ელების კარი გაზაფხულისა“, „შენს ღირსებასა ნატრულობენ“, „სიყვარულო ძალა შენსა“, „უწყალო სენმან“ და სხვანი.

ალ. ჭავჭავაძე ამ წიგნით მთლიანად გამოჩნდა თავისი სიხარულით და ქმუნვით, საზოგადოებრივი და პირადული ინტერესებით პოეტური აზრის სიღრმითა და თავისებურებით, ქართულ პოეზიში ახალი მოტივებისა და თემატიკის შეტანით და ტრადიციულ ლიტერატურასთან კავშირით. ალ. ჭავჭავაძე გამოჩნდა ისეთი, როგორც ივი ტახასიათა მისმა უმცროსმა მოგვარემ — ილია ჭავჭავაძემ, რომ ეს მშვენიერი პოეზია, დასაწყისი XIX საუკუნის ლიტერატურისა არის არა მარტო ქეიფის, სიყვარულის, დროსტარების, ტრაფიალების პოეზია, არამედ პოეზია ფიქრისა, აზრისა, სამშობლოსა და ერის ბედთან დაკავშირებული შემოქმედებისა, პოეზია ანალიზისა. მართლაც, მრავალ ნაწარმოებში სიყვარულისა და სილამაზის თემის პარალელურად, კლასიკურად არის წარმოდგენილი სევდა და ნაღველი, ამგვეყნიური ცხოვრების სწრაფწარმავლობა. ამის ნიმუშად გამოდგებოდა „ვაჲ, სოფელსა ამას“, „გოგჩის ტბა“ და სხვანი.

1881 წ. „ივერიაში“ (№ 8) ივანე მაჩაბელმა დაბეჭდა „მიმოხილვა ალ. ჭავჭავაძის ლექსების გამოცემისა“. ეს გამოცემა მან მიზნია „ერთი მეტად თვალსაჩინო ამოლრმავებული ალაგის“ „ტვირთუასი და ბრწყინვალე თვალით“ ამოესებად ჩვენს ლიტერატურაში, ივანე მაჩაბელმა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების შეფასება „მძიმე ტვირთად“ მიიჩნია და იგი შემდეგისათვის გადასდო, ახლა კი „ვერ მოვითმინეთ, ჩვენი სიხარული არ გაგვეზიარა ჩვენის მკითხველებისათვის და ცოტათი მაინც არ მოგველბო გული ამ ჩინებულ პოეტზე ლაპარაკითო“.

ივანე მაჩაბელი ორ ჯგუფად ჰყოფდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს: ერთი, რომლებიც სხვადასხვა აკროსტიჩებითა და ანბანთქებით არიან შემობოჭილნი და ამდენად სხვა, უცხო წარმოშობის პოეზიის ამა თუ იმ გავლენას განასახიერებენ, ესენი ნაძალადევი ლექსებია აღმოსავლური პოეზიის ატრიბუტებით. მეორენი კი არიან პოეტური სილალისა და თავისუფლების, შემოქმედებითი სიღრმის მქონენი, გრძნობით სავსენი, ტკბილხმოვანნი, ძლიერი და მოქნილი ენით გამოთქმულნი და შემკულნი. „მეტად ძველის ამბის მთქმელი ვიქნებით, — ამთავრებს თავის მოკლე გამოხმაურებას ივანე მაჩაბელი, — თუ ვიტყვით, რომ ამ წიგნმა ქართველებს თავიანთ წარჩინებულის პოეტის ნაწარმოების შესძინა. დიდი ხანია, რაც ალექსანდრებულის პოეტის ნაწარმოების შესძინა.


დრე ჭავჭავაძეს ჩვენს პოვტებს შორის პირველი ადგილთაგანი
უჭირავს“.

აღ. ჭავჭავაძის ლექსების გამოსკლას გაზეთ „დროებაში“
„შ. მთაწმინდელის“ ფსევდონიმით ვამოხმაურა ზაქარია ჭიჭინაძე.
მან წიგნის გამომცემელთა საყურადღებოდ გამოთქვა აზრი, რომ
დავით რექტორის მოსაზრებანი შეიძლება ყველა მართებული არ
იყოს და დაასახელა რამდენიმე თხზულება, რომელნიც, თითქოს
ალ. ჭავჭავაძეს არ ეკუთვნიან. მაგ., „სიყვარულო, ძალსა შენსა“,
„ვარდო, რად ხარ თავდახრილი“, „მაისის ვარდმან ფურჩხნილმან“
და სხვა. თუმცა შემდეგმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა ალ. ჭავჭავა-
ძის ავტორობა ზაქარია ჭიჭინაძის მიერ ჩამოთვლილი ლექსებისა.
მისი სურვილი, რაც მიმოხილვის დასასრულს გამოთქვა, იყო გამე-
ორება წიგნის გამომცემელთა მოწოდებისა მკითხველთა მიმართ,
რომ „იმედია ჩვენი მწერლობის მოყვარე პირნი დროით ყურად-
ღებას მიაქცევენ ამ ჩვენის ჩინებული პოეტის მნიშვნელობასა და
თუ აღმოუჩნდებათ რამე, მალე აცნობებენ გამომცემელთ, სანამ
მეორე ნაწილის დაბეჭდვას არ შესდგომიან“.

მაგრამ გამომცემელთა სურვილი მეორე წიგნის გამოცემისა,
არ განხორციელებულა.

* * *

სამოცი წელი გავიდა, ვიდრე ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსე-
ბის მეორე გამოცემა განხორციელდებოდა. ამ სამოცი წლის გან-
შავლობაში ალექსანდრე ჭავჭავაძეზე მრავალი მნიშვნელოვანი გამოკ-
ვლევა დაწერეს კიტა აბაშიძემ, იონა მეუნარგიამ, იაკობ ფანცხავამ,
ვახტანგ კოტეტიშვილმა, მიხეილ ზანდუქელმა... მაგრამ ყველამ გა-
შოიყენა ალ. ჭავჭავაძის ლექსების 1881 წლის გამოცემა. არადა, ამ
პირველი გამოცემის შემდეგ უჩვეულოდ გაიზარდა ქართული ლი-
ტერატურისმცოდნეობა, ბევრი რამ იქნა გამოვლენილი პოეტის
ცხოვრებიდან, ლიტერატურულ და ისტორიულ არქივებში აღმოჩ-
ნდა პოეტის ნაწარმოებთა აეტოვრაფები, მისი „ისტორიული მიმო-
ხილვა“, 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებული მასალები,
პოეტის ტამბოვში მეორედ გადასახლებასთან დაკავშირებული საქ-
მეები და სხვა ბევრი მნიშვნელოვანი მასალა.



უკელა ამათი თავის მოყრა, რაც მთავარია, პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის სისტემაში მოყვანა, მისი რთული ბიოგრაფიული რაფიის დაგენა, თხზულებათა კომენტირება და კიდევ რამდენი აუცილებელი წერილმანი, რაც დაკავშირებულია პოეტის (თანაც ისეთი მნიშვნელოვანი პოეტის, როგორიც ალექსანდრე ჭავჭავაძეა!) ცხოვრებასთან, მოღვაწეობასა და შემოქმედებასთან მოიხვდა ხანგრძლივ მუშაობას.

ეს დიდი საშვილიშვილო საქმე ითავა და ღირსეულად შეასრულა იოსებ გრიშაშვილმა. ამ საქმეს მან შეალია თავისი შემოქმედებით აღსავს მოღვაწეობის რამდენიმე წელიწადი. სამაგიეროდ, მკითხველმა მიიღო მანამდე არნახული გამოცემა ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწარმოებისა.

1927 წელს ი. გრიშაშვილმა გამოსცა „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“, რომლის უკანასკნელ გვერდზე მოათავსა ცნობა, რომ „შემდეგი ჩემი წიგნი „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ იქნებაო, ე. ი. ოციან წლებში იოსებ გრიშაშვილი ამზადებდა წიგნის გამოცემას, რაც მხოლოდ 1940 წელს მოხერხდა. ამიტომაც წერდა იგი ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებების გამოცემაში: „ნავსი გატყდა! ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწერების კრებული გამოდის. თითქმის სამოცი წელი სრულდება, რაც ჩენი კლასიკოსის ლექსების დაბეჭდვა აღარ განმეორებულა...“

წინასიტყვაობის ბოლოს კი წერდა: „ერთი სიტყვით, წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს ალექსანდრე ჭავჭავაძის ტექსტის აკადემიურად დადგინდების პირველ ცდას. ამ მხრივ არ დაგვიკლია არც ფხა და არც რუდუნება, რომ ეს მძიმე საქმე ფარეზად შეგვერულებინა.“

ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებებში ი. გრიშაშვილმა შეიტანა ასი ლექსი, პუშკინის, ჰიუგოს, ოდოევსკის, ლაფონტენის, ვოლტერის და ეზობეს თხზულებათა ოცი თარგმანი, ფილოსოფიური ნაწარმოები „ახლოით განჩხრეკილი კაცი“, ფრანგულიდან გადმოთარგმნილი რასინის თხზულების ორი ნაწილი და კორნელის ტრაგედია „სინნა“. ყველაფერ ამას დაურთო „საქართველოს მოქალე ისტორიული ნარკვევი“, რომელიც ა. ჭავჭავაძემ რუსულად დაწერილი წარუდგინა იმპერატორ ნიკოლოზ პირველს.

ეს წიგნი დიდი და ხანგრძლივი მუშაობის შედეგი იყო. მასში
15. მწიგნობაზე 86

 შეტანილია ყველაფერი, რაც ცნობილი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძეს სახელით. მისათვის გამომცემელს დასჭირდა რამდენიმე წერტილი კელეთასაცავის გადაჩერექა-გადასინჯვა საქართველოსა და რუსეთში, ლექსითა ტექსტების სხვადასხვა ჩანაწერებთან შეჯერება, გადამწერთაგან დაშვებულ შეცდომათა გასწორება, გამოტოვებულ სიტყვათა თუ სტრიქონთა აღდგენა, თითოეულ ნაწარმოებზე ბიბლიოგრაფიული ცნობების თავისმოყრა, ჩვენება იმისა, თუ სად, ვისგან და რა სახით არის დაბეჭდილი ესა თუ ის ნაწარმოები... გარდა იმისა, რომ თვითონვე მოინახულა ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მდიდარი ქართული ხელნაწერები, კავშირი არ შეუწყვეტია იმ ქართველებთან, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ: კარბეზ და ვარლამ დონდუებთან, ანდრია აბრამიშვილთან და სხვ. მიმოწერა ჰქონდა ნიკო მართანაც. თავის კორესპონდენტთაგან მოპოვებული მასალით ამდიდრებდა იგი კომენტარებს.

ერთი სიტყვით, ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებების გამოცემას დართული „რედაქტორის შენიშვნები“ ერთი დიდი, შესანიშნავი და შინაარსიანი გამოკვლევა არის ი. გრიშაშვილისა, სადაც ამომწურავი ცნობებია მოცემული „თხზულებებში“ შეტანილი ნაწარმოებების შესახებ.

მართებული იყო ი. გრიშაშვილის განცხადება, რომლითაც ამთავრებდა თავის შენიშვნებს: „...დავამთავრე ეს დიდიხნის ნანდაური წიგნი და უფრო შემიყვარდა ჩემი გმირი — ეს ყოვლად უმშიკვლო ადამიანი, სვებედნიერი და ამავე დროს დიდად უბედური პოეტი — თავისი ლრმა სევდით მამულისადმი და ბოლოს, ტრაგიკული სიკვდილით. მკითხველი შეიტყობს, რომ წიგნში აღძრული რამდენიმე დეტალი არ არის ჩემ მიერ განვითარები. ეს ჩემი ნაშრომი, რომელიც ვერ გავაძლე მასალებით — თარიღთა დაზუსტებისათვის კვლავ საჭიროებს სათუთად მიღომას. ზოგიერთი საკითხი იმდენად შეუსწავლელია ჩვენს ლიტერატურაში, რომ მისი ერთბაშად გადაჭრა სახიდათოა, დიდ დროს მოითხოვს. ერთი კი უდავოა: ამ წიგნის გამოსკვლით ალექსანდრე ჭავჭავაძის გარშემო უფრო გაცხოველდება ნიაზი, მსჯელობა, კამათი, სხვადასხვა აღმოჩენები და ეს კი საბაბს მოგვცემს მეორე გამოცემა გამოვიდეს „შეესბული და შესწორებული“, როგორც ეს მიღებულია ამისთანა შემთხვევებში“.

ალ. ჭავჭავაძის თხზულებებს ი. გრიშაშვილმა წარუმძღვარა მე-

ტად შინაარსიანი ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი ნარკვევი, დაახასიათა პოეტის განცდები, ინტერესები, ქართული ლიტერატურის აღმოხავლურ-დასავლური ნაკადი, რომელნიც მეტად საინტერესოდა გადაენასკა ურთიერთს პოეტის შემოქმედებაში. გაღმოგვცა ალ. ჭავჭავაძის ვრცელი ბიოგრაფია, მიმოხილვა გაუკეთა ამბებს, რომლებთანაც დაყავშირებული იყო პოეტი 1804, 1812 და 1832 წლებში, კახეთის აჯანყება, ამ ბატალიაში ალ. ჭავჭავაძის მონაწილეობა, შემდეგ რუსეთის დიდი ომი ნაპოლეონთან და ჩვენი პოეტის მონაწილეობა მასში და ა. შ. ი. გრიშაშვილმა მკითხველი ჩაახედა ალ. ჭავჭავაძის ოჯახში, გააცნო მისი მშობლები: დავით (გარსევან) და მაია; მისი მეუღლე — სალომე ორბელიანის ასული, მისი შვილები — ნინო და ეკატერინე, დავით და სოფიო, მათი ოჯახები, მეგობრები, ნათესავები, ნინოს და ეკატერინეს წერილები გრიგოლ ორბელიანთან, მაშინდელი თბილისი, მისი მრავალი მიზანდები ამბით, რაც ესოდენ კარგად იცოდა ი. გრიშაშვილმა.

პოეტის ბიოგრაფიული ნაჩვევანი ი. გრიშაშვილმა დაამთავრა სიტყვებით: „ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები დაუბრუბელი და მარადიულია თავისი ტანგვით და სიყვარულით. ალექსანდრე ჭავჭავაძე ნებიერი ძმაა ქართული პოეზიისა და ახეთი დარჩება მუდამ, ვინაიდან, ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს, მან „სიყვარულიც იცოდა და ტანგვაც“.

წიგნში გამომცემელმა მოათავსა პოეტის ხელნაწერის, ანუ ავტოგრაფის რამდენიმე ნიმუში.

ალ. ჭავჭავაძის თხზულებებს ი. გრიშაშვილმა დაურთო ლექსი-
კონი, ას, ისეთი, როგორიც მხოლოდ მას შეეძლო გაეკეთები-
ნა — ზუსტი, ამომწურავი, ტექსტის ინტერპრეტაციისათვის აუ-
ცილებელი.

იოსებ გრიშაშვილს მის მიერ გამოცემულ წიგნზე მუშაობა მისი დაბეჭდვით არ დაუმთავრებია. ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებების გამოცემაზე ჭერაც არ იყო სტამბის საღებავი შემშრალი, რომ მან თავისი ჩვეული სკრუპულოზურობით მრავალი შენიშვნა, დამატება თუ შესწორება შეიტანა თავის სამუშაო ცალში, რომლის ბოლოს, 344 გვერდზე მიუწერია: „თუ მოვესწარი, რა კარგი, თუ არა და, იმედია მეორე გამოცემა ამ სახით: ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, გრიშაშვილის რედაქციით, მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებულია №№-ის თვალმიდევნებით. ი. გრიშაშვილი“.



ალექსანდრე ჭავჭავაძის დაბადების 200 წლისთავისაკუთხისმისათხზულებების შესამე გამოცემა დაიბეჭდა, რომელშიც შევიდა — ლექსები, ნარკვევები, დრამების თარგმანები, წერილები, 105 წლის შემდეგ აღსრულდა პირველი გამოცემის ხელმძღვანელთა — ილა ჭავჭავაძის, პეტრე უმიკაშვილისა და გიორგი თუმანიშვილის სურვილი — მეორე წიგნად გამოცემათ ალექსანდრე ჭავჭავაძის თარგმნილი დრამები და „თუ კიდევ მოვიპოვეთ, სხვა ნაწერებიცა“.

ჭერი ი. გრიშაშვილმა მოიპოვა ალ. ჭავჭავაძისეული ბევრი რამ. და ამით გაამდიდრა 1940 წლის გამოცემა. ამჯერადაც გამომცემელი (ირაკლი კენჭოშვილი, რომელსაც შეუდგენია, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთავს პოეტის შემოქმედების საიუბილეო გამოცემისათვის) რამდენიმე თხზულებით ამდიღებს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურულ მექანიზმებას, მაგ., ნაწილი რომანისა „ევლუქსია“, ფრანგულიდან გადმოთარგმნილი 1808 წელს. ასევე დაბეჭდილია კორნელის, რასინისა და ვოლტერის თხზულებათა თარგმანის ნაწილები და, აგრეთვე, რამდენიმე მასალა 1940 წლის შემდეგ მოპოვებული ს. მალლაკელიძის, მიხეილ ქავთარიას, სოლომონ ცაიშვილის, შალვა გოზალიშვილისაგან, რომელნიც ამ კრებულშია შეტანილი.

ახალ გამოცემაში ზოგიერთი ლექსი, რომელიც ძველად დაიბეჭდა სხვათაგან გადაწერილი ნუსხით (მაგ., „უწყვლივარ ჭირთა მალვას“), ახლა იბეჭდება გამომცემლისაგან მიკვლეული ავტოგრაფის მიხედვით, რაც იმითა მნიშვნელოვანი, რომ სწორდება მნუსხვავისაგან დაშვებული შეცდომები. აქვე მოტანილია ნიმუშები იმ სხვაობისა, რაც პოეტის ავტოგრაფებსა და სხვათაგან გადაწერილთა შორის იყო. ასეთი შესწორებული ნაწარმოები წინათ გამოცემულებთან შედარებით რამდენიმეა: „უამნი რბიან“, „შენთან არს გული“, „ნუ მოქალ“, „ძეობა“ და სხვ. (გვ. 244).

ახალ გამოცემაში, წინა გამოცემისაგან განსხვავებით, ალექსანდრე ჭავჭავაძის ორიგინალური და თარგმნილი თხზულებები ცალ-ცალკე არა დაბეჭდილი, არამედ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (გამომცემელი პოეტის თხზულებათა თანამიმდევრობისას ემყარება აკაკი კენჭოშვილის ნაშრომს — „ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების დათარიღებისათვის“). რასაკირველია, თხზულების და-



ბეჭდვა ასეც შეიძლება და ისეც, მაგრამ მაინც ჭობდა ორიგინა-
ლურნი ერთ განყოფილებაში ყოფილიყო, თარგმანები კი მეორე გვერდზე მოხდებოდა
რეში. მართალია, ალექსანდრე ჭავჭავაძეს უცხოელ ავტორთა თხზუ-
ლებები „გათავისებული“ აქვს, მაგრამ, მაინც უცხოელისაა და თარ-
გმნილია.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მესამე (1986 წლის) გამოცემა, მარ-
თალია ზოგიერთ შენიშვნას იმსახურებს (ლექსიკონი, მაგალითად,
უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო და თანაც, ისე მოხერხებული,
როგორიც 1940 წლის გამოცემაშია), მაგრამ უფრო სავსეა და
ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა უფრო
სრულადაა წარმოდგენილი.

შართული ფიგის გეჟდვა-გამოცხადის საქმე თაზილისები
1800 — 1860 წლებში

XIX საუკუნის დამდეგიდან მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის ძერები ხდება საქართველოში. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია ორქლასიანი სათავადაზნაურო სასწავლებლის გახსნა 1804 წლის 21 მაისს თბილისში, სადაც არითმეტიკა, ისტორიასა, გეოგრაფიასა და სხვა საგნებთან შედარებით განსაკუთრებული ყურადღება ქართული და რუსული ენების გაძლიერებულ სწავლებას ჰქონდა დათმობილი.

სათავადაზნაურო სასწავლებლის გახსნამ მოითხოვა მოსწავლეთა უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით, რამაც თავის მხრივ დღის წესრიგში დაყენა სტამბის დაარსების საჭიროების საკითხი. ამ სასწავლებლის დირექტორი ა. პეტრიაშვილი თავის მოხსენებით ბარათში, განუმარტავდა რა კავკასიის მთავარმართებელ პ. ციციანოვს სახელმძღვანელოების უქონლობის გამო შექმნილ მძიმე მდგომარეობას, ასკვნიდა: „სტამბის დაარსება აქ უკიდურესად საჭიროა სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდობის უზრუნველსაყოფად ნაბეჭდი წიგნებით“.¹

XIX საუკუნის დამდეგისათვის თბილისში ახალი, კეთილმოწყობილი სტამბის დაარსებას, სათავადაზნაურო სასწავლებლის სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის გარდა, საფუძვლად ეღო მეორე, შედარებით უფრო არსებითი ხასიათის პოლიტიკური მიზანი — საიმპერატორო კარისა და აღვილობრივი მმართველობის იმ უამრავი ბრძანება-განკარგულებების, დადგენილება-გადაწყვეტილებების, განცხადებების, საკანონმდებლო აქტების, ცირკულარული.

¹ საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი, ფ. 2, ფ. I, საქმე 90, ფურც. 72-230



წერილებისა და სხვა დოკუმენტური მასალების ქართულად თარ-
გმნა, ბეჭედა და მოსახლეობის ფართო მასებისათვის გაცნობა, რომელიც მასა-
ლებისაც აქვეყნებდა ცარიზმი ახლად შემორთებულ განაპირა ქვეყ-
ნებში თავისი მმართველობის განსამტკიცებლად.

სამპერატორო კარის პოლიტიკის ფართო პროპაგანდა საქარ-
თველში სულ უფრო ცხადყოფდა, რომ აუცილებელი იყო XVIII
საუკუნის 50-იანი წლებიდან შემორჩენილი, უკვე წყობიდან გა-
მოსული ერეკლე II-სეული სტამბის არსებითი რეკონსტრუქცია, აღ-
ჭურვა შედარებით სრულყოფილი, მაღალი წარმადობის დაზგებით,
ახალი შრიფტით, სხვადასხვა სახის ხელსაწყო-იარაღებით. ყო-
ველივე ამის მოგვარებას ცდილობდა მთავარმართებელი პ. ციცი-
ანოვი. იგი წერილობით კავშირს ამყარებს გაიოზ რექტორთან,
რომელსაც საკუთარი ქართული სტამბა ჰქონდა მოზღვები, მაგრამ
იმ დროს თვითონ პენზაში იყო გადაყვანილი არქიეპისკოპოსად და
სთხოვს „უქმობასა შინა მყოფისა ესე წიგნთსაბეჭდვისა“ თბილისის
სათავადაზნაურო სასწავლებისათვის გადაცემას. „თქვენს მიერ გა-
წეული დახმარება (იგულისხმება 1796—1803 წლებში მოზღვები
დაბეჭდილი სასკოლო სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ გამოგ-
ზავნა თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლისათვის. თ. კ.) მა-
ბედვინებს უმორჩილესად ვთხოვო თქვენს უგანათლებულესობას,
მოზღვები არსებული ქართული სტამბის თქვენს სამშობლოში წამო-
ლება. ამით დიდად დაგვავალებთ. როგორც აქაურ სასწავლებლებს,
ისე პირადად მე. მივიღებთ თუ არა პასუხს, მაშინვე გამოგიგზავნით
ფულს. რაც შეეხება სტამბის მოზღვებიდან თბილისში გადმოტანას,
ამას მე მოვაგვარება“.²

მთავარმართებლის თხოვნას გაიოზ რექტორი სიამოვნებით
დათანხმდა. 1805 წლის 1 აპრილს საპასუხო წერილით იგი პ. ცი-
ციანოვს ატყობინებდა: „დიდი სიამოვნებით ვუთმობ ჩემს სტამბას
ისეთ კეთილშობილ და სიკეთის მომტან სასწავლებელს, როგორიც
თბილისისაა. ჩემი გადაწყვეტილების შესახებ უკვე ვაცნობე მოზ-
ღვები მცხოვრებ კათოლიკე გიორგი მამასახლისოვს, რომელსაც
წამოსვლისას ჩავაბარე სტამბა. თქვენის უბრწყინვალესობის მოთ-
ხოვნისთანავე მისცემს კუველაფერს აღწერით იმას, ვისაც მიანდობთ
ამ საქმის მოგვარებას. მაგრამ ვთხოვთ მიმღებმა გულისყურით შეა-

² Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. II, 1868.



მოწმოს ყოველი ნივთი, რასაც ჩაიბარებს, რადგანაც სტამბა მთლიანად დაშლილი დავტოვე".³

პ. ციციანოვშა სტამბა მოზღოვიდან თბილისში ჩამოატანინა, მაგრამ ერეკლესეული „წიგნთსაბეჭდავის“ რეკონსტრუქციის ბოლომდე მიყვანა არ დასუალდა. 1806 წელს იგი მოკლეს ბაქოს მისაღომებთან გამართულ ბრძოლებში. მის მიერ წამოწყებული საქმის გაგრძელება წილად ხვდა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობაზე ახლად დანიშნულ ი. გუდოვიჩს. 1807 წლის 20 თებერვალს იგი საქართველოს მმართველს ლიტვინოვს ავალებდა: „სარატოვის უგანათლებულესმა არქიეპისკოპოსმა გაიოზმა... თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს აჩუქა საკუთარი სტამბა მთელი თავისი მოწყობილობით, რომელიც კოლეჟსკი ასესორ კალანტავთან ინახება. მე მას ვაცნობე, რომ გადასცეს იგი თქვენს უმაღლესობას, თქვენ კი გმართებთ გამოიყენოთ აღნიშნული სტამბა აქაური კეთილშობილთა სასწავლებლისა და საქართველოს უმაღლესი მთავრობის საჭიროებისათვის“.⁴

გაიოზ რექტორისეული სტამბის მოზღოვიდან თბილისში ჩამოტანის შემდეგ საბოლოოდ უნდა მოვარებულიყო ერეკლესეული „წიგნთსაბეჭდავის“ რეკონსტრუქციის საკითხი, მაგრამ ძირითადი ნაწილების უქონლობის გამო მისი ამუშავება ვერ მოხერხდა.

XIX საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულს ამ ერთობ გაჭიინურებული საქმის შესრულებას სათავეში ჩაუდგა საქართველოში ახლად დანიშნული ეგზარქოსი არქიეპისკოპოსი ვარლამ ერისთავი. კავკასიის მთავარმართველის მარკიზ პაულიჩის აქტიური ხელშეწყობით ქართველი მწიგნობარი ახალ თანამდებობაზე დანიშნისთანავე იწყებს ზრუნვას თბილისში წიგნების ბეჭდვის მოსაგვარებლად. ამისათვის მას მოსკოვიდან ჩამოჰყავს საშრიფტო მეურნეობის საუკეთესო შცოდნე და ცნობილი გამომცემელი გიორგი პაიჭაძე. ამასთანავე იღვწის მოსკოვიდან საკუთარი სტამბის ჩამოსატანად. მთელი რიგი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ გ. პარმებე კი ჩამოიყვანა, მაგრამ უსახსრობის გამო სტამბის ჩამოტანა ვერ შეძლო და იგი სინოდს გადასცა საჩუქრად.

³ Акты собраны Кавказской археографической комиссией, т. II, 1868.

⁴ იქ ვვ, გვ. 199.



1810 წელს გამოქვეყნდა იმპერატორის ბრძანება რუსეთის უბერნაციების სტამბებით უზრუნველყოფის შესახებ, რის საფუძველით ველზეც, სხვა ცენტრალური ქალაქების მსგავსად, თბილისშიც არსდება ეგზარქოსის სტამბა. მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ ქართული წიგნების ბეჭდა-გამოცემა მოსკოვ-პეტერბურგიდან თბილისში გადმოინაცვლებდა, მაგრამ ვ. ერისთავის, გ. პაიჭაძისა და სხვა იმდროინდელ ცნობილ მოღვაწეთა რუდუნებას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. სტამბის ამუშავებას საშველი არ დაადგა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო 1812 წელს კახეთში მომხდარი აჯანყება. მეამბოხეთა შეიარაღებული გამოსვლებით შეშფოთებული საიმპერატორო კარი ყოველგვარ ეროვნულ წამოწყებას ეცვის თვალით უყურებდა, მათ ახალი მმართველობის წინააღმდეგ მიმართულ შტრულ აქციად თვლიდა. ამაზე მიგვანიშნებს პეტერბურგში კოორდინირებული პოლიციის სამინისტროდან კავკასიის ახალ მთავარ-შმართველ ნ. რტიშევისათვის 1813 წელს გამოგზავნილი წერილი:

„იმერელი თავადი პაიჭაძე, რომელიც აქ (პეტერბურგში— თ. კ.) ქართველ უფლისწულთან ცხოვრობს, თბილისში გამოემგზავრა თავისი საქმეების შესასრულებლად. მისი წამოსვლა იმ დროს, როცა ეს-ეს არის ჩაწყინარდა მანდაური მღელვარება, ეცეს ბადებს, ხომ არ აქვს მას მიცემული რაიმე საიდუმლო დავალება? უმორჩილესად გთხოვთ თქვენო უმაღლესობავ მიიღოთ ზომები და თუ საჭიროდ ჩათვლით ყოველივე დაწვრილებით მაცნობოთ“.⁵

რა ზომები მიიღო გ. პაიჭაძეზე საიდუმლო მეთვალყურეობის გასაწევად კავკასიის მთავარმართველმა რტიშევმა პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილის საპასუხოდ, არ ვიცით, ის კი ცნობილია, რომ 1815 წლამდე თბილისის ეგზარქოსის სტამბაში ერთადერთი წიგნი დაბეჭდილა — იოანე ქართველიშვილის „ქართული გრამატიკა“ და შემდეგ, სახსრების ნაკლებობის გამო მალე დახურულა.

ეგზარქოსის სტამბის დახურვის შემდეგ კავკასიის ჯარების მთავარსარდლად გენერალ ა. ერმოლოვის დანიშვნისთანავე ცალკე ქართული კორპუსის შტაბთან არსდება ახალი პოლიგრაფიული საწარმო, რომელშიც 1816 წელს იბეჭდება პირველი წიგნი „ლოცვანი, ლოთით შემკობილნი პარაკლისნი ყოველთა წმიდანთათვის მოსაზარებელნი.“ ამ სტამბას დიდი შეფერხებებით უმუშავია, რა-

⁵ საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 16, ხედე 1571.

საც მოწმობს ის, რომ სამი წლის მანძილზე აქ არაფერი არ და-
ბეჭდილა.

1819 წლიდან ერთგვარი გამოცოცხლება შეინიშნება ქართული
ბეჭდებითი სიტყვის ისტორიაში. გამოსვლას იწყებს პირველი ქარ-
თული პერიოდული ორგანო „საქართველოს გაზეთი“, რომელიც
1821 წლიდან ცნობილი ხდება „ქართული გაზეთის“ სახელწოდებით.
1819 წელსვე იბეჭდება „დებულება, მიღებისათვის მებატონეთაგან
საქართველოსა შინა გადმოსახლებულთა“. ეს არის ოთხ გვერდზე
დაბეჭდილი 13 მუხლისაგან შემდგარი დოკუმენტი, რომელშიც
განმარტებულია მეზობელი სახელმწიფოებიდან საქართველოში გად-
მოხურებილი ხიზნების (სომხები და სხვ.) შეღავათები: ყომბისაგან
განთავისუფლება, საიჯარო გადასახადების შეუწერლობა და სხვ.
ეს დოკუმენტი „იძლევა მასალას დაქირავებული შრომის პირობების
გასაცნობად საქართველოში XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებ-
ში“. 6

1819 წელს საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბაში რუსულ-
ქართულ ენებზე იბეჭდება აგრეთვე „შეკრება რუსულთა უბნობა-
თა, საზოგადოდ ცხოვრებასა შინა სახმარებლათა, დართვითა ქართუ-
ლისა თარგმანისათა, სასარგებლოდ კეთილშობილთა ყრმათა“. ამ
მცირე მოცულობის წიგნს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა
იმ დროისათვის. იგი წარმოადგენდა დამხმარე სახელმძღვანელოს
რუსული ენის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის.

ამავე ხანებშია გამოცემული ქართულსა და ოსურ ენებზე
ქართული ტრანსკრიფციით „საცისკრო ლოცვანი“. ეს იყო იმ ოსე-
ბისათვის განკუთვნილი სარიტუალო წიგნი, რომლებსაც ახლად
ჰქონდათ მიღებული ქრისტიანული სარწმუნოება. ამ გამოცემის
თავფურცელზე უკითხულობთ: „სადიდებლად წმიდისა, ერთარსისა,
ცხოველმყოფელისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა
და სულისა წმიდისა, და სასულიეროს სამოძღვრებლად ახალ მოქ-
ცეულთა მთის ოცნებისა ერთა“.

ეს წიგნი ქართულიდან ოსურად უთარგმნია თბილისის სასუ-
ლიერო სემინარის მასწავლებელს, ეროვნებით ოსს, იოვანე იალ-
ღუზოძეს. 1820 წლის 20 მაისს იგი „საცისკრო ლოცვანისა“ და,
საერთოდ, თავის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ ეგზარქოს

6 ქართული წიგნი, 1941, გვ. 90.

თეოფილაქტეს მოახსენებდა: „თქვენისა უმაღლესობისა მიერ ბრძანებული ნებულ იყო ჩემდა, რათა გარდამელო ქართულით ოცურსა ენასა ზედა რაოდენიმე საეკლესიო ლოცვანი. გარდეოდე ლოცვანი საცისკრონი და სამწუხრონი, შემოკლებული კატეხიზმისი და ქრისტიანებრი ზნეობითი სწავლანი, რომელნიცა ყოველნი დაბეჭდილ არიან ერთ წიგნად ქართულსა და ოსურსა ენასა ზედა ქართულის საეკლესიო ასოთი“⁷.

ამის შემდეგ ისევ შეფერხებულა წიგნების ბეჭდვა. 1826 წელს აქ გამოდის საქართველოს სამოქალაქო ნაწილის გამგებლის, გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვის „მოწოდება ყვავილის ეპიდემიასთან ბრძოლისათვის იმერეთში“. ამ დოკუმენტის გამოქვეყნებას შემთხვევითი ხასიათი არ ჰქონია. აღნიშნული პერიოდისათვის დასავლეთ საქართველოში სწრაფად გავრცელდა ყვავილის ეპიდემია, რომელიც მუსრს ავლებდა დაგილობრივ მოსახლეობას. შექმნილმა რთულმა მდგომარეობამ აიძულა დროებითი მთავრობა მიეღო ზომები გაჭირვებულთა დასახმარებლად. მას ისახავდა მიზნად, კერძოდ, 1826 წელს გენერალ ველიამინოვის ხელმოწერით გამოქვეყნებული „მოწოდება“, რომლის ტექსტიც შემდეგნაირად იწყება: „მოაწია ჩემს ცნობამდე, რომ მენვრელის სამთავროსა შინა გამოჩენილი ყვავილი მოსისხლედ უკიდება: დედ-მამათა უხოცს შვილებს და მოაკლებს მათ ზოგჯერ უკანასკნელს, მხოლოდ ერთსა ნუგეშსაცა“. ბოლოს მოცემულია რჩევა ყვავილის ეპიდემიის წინააღმდეგ აცრების ჩასატარებლად.

1827 წელს რამდენიმე სახის ბრძანება, განკარგულება, მოწოდება და სხვა დოკუმენტი იბეჭდება საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბაში, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თბილისის სამხედრო გუბერნატორის გენერალ სიპიაგინის ხელმოწერით გამოქვეყნებული „განცხადება“. ეს არის ექვსი მუხლისაგან შემდგარი ქალაქის კეთილმოწყობის სავალდებულო დადგენილება. მასში ჩამოთვლილია ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო თბილისში სისუფთავის დასაცავად, ძველი შენობა-ნაგებობების შესაქეთებლად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, ძირითადად, მოედნების წესრიგში მოსაყვანად და სხვ.

სახელმწიფოებრივ-საკანონმდებლო დანიშნულება ჰქონდა 1827

⁷ საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი, საქმე № 446.



წელს დაბეჭდილ მეორე ღოკუმენტს — „ქანონები, თუ როგორ უნდა მოიქცნენ პურის თეთრის დარიგებაში ახალს მოქადაფებულს შასში ახსნილ-განმარტებული იყო საქართველოში დაბანაკებული ჯარის ნაწილების პურით უზრუნველყოფისათვის ყოველწლიურად სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარებაზე ფულადი ანაზღაურების წესი.

1827-28 წლებში კავკასია ირან-რუსეთის ომის ასპარეზად იქცა. ამ ომში რუსეთის ჯართან ერთად განსაკუთრებული მამაცობით თავი გამოიჩინეს ქართული მილიციის ნაწილებმა. ერევნის განთავისუფლების შემდეგ კავკასიის მთავარმართებელს გვნერალ პასკევიჩს გამოუცია ბრძანება, სადაც აღნიშნულია: „მხნეონ საქართველოს თავადნო და აზნაურნო! სამხედრო შრომანი თქვენი დასრულდნენ. თქვენ გისტუმრებთ აწ თქვენს მშობელ ქვეყანაში ჩემის მაღლობითა და ჩინებულის სახელითა; მხნედ თანამშრომთა ძლევამოსილის რუსეთის მხედრობისა სპარსეთის კამპანიასა შინა 1827 წელს, მთავრობასა ქვეშე ჩემსა. თქვენ თავი თქვენი წარიჩინეთ და მეც ვარ შოშმე ღვაწლთა თქვენთა“.

ემის შემდეგ ჩამოთვლილი არიან ის პირნი, რომელთაც თავიანთი გულადობით სახელი გაითქვეს 1827 წელს ერევნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ეს ბრძანება, მოსახლეობაში ფართოდ გავრცელების მიზნით, საქმაოდ დიდი ტირაჟით დაბეჭდილა საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბაში.

1828 წლიდან გამოსვლას იწყებს გაზეთი „ტფილისის უწყებანი“, რომელიც რუსული გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტის“ თარგმანი იყო.

შეთაღია, „ტფილისის უწყებანი“ ძირითადად რუსეთის საიმპერატორო კარის ინტერესების გამომხატველ ორგანოს წარმოადგენდა, რომელშიც იბეჭდებოდა მთავრობის ოფიციალური მასალები, ცნობები უცხოეთის ამბების შესახებ და სხვ., მაგრამ მას შემდეგ კი, რაც ამ პერიოდულ ორგანოს ს. დოდაშვილი ჩაუდგა სათავეში, როგორც რედაქტორი, იგი თითქმის დამოუკიდებელი გაზეთი გახდა. აქ ხშირად იბეჭდებოდა ისეთი მასალები, რომლებიც „ტიფლისკიე ვედომოსტში“ არ იყო გამოქვეყნებული. მაგალითად, კორესპონდენციები ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზე, იმდროინდელ ყოფით საკითხებზე და სხვ.

1828 წელს, ახალი გაზეთის გამოსვლასთან ერთად, თბილისში არსდება სპეციალური ხელმძღვანელი ორგანო — „ტიფლისსკებულებისა და გედომოსტის“ საგამოცემლო კომიტეტი, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა დახმარებოლა და ზედამხედველობა გაეწია როგორც „ტიფლისსკებულებისტის“, ისე „ტფილისს უწყებანის“ რედაქცია ათა მუშაობისათვის. ამ კომიტეტის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი კულტურის, კერძოდ კი ეროვნული ბეჭდვითი სიტყვის განვითარებისათვის, მისი შექმნით იწყება ქართული საგამომცემლო საქმის ისტორია.

1832 წელს გაზეთის დამატების სახით გამოსვლას იწყებს პირველი ქართული უურნალი „სალიტერატურო ნაწილი ტფილისს უწყებათანი“, რომელმაც ერთგვარად გამოაცოცხლა ქართველი ხალხის იმდროინდელი მიყუჩებული კულტურული ცხოვრება და კეთილსასურველი გავლენა მოახდინა ჩვენი ეროვნული მწერლობის შემდგომ განვითარებაზე.

მალე „ტიფლისსკებულებისტის“ საგამომცემლო კომიტეტი თბილისში აარსებს თავის სტამბას და მასში გაზეთების გარდა იწყებს წიგნების ბეჭდვას. 1830 წელს აქ გამოდის ს. ღოდაშვილის ნაშრომი „შემოკლებული ქართული გრამატიკა“.

„ტფილისს უწყებანის“ რედაქტორად მუშაობასთან ერთად ს. ღოდაშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი სამშობლოში ბრუნდება და ქართული ენის მასწავლებლად იწყებს მუშაობას ჯერ სილნალის სამაზრო სკოლაში, შემდეგ კი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც 1830 წლიდან გიმნაზიად გადაკეთდა. აქ მისი მოწაფეები იყვნენ ვ. ორბელიანი, ზ. ავთანდილაშვილი, დ. ყიფიანი, ნ. ბარათაშვილი და XIX საუკუნის პირველი ნახევრის სხვა გამოჩენილი მოღვაწენი.

ს. ღოდაშვილს პედაგოგიური მოღვაწეობა მაშინ მოუხდა, როდესაც ოფიციალურ სახელმწიფო დაწესებულებებსა და სკოლებიდან უმართებულოდ დევნილ-შევიწროებული ქართული ენა საიმედო დაცვასა და მოვლა-პატრონობას საჭიროებდა. ამიტომ „ქართული ენის მოკლე გრამატიკის“ გამოცემას იმდროისათვის დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთსავე მაღალ შეფასესებას იმსახურებს იგი იგრეთვე პედაგოგიური და მეცნიერულ-საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც. მისი საშუალებით ეუფლე-



ბოლნენ ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდები სკოლებში წლების
მანძილზე შობლიური ენის გრამატიკის საფუძვლებს.

საგამომცემლო კომიტეტმა და მის დაქვემდებარებაში შემავალ-
მა გაზეთმა, როგორც „ტიფლისკიე ველომოსტმა“, ისე „ტიფლისის უწყებანმა“ 1833 წლის 10 იარსება. 1832 წლის შეთქმულების გა-
მომეულავნებისა და პოლიტიკურად არასაიმედო პირთა დაპატიმრე-
ბის შემდეგ მათ არსებობა შეწყვიტეს.

1833 წელს საგამომცემლო კომიტეტის სტამბაში იბეჭდება
მთავარმართებელ ბარონ როზენის „განცხადება საყოველთაოდ სა-
ქართველოსა შინა საცნობელად“, რომლის მიზანიც იყო 1832 წლის
შეთქმულების გამოვლინებასთან დაკავშირებით ხალხში გამოწვეუ-
ლი მითქმა-მოთქმის აღვეთა.

შეთქმულების გამომეულავნების შემდეგ მთავრობამ სტამბები
დახურა და წიგნების ბეჭდვა-გამოცემა აკრძალა.

XIX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს თბილისში არს-
დება ძმების იაკობ და დავით არზანოვების კერძო სტამბა, სადაც
1838 წელს გამოდის სამი დასახელების წიგნი: თავისი დროისათვის
გამოჩენილი მეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პ. იო-
სელიანის „ანბანი ქართული სასარგებლოდ ქართველთა ახალ-მოს-
წავლეთა ყრმათა“, რომელიც წარმოადგენდა სასკოლო სახელმძღ-
ვანელოს. მის გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა
ამ სახის წიგნების უქონლობის გამო ახალგაზრდებისათვის მშობ-
ლიური ენის შესწავლაში დახმარების გასაწევად. ამავე დროს იბეჭ-
დება იოანე შავთელის „თამარ მეფის და მეუღლისა მისის დავით
მეფისა შესხმა“ და ჩახრუხაძის პოემა „თამარიანი“. ორივე ამ წიგ-
ნის გამომცემელი და წინასიტყვაობათა ავტორი იყო პ. იოსელი-
ანი. შავთელისა და ჩახრუხაძის პოეტურ მემკვიდრეობათა დაბეჭდ-
ვით მან საფუძველი ჩაუყარა ძევლი ქართული კლასიკური საერო
ლიტერატურული ძევლების გამოცემის დიდ ეროვნულ საქმეს და
გააღვივა ამ კულტურული საგანძურის მეცნიერულად შესწავლის
ინტერესი.

პ. იოსელიანის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ შეუწყვე-
ტია მეცნიერულ-საგამომცემლო მოღვაწეობა. 1840 წელს არზა-
ნოვების სტამბაში იგი ბეჭდავს ახალ სასკოლო სახელმძღვანელოს
„პირველ-დაწყებითნი კანონი ქართულისა ლრამატიკისა“. აქვე
იბეჭდება აგრეთვე პ. იოსელიანის მიერ შედგენილი „ქალენდარი
8

ანუ თთუვეთა რიცხვუაობა“. რომელზეც, როგორც ჩინს, ისეთი დიდი მოთხოვნილება ყოფილა, რომ 1841 წელს მეორედ გამოუციათ ქელი ქართული ლიტერატურული ძეგლებისა და კალენდარისთვის გამოცემასთან ერთად პ. იოსელიანი რუსულიდან თარგმნის და ბეჭ-დავს პრაქტიკული დანიშნულების საცნობარო წიგნებს ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დათესვის, მოვლა-პატრიონობისა და მოყვანის შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია 1841 წელს გამოცემული რამდენიმე წიგნი, მათ შორის „დარიგება მოყვანისათვის ამერიკული თამბაქოსი“, და „ენდროს მოყვანისათვის“. „მოქლე დარიგება დათესვისა, დაკრეფისა, შენახვისა და მოხმარებისათვის ჭარტოფილისა“, შედგინებული უმაღლესის ბრძანებითა მესამეს დეპარტამენტსა შინა სახელმძღვანელოთა ქონებითა“ და „მოქლე ცნობა მათვის, რომელთაცა ჰსურთ შვილთა თვისთა მიცემა ს. პეტერბურლის კომერციის ანუ საგაჭროსა სასწავლებელსა შინა“. ამ ბოლო გამოცემის თარგმანი პ. იოსელიანის ეკუთვნის.

XIX საუკუნის 40-იან წლებში კვლავ ამუშავდა 1832 წლის უეტქმულებასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ დახურული საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბა, 1842 წელს აქ იბეჭდება თბილისის სასულიერო სემინარიის ღვთისმეტყველების კლასის მოსწავლის ანდრია იოანეს ძე წიწვიანიძის მიერ რუსულიდან თარგმნილი საბავშვო წიგნი „სასიამოვნო წალკოტი ყრმათათვის ანუ კრება სასიამოვნოთა და რჩეულთა ზღაპართა ცხადითა და აღვილისა ზნეობითისა სწავლითა“ და პ. იოსელიანის თარგმნილი „გამოცდილებითი კანონი მოყუანისათვის სხუათა და სხუათა მცენარეთა აღწერილნი, კავკასიის აქ ვაჭრობისა და მსოფლიო ხელოსნობათა საზოგადოებისა პირველ წევრისა თანამდებობის აღმსრულებლის მედიკო-ხირურგისა ა. ტერლუქასოვისა მიერ“.

დოკუმენტური მასალების საფუძვლიანმა შესწავლამ ცხადყო, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ პ. იოსელიანის ცნობილ ნაშრომს „ანბანი ქართული სასარგებლოდ ქართველთა ახალ-მოსწავლეთა ყრმათას“, რომელიც 1849 წელს კვლავ გამოვიდა, 1842 წლიდან 1850 წლამდე ქართულ ენაზე წიგნი აღარ გამოცემულა. ამ ხნის მანძილზე იბეჭდებოდა მხოლოდ თითო-ოროლა სხვადასხვა სახის წესდებანი, ეპისტოლენი, დებულებები, განცხადებები, ცნობები და ა. შ.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულიდან კვლავ გა-

მოცოცხლდა წიგნის ბეჭდვის საქმე. 1850 წელს საქართველოში კორპუსის სტამბაში იბეჭდება გ. ერისთავის „გულერიუმში“ პიესის გამოსვლით იწყება შემდგომში ისეთი მნიშვნელოვანი მხატვრული უანრის თხზულებათა გამოცემის ტრადიცია, როგორიცაა დრამატურგია.

1851 წელს საქართველოში ცალკე კორპუსის სტამბაში გამოდის ძველი ქართული კლასიკური სერო ლიტერატურის კიდევ ერთი შესანიშნავი ძეგლი „დადმოურავიანი“, თქმული სააკაძის იოსებ თავილელისაგან, დამატებით სხვათაცა მისთა თხზულებათა“ პლ. იოსელიანის წინასიტყვაობით.

არანაკლებ ნაყოფიერი იყო საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბისათვის 1852 წელიც. აյ იბეჭდება სიონის ეკლესიის მღვდლის გრიგოლ ცამციშვილის რუსულიდან თარგმნილი ო. ლი-შიტროესკის შეიქ შედგენილი „კეთილ-კრძალულებანი გულის-ზრახუანი უამსა მოსმენისა ლიტურლიისასა“; ამავე სტამბაში პ. იოსელიანის წინასიტყვაობით გამოდის „მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“, გრიგოლ ცამციშვილისავე თარგმნილი „მოკლე განმარტება ლიტურლიისა, შეკრებილი დეკანოზის გ. მანსვეტოვისაგან“, „მოხილვა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა, ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა“, რომელსაც კვლავ დართული იქნება ძეგლი ქართული მწერლობის დაუღალავი მკვლევარის პ. იოსელიანის წინასიტყვაობა.

XIX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგიდან თბილისში არსდება ახალი პოლიგრაფიული საწარმო — უ. გულოიანცის კერძო სტამბა, რომელიც ძირითადად მხატვრული ნაწარმოებების გამოცემის საქმეს ემსახურებოდა. მარტო 1851 წელს აქ დაიბეჭდა ზ. ანტონოვის ორმოქმედებიანი კომედია „მე მინდა კნეინა გავხდე“, პ. იოსელიანის „პირველი დაწყებითნი კანონი ქართულისა ღრამატიკისა“, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრებისათვის წაკითხული გ. ხოტკოს ლექციის „მზის დაბნელებისათვის, რომელიც იქმნების 1851 წელს“ ქართული თარგმანი.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა უ. გულოიანცის სტამბისათვის 1852 წელი. მასში ცალ-ცალკე წიგნებად იბეჭდება ზ. ანტონოვის პიესები: „განა ძიმ ცოლი შეირთო“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „ქმარი ხუთის ცოლისა“, „ქორწილი ხევ-



სურთა“ და მისივე რჩეულ დრამატურგიულ ნაწარმოებთა კრებული — „ქართული კომედიები“; ივ. კერესელიძის მიერ რუსულენდან თარგმნილი საყმაწვილო წიგნი „ყრმათა მეგობარი“ ანუ „პრესტიჟის ველად დაწყებისათვის წარეკითხვებისა“.

XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან მნიშვნელოვანი ხასიათის ძვრები ხდება ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. რუსეთის საიმპერატორო კარის ინტერესების ერთგული დამცველის შთავარმართებელ მ. ვორონცოვის მოქნილი პოლიტიკის შედეგად არსდება მუდმივი პროფესიული ქართული თეატრი, გამოსვლის იწყებს უურნალი „ცისკარი“, საქართველოს ცალკე კორპუსისა და უ. გულოიანცის სტამბების გარდა თბილისში საცუდველი ეყრება ქართული წიგნის ბეჭდვის კიდევ ერთ კერას — „ცისკრის“ რედაქტორისა და გამოჩენილი დრამატურგის გ. ერისთავის სტამბას. იგი სპეციალურად უურნალ „ცისკრისათვის“ იყო დაარსებული, მაგრამ ამ პერიოდულ ორგანოსთან ერთად იბეჭდებოდა აგრეთვე წიგნებიც. 1852 წელს აქ გამოდის გ. ერისთავის სამმქმედებიანი კომედია „თილისმის ხანი“, მისივე ვოლევილი „უჩინმაჩინის ქუდი“ და სხვ.

გ. ერისთავის სტამბამ დიდხანს ვერ იარსება. 1853 წლიდან აქ თითქმის აღარაფერი დაბეჭდილა. მ. ვორონცოვის საქართველოდან წასვლის შემდეგ უსასხრობის გამო არსებობა შეწყვიტაროგორუც ქართულმა მუდმივმა თეატრმა, ისე „ცისკარმა“ და მისმა სტამბამაც.

ქართველი ინტელიგენცია „ცისკრის“ დახურვას ვერ შეურიგდა. ამ სამწუხარო ამბის გახმაურებისთანავე იწყებს იგი ბრძოლას უურნალის აღდგენისათვის. 1855 წლის 17 იანვარს ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ივ. კერესელიძეს განცხადებით მიუმართავს თბილისის სამხედრო გუბერნატორის პოლკოვნიკ ნ. კულიუბაკინისათვის, რომელშიც ითხოვდა „ცისკრის“ გამოცემის განახლებას, ამ უურნალის რედაქტორობასა და გ. ერისთავისეული სტამბის გადაფორმებას.⁸

მეფის რუსეთის მმართველობითი აპარატისათვის დამახასიათებელი ბიუროკრატიულობის მიუხედავად, ივ. კერესელიძის განცხადების განხილვა ზემდგომ ინსტანციებში დიდხანს არ გაჭიანურე-

⁸ საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი, ფ. 3, საქ. 4107, ფურც. 1-2.
16. მწიგნობარი 86

პულა. საკითხი მაღა დადებითად გადაწყდა. 1856 წლიდან გამოსცვლას იწყებს „ცისკარი“, ხოლო უფრო ადრე — 1855 წლის შემობრძანებაზე წურულს ყოფილ გ. ერისთავისეულ სტამბაში იბეჭდება „ცისკრის“ ახალი რედაქტორის ივ. კერესელიძის „მწყემსის სიყვარული“ და „ნაოხარი სოფელი“. 1856 წელს ამავე სტამბაში გამოდის გ. ერისთავის „ქართველ ხალხთა სიმღერა კნიაზ ბარიატინსკის ტფილისში შემობრძანებაზე 1856 წლის 3 ნოემბერს“, 1858 წელს — „ანბანი ახალ-მოსწავლეთა ყრმათათვის“, 1859 წელს — ივ. კერესელიძის „ლექსები“, ხოლო 1860 წელს — „ცისკრის“ რედაქტორისავე შედგენილი „ჯიბით სატარებელი კალენდარი“.

ამრიგად, 1855 წლიდან 1860 წლამდე, ანუ თითქმის მთელი ხუთი წლის მანძილზე „ცისკრის“ ახლად იღდებოდა სტამბაში სულოთხი წიგნი დაიბეჭდა და ისიც ძალზე მცირე მოცულობით — თითოეული მათგანი 2—5 თაბასს არ აღემატებოდა. ეს, ასაკვირველია, ცოტაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდში სტამბა დიდ ეკანომიკურ სიძნელებს განიცდიდა, წიგნების ასე მცირე რაოდენობით გამოცემის მიზეზი გასავები გახდება. უსახსრობას ზედ დაერთო უურნალის რედაქტორის ივ. კერესელიძის ავაღმყოფობა. 1857 წლის 5 ივნისს მას განცხადება შეუტანია კავკასიის საცენზურო კომიტეტში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაშო „ცისკრის“ გამოცემის დროებით შეწყვეტის შესახებ.⁹ ივ. კერესელიძის ეს ოხოვნა დაუკმაყოფილებიათ. 1875 წლის მეორე ნახევრიდან უურნალს გამოსცვლა აღარ ღირსებია.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისის პოლიგრაფიულ გაზიებს შორის საწარმოო სიმძლავრით გამოირჩეოდა საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბა. ამიტომაც იგი სხვებთან შედარებით უფრო მეტი დატვირთვით მუშაობდა. არ იყო ისეთი წელიწადი, რომ მას სულ ცოტა ერთი-ორი წიგნი მაინც არ დაებეჭდა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ტექნიკურ შესაძლებლობათა უპირატესობის გარდა, მთავრობისაგან გამოყოფილი დოტაციის შედეგად ამ სტამბას გაცილებით უკეთესი ფინანსური პირობები ჰქონდა.

1853 წელს საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბაში იბეჭდება ძეველი ქართული მწერლობის ისეთი შესანიშნავი ძეგლები,

⁹ საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი, ფონდი 480, ნაშ. I, საქმე 195, ფურც. I.



როგორიცაა ანტონ I-ის „წყობილი იტყვაობა“ და „ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა, აღწერილი ლექსად არჩილისაგან მეფისა პ. იოსელიანის წინაი იტყვაობით. იმავე წელს გამოდის გრ. წინა მძღვრიშვილის პროზაული თარგმანი ა. გრიბოედოვის კომედიისა „ვაი ჰელისაგან“, ზ. ანტონოვის ტრაგედია „ქოროლი“, ალ. მეიცარიანის „ქმრები გავაბით მახეში“, პ. იოსელიანის „ანბანი ქართული სასარგებლო ქართველთა ახალ მოსწავლეთა ყრმათა“ და ივ. კერესელიძის მიერ რუსულიდან გადმოკეთებული „საკითხავი წიგნი ახალ მოსწავლეთა ყრმათათვის“.

1853 წლის მიწურულს იფეთქა რუსეთ-თურქეთის ომშა. თურქეთი დიდი ძალებით შემოიჭრა საქართველოში, დაიყვა გურიის დიდი ნაწილი, გეზი ახალციხისაკენ აიღო და ამით რეალური საფრთხე შეუქმნა თბილის. ისევე, როგორც რუსეთ-ირანის 1826—1828 წლების ომში, ამჯერადაც ქართველობა ერთსულოვნად დაირჩია ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

თურქეთის მიერ რუსეთისათვის თავსმოხვეული ამით გამოწვეული რთული საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბას მუშაობა არ შეუწყვეტია. 1854 წელს იგი ბეჭდავს ზ. ანტონოვის კომედიას „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“, ხოლო 1855 წელს აქ გამოდის ივ. კერესელიძის „საკითხავი წიგნი ახალ მოსწავლეთა ყრმათათვის“ და პ. იოსელიანის „ანბანი ქართული, სასარგებლოდ ქართველთა ახალ მოსწავლეთა ყრმათა“.

ივ. კერესელიძისა და პ. იოსელიანის ეს წიგნები ისეთი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში, რომ საქართველოს კერძო კორპუსის სტამბას 1856 წელს პირველი მეორედ გამოუცია, ხოლო მეორე — მეცხრედ.

1857 წელს ამავე სტამბაში ქართულ და რუსულ ენებზე იბეჭდება იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანება „ტივილისის გუბერნიის მკვიდრთათვის მაღლობის გამოცხადების შესახებ ასმალეთთან ამის დროს ერთგულების გამოჩენისათვის 1857 წელს იანვრის 16 დღესა“.

1858 წელს იბეჭდება სასულიერო შინაარსის ორი დოკუმენტი: „სიტყვა დასაფლავებასა ზედა ღენერალ ფელდმარშლისა, უგანათლებულესისა თავადისა მიხეილ სვიმონის ძის ვორონცოვისა, თქმული ოდესისა საკათედროსა ტაძარსა შინა სინოდის წევრისა მიერ,

მაღალ-ყოვლადუსამღვდელოებისა ინნოკენტი არხიეპისკოპოსისა ჟერსონისა და ტავრისისა 10 ნოემბერს 1856 წელს“ და „მოხსეხები-სათვის გარდაცვალებულთასა და სიკვდილისათვის მარტინინი“ თაცოდვილისა კაცისა“. 1859 წელს კი იბეჭდება იმ დროისათვის ერთობ გამაურებული პ. იოსელიანის „ანბანი ქართული, სასარ-გებლოდ ქართველთა ახალ მოსწავლეთა ყრმათა“, ხოლო 1860 წელს — თელავის წმინდა სამების ეკლესიის მღვდლის დ. მექანა-რიშვილის „ანბანთ-ქება“.

ამრიგად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში მნიშვ-ნელოვან აღმავლობას განიცდის ქართული წიგნის ბეჭდვა-გამო-ცემა. ამ პერიოდის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ მანამდე პრივილეგირებული საეკლესიო წიგნი თითქმის მთლიანად კარგავს პრიორიტეტს და მის ადგილს საერთ ლიტერა-ტურა იკავებს, იზრდება ძველი ქართული საერთ კლასიკური ლი-ტერატურის გამოცემა. საკმაოდ დიდი ტირაჟით იბეჭდება თანამედ-როვე მწერლების მხატვრული ნაწარმოებები, სახელმძღვანელოები, არსდება პირველი უურნალ-გაზეთები. ყოველივე ამას ხელი შეუ-წყო პოლიგრაფიული ბაზის გაფართოებამ, კერძო სტამბების რაო-დენობის ზრდამ, მათი აღჭურვილობის გაუმჯობესებამ.

АННОТИРОВАННОЕ СОДЕРЖАНИЕ

АНЗОР ГВЕНЦАДЗЕ

Кандидат исторических наук

Книга — предвестник революционной бури

В статье, посвященной 70-летию написания В. И. Лениным работы «Империализм, как высшая стадия капитализма», рассказывается история создания этой книги, ее издания и перевода на грузинский язык. Подчеркивается мировое значение основных положений этого труда и его место в марксистско-ленинском учении. (стр. 5).

АЛЕКСАНДР БАРАМИДЗЕ

Академик, доктор филологических наук

**Академическое издание «Вепхисткаосани»
(«Витязя в тигровой шкуре»)**

Как известно, подлинник «Вепхисткаосани» гениального грузинского поэта XII в. Шота Руставели не сохранился, а древнейшие рукописи поэмы датированы XVI-XVII вв.

Как и следовало ожидать, оригинальный текст на протяжении многих веков подвергался разным случайным, а порой даже умышленным изменениям и интерполяциям, которых оказалось предостаточно во всех выявленных ныне рукописях поэмы (около 150 экз.).

История критического изучения и установления текста поэмы начинается еще с начала XVIII в., когда царь Вахтанг VI впервые издал отредактированный им текст «Витязя в тигровой шкуре» с комментариями (1712 г.). Начиная с 40-х г. XIX в. текст редактировали и один за другим переиздавали разные ученые с разными поправками (таких изданий свыше 60-ти на грузинском языке).

И вот уже несколько лет (с 1964 г.) работает специальная ко-



миссия по установлению академического текста «Вепхисткаосани». Проведена огромная работа и в настоящее время академический текст поэмы уже передан в издательство (стр. 25).

АКАКИЙ ГЕЦАДЗЕ

Писатель

Слово — хлеб насущный писателя

Писатель Акакий Гецадзе еще до войны сочинял и публиковал стихи. Он — участник Великой Отечественной войны, что сыграло немаловажную роль в формировании его литературного мышления. Романы, рассказы, пьесы, стихи А. Гецадзе пронизаны гуманизмом, глубоким знанием внутреннего мира человека.

Беседа касается роли книги и слова, как художественного феномена, в жизни человека, взаимоотношения писателя и читателей (стр. 44).

МАРИНА НИАУРИ

Научный сотрудник Литературного музея им.
Г. Леонидзе

Галактион Табидзе — как читатель

После смерти великого грузинского поэта — Галактиона Табидзе, его личная библиотека хранится в Литературном музее им. Георгия Леонидзе.

Рассматривая заметки и высказывания поэта на полях книг, автор статьи классифицирует их и прослеживает его читательские интересы. Это проливает свет на любопытные нюансы в литературных взглядах Галактиона Табидзе.

По справедливому замечанию автора статьи, Галактион Табидзе, оказывается, являлся «таким же оригинальным, высокопрофессиональным читателем, как и поэтом». (стр. 65).

ДАВИД КИРВАЛИДЗЕ

Библиофил

Книга — спутник жизни

Книга с детства стала жизненным спутником педагога по профессии, учителя грузинского языка и литературы, библиофила Давида Кирвалидзе. В настоящее время, когда ему около 80 лет, его личная библиотека, насчитывает свыше 3000 томов. Они доступны всем.

Ими пользуются школьники, педагоги, люди разных профессий — одним словом, все, кто ценит книгу и стремится к знанию. Старый педагог помогает и тем, которые сами желают стать библиофирами, дарит им уникальные книги, рассказывает им о книжных новинках.

В беседе Давид Кирвалидзе рассказывает о своей любви к книге, о значении книги в жизни человека, о своей семейной библиотеке и ее читателях (стр. 73).

ДЖАНИ РОДАРИ. Графиня (перевод Г. Бухникашвили) (стр. 81).

ЕУДЖЕНИО МОНТАЛЕ. Визит Аластора (перевод его же) (стр. 86).

КАРЛО БЕРНАРИ. Четыре Инкунабулы (перевод его же) (стр. 89).

ГЮСТАВ ФЛОБЕР. Библиомания (перевод Г. Кочладзе)
ЛАМАРА НИКОЛЕЙШВИЛИ

Кандидат педагогических наук

Научно-техническая информация на службе технического прогресса

В статье говорится о значении научно-технической информации в деле ускорения технического прогресса; в частности, о роли источников информации, в том числе технических библиотек, внедрении изобретений и новой технологии в производство. (стр. 114).

ИННА ДИВНОГОРЦЕВА-ГРИГОЛИЯ

Заслуженный художник ГССР

Основоположник современной грузинской графической школы

Творчество народного художника ГССР, лауреата премии им. Шота Руставели, заслуженного деятеля искусств — Владимира (Ладо) Давидовича Григолия — многогранно. Творческое наследие Григолия, преподававшего в Тбилисской Академии художеств более чем сорок лет книжную графику, композицию, плакат, литографию, шрифт, содержит отличающиеся высоким мастерством произведения станковой и книжной графики, уникальную коллекцию художественных шрифтов, научные труды: «Академический шрифт и система его 396 вариаций», «Художественные шрифты и способы их создания».

В статье, в основном, освещена книжная графика художника и разработанные им законы построения современных форм грузинского графического шрифта. (стр. 133).

СЕРГЕЙ ТУРНАВА

Кандидат филологических наук

ЖЕРАР ГАРИТТ

Статья знакомит читателя с жизнью и деятельностью бельгийского востоковеда, грузиноведа и арменолога, профессора Лувенского университета Жерара Гаритта — исследователя и популяризатора многих древнегрузинских рукописей, хранящихся в зарубежных грузинских культурных центрах, а также в Грузии, автора многих (около 400) публикаций, в том числе печатаемых в грузиноведческом журнале «Беди Картлиса» («Ревю де Картвелологии»), издаваемом в Париже. (стр. 155).

ЦИАЛА ҚАРБЕЛАШВИЛИ

Кандидат филологических наук

Парижская рукопись «Вепхисткаосани» («Витязя в тигровой шкуре»)

Датированная 1702 годом рукопись поэмы Шота Руставели, переписанная в Шемахе «Аллой, дочерью Бежоа», является собственностью Парижской национальной библиотеки и входит в золотой фонд рукописного наследия «Вепхисткаосани».

Культурно-историческое значение рукописи велико. Это — единственная известная нам рукопись, переписанная женщиной, к тому же не грузинкой по национальности» (стр. 171).

БОРИС ДАРЧИЯ

Кандидат филологических наук

Переводы стихов «Калилы и Димны», выполненные Вахтангом VI

Всемирно известный памятник древневосточной литературы — сборник басен «Калила и Димна» переводился на грузинский язык несколько раз.



По свидетельству царя Вахтанга VI, древнейший перевод этого сборника на грузинский язык осуществлен в XI—XII вв. Однако ~~этот~~ текст не сохранился.

Все остальные переводы выполнены с одной персидской версии XV в. Сначала ее переводил царь Кахетии Давид — отец Теймура-за I, но не успел завершить и скончался в 1602 г. Впоследствии этот частичный перевод оказался у Вахтанга VI, и он поручил завершить его двум неизвестным книжникам.

Вахтанг VI сначала редактировал уже имевшиеся переводы, а затем взялся за самостоятельный подстрочный перевод (1714—1716 гг.), который впоследствии отредактировал Сулхан-Саба Орбелиани. Таким образом был создан грузинский текст «Калилы и Димны».

С редакционной точки зрения в статье охарактеризованы стихи из «Калилы и Димны», переведенные Вахтангом VI (1675—1737). Установлена принадлежность некоторых спорных произведений перу переводчика. (стр. 195).

СОЛОМОН ХУЦИШВИЛИ

Доктор филологических наук, профессор

Сочинения первого грузинского романика

Александр Гарсеванович Чавчавадзе (1776—1846 гг.) — родоначальник грузинского романтизма.

Несмотря на популярность поэтического творчества А. Г. Чавчавадзе и на то, что его стихотворения были многим известны и они быстро превращались в романсы и песни, при жизни поэта ни одно его произведение не было опубликовано. Причина этого — отсутствие в тогдашней Грузии печатного органа. Его произведения были известны узкому кругу почитателей поэта, и то с помощью литературного салона, который посещался многими знатными людьми, в том числе и А. С. Грибоедовым.

Стихотворения поэта печатались только с 1852 года, после учреждения редакции журнала «Цискари» под руководством Г. Д. Эристави.

В статье рассказывается о поисках стихов Чавчавадзе, которые помещены в трех основных изданиях литературного ~~наследия поэта~~ (в 1881, 1940 и 1986 гг.), (стр. 217).

Книгопечатание в Тбилиси 1800—1860 гг.

В начале XIX в., после присоединения Грузии к России, главноуправляющий Грузии П. Цицианов принимает энергичные меры для восстановления грузинской типографии, разрушенной и ограбленной во время нашествия Ага-Магомед-хана на Грузию. В связи с определенным оживлением культурно-просветительской жизни в Грузии (открытие дворянского училища, выпуск газеты «Тифлисские ведомости» на русском и грузинском языках и др.) потребность в грузинской печатной продукции значительно возросла, что и обусловило расширение сети типографии.

После раскрытия дворянского заговора 1832 года, направленного против царского самодержавия, власти запретили печатать книги и выпускать газеты на грузинском языке и закрыли типографию.

Некоторое улучшение печатного дела наблюдается в 40-е и 50-е годы, когда, кроме официальных документов и учебников, постепенно начали печатать и художественные произведения и был основан грузинский литературный журнал «Цискари» (1852 г.). (стр. 230).

В поэтической рубрике

Шота Нишнанидзе — Деда эна («Родная речь»)	112
Гиви Туманишвили — Эпитафия	214

三〇六一九六四〇

ლექსები

შოთა ნიშნიანძე, დედა ენა	212
გივი თუმანიშვილი, ეპიტაფია [ვახტანგ მეექვსისა]	214
რუსული აზოტაცია	245

რედაქტორი გ. ტრიპოლევა
მხატვრული რედაქტორი კ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი დ. ცინცაძე
გამომშვები ნ. შევდლიძე

გადაეცა წარმოებას 20.02.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.12.87. საბეჭდო
ქაღალდი ოფსერი № 1, 60×84¹/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალ-
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14.65+ჩიკრა 1,88. პირ. საღ.-გატ. 16,75. სააღრ.-
საგამომც. თაბახი 13,16 ტირაჟი 15000 შეკვ. 852

ფასი 80 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

საქართველოს ქვეყნის გამომცემლობის შრომის წითელი
დროშის ორდენსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства
ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.



Общество любителей книги
Грузинской ССР

МЦИГНОБАРИ-86

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1987

ალმანას „მთიგნობრის“ აპტორთა საყურადღებოდ!

სარედაქციო კოლეგია ავტორებს გთხოვთ სტატიები გამოგზავნოთ ნორმატივების შესაბამისად დაბეჭდილი, ორ ეგზემპლარად.

ტექსტის ყველა ციტატა დამოწმებული უნდა იყოს წყაროებით. საილუსტრაციო მასალა გამოგზავნეთ ორ ეგზემპლარად ზომით 13X18 სმ.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380008, რუსთაველის გამზირი 40/1, საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა. ტელ.: 93-49-57; 93-23-71.

75/8